საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№8 (51)
3 – 9 მარტი, 2010
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

მისტრალნაღებულნი...

დიმიტრი მედვედევი:
„მისტრალის“ საკითხი, რომელმაც ფართო რეზონანსი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ორ ქვეყანას შორის ნდობის სიმბოლოა“.

ნიკოლა სარკოზი:
„როგორ შეიძლება, რუსეთს ვუთხრათ, რომ მშვიდობის დასაცავად, მსოფლიოში კრიტიკული სიტუაციების მოსაგვარებლად მისი მხარდაჭერა გვჭირდება, მაგრამ ამავე დროს არ ვენდობით?!“

4

ფრანგები რუსებს ოთხ ავიამზიდს მიჰყიდიან

ჯგუფური ფსიქოთერაპიის სეანსი პარლამენტის სხდომათა დარბაზში 2

5 მოსკოვს ცრემლების არ სჯერა, ლევან!
6 ევაკუირებული ბებია
6 სიკვდილის პრეისკურანტი
7 ვინც გიგის აძლევს
ზურაბ გაგნიძე: საკაშვილმა საქართველოს გეოპოლიტიკური 8 ფუნქცია დააკარგვინა
ქსანტიპას შესახებ, ანუ სიმართლე პრეზიდენტის 9 ქვრივზე
კიდევაც იყიდებიან ალგეთს 12 ლეკვები მგლისანი...

ფლევდო-ოპოზიციონერის ლუკმა

ანუ რა ღირს ვარდისფერი სათვალე

3

3 — 9 მარტი, 2010 წელი. №8 (51)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ჯგუფური ფსიქოთერაპიის სეანსი პარლამენტის სხდომათა დარბაზში

მიხეილ სააკაშვილის სტუმრობა პარლამენტში, სადაც იგი ყოველწლიური მოხსენებით წარდგა, ერთობ ჰგავდა ჯგუფური თერაპიის სეანსს, რომლის შემდეგ დამსწრენი დარბაზს ბედნიერნი, დამშვიდებულნი ტოვებენ. ყოველ შემთხვევაში, სხდომის ბოლოსკენ თავყრილობის მონაწილეთა უმრავლესობის შინაგანი მდგომარეობა აშკარად ეიფორიას მიუახლოვდა. პარლამენტის თავმჯდომარეს ისეთი გაბადრული სახე ჰქონდა, თითქოს მან, ჩვენი მეგობარი ბუდისტების თქმის არ იყოს, ერთდროულად ბოდჰისატვაც იხილა და ნირვანასაც მიაღწია. მისი თანაგუნდელები ასეთი მაღალი გრადუსის შინაგანი ჰარმონიით, ალბათ, ვერ დაიკვეხნიდნენ, რადგან ცნობილი გამოთქმის თანახმად, „ყველა მეწაღე სამადჰის სიღრმეს ვერ ჩასწვდება“, თუმცა ჩაკრები, სავარაუდოდ, მათაც გაეხსნათ; ძალზე კმაყოფილები ჩანდნენ; განსაკუთრებით ისინი, ვინც გურუმ საერთო მასიდან გამოარჩია (გ.კ. გაბაშვილი და სხვ.)

სხვა სან-ლორენცო სად არის...

ვიდრე კონკრეტულ ციფრებამდე ჩააღწევდა, სააკაშვილი საკმაოდ დიდხანს მადლობას უხდიდა როგორც მთლიანად მოსახლეობას, ისე ცალკეული ჯგუფების წარმომადგენლებს, მაგალითად პოლიციელებს, მასწავლებლებს, უმუშევრებსა და ა.შ. სულ მის გამოსვლაში 12 „მადლობა“ იყო და, როგორც, ალბათ, უკვე მიხვდით, — არც ერთი „ბოდიში“ (თუნდაც ასეთი, ბრჭყალებში).

„გასული წლის 9 თვის, ანუ პირველი სამი კვარტლის განმავლობაში ჩვენი ეკონომიკა 5,5 პროცენტით შემცირდა. მაგრამ მეოთხე კვარტალში ეკონომიკამ დაიწყო რეცესიიდან გამოსვლა და დაფიქსირდა პოზიტიური ზრდა. ამ მხრივ ჩვენი მოლოდინი გამართლდა, მთავრობის პროგნოზი გახლდათ ეკონომიკის შემცირება არა უმეტეს 4 პროცენტისა,“ — ეს სიტყვები სააკაშვილის 2010, ანუ მიმდინარე წლის მოხსენებიდანაა. ახლა კი მისივე სიტყვები წინა, 2009 წლის მოხსენებიდან: „წინასწარი გათვლები გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ჩვენ მიმდინარე წელსაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით დავასრულებთ და არ გადავალთ მინუსებში ისე, როგორც ეს ბევრგან ხდება ახლა“. მარტივად რომ ვთქვათ, იგი გვპირდებოდა ზრდას და მივიღეთ კლება, ამავე დროს „მოლოდინი, რომელიც გამართლდა“ სააკაშვილმა ისე მოაქცია ფრაზაში, რომ გაუგებარი გახდა, საუბარი მთავრობის მიერ წლის დასაწყისში თუ მეოთხე კვარტალში გაკეთებულ პროგნოზს ეხებოდა. ერთი ცხადია, ხელისუფლების „წინასწარი გათვლები“ მცდარი აღმოჩნდა. ეკონომიკა უპრეცედენტო უცხოური დახმარების მიუხედავად მინუსში წავიდა.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ 2009-ში, სააკაშვილი ამბობდა, რომ „ეს პროგნოზები და გეგმები ძალიან მყიფეა, თუ ჩვენ ვერ შევძელით სიმშვიდის და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება“; თუმცა ვინაიდან გასული წლის კრიზისის წარმოქმნა და მისი დინამიკა ხელისუფლების ნაბიჯებიდან ისევე ბუნებრივად გამომდინარეობდა, როგორც შოთა მალაშხიას დაკვირვებიდან დარვინის თეორიის ძირითადი პოსტულატების სისწორე, ხელისუფლებისთვის პასუხისმგებლობის არიდება ამ შემთხვევაშიც არ გამოვა.

ზუსტი მონაცემები მოხსენებაში არცთუ ბევრი იყო. სააკაშვილს აშკარად სხვა სტილში საუბარი ერჩია: „ქვეყანა დაადგა გაჯანსაღების გზას“, „იყო დიდი წარმატებები –ამას არავინ უარყოფს, მაგრამ იყო ჩავარდნებიც ამას ჩვენ ვერ უარვყოფთ“; „მინუსების ნიშნები პრაქტიკულად ყველა სფეროში პლიუსებმა ჩაანაცვლა“. ბოლო ფრაზა „შტეპსელთან“ მიმართებაში კარგად ჟღერს, თუმცა ეკონომიკაზე საუბარს, ალბათ, მეტი სიზუსტე სჭირდება.

კონკრეტიკა გამოსვლაში მხოლოდ მაშინ ჩნდებოდა, როდესაც საუბარი ამა თუ იმ სეგმენტში მიღწეულ წინსვლას ეხებოდა; „მაგალითად, ცხვრის ხორცი, რომლის ექსპორტიც წელიწადში 25 ათასი ერთეულიდან შარშან 266 ათას ერთეულზე ავიდა“. ირანელებმა და არაბებმა, მართლაც, აქტიურად დაიწყეს ცხვრის შესყიდვა, თუმცა ეს განპირობებულია არა საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებული მოწადინებით, არამედ მათ ქვეყნებში შექმნილი ობიექტური, ალაგ-ალაგ კრიზისული გარემოებებით. იქ, სადაც მთავრობას რეალურად უნდა ემუშავა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ამის დავალებაც ჰქონდა, ღვინის ექსპორტში ვარდნა დაფიქსირდა (მინუს 10%), თუმცა სააკაშვილს ეს ფაქტი უხსენებია, ისევე როგორც სხვა პრობლემური მიმართულებები, იგი მხოლოდ წარმატებებზე და (მეტწილად საჩოთირო) სამომავლო გეგმებზე საუბრობდა.

საუბარი ცხვრებზე სააკაშვილმა შემდეგი ფრაზით დასრულა: „ის დროა, ხალხს შევუძახოთ, ქართველო, ხელი მატყლს იკარ, რადგან ეს ძალზე დიდი შემოსავალია მათთვის“ და, შესაძლოა, ვერც იგრძნო, რომ ბევრმა მაყურებელმა ეს ხუმრობა შეიძლება დამამცირებელ დაცინვად ჩათვალოს. ალბათ, ოდესღაც ბრძოლის ველიდან ძლევამოსილი გამარჯვებით დაბრუნებულ მთავარსარდალს შეეძლო ასე გახუმრებოდა თავის ერთგულ თანამებრძოლებს, მაგრამ ამ ვითარებაში ამ ადამიანისგან ამის მოსმენა საკმაოდ მძიმე იყო, თუმცა ეს სუბიექტური შთაბეჭდილებაა, ობიექტური კი, ალბათ, შემდეგი რამაა: საუბარი ეკონომიკაზე შეიძლება იყოს ან პატიოსანი, პლიუსებისა და მინუსების დეტალური აღწერით, ან საერთოდ — არანაირი. ამგვარად, აჯობებს სხვა თემებზე გადავიდეთ, შიგ მატრიცაში სააკაშვილსა და მის თანაპარტიელებს ნამდვილად ვერ შევყვებით. ხოლო ვისაც საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული ამერიკელის, ერიკ ბაინდერის ისტორია აინტერესებს, რომელიც სააკაშვილმა ტრიბუნიდან ასე გულისამაჩუყებლად მოყვა, შეუძლია გადაიკითხოს კურტ ვონეგუტის „აკვანი კატისთვის“, კერძოდ, ის მონაკვეთი, სადაც აღწერილია, პატარა ტროპიკული დიქტატურის, სან-ლორენცოს ხელისუფლების მიერ გამოცემული სარეკლამო მოთხრობა „რა მისცა სან-ლორენცომ ერთ ამერიკელს“; დადებითი ემოციები გარანტირებულია.

„რესპუბლიკა სან-ლორენცო ყვავის. ჯანმრთელი, ბედნიერი, პროგრესული, თავისუფლებისმოყვარე, ლამაზი ხალხი იზიდავს როგორც ამერიკელ ბიზნესმენებს, ისე ტურისტებს...“ მოკლედ, Viva la Republica! Viva el Presidente!

ოპოზიციის დიდი ხურულდანი

გასულ კვირას, საზოგადოება ირაკლი ალასანიას მიმოქცევის ტრაექტორიისთვის თვალყურის დევნებით, ცოტა არ იყოს, დაიღალა. მომენტებში ალასანია გამოიყურებოდა როგორც კოზაკი აქლემების ჩხუბის ეპიცენტრში, მიუხედავად იმისა, რომ მონდომებით ცდილობდა, შეენარჩუნებინა დაახლოებით ისეთივე სერიოზული გამომეტყველება, როგორიც გრაფ ჰელმუტ იოგან ლუდვიგ ფონ მოლტკეს (უმცროსს) მარნის ბრძოლის წინ ეჭირა, როდესაც რუკაზე ფერად ისრებს ხაზავდა (გრაფმა ბრძოლა ჩააფლავა, თუმცა ეს დეტალებია).

ემოციურ დებატებს თავი რომ დავანებოთ, რომელთა დროს დავით უსუფაშვილმა, ოტელოსთვის შესაშური ტემპერამენტი და (მელო)დრამატიზმი გამოავლინა, ორშაბათს საღამოსთვის შეიქმნა ვითარება, რომელზე უკეთესს ხელისუფლება პრინციპში ვერც ინატრებდა: ერთმანეთთან უკიდურესად დაპირისპირებული, ჩასაფრებული ოპოზიციის ჯგუფები, დაბნეული ელექტორატი და არჩევნების მიმართ ნიჰილისტური განწყობის გაღვივება.

საზოგადოებაში საერთო სურათის გამარტივების, ორ გამოკვეთილ პოლუსამდე დაყვანის სურვილის გაჩენა ლოგიკურია, თუმცა თავისთავად კარგს არაფერს მოასწავებს. თავისუფალი არჩევანი პოლიტიკაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, მინიმუმ სამი ვარიანტის არსებობას მოითხოვს. არჩევანი ორი მოცემულობიდან, პრინციპში, ცრუ არჩევანია — ამ ფუნდამენტს ყველა მანიპულატიური პოლიტიკური ტექნოლოგია ეფუძნება.

გასაგებია, რომ ოპოზიციის ერთიან კანდიდატზე შეთანხმების არმიღწევამ შეიძლება ბევრი ამომრჩევლის იმედგაცრუება გამოიწვიოს, თუმცა ამ ვითარებიდან დადებითი გამოცდილების მიღებაც შეიძლება. ეს პერიოდი კარგი იქნება (ფრაზის დასაწყისი, ცოტა არ იყოს, მიხეილ ცაგარელის სტილში გამოვიდა), უპირველეს ყოვლისა, დაკვირვებისთვის, სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფების მოტივების დადგენისთვის და, რაც მთავარია, საკუთარი პოლიტიკური არჩევანის კრიტიკული გააზრებისთვის. ეს სულაც არ ნიშნავს პასიურ ჩაჯდომას ლოტოსის პოზაში — მომავალი გაზაფხული აქტიური პოლიტიკური ბრძოლისთვის, სავარაუდოდ, უამრავ შესაძლებლობას შექმნის.

როდესაც წამყვან პოლიტიკურ ჯგუფებს შორის მოახლოებული არჩევნების წინ წარმატებული თემატური თანამშრომლობის ნიშნები ჯერაც არ ჩანს (მაგალითად, გაერთიანება საარჩევნო სიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების გარშემო, რომლის გარეშე არჩევნებმა შეიძლება ყოველგვარი აზრი დაკარგოს), საუბარი ძალთა ყოვლისმომცველ გაერთიანებაზე, ალბათ, საფუძველს მოკლებული იქნება. თანაც გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება, რაც უფრო მსხვილი ოპოზიციური გაერთიანება იქმნებოდა ბოლო წლების განმავლობაში, მით უფრო უუნარო ხდებოდა იგი გადაწყვეტილებების მიღებასა და კონკრეტული ქმედებების განხორციელებაში. ეფექტური მენეჯმენტის ნაცვლად, პროცესების მართვის ორგანო ყალიბდებოდა როგორც (მონღოლების თქმის არ იყოს) ერთი „დიდი ხურალი“ და არანაკლებ „დიდი ხურულდანი“, ხმაურიანი და უმწეო სათათბირო, რამაც მოვლენათა განვითარებაზე განმსაზღვრელი გავლენა იქონია.

კარგი წინასაარჩევნო მენეჯმენტის, ეფექტური სტრატეგიის არჩევის პრობლემა ამ გაზაფხულზე, სავარაუდოდ, უფრო მცირე პოლიტიკურ გაერთიანებებსაც ექნებათ; მაგალითად, „ალიანსს“; მასში შემავალი „მემარჯვენეები“, განსაკუთრებით კი „რესპუბლიკელები“, არაერთგზის იწყებდნენ კამპანიას შესანიშნავი სასტარტო პოზიციიდან, ხმაურიანად წარმართავდნენ მას და ბოლოს ისეთი ეპიკური კრახით აგვირგვინებდნენ, რომელიც ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებსაც კი არ დაესიზმრებოდა.

გადაჯგუფება და აურზაური ოპოზიციურ სპექტრში, სავარაუდოდ, მომავალ კვირაშიც გაგრძელდება და მასზე ხანგრძლივი და მტკივნეული საუბარი კიდევ არაერთგზის მოგვიწევს, თუმცა ერთი, თითქოს განზე მდგომი, ფიგურა ამ საერთო ფონზე განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს. დღეს ნინო ბურჯანაძე, თითქოსდა დისტანცირებულია პროცესებისგან, თუმცა საკმაოდ თავდაჯერებული ჩანს, თითქოს ხელთ ხუთი ტუზი ჰქონდეს.

მათთვის, ვისაც ქუჩაში ჯგუფურ ჩხუბში მონაწილეობა მიუღია, ერთი სუფთა ფსიქოლოგიური მომენტი ნაცნობი უნდა იყოს. ვიდრე ხმაურიანი პროლოგი და პირველადი გაწევ-გამოწევა დასრულდება, გონება ავტომატურად აფიქსირებს მოწინააღმდეგეთა რიგებში „ყველაზე ძლიერს“, „ყველაზე სუსტს“, „სხვებზე მეტად შეშინებულს“ და ა.შ. ▶

მოკლედ

უბირე ველარ გაპრეზიდენტდება

კოლუმბიის კონგრესმა საკონსტიტუციო სასამართლოს რეფერენდუმის ჩატარებისა და კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელების წინადადებით მიმართა. ცვლილებების შედეგად ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს — ალვარო უბირეს მესამე ვადით არჩევისათვის საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლება უნდა მიეღო. საკონსტიტუციო სასამართლომ კონგრესს უარით უპასუხა. 2004 წელს კოლუმბიის კონსტიტუციაში ერთხელ უკვე შეიტანეს ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც მაშინ უბირემ მეორე ვადით იყარა კენჭი.

ექსპრემიერს ქონებას ართმევენ

ტაილანდის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტაკსინ ჩინავატას ქონების ნახევარზე მეტი უკანონოდაა მოპოვებული, რის გამოც მას 1,4 მილიარდს ჩამოართმევენ. 2006 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ჩინავატა იძულებული იყო ქვეყნიდან წასულიყო. ამიტომ ორწლიანი პატიმრობა სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა. პასუხად მან უცხოეთიდან მოუწოდა ხალხს, ხელისუფლების შეცვლისათვის ებრძოლათ. ამ ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებების გამო სასამართლომ ჩინავატას დაპატიმრების ორდერი გასცა.



ჰუსეინის ოფიცრები ბრუნდებიან

ერაყის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ჯარში დააბრუნოს და თანამდებობებზე აღადგინოს 20 ათასზე მეტი ოფიცერი, რომლებიც სადამ ჰუსეინის მმართველობისას მსახურობდნენ. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შევა ძალაში. პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მალიკი ამ ნაბიჯით 2010 წლის 7 მარტისათვის დაგეგმილ არჩევნებზე ხმების გარკვეული რაოდენობის მოპოვებას იმედოვნებს. ჯარი და ძალოვანი სტრუქტურები ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისთანავე დაითხოვეს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ფსევდოოპოზიციონერის ლუკმა, ანუ რა ღირს ვარდისფერი სათვალე?

წლის ისტორიული პროცესი შედგა. პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წარსდგა და ისეთი შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა, რომელზეც, რუსთაველი რომ იტყოდა, „სმენად მხეცნიც მოვიდიან“. მხეცებთან მიმართებაში არ დავკონკრეტდებით, აი, სტუმართა ლოჟას რაც შეეხება — კონკრეტულად წარმომადგენლობითი და საპატიო იყო.

ხოლო ინტუიცია მოულოდნელად მიუთითებს, თითქოსდა არაფრით გამორჩეულ, გარეგნულად მშვიდ, დაკვირვებულ ადამიანზე და დაჟინებით გკარნახობს, რომ ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე, რომელიც რაღაც მოულოდნელს ამზადებს, სწორედ ის არის.

ნამდვილად არ ვიცი, რას კარნახობს ინტუიცია მიხეილ სააკაშვილს და უჩხუბია თუ არა ვინმესთან ყმაწვილკაცობაში, თუმცა, თავს უფლებას მივცემ, ვივარაუდო, რომ ნინო ბურჯანაძემ მალე შეიძლება რამდენიმე საინტერესო, ხელისუფლებისთვის მოულოდნელი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგას.

თავისუფლება ანჟელა დეკისს!

სააკაშვილი იდგა ტრიბუნასთან და საუბრობდა მიუკერძოებელ მოსამართლეებზე, დემოკრატიულ აღმშენებლობაზე, უამრავ შესრულებულ დაპირებაზე, დარბაზი კი ტაშს უკრავდა; ჯამში აპლოდისმენტებმა სიტყვა 17-ჯერ შეაწყვეტინა. სხდომას ესწრებოდა ვალერია ნოვოდვორსკაია, რომელიც პირველად ოციოდე წლის წინათ მოსკოვში, პუშკინის მოედანზე ვნახე.

უცნაური დრო იყო, ერთის მხრივ, კომუნისტების ერთპარტიული მმართველობა გრძელდებოდა, მეორეს მხრივ, ვალერია ნოვოდვორსკაია საბჭოთა კავშირის შუაგულში მიტინგებს მართავდა და ხელისუფლებას მიწასთან ასწორებდა. სწორედ მისი ორგანიზაციის — „დემოკრატიული კავშირის“ აქციის მცირე მონაკვეთს და მის შემდგომ დარბევას შევესწარი.

როდესაც მილიციელებმა საკმაოდ უხეშად დაიწყეს ილინიჩნასა და „დემკავშირლების“ შეპყრობა, პერიმეტრის გარეთ მდგომი ხალხი ახმაურდა, გაისმა სტვენა, უკმაყოფილო შეძახილები; მომიტინგეების მიმართ აშკარა სოლიდარობას გამოხატავდნენ. მოედნის პუსლი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიქტორ ცოის სიმღერის „Перемен, мы ждём перемен“ რიტმს მოგაგონებდა. პუშკინის ქანდაკება ყოველივეს ზემოდან ოდნავ გაკვირვებული გადაჰყურებდა.

სახელმწიფო მანქანის მიერ დაჩაგრული სუსტი ადამიანის მიმართ სოლიდარობის გამოხატვა, მიუხედავად იმისა, ლიბერალი იქნება, კომუნისტი თუ ნაციონალისტი, სავსებით ბუნებრივი რამაა. თუმცა 7 ნოემბრის, თბილისში მომხდარი სხვა ბრუტალური დარბევების, შემდეგ ცხადად გამოჩნდა, რომ ზოგიერთი ლიბერალი მეგობარი მზად არის, უსამართლობაზე თვალი დახუჭოს. ალბათ, მათ ცხოვრებაში რაღაც სხვა, მათთვის უფრო მაღალი ღირებულებები არსებობენ. თუმცა აქედან სულაც არ გამომდინარეობს (არადა, ეს განწყობა საზოგადოებაში ბოლო დროს ნამდვილად შეინიშნება), რომ მათ მიმართ ასეთივე გულგრილობა უნდა გამოვავლინოთ. მოკლედ, რა არ მოგაგონდება ადამიანს სააკაშვილის ბენეფისზე დამსწრე ვალერია ნოვოდვორსკაიას შემხედვარეს. მაგალითად, ზემოთ ნახსენები ალექსანდრე პუშკინის „Тьмы низких истин нам дороже, нас возвышающий обман“ და მარინა ცვეტაევას საოცარი მინაწერიც: „Нет низких истин и высоких обманов. Есть только низкие обманы и высокие истины“.

დიმიტრი ბოინიავა

რუსი დისიდენტის ნოვოდვორსკაიასა და საჩვენებელი ოჯახების გარდა, სტუმართა ლოჟა დიპლომატიური კორპუსით იყო შევსებული, რომლისთვისაც მთელი ეს დებატები და მჭევრმეტყველება იყო განკუთვნილი. წლევანდელი საპრეზიდენტო გამოსვლა, ისევე, როგორც გასული საუკუნის მთელი საქართველო, შავთეთრი და მკვეთრად პოლარიზებული იყო, დადგა ჯადოსნური პრეზიდენტი ჯადოსნურ ტრიბუნასთან და გადმოიფრქვა ცისარტყელა. დემოკრატიის შადრევნიდან ასფალტი, ინფრასტრუქტურა და საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელი – ცხვარი და მანდარინი გადმოსჩქეფდა. თვალს თუ დახუჭავდი, ამ დემოკრატიული სამოთხიდან ჩიტების ჭიკჭიკსაც გაიგონებდი... „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ საამო საპრეზიდენტო ზღაპრიდან „უპახმელიოდ“ გამომყვანი ოპოზიცია ბუჩქებში იყო ჩასაფრებული და აყვავებული ქვეყნიდან პირდაპირ მოასფალტებულ „ვარდების მოედანზე“ დაგვანარცხა. განსაკუთრებული სიმკაცრითა და სიუხეშით „ქრისტიან-დემოკრატები“ და მათთან გათანაბრებული პირები გამოირჩეოდნენ.

გიორგი ახვლედიანმა პრეზიდენტს ხომ არშემდგარი უწოდა და სახელმწიფოც ზედ მიაყოლა, „შენს სამოთხის ბაღში ჩიტები რომ ჭიკჭიკებენ, სინამდვილეში მორჩილი, ბრმა და ყრუ ხელქვეითები არიანო“, – ეს ახალი ამბავი ამაყად მოგვახალა. უფრო დამთმობნი და რბილნი არც ქრისტიან-დემოკრატების სხვა წარმომადგენლები ყოფილან. მაგდა ანიკაშვილმა ხელისუფლების ჯიბრზე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი პირადი პასუხისმგებლობით გაზარდა, რის გამოც გოკა გაბაშვილმა პროცენტის გამოყვანის წესებზე ლექცია ჩაუტარა. გიორგი თარგამაძემ კი მორჩილი უმრავლესობისთვის უფრო ადვილად აღსაქმელი პარალელები მოიშველია და პრეზიდენტი „სუპერმენად“, საპრეზიდენტო უმრავლესობა კი „ავატარებად“ გამოაცხადა.

მოკლედ ვიზუალური ეფექტებით გაჯერებული საპარლამენტო ბლოკბასტერი შედგა, პრეზიდენტი გაკიცხეს, გალანძღეს და ოქროს კოშკი დაუნგრიეს, თუმცა საქართველოს პრეზიდენტი და მისი „ავატარები“, ოპოზიციის მიერ თავს დასხმული ლაფისგან ფენიქსივით აღდგნენ და იმდენი შეძლეს, რომ ეს სპექტაკლი ოფიციალურ მაიმუნობად და ცირკად გადააქციეს. პრეზიდენტმა არც ის დაივიწყა, „ვითომ-ვითომ“ თავგასული ქვეშევრდომებისთვის – ოპოზიციის მწარე ხვედრი შეეხსენებინა, — ასეთი გამოსვლები და კრიტიკა პირდაპირ არის დაკავშირებული თქვენთვის ლუკმაპურის შოვნასთანო, თუ საათივით აწყობილი დებატების მიხედვით ვიმსჯელებთ, გიორგი თარგამაძეს უახლოესი ერთი-ორი წლის სამყოფი ლუკმები მაინც აქვს ნაყიდი და გარანტირებული.

პოლიტიკური აიწონა-დაიწონას გარდამტეხ მომენტად ზუსტად გიორგი თარგამაძის პარალელებით აღსავსე გამოსვლა — „ავატარი“ და „სუპერმენი“ იქცა. თუ ვითარებას „მხატვრულად“ შევხედავთ, თარგამაძე აუდიტორიის წინაშე „სპაიდერმენის“ როლში წარდგა, თუმცა მის მიერ გაბმული ქსელების ჩასაჭრელად, „ავატარებს“ მაკრატელი ჯიბეში კარგა ხნით ადრე ედოთ.

საფინალო აკორდი, რა თქმა უნდა, სუპერმენად წოდებულმა მიხეილმა დასვა და ალეგორიული აზროვნების კიდევ ერთი ნიმუში შემოგვთავაზა – ოპოზიციას სათვალეების გაწმენდისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ ვარდისფერი არა, მაგრამ მთლად ასეთი შავბნელი სათვალეებიც ნუ გიკეთიათო. ისინი კი, ვისაც სათვალეების „გადაგდება“ არ შეუძლია, მამაშვილურად დაარიგა, პერიოდულად გაწმინდეთ და სუფთა სათვალეებიდან მაინც შემოხედეთ ჩემ მიერ დემოკრატიის წალკოტად ქცეულ ქვეყანასო.

დაზუსტებით ვერავინ იტყვის, გაწმენდილი სათვალით როგორ მოჩანს სააკაშვილის დეკორაციული ქვეყანა ან რა განსხვავებაა სათვალით და უსათვალოდ დანახულს შორის, ერთი რამ კი დაზუსტებით შეიძლება ითქვას — სათვალეების ბიზნესს საქართველოში შსს კურირებს და სასამართლოსთვის რიგითი მოქალაქეებისა თუ დიპლომატიური კორპუსისთვის ვარდისფერი ან ხუთჯვრიანი სათვალეები სულ საბითუმო ფასში ჩამოაქვს. თუმცა, როგორც კომპეტენტური პირები ამბობენ, სათვალე რა შუაშია, მთავარია, გაგება იყოსო.

საქართველო არ ვიცი, მაგრამ ხელისუფალსა და მის „ავატარებს“ ფხიზლად და შეუიარაღებელი თვალით ჩვენმა მტერმა უყურა. დიპკორპუსმა, მაგალითად, რამდენიმე საათითაც ვერ გაუძლო პრეზიდენტის საპარლამენტო სპექტაკლს და სტუმართა ლოჟიდან სულ სათითაოდ გაიკრიფა. არადა, საყოველთაო აღიარებით, პრეზიდენტის გამოსვლაც და დებატებიც ცალსახად მათთვის იყო განკუთვნილი.

ფანტასმაგორიულ „ავატარებს“ ნამდვილი რა აქვთ, რომ დებატები ჰქონოდათ? მაგალითად, ლეიბორისტ გიორგი გუგავას შეფასებით, მთელი ეს დებატები, ოპოზიციისა და პრეზიდენტის გამოსვლა, ხელისუფლების დადგმული სპექტაკლი იყო, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა — უნდა შექმნილიყო დემოკრატიის ილუზია, რომ შეურიგებელი ოპოზიცია ხელისუფლებასა და პრეზიდენტს ებრძვის, მთლად არგუმენტირებულად ვერა, მაგრამ სამაგიეროდ მკვეთრი და რადიკალური ფრაზებით პრეზიდენტი ამას დიდსულოვნად იტანს და ითმენს იმიტომ, რომ დემოკრატიის ფუძემდებელია; ამიტომ თავის საპასუხო გამოსვლაში ზომიერად, დელიკატურად და იუმორით ცდილობს საპირისპიროს დამტკიცებას, რომ ოპოზიცია ესოდენ რადიკალური და დაუნდობელი ქუჩაში – მიტინგებზე კი არა, პარლამენტში დებატებზეა. მაშასადამე, რომ ამბობენ, პარლამენტი ერთპარტიულია და ე. წ. ოპოზიცია სინამდვილეში სახელისუფლო პარტიის განშტოებაო, სიცრუეა.

მერე რა, თუ საქართველოში ამ ვარდისფერ ტყუილებს აღარავინ „ჭამს“?! – ეს პროდუქტი შიდამოხმარებისთვის არც ყოფილა განკუთვნილი. მთავარია, დიპლომატიურმა კორპუსმა დაიჯეროს ქართული დემოკრატიის „აუტანელი სიმსუბუქე“, პარლამენტში მყოფ დიპლომატებს რაღაც არ ეტყობოდათ, რომ სააკაშვილის დემოკრატიულობა ირწმუნეს, სამაგიეროდ, ძნელია, არ ირწმუნო და არ დაიფასო „ავატარების“ მონდომება — ასიამოვნონ მთავარ სუპერმენს. კულუარული ინფორმაციით, ამჯერად ისე მოინდომეს კარგი სპექტაკლის დადგმა, რომ მონდომებაც აღარ ჰქვია, — პირდაპირ თავი გაიგიჟეს.

კულუარული ინფორმაციით, დებატებამდე კარგა ხნით ადრე „ქრისტიან დემოკრატებმა“ მმართველებისგან საშინაო დავალება მიიღეს, უნდა დაემუშავებინათ თავისუფალი თემა — „როგორ უნდა მოიქცე, თუ ადგილობრივ არჩევნებში მოგება გინდა?“ თემის დაწერა ნიჭიერ ოპოზიციონერებს არ გასჭირვებიათ. არსებული ინფორმაციით, ის გულანთებული კრიტიკა, „არშემდგარი პრეზიდენტისა და სახელმწიფოს“ ჩათვლით, პარლამენტის ვიცე სპიკერის, მიხეილ მაჭავარიანის კაბინეტში დაიხვეწა; საშინაო დავალებად მიცემული თემები დებატებში გამოცდილ ნოდარ გრიგალაშვილს ჩასასწორებლად ჩაუბარებია, თუმცა საქართველოში არსებული ყოველმხრივი კრიზისი უფრო მაღალი დონის პროფესიონალებს მოითხოვს; მაგალითად, ისეთებს, სააკაშვილის მიერ რამდენიმე მილიონად ნაქირავები პიარშიკები რომ არიან. „ქრისტიან-დემოკრატების“ სასახელოდ ამბობენ, რომ „ოპოზიციური რეჩის“ ფაბულა და მონახაზი ნამდვილად მათი დაწერილი იყო.

პეტრე ცისკარიშვილს რაც შეეხება, სანდო წყაროს ცნობით, მისი სიტყვა თავიდან ბოლომდე „პიარშიკებმა“ შექმნეს; ცისკარიშვილს კი თურმე ერთადერთი რამ ევალებოდა — უშეცდომოდ და გამოთქმით წაეკითხა ტექსტი, გარითმული „ავატარი – ავად არი“ შესაბამისი ინტონაციით წაეკითხა და, რაც მთავარია, ინტერპრეტაციისთვის არ მიემართა. ინტერპრეტაციას პეტრე ცისკარიშვილი ვერც გაბედავდა, მას ხომ (რომლის ინტელექტის კოეფიციენტზეც პარლამენტში ცუდი ხმები დადის) დებატებში გამობრძმედილი ლიდერი გიორგი თარგამაძე უნდა დაემარცხებინა. ამ ვერსიას თუ დავუჯერებთ, ნათელი გახდება საათივით აწყობილი დებატების საიდუმლო, სადაც მთავარი როლი „ავატარმა“ და არარსებულმა სათვალეებმა შეასრულა.

რაც შეეხება გოკა გაბაშვილს, ჩვენი ინფორმატორის ცნობით, მისთვის ტექსტი არ დაუწერიათ; მას, უბრალოდ, ოპოზიციის პარტია მოასმენინეს და უთხრეს, — აბა, შენ იცი, როგორ გამოიჩენ თავსო. მართალია, მისმა გამოსვლამაც გარკვეული კორექტივები და ტესტირება გაიარა, მაგრამ, აბა, როგორ! პარლამენტის მთავარი ორატორის სტატუსს ხომ უნდა გამართლება.

„ქრისტიან- დემოკრატიული“ პარტიის ერთ-ერთი სახე, ნიკა ღალიაშვილი, რა თქმა უნდა, უარყოფს ამ ხმებს და აცხადებს, – რა სისულელეა, ტექსტიც ჩვენ დავწერეთ და არც არავისთან შეგვითანხმებიაო.

— ბატონო ნიკა, მართლა მიხეილ მაჭავარიანის კაბინეტში განიხილეთ დებატების დროს რაც უნდა გეთქვათ?

— მიხეილ მაჭავარიანის არა, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში.

— ეს იმ პრინციპით, რომ ვანო მერაბიშვილს ყველა კაბინეტი თავისი ჰგონია?

— კარგით რა, რა სისულელეა...

— ისე, მხოლოდ ამ ვერსიას შეუძლია თქვენი ლიდერის ავტორიტეტის გადარჩენა.

— ჩვენს ლიდერს რა სჭირს გადასარჩენი?

— გიორგი თარგამაძეს პეტრე ცისკარიშვილმა რომ მოუგო დებატებში, გადასარჩენი ყოფილა, აბა, რა.

— მოუგო მერე? ვერაფერიც ვერ მოუგო.

— მოუგო, თან ისეთი აწყობილი დებატები გქონდათ, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მაშინვე დაასკვნა – ოპოზიციის გამოსვლა უმრავლესობასთან იყო შეთანხმებულიო.

— არაფერი არ ყოფილა შეთანხმებული.

ანალოგიური პოზიცია აქვთ უმრავლესობის წარმომადგენლებსაც, მიხეილ მაჭავარიანისთვის და გოკა გაბაშვილისთვისაც დებატების დადგმის ვერსია „რა სისულელეაო“, თუმცა გასაკვირი იქნებოდა, პირიქით რომ ეთქვათ.

პარლამენტის კულუარებში კი არ ისვენებენ და იმასაც ამბობენ, რეჟისურა, შესრულება, დეკორაცია და ყველაფერი იმდენად მაღალ დონეზე იყო, რომ ნამდვილისგან არაფრით განსხვავდებოდა მარიკა ვერულაშვილის დამაჯერებელი აღშფოთება და აღმასრულებელი ხელისუფლების ცინიკურ-დაბოღმილი სახეებიო.

მოკლედ, თუ მართლაც სათვალეები არ გიკეთია და თავის მოტყუებისკენ ავადმყოფური მიდრეკილება არ გაქვს, სიმართლის დანახვა მარტივია. მანამდე კი ჰოლივუდი ახალ ბლოკბასტერს „X ადამიანები – 6“-ს იღებს, რომლის მუტანტი გმირების პროტოტიპებიც ჩვენი თანამემამულე პოლიტიკოსები იქნებიან.

ნინო ბერიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

საავტორო სვეტი

მათი უკანასკნელი გაზაფხული

მას, ვისაც სურს, გამოიცნოს, რით დასრულდება გაზაფხულის პოლიტიკური კრიზისი, მოკრძალებულად ვურჩევ, მოვლენები უშუალო მონაწილის თვალით წარმოიდგინოს. ეს კარგად მუშაობს როგორც წარსულის, ისე მომავლის მოვლენებთან მიმართებაში. დაახლოებით, ასე — ამონარიდები მმართველი პარტიის მსხვილი ფუნქციონერის დღიურიდან:

17 აპრილი. ისინი მოდიან. ეს სარდაფი ჩვენი ბოლო თავშესაფარია. კოკაინი გათავდა. სიგარეტი ჯერ კიდევ არის. გამჭვარტლულ ჰაერში წარსულის აჩრდილები დაეხეტებიან. შორეულ კუთხეში თითქოსდა მოჩანს მოხუცი პრეზიდენტის ჭაღარა თავი; იმ დღეს, როდესაც იგი იძულებული გახდა, ხელისუფლება ჩვენთვის გადმოეცა, ჩვენი რევოლუცია გამარჯვებით დაგვირგვინდა. უფრო ახლოს კი სხვა სცენაა: ახალ ავტობანს ვხსნით; არ მახსოვს სად, ვინ დათვლის, რამდენი გზა დავაგეთ ამ უმადურ ქვეყანაში, რომელიც ჩვენი ჩანაფიქრის სიდიადეს ვერ ჩასწვდა. ჩასარეცხები! თუმცა დრო ცოტაა და მათზე ფიქრი ახლა არ ღირს, მითუმეტეს, რომ გზების დაგების სცენას სხვა კიდევ უფრო ნათელი მოგონება ენაცვლება — ჩვენი პატრიოტი ახალგაზრდები საზაფხულო ბანაკებში მიემართებიან; ისინი მღერიან, ბუჩქებიდან ამომავალნი, ხოლო მათი თვალები ბრწყინავენ.

19 აპრილი. სარდაფში ბნელა. იმ ადამიანების სულები, რომლებმაც გაგვყიდეს, კიდევ უფრო ბნელია. ჩმორები! მაინც ვერ დაგვაჩოქებენ...

20 აპრილი. სპირტიც გათავდა, თუმცა ეგ არაფერი. ჩვენ დავამარცხეთ უმუშევრობა, შევქმენით მილიონი და კიდე უფრო მეტი სამუშაო ადგილი. დავძლიეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი; თანაც არაერთგზის.

23 აპრილი. თაგვმა მიკბინა, მაგრამ ვერ დამაჩოქა. დამარცხებულ, ღირსებააყრილ ქვეყანაში ჩვენ ეფექტური სახელმწიფოს შექმნა მოვახერხეთ. მოვსპეთ კორუფცია, შევქმენით ახალი ტიპის პოლიცია, ეს, რა თქმა უნდა, ბევრს არ მოსწონდა. ავტობუსში ბილეთების შეძენა არ უნდოდათ. ფარჩაკები!

25 აპრილი. კარტოფილი გათავდა. ჩვენი ლიდერი უყვარდა ხალხს, მართლა უყვარდა, მართლა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი გამოსვლა სპორტის სასახლეში, მისი ამაყი პროფილი აღტაცებული სახეებისა და ზღვა დროშების ფონზე. დარია თუ ავდარია, ხან გვიჭირს... ღამე ვჩურჩულებდი და ვტიროდი.

26 აპრილი. ისინი გვეძებენ, მაგრამ ჩვენ არ ჩამოვიშლებით!

28 აპრილი. პირველად ისტორიაში ჩვენ შევქმენით წარსულის ტვირთისგან თავისუფალი ახალი ადამიანი. მთელი მსოფლიო გაკვირვებული შეჰყურებდა მას. ამაში დიდი როლი განათლების სისტემაში პატრიოტული აღზრდის დამკვიდრებამ შეასრულა.

29 აპრილი. ეკლესია ერთადერთი ოპონენტი იყო, რომელიც ვერ გავტეხეთ. უბრალოდ, დრო არ გვეყო, თუმცა ჩვენ გავაფარჩაკეთ გაყიდული ოპოზიცია და წითელი ინტელიგენციაც ზედ მივაფარჩაკეთ.

30 აპრილი. სიგარეტი გათავდა, პურიც. მთელი დღე ვფიქრობდი იმაზე, თუ რატომ ვძულდით ასე ამ პატარა, ჩასარეცხ ადამიანებს. კი, სისხლიც და ცრემლიც დავაღვრევინეთ, თუმცა ეს მათივე ბედნიერებისთვის გადასახდელი აუცილებელი საფასური იყო. თუ არა? ნუთუ არა?

1 მაისი. მოსკოვში, ალბათ, ზეიმობენ.

3 მაისი. ისინი გვიახლოვდებიან. ჩვენი თავშესაფარი სათაგურად იქცა.

5 მაისი. ჩვენი პროპაგანდა მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა, იმიტომ, რომ რეალობას ასახავდა. შესაბამისად, ომი ჩვენ მოვიგეთ.

6 მაისი. საბედისწერო ჟამი ახლოვდება. მას ჰალსტუხი არ დაუღეჭავს.

7 მაისი. ისინი გვეძებენ.

8 მაისი. ისინი ჯერ კიდევ გვეძებენ.

9 მაისი. მათ გვიპოვეს.

30 მაისი. ამიერიდან სხვა პატიმრებისგან ცალკე, უფრო კომფორტულად ვიცხოვრებ. ზედამხედველის თანაშემწედ დამნიშნეს და ორმაგი ულუფა მომცეს.

P.S. ავტორი, თავისი ჭკუით, 65 წლისწინანდელ ბერლინს აღწერდა. თუ ვინმემ წარმოიდგინა სხვა, უფრო ნაცნობი ქალაქი, თანაც არა წარსულში, არამედ უახლოეს მომავალში და სარდაფში მისთვის უფრო აქტუალური, ოპოზიციონერების მიერ ალყაშემორტყმული პერსონაჟები დაამწყვდია, ავტორის ბრალი ნამდვილად არ არის.

დიმიტრი მონიავა

მისტრალნაღებულნი...

პარიზში მზიანი და მშვიდი ამინდია. რუსეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოთა მეთაურები ერთმანეთს თბილად ხვდებიან. ბუნებრივიცაა, — ეს არ არის მათი პირველი შეხვედრა. თანაც, როგორც დიდ და საკუთარი თავის პატივისმცემელ ქვეყნებს ეკადრებათ, ოფიციალური ვიზიტის დაწყებამდე საგარეო უწყებებს ყველა საკითხი შეთანხმებული აქვთ. ახლა პრეზიდენტებმა უნდა შეაჯამონ რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგები და შეთანხმებები საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანონ.

საბოლოო შეთანხმებამდე პრეზიდენტები კიდევ ერთხელ შეაჯერებენ პოზიციებს და გადაწყვეტილებებსაც თავიანთი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით მიიღებენ — ურთიერთსასარგებლოს და ხელსაყრელს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ რუსეთს ნდობა გამოუცხადა, საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად.

„როგორ შეიძლება, რუსეთს ვუთხრათ, რომ მშვიდობის დასაცავად, მსოფლიოში კრიტიკული სიტუაციების მოსაგვარებლად მისი მხარდაჭერა გვჭირდება, მაგრამ ამავე დროს არ ვენდობით?!“ — განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვის საკითხზე მოლაპარაკებების მიმდინარეობის კომენტირებისას და იქვე დასძინა, რომ **„საფრანგეთი რუსეთისთვის „მისტრალს“ სამხედრო აღჭურვილობის გარეშე შექმნის“.**

თავის მხრივ, დიმიტრი მედვედევმაც ისაუბრა **„რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებულ ნდობაზე“.**

„მისტრალის“ საკითხი, რომელმაც ფართო რეზონანსი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ორ ქვეყანას შორის ნდობის სიმბოლოა, მეორე მხრივ კი — შესაძლებლობა რუსეთისთვის, მიიღოს ობიექტები, რომლებიც დღეს არ აქვს და რომელთა შექმნაც სხვა ქვეყნებთან კოოპერაციით სურს“, — დიმიტრი მედვედევის ამ სიტყვების შემდეგ ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთი საფრანგეთისგან ერთ „მისტრალს“ კი არა, „ობიექტებს“ მიიღებდა.

ასეც არის — მოსკოვმა და პარიზმა ოთხი ვერტმფრენმზიდის — „მისტრალის“ თაობაზე ექსკლუზიური მოლაპარაკებები ოფიციალურად დაიწყეს.

ნდობის სიმბოლო — „მისტრალი“ მალე რუსეთის შეიარაღებულ ძალებს მოემსახურება და რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს განამტკიცებს.

რაც შეეხება სამხედრო აღჭურვილობას, რუსეთი თვითონ არის იარაღის ექსპორტიორი ქვეყანა და ფრანგული ვერტმფრენები არაფერში სჭირდება.

ბუნებრივია, რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების შეხვედრა ერთი (თუმცა ფრიად რეზონანსული და მნიშვნელოვანი) საკითხით არ ამოიწურებოდა. ამ შეხვედრის შემდეგ ისიც გაცხადდა, რომ რუსეთი ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შესახებ საკუთარ წინადადებას გადახედავს.

„მთავარია, უსაფრთხოების საკითხების განსახილველად ადეკვატური შესაძლებლობა მივიღოთ, ხოლო ის, რომ ასეთი საკითხები ევროპაში არსებობს, ყველასთვის ნათელია. საკმარისია, შევხედოთ იმ პრობლემებს, რომლებიც იუგოსლავიის დაშლის შემდეგ შეიქმნა, ან — კავკასიის 2008 წლის კრიზისს. ამავე დროს, ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შესახებ საკუთარ წინადადებას დოგმად არ მივიჩნევთ და მისი მოდერნიზებისთვის მზად ვართ“, — განაცხადა დიმიტრი მედვედევმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ასევე გამოთქვა მზადყოფნა უკიდურეს შემთხვევაში ირანის წინააღმდეგ სანქციების საკითხის განხილვისთვის: **„ჩვენ ოპტიმისტები ვართ და იმედი გვაქვს, რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია. თუ ეს არ გამოვა, რუსეთი მაინც მზად არის, სხვა პარტნიორებთან ერთად ირანის წინააღმდეგ სანქციების საკითხი განიხილოს“;** ოღონდ იმ პირობით, რომ ეს სანქციები ქვეყანას ჰუმანიტარულ პრობლემებს არ შეუქმნის.

ამ განცხადებების შემდეგ ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ელისეის სასახლეში არა მხოლოდ შეიარაღების, არამედ 2008 წელს საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და ევროპის უსაფრთხოების გეგმის მნიშვნელობაზეც ისაუბრეს. შემთხვევით არ იყო, რომ დიმიტრი მედვედევმა აგვისტოს კრიზისის მოგვარებაში ნიკოლა სარკოზის დამსახურებას გაუსვა ხაზი, რადგან **„ევროპის უსაფრთხოების პრობლემატურობა კავკასიის 2008 წლის კრიზისმა კიდევ ერთხელ აჩვენა“.**

ეს კრიზისი, რომლის პროვოცირებასაც საქართველოს ხელისუფლების მილიტარისტულმა რიტორიკამ და თავდაჯერებულობამ, ასევე, ჩვენი ქვეყნის „მეგობრების“ წაქეზებამაც შეუწყო ხელი, ძალიან ძვირი დაუჯდა საქართველოს. ამას ადასტურებდა პრეზიდენტ სარკოზის არაერთი ვიზიტი ჟამიანობისას მომლხენ თბილისშიც. ევროკავშირის მაშინდელი პრეზიდენტის ძალისხმევამ გარკვეული შედეგი გამოიღო, თუმცა ფაქტია, რომ საქართველომ ისტორიული მიწები დაკარგა. პრეზიდენტი სარკოზი მაშინაც ევროპის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და ახლაც, პრეზიდენტ მედვედევის საფრანგეთში ვიზიტისას, როცა კავკასიის კრიზისზე საუბრობდა, უპირველესად, ევროპის უსაფრთხოება აღელვებდა.

ამიტომაც, **თუკი რუსეთი საფრანგეთისგან ოთხ „მისტრალს“ მიიღებს, თავის მხრივ, არც საფრანგეთი დარჩება წაგებული — ფრანგულმა მხარემ რუსეთს ერთი მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების 14 ერთეული რაკეტმზიდი „სოიუზი“ შეუკვეთა.**

„მისტრალის“ ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე „სოიუზის“ ამბავი ჯერ არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი, მაგრამ ამ შეთანხმებებით უკვე ცხადია, რომ სამხედრო ექსპერტების ყურადღების ცენტრში ეს ფაქტიც უთუოდ მოექცევა.

საფრანგეთი ერთობ პრაგმატულად უდგება სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას. აი, საქართველო კი, სამწუხაროდ, კვლავაც თემურ იაკობაშვილის დონეზეა.

იაკობაშვილის თქმით, რუსეთსა და საფრანგეთს შორის „მისტრალის“ გაყიდვასთან დაკავშირებულ პროცესებზე საქართველოს გავლენის მოხდენა არ შეუძლია. **რეინტეგრაციის მინისტრმა ეს ისეთი სახით განაცხადა, თითქოს არსებობდეს მსოფლიოში რაიმე საკითხი ანდა პროცესი, რომელზეც საქართველო გავლენას მოახდენს. თურმე „საქართველო ვერ შეეჯიბრება რუსეთს ვერც „მისტრალის“ ტიპისა და ვერც სხვა შეიარაღების შესყიდვაში“.**

ამასთან, იაკობაშვილი იმის უფლებასაც „იტოვებს“, რომ **„თავდაცვითი იარაღი შევიძინოთ“.**

კი, რა თქმა უნდა, შევიძენთ, თუკი ეს უფლება მოგვცეს და მით უმეტეს — მოგვყიდეს.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არ მოიძებნა ერთი გონიერი ადამიანი, რომელიც მსოფლიოში თუ არა, კავკასიაში მიმდინარე პროცესებს მაინც ადეკვატურად აღიქვამდა. ისეთი რა იარაღი უნდა შეიძინოს საქართველომ „თუნდაც საფრანგეთის მხრიდან“, რომ რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოს?

როდესაც ვხედავთ, როგორ ხვდებიან ერთმანეთს რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტები და ვისმენთ მათ განცხადებებს, როდესაც ნათელია, რომ ორივე ქვეყნისთვის უპირველესია საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რატომ გვგონია, რომ ოდესმე მაინც საქართველო ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუკი სახელმწიფოებრივად აზროვნებას ვერ ვისწავლით და თავის მოტყუებას გავაგრძელებთ?

თურმე **„ოდესღაც „სარკოამერიკელად“ წოდებული საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი „პრო-რუსული“ ფიგურა ხდება“.** ეს კომენტარი ექსპერტმა სოსო ცინცაძემ გაკეთა, რომლისთვისაც **„მოსალოდნელი და არახალი“** ყოფილა პრეზიდენტ სარკოზის მიერ პრეზიდენტ მედვედევისთვის ნდობის გამოცხადება. მას საფრანგეთის პრეზიდენტი **„ილუზიის ტყვეობაში“** ჰგონია, რომელშიც თურმე 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენებით მოექცა. ექსპერტ-პოლიტოლოგის აზრით, **„საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ ფრანგული მხარის დამოკიდებულებასაც გარკვეულწილად ნიკოლა სარკოზსა და რუსეთს შორის არსებული ლოიალური დამოკიდებულება განსაზღვრავს“.**

„გარკვეულწილად“, უნდა დავეთანხმოთ ბატონ სოსო ცინცაძეს, მხოლოდ **„გარკვეულწილად“.** მაგრამ **დიდწილად სხვა რამ განსაზღვრავს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ არამარტო საფრანგეთის, არამედ სხვა ქვეყნების დამოკიდებულებასაც — ეს არის დამბლადაცემული ეკონომიკა, დამონებული სასამართლო, ხელისუფლების არაადეკვატურობა და, რაც მთავარია, იმის კარგად ცოდნა, რომ საქართველოში არჩევნების გზით არაფრის შეცვლა არ შეიძლება, ანუ ეს ქვეყანა არადემოკრატიული და, კიდევ უფრო უარესი, არაპროგნოზირებადია.**

თუ ჩემი არ გჯერათ, პრეზიდენტ სააკაშვილს ჰკითხეთ, რომელიც 1995 წლის შემდეგ ყველა დონის არჩევნებში მონაწილეობდა, სამჯერ დეპუტატად აირჩიეს და ორჯერ — პრეზიდენტად, და ახლა ჰქონია ერთადერთი ოცნება — ჩატარდეს სამართლიანი და ობიექტური არჩევნები.

ეს ჩვენც კარგად ვიცით და ევროპელების შეხსენება არ გვჭირდება. ამიტომ დავუბრუნდეთ ელისეის სასახლეს, სადაც კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღეს და რომლის შესახებაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარდ კუშნერმა აცნობა საზოგადოებას. იგი მზად არის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში შემუშავებულ სახელმწიფო სტრატეგიასთან დაკავშირებით კონფერენციას უმასპინძლოს.

მოკლედ, ევროპა მზად არის, საქართველოს პრობლემებისადმი ყურადღება არ მოადუნოს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ევროპულ სახელმწიფოებს, უპირველესად, თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ და რუსეთთან ურთიერთობასაც ამ ინტერესების გათვალისწინებით აგვარებენ.

ამ შემთხვევაში „მისტრალი“ და „სოიუზი“ იყო მოლაპარაკებების საგანი, სხვა დროს სხვაგან და სხვა საკითხებზე იმსჯელებენ და მოილაპარაკებენ.

ჩვენ კი კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ **საქართველოს „მისტრალი“ — ჩრდილოდასავლეთის ცივი ქარი კი არ ემუქრება, არამედ ის ქარი უქმნის საფრთხეს, რომელიც ჩვენი ხელისუფლების პირველი პირების თავში ქრის.**

ჰოდა, ურჩევნიათ, ცოტა დაუწიონ უაპელაციო კრიტიკისა და ლანძღვა-გინების პატრუქს, თორემ ამ ქარმა, გამორიცხული არ არის, ქარიშხალი გამოიწვიოს, მისტრალწაღებულთა ურვა-გოდებას კი ისევ საფრანგეთი თუ გამოუჩნდება შემწედ — ლევილის ქართული მამული მისახედია.

ბონდო მჟინარაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მოსკოვს ცრემლების არ სჯერა, ლევან!

„ვარდების რევოლუცია“, საქართველოს დაქცევის ერთ-ერთი მიზეზი, ისტორიული ფაქტია, რომლის გამეორების მცდელობაც ორჯერ ვნახეთ — ერთხელ ტრაგედიის, მეორედ კი ფარსის სახით.

ტრაგიკული იყო 2008 წლის იანვარში ასი ათასობით საქართველოს მოქალაქის ორგზის სახლებში გაშვება, რომლებიც ჭექა-ქუხილისთვისაც მზად იყვნენ, რითიც დღეს ურცხვად იმუქრებიან ძმები გრეჩიხები და უფრო მეტისთვისაც. ხოლო ფარსი აღმოჩნდა ის, რაც შარშან 9 აპრილს დაიწყო და 100 დღის შემდეგ ასევე სამარცხვინოდ დასრულდა.

შარშანაც მინიმუმ ორჯერ იყო შეკრებილი ხალხის ის კრიტიკული ნაწილი, რომელიც მზად იყო ნაცების მმართველობის კოშმარის ერთი დარტყმით დამთავრებისთვის, მაგრამ ჯო ბაიდენის ჩამოსვლამდე განელეს პროცესი და მერე უპატაკეს — ნახეთ, რა ცივილიზებული ხალხი ვართ, ერთი ფოთოლი არ ჩამოვარდნილა ხიდანო.

რომ გვეგონა, ძმები გრეჩიხების თემა დამთავრებული იყო ქართულ პოლიტიკაში, კვლავ თავი წამოყვეს — ერთი ჭექა-ქუხილს გვპირდება და მეორე ცრემლებით გვაცოდებს თავს, რატომ დამაქაქე თავზე ნახევარო თბილისო.

რასთან გვაქვს საქმე? ისტორიის განმეორების მესამე ვარიანტს, რასაც მაისისთვის გვპირდებიან ძმები, ჯერ სახელიც არ ჰქვია და შეევცდები, „ნათლიობა“ გავუწიო.

აბსურდი — სხვას ვერაფერს ვუწოდებ იმას, თუ ქართველი ხალხი მესამედაც „თოხლავს“ და ერთი გრეჩიხას ჭექა-ქუხილს ან მეორის ცრემლებისას დაიჯერებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, უმცროს გრეჩოსაც ეხერხება ცრემლების ღვარღვარი თუ არა, თვალების აწყლიანება მაინც, როგორც არა ერთხელ გვინახავს **საკან-შოუს** დასაწყისში და მერეც. რაც შეეხება მეხთატეხას, ეს ძმები მიშას მეხამრიდებად უფრო ივარგებენ, ვიდრე მის თავზე მეხის დამცემებად.

თუკი იყო რაიმე მსგავსი ჭექა-ქუხილისა, მხოლოდ ისეთი, შემოდგომის მიწურულს რომ იცის, ანუ უნაყოფო, რადგანაც ზამთრის პირის ჭექა-ქუხილს არასოდეს მოსდევს შხაპუნა წვიმა — ბუნების კანონია ასეთი. თუმცა ჩვენ ხომ პოლიტიკურ გრგვინვაზე ვსაუბრობთ, რომელსაც თავსხმა წვიმა წელიწადის დროების მიუხედავად შეუძლია გამოიწვიოს, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგებოდა, ხან ერთი გრეჩიხა გაქანდებოდა მიშასთან და ხან — მეორე, რის შემდეგაც ქართველ ხალხს მხოლოდ გაწბილების ცივი შხაპი ასველებდა ხოლმე, რის შემდეგაც „ჰუმანისტური“ პოზიციებიდან გვამუნათებდნენ, თავს გვაყვედრიდნენ — თქვენი სისხლი არ დავღვარეთო!

სისხლი და ცრემლი ვის უნდა, მაგრამ, იქნებ, ვინმემ დამისახელოს მაგალითი იმისა, რომ დიქტატორული რეჟიმი სადმე არჩევნების გზით შეეცვალოთ? ან არჩევნების გაყალბების შემდეგ რომ იმუქრებიან ჭექა-ქუხილით, ხალხის ქუჩაში გამოსვლის შემთხვევაში მიშას ნამუსი შეაწუხებს და გადადგება თუ ისევ გაწბილების ცივი შხაპით გვიპირებენ გაგრილებას?

გახსოვთ, ალბათ, შავნაბადაზე ლევან გაჩეჩილაძის ბოლო ვიზიტის შემდეგ, საკანში ძმასთან მიბრუნებულმა რომ განაცხადა — ვერაფერი გავიგე მიშასგან, რა უნდა, აზრი ვერ გამოვიტანეო. აზრისა არ ვიცი, მაგრამ მთლად ხელცარიელი რომ არ გამოსულა, ესეც ცხადია.

როგორც ჩანს, მიშამ ცრემლების ღვრის ოსტატობის საიდუმლო გაუმხილა და „გამოატანა“, მაგრამ მიშამ თუ წყალტუბოში გლიცერინის ცრემლები ღვარა, „ალალოდ“ მონათლულმა (გოგა ხაინდრავას მტკიცებით) დედას ლევანამ, ჭადრაკის სასახლეში ყოველგვარი ხელოვნური ინგრედიენტების დაუხმარებლად გაიჩინა ხმაში ბზარი და თვალებში ცრემლები.

მოდი და ნუ იტყვი, რომ „ის ურჩევნია მამულსა“, ოღონდ ამ შემთხვევაში, შეგირდი სჯობდეს ოსტატსა, ტყუილი ანდაზაა; ანდა ერთი ქართული ლექსის პერიფრაზი რომ უხდება ამ ამბავს — თბილისში ტირის დედას ლევანა და წყალტუბოში — სააკაშვილი!

ერთი სიტყვით ალიანსის ცნობილ ფორმულას თუ წინამდებარე წერილის მიმართებით გამოვიყენებთ, გამოვა — ყველას მინუს ორი, რაც ნიშნავს ოპოზიციას მინუს ძმები გრეჩიხები. თუმცა არც აქედან, მგონია, რაიმე გამოვიდეს, მაგრამ მაინც.

არ შემიძლია არ დავეთანხმო გია იაკობაშვილს, რომელმაც „ბარიერში“ განაცხადა, გაუგებარია, რატომ აძლევს ოპოზიციაში ხელმოცარული, კომპრომიტირებული ხალხი თავს ლიდერობის უფლებას? თუმცა ეს კითხვა იმდენად რიტორიკულია, იმდენად ცხადი პასუხი აქვს, რომ ვინანე მისი დასმა.

ხელისუფლებისა არ იყოს, ოპოზიციის ლიდერის სავარძელიც თბილია და მასთან შელევაც ძნელია. იმიტომ ტრიალებს კარუსელი ე. წ. ცნობადი სახეების ირგვლივ, რომ ყოველნაირად ბლოკავენ ახალი სახეების წარმოჩენას და ეს არა მხოლოდ ამ წერილის გმირებზე ითქმის; უფრო მეტიც, მათზე — ყველაზე ნაკლებად, რადგან მათი მატარებელი, დიდი ხანია, წავიდა და გაქანებულ მატარებელზე შეხტომის მცდელობა, რასაც „ალალოს“ მხრიდან ჭადრაკის სასახლეში ჰქონდა ადგილი, შეიძლება კისრის მოტეხვით დასრულდეს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ძმებს არავინ უკრძალავს პოლიტიკაში ყოფნას. უფრო მეტიც, საჭირონიც კი არიან (ოღონდ არა ლიდერების სტატუსით), რადგანაც რეჟიმთან ბრძოლაში, ნოღაიდელი იქნება თუ ძმები გრეჩიხები, ყველა რესურსი გამოდგება!

ეჰ, რას იზამთ, ჩემო გრეჩიხებო! თქვენი ჭექა-ქუხილისა და მით უმეტეს, ცრემლების მოსკოვს ხომ არ სჯერა, თბილისსაც აღარ სჯერა და, ნახევარი იქით იყოს, მთელი თბილისის დასაქაქებლად არ გაიხადოთ თავები!

დავით მხეიძე

მოკლედ

ნატოს ნარკომოვაჭრე პარტნიორები

ავღანეთში ნატოს ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ გერმანული კომპანია „Ecolog“-ი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე „ISAF“-ის კონტინგენტს ემსახურება — ნარკოტიკების კონტრაბანდა-გაყიდვითაა დაკავებული. აღნიშნული კომპანია 2003 წლიდან ამ დრომდე ქაბულში ნატოს დაწესებულებების დასუფთავებასა და სამხედროების თეთრეულის რეცხვას უზრუნველყოფდა. „Ecolog“-ის ხელმძღვანელის — ტომას ვაშოვიჩის ოჯახის წევრები მსგავს ქმედებაში ადრეც იყვნენ ეჭვმიტანილნი, მაგრამ მაშინ ამ საქმით სერიოზულად არავინ დაინტერესებულა.

გერმანელები კონტინგენტს ზრდიან

გერმანული ბუნდესტაგის დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ანგელა მერკელის მთავრობის გადაწყვეტილებას ავღანეთში გერმანული კონტინგენტის შემადგენლობის 5350-მდე გაზრდის თაობაზე. წინააღმდეგ ხმა მხოლოდ „მემარცხენეების“ 111-მა დეპუტატმა მისცა. მათვე სხდომაზე ავღანეთში დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის სურათებიანი პლაკატებით საპროტესტო აქცია გამართეს და ავღანეთიდან გერმანული ჯარის გამოყვანა მოითხოვეს, მაგრამ თავად მოუხდათ სხომიდან გამოსვლა.

ვინ დაუნგრია ცხოვრება ბრაუნს

როგორც ენდრიუ როუნსლი თავის ახალ წიგნში „The End of the Party“ ირწმუნება, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი თავის წინამორბედ ტონი ბლერს უყვიროდა, — „შენ მე ცხოვრება დამინგრიეო“ და სთხოვდა, ზუსტად დაესახელებინა გადადგომის თარიღი, თანაც ისე, რომ ამ თანამდებობაზე პრეტენზიის გამოთქმა მის მეტს არავის შეძლებოდა. ამ წიგნმა ბრაუნის ფეთქებად ხასიათზე მთელი მსოფლიო აალაპარაკა. თავად ბრაუნმა კი განაცხადა, „მსოფლიო რეცესიას მშვიდად ვერ გაუმკლავდებიო“.

საავტორო სვეტი

მერე რა, რომ დაგვარბია...

მზიანი დილაა. ტელევიზორი ჩავრთე. ვხედავ საგანგებო ბრიფინგია. ნეტავ, რა ხდება?.. ვა�ა... ვანო მერაბიშვილი?.. „კიდევ ვინ გაიგუდა გაზით?!“ მაგრამ ამჯერად გაზი არაფერ შუაშია. ვანოს გვერდს უმშვენებს მთელი ოპოზიციური თანავარსკვლავედი.

ხმა: — მეგობრებო, მინდა გაუწყოთ, რომ დღეიდან ვტოვებ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს და გადავდივარ ოპოზიციაში **(მქუხარე ტაში!)**, მთელი 6 წლის მანძილზე მე, როგორც მინისტრს, მიწევდა არაადეკვატური პრეზიდენტის გვერდით მუშაობა და ამავე დროს — უმძიმეს ვითარებაში სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა... თითოეული თქვენგანის დაცვა... ყველა გახმაურებული მკვლელობა განხორციელდა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის დავალებით, რასაც მე გააფთრებულ წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ... ძალა აღმართს ხნავს... გპირდებით, დღეიდან ახალ სიოს შევიტან ოპოზიციურ მოძრაობაში და გავთავისუფლებ ქვეყანას რეჟიმისგან... მე ჩემს სამშობლოს არავის მივცემ დასაჯიჯგნად **(ცრემლი!)**... მყავს ჩემი ხალხი... ერთგული და ვაჟკაცი. გჯეროდეთ ჩემი და ჩვენი გამარჯვების! ძალა ერთობაშია!“

დიქტორი: — *ეს იყო სპეციალური ჩართვა სასტუმრო „თორიდან“. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წუთის წინ ვანო მერაბიშვილი პოსტიდან გადადგა და ოპოზიციაში გადავიდა. ახლა გთავაზობთ ოპოზიციის ლიდერთა კომენტარებს.*

ლევან გაჩეჩილაძე:

— რა უნდა ვთქვა, მე დღეს ვულოცავ ქართველ ხალხს ამ გამარჯვებას. ჩვენ სერიოზული რესურსი შემოგვემატა. ბატონი ვანოს ნაბიჯი უდაოდ დასაფასებელია... ნოღაიდელი, მერაბიშვილი, კიდევ ბევრი შემოგვიერთდება... აი, ამ ხალხზე დგას ნამდვილი საქართველო!.. ამ რეჟიმს დავასრულებთ ერთიანი ძალებით...

— ბატონო ლევან, თუ ყველა ოპოზიციაში მიიღეთ, მაშინ ვის ებრძვით?

— ჩვენ ვებრძვით სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს!

— თუ სააკაშვილმაც გადადგა ეს ნაბიჯი, მაშინ?

— მაშინ, ჩვენი ოპოზიციური მოძრაობა ძალზედ გაძლიერდება და შეივსება. ჩვენ ერთიანი ძალებით შევუტევთ რეჟიმს!

— რეჟიმს?

— აბა, რა... თქვენ, რა, რეჟიმი მარტო სააკაშვილი და მერაბიშვილი გგონიათ?... რეჟიმია გამგებელი, სოფლის თავკაცი, უპასუხისმგებლო პოლიციელი, ზარმაცი პედაგოგი... ამათ ოპოზიციაში არასდროს მივიღებთ, არა, არა, არა...

დიქტორი: — *როგორც ოპოზიციის ლიდერები განმარტავენ, მთავარია, სააკაშვილმაც მიბაძოს ვანო მერაბიშვილს და დროულად გაემიჯნოს რეჟიმს. ვნახოთ, რას ფიქრობს „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი კახა კუკავა:*

— ნოღაიდელი კარგად შეერწყა ოპოზიციურ სპექტრს. მალე ყველა განსხვავებულად მოაზროვნეს თითებს დაამტვრევს. საგანგებო აქციას ვამზადებთ: „მოტეხე თითი!“ გვაქვს მომგებიანი სტრატეგია და ნათელი მიზნები. ხალხს მოენატრა ნოღაიდელის ტიპის ლიდერი და ამიტომაც ახლავს ცრემლი ჩვენს წარმატებებს. ტირილის პროვოცირების სპეციალისტი ჩამოვიყვანეთ მოსკოვის სატირისა და იუმორის თეატრიდან და ყოველდღიურად გვამეცადინებს: როდის, როგორ და რა ხანგრძლივობით ვიტიროთ. ალბათ, გესმით, რომ სენტიმანტალიზმი აუცილებელია ქართველი კაცის გულის მოსალბობად. რაც შეეხება მერაბიშვილს, ჩვენ ჯერ კიდევ 2009 წლის გაზაფხულზე ვხვდებოდით მას და ვანარმოებდით კონსულტაციებს. ვანო ყოყმანობდა, მაგრამ დღეს გადადგა ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი. ყველას, ვინც ამ ნაბიჯს შურითა და პროტესტით შეხვდება, არ სურს საქართველოს გაერთიანება და აღმშენებლობა.

— სააკაშვილზე რას იტყვით, მიმდინარეობს კონსულტაციები?

— რა თქმა უნდა, მიშას აქვს ყველაზე დიდი გამოცდილება, როგორ უნდა მოაწყო რევოლუცია მაშინ, როცა პრეზიდენტი ისედაც გითმობს სავარძელს! იმედია, სააკაშვილი მალე გაერკვევა საკუთარ თავში და ჩვენს ერთობას მაშინ ვერავინ და ვეღარაფერი დაანგრევს. რეჟიმს დავასამარებთ. მოვედიიიიით...

მზიანი დილაა. რას არ ნახავს კაცი სიზმარში...

ირმა ინაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

საავტორო სვეტი

თუთბერიძე თეაკომ მოგვცა სალაპარაკო

რითმა მოიკოჭლებს, ფაქტია ნაღდი. თუთეს ეკრანზე თვალს რომ მოვკრავ, ორი ცუდი აზრი დამიტრიალდება თავში, როგორც მიხეილ სააკაშვილის ტელეგამოსვლების პერსეფერაცია, რომელიც ენციკლოპედიური განმარტებით, ქცევის აკვიატებასა და ამოჩემებასაც ნიშნავს, გამონათქვამის ხშირ-ხშირ გამეორებასაც და ორივე შემთხვევაში ცენტრალური ნერვიული სისტემის გარკვეულ დაავადებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

„ავადა ვარ, ავადა“...

პირველი. როდის მოაწყობენ სახელმწიფო არხების ტელევიზიები კასტინგს ასათიანის ქუჩის პაციენტებისთვის — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, თორემ „ცნობადები“ ეკრანზე „ხალასტოიზე ბუქსაობენ“: ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური, ხათუნა ოჩიაური, ზაალ სამადაშვილი და ის სინორჩე პირტიტველა დეპუტატებისა, რომლებიც უკვე შევიდნენ თეთრყირმიზობის ტანსრულობაში და რომელთა გვარებს, თუ ვინმე იხსომებს, ყოჩაღ იმას!

მეორე. პუნქტი №1. ვის რაში გამოადგებოდა თუთე, „კმარას“ „კასტრულში“ რომ არ დაებასტურმებიათ „ფერადი უტიფრობის“ ნარინჯისფერი ქამრით?

პუნქტი №2. ნუთუ ასე გამოიმასქნდა მაყურებელთა მასა, რომ ტელედროს კარგავს თუთეს ტელესახის ხილვისთვის?

როგორ არ ჭრეს და კერეს, როგორ არ დაავიზაჟდაასტილეს, როგორ არ დაუყენეს შინაგანი ხმა — ყაა, ყაა, — რაიც ფიქრთა მოძრაობას უნდა გადმოგვცემდეს მისას, მაგრამ ვერ შეცვალეს პირველყოფილი უბინობა ობიექტის — დარჩა „კედელი შესათეთრებელი“. *(საქ. 23,3)*

განსაკუთრებით ვერაფერი მოუხერხეს შავარშიანი თვალების სიცარიელეს, რომლებშიც დედაქალაქის ჯერ კიდევ მერს ერთხელ მაინც რომ ჩაეხედა, დაუყოვნებლივ თუ არა, მომავალ მაისამდე მაინც გაასხვისებდა იმ სივრცეს, რომელიც ზნეობის არავითარი ბარიერით არ არის ათვისებულ-მიტაცებული.

თუმცა ისიცაა, რომ ტერიტორიებით დაინტერესებულ ინვესტორებს ქალაქის ცენტრი სჭირდებათ და არა ზესტაფონის შემოგარენი. მაგალითად, სოფელი ფუთი.

სექსოფენომენი ფუთიდან, რომელიც თავისუფალია სექსში.

მაინც და მაინც ასეთი ვარო, უპასუხა „სიმართლის დროის“ წამყვანს ნანკა (!) კალატოზიშვილს თუთემ.

ვა�ა! ეს როგორაო? გაოცდა ტელეაუდიტორია, რომელიც ტელეპროგრამის მთავარ სუბიექტს, ეტყობა, ბრმა ეგონა: იმის დანახვის უნარს მოკლებული, თუ ვინ ლაპარაკობდა სექსზე, თანაც თავისუფალზე.

წამყვანს სახეზე ნერვიც არ შერხევია, სამაგიეროდ შეირყა სექსოპათოლოგთა ამქარი: ამ თემაზე იმან უნდა ილაპარაკოს, ვისაც, მინიმუმ, ერთი პარტნიორი ერთხელ მაინც ჰყოლიაო.

დაეჭვდნენ რატომღაც.

დღეს ერთი უნდეს, ხვალე — სხვა, სოფელი ასე მქნელია, ალბათ, გამოდგება თავისუფალი სექსის ფორმულად.

თუ აქნევინებ სოფელს, — იმ შემთხვევაში. ხოლო მქნელის მქნელს რა დალევს, და დადგა რიგი თავისუფალი სექსის ხილვის მსურველთა და მოყვარულთა.

მაგრამ სანამ მოქმედი პერსონაჟი საჩვენებელ სეანსს მოგვიწყობს, მთლად ხამად რომ არ იყოთ, ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“ გადაშალეთ, მეორე ნაწილი — „მოგზაურობა ბრობდინგნეგში“, თავისუფალი შეჯვარების იმაზე დიდი სივრცე და ტერიტორია, რომელიც იქაა, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მეხამრიდებს ვერც წარმოუდგენიათ.

თუთბერიძე რა სახსენებელია!

მაგრამ იმ რეალობას რა ვუყოთ, რომელშიც თავისუფლების ეს შუქურ-მაქო ისე ანათებს, ვითარცა „Прожектор перестройки“ და ყველაფერს მიწასთან ასწორებს?!

ეს რეპლიკა ხომ არ მოეწონება და არ მოეწონება. მაგრამ, ჯერ ერთი, ეგ სულაც არ მადარდებს. მეორე, იმისი თავისუფალი სექსი თუ დემოკრატიას ნიშნავს, ჩემი სიტყვის თავისუფლება ვინ აკრძალა?

თუ დაკოდილები ვგონივართ?!

მორალი: „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რომ ჰგავხართ შეთეთრებულ სამარხებს, რომლებიც გარედან ლამაზები მოჩანან, შიგნით კი სავსენი არიან... ყოველგვარი უწმინდურებით“ (მათ. 23,27).

არმაზ სანებლიძე

ევაკუირებული ბებია

სტუდია „რეპორტიორის“ ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე შვეიცარიის ხელისუფლებას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს, ამის მიზეზად ხელისუფლების მიერ მასზე განხორციელებულ ზეწოლაზე მიანიშნებს. მისი თქმით, მუქარა მას შემდეგ დაიწყო, რაც ის პაატა ზაქარეიშვილთან და მანანა მებუკესთან ერთად ცხინვალიდან დაბრუნდა და 2008 წლის ომთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მასალა ჩამოიტანა, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომლის — ალანა გაგლოევას ბებიას ეხებოდა.

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ომამდე ორი დღით ადრე ცხინვალთან გაგლოევას ბებიის ევაკუაციის საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. თავად ალანა გაგლოევა ამ ინფორმაციას უარყოფს და ამბობს, რომ ბებიამისი ცხინვალიდან ტაქსით გადმოვიდა, თვითონ კი სოფელ მელვრეკისთან საკუთარი ავტომობილით დახვდა.

„საქართველო და მსოფლიო“ რამდენიმე პოლიტიკოსს დაუკავშირდა და შეეცადა, გაერკვია, როგორ აფასებენ ისინი საქართველოს ხელისუფლების ამ ქმედებას.

გუგული მაღრაძე, „ქალთა პარტიის“ ლიდერი:

— ამ ხელისუფლებისგან გაკვირი არაფერია. მთელი საომარი რიტორიკა, რომელიც ქართული ხელისუფლებიდან ისმოდა, ის ქმედებები, რაც ომამდე იყო, ნიშნავდა იმას, რომ ისინი სამხედრო ძალების გაძლიერებას გეგმავდნენ, რათა ტერიტორიული საკითხი ძალის გამოყენებით გადაეწყვიტათ. მცდელობა, რომ ახლობლის ბებია გამოეყვანათ, სრულიად არ არის საფუძველს მოკლებული. ამ ხელისუფლებისთვის მთავარი ხომ მხოლოდ ახლობლების წრეა, დანარჩენი მოსახლეობა კი მათთვის სულერთია.

პაატა ზაქარეიშვილი, კონფლიქტოლოგი:

— აღნიშნულ ფაქტს უარყოფითად ვაფასებ. ეს იყო ცუდი საქციელი, როცა მთელი მოსახლეობა ცხინვალში დატოვეს და მხოლოდ თანამშრომლის ბებია გამოიყვანეს. ეს იყო ამორალური ქმედება. მათ ყველა მოქალაქე უნდა გადაერჩინათ და არა მარტო ერთი ბებია. ქალბატონმა გაგლოევამ ეს ფაქტი დაადასტურა და თქვა, რომ ის 6 აგვისტოს ბებიას მანქანით მელვრეკისთან დახვდა. არ აქვს მნიშვნელობა, ცხინვალის ხელისუფლებას ვინ ელაპარაკებოდა — იაკობაშვილი, გაგლოევა თუ სააკაშვილი; მთავარია, რომ მოლაპარაკება გაიმართა.

აკაკი ასათიანი, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი:

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. ალბათ, რაღაცას ემყარება ეს ფაქტი, თუმცა მე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

გოგი თოფაძე, „მრეწველების“ ლიდერი:

— როცა რუსეთის ამხელა ჯარი ენგურს გაღმა მთელი ზაფხული ემზადება და მანევრებს ატარებს, ამ დროს ჩვენი ხელისუფლებისგან პროვოკაცია დიდი შეცდომა იყო. რაც შეეხება გაგლოევას ბებიის ევაკუაციაზე მოლაპარაკებას, შესაძლოა, გაიმართა კიდეც.

სოზარ სუბარი, „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი:

— ამ თემაზე ვახო კომახიძეს ველაპარაკე, რომელმაც მითხრა, რომ მას ეს ინფორმაცია სანდო წყარომ მიაწოდა. მჯერა, რომ გაგლოევას ბებიის ევაკუაციაზე მოლაპარაკება გაიმართა, რადგან ყველა მხრიდან ჩანდა, რომ ხელისუფლება პროვოკაციისთვის ემზადებოდა.

ნესტან კირთაძე, ლეიბორისტული პარტიის წევრი:

— უფლება არ მაქვს, არ დავუჯერო ისეთ პიროვნებას, რომელიც საზოგადოებაში ჟურნალისტური გამოძიებების ავტორადაა ცნობილი. ჩვენი ხელისუფლებისგან არაფერია გასაკვირი, მით უმეტეს — ასეთი საქციელი.

ალექსანდრე აკობია

სიკვდილის პრეისკურანტი

საქართველოში საარსებო მინიმუნი რომ დაბალია და ამ თანხით თავის გატანა შეუძლებელია, არავისთვისაა უცხო. ამ მინიმუმით ადამიანს არათუ სიცოცხლე, არამედ დაკრძალვის ხარჯების გასტუმრებაც კი გაუჭირდება. საქართველოში 2010 წლის იანვარ-თებერვალში საშუალო მომხმარებლის შემოსავალი 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4,3%-ით შემცირდა. ოფიციალური სტატისტიკით საარსებო მინიმუმმა 2010 წლის დასაწყისში 113,4 ლარი შეადგინა.

ეს ის თანხაა, რითაც ჩვენი მაღალჩინოსნები ამაყობენ და რომელიც თურმე ერთი თვე უნდა ეყოს ადამიანს, ზოგიერთ მათგანს მხოლოდ სუშის საყიდლადაც არ ეყოფა.

ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობიაო, — შეიძლება ინატროს ბევრმა, მაგრამ არც ეს ჯდება იაფი.

თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული დამკრძალავი ბიურო „ჰერმესი“ (ჰერმესი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ზევსისა და მაიას ძე იყო, რომელიც მიცვალებულთა სულებს აცილებდა ჰადესში) სასაფლაომდე მიაცილებს მიცვალებულებს, მაგრამ ეს „მიცილება“ ფასიანია.

როგორც მერიაში გვითხრეს, თბილისის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მივიდეს რომელიმე სახელმწიფო სასაფლაოზე, მონიშნოს ის ადგილი, რომელიც „მოეწონება“ (ზოგიერთს ურჩევნია, ხედი დედაქალაქს გადაჰყურებდეს) და უპრობლემოდ დაუკანონებენ. ამ შემთხვევაში სასაფლაო მხოლოდ ორადგილიანი უნდა იყოს, დამატებითი ადგილისთვის 500 ლარი იქნება გადასახდელი.

„ჰერმესის“ მომსახურება მხოლოდ 107 ლარი ჯდება. მასში შედის საფლავის გათხრა, მიცვალებულის დასაფლავება. საფლავის გათხრა და მიწის დაყრა არც ისე ძვირია და ამას საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანიც კი გასწვდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ დაკრძალვა 107 ლარი მხოლოდ მაშინ დაგიჯდებათ, თუ მიცვალებულს კუბოს გარეშე დაკრძალავთ. ისე კი მის მოწესრიგებას (ჩაცმა-დახურვა იგულისხმება) და ტრანსპორტირებას (მიცვალებული თავისი ფეხით ხომ არ „წავა“ სასაფლაოზე?), როგორც ატყობთ, 107 ლარი არ ეყოფა...

თუ გადაწყვეტთ, რომ მიცვალებული საფლავამდე მერიამ „მიაცილოს“, თქვენ შეგიძლიათ გამოიძახოთ მერიის აგენტი, რომელსაც თან ექნება ილუსტრირებული კატალოგი მომსახურების ფასებით. მასში კუბოს ფასი 150 ლარიდან 3000 ლარამდე ადის (ხარისხის შესაბამისად), ტახტის, სუდარის, კანდელისა და შანდლების საკითხსაც, თუ გნებავთ, მერია მოაგვარებს. დამატებით, მიცვალებულს ჩააცმევენ და გაპარსავენ (რა თქმა უნდა, თუ მამაკაცია) კიდეც; დაგვრჩა მიცვალებულის სამუდამო განსასვენებლამდე მიყვანა, აქაც ყველაფერი თქვენს ჯიბეზეა დამოკიდებული. მაგ. „კადილაკის“ კატაფალკი 140 ლარი ღირს, მრგვალფარებიანი „მერსედესი“ კი — 80. მიცვალებულს სასაფლაოზე მარტო ხომ არ „გავუშვებთ“, ამიტომ ხალხის გადასაყვანად ავტობუსი დაგჭირდებათ. ნუ ღელავთ, მერიამ ამაზეც იზრუნა, 120-140 ლარად შეგიძლიათ ავტობუსის დაქირავება. საფლავის მოწყობა კი ოჯახის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ამაში მერია მონაწილეობას არ ღებულობს. მარმარილოს საშუალო ზომის ქვა წარწერითა და სურათით სულ რაღაც 400 ლარი დაგიჯდებათ.

თუ თქვენ არ მოგეწონათ მერიის მიერ შემოთავაზებული სერვისის პირობები, შეგიძლიათ კერძო დამკრძალავ ბიუროებს მიმართოთ, ასეთი კი თბილისში ბევრია, მაგ: „ჰადესი“, „მუმია“, „რიტუალი-ჩაო ესკუდერო“, „ჯი.ემ. ჯგუფი“, „მარადისობა“ და სხვ.

ჩვენ ერთ-ერთ დამკრძალავ ბიურო „ჰადესს“ მივმართეთ, სადაც დაწვრილებით აგვიხსნეს მომსახურების დეტალები და ფასები. მერიისგან განსხვავებით, მათ საფლავის მოძიება და შემდეგ დაკანონება არ ეხებათ. თუ ამ ბიუროს დაუკავშირდებით, მათი წარმომადგენელი ყველაფერს თვითონ გააკეთებს, თუ ტირილი და გოდება არ შეგიძლიათ, არც ესაა პრობლემა — ტირილი შეთავსებით.

მათი ინფორმაციით, სარიტუალო მომსახურების ფასები ასეთია: მიცვალებულის ჩაცმა-დასუფთავება 10 ლარი, გაპარსვა 10 ლარი, ბალზამირება — 60 ლარი, წიფლის კუბო — 150 ლარი, მუხისა — 260, იტალიური სტილისა 350 ლარიდან იწყება. რაც შეეხება ტრანსპორტს, მიცვალებულის გადასასვენებელი მანქანა 60 ლარიდან 150 ლარამდე ჯდება, ხოლო ხალხის გადასაყვანად „იკარუსის“ მარკის ავტობუსი — 100, „მერსედესის“ მარკისა კი 120 ლარი დაგიჯდებათ.

მოკლედ, თუ ამ ყველაფერს დავიანგარიშებთ და ზედ ქელეხის სუფრის ხარჯებსაც, მინიმუმ 1500 ლარსაც დავუმატებთ (150 კაცზე), 2500 ლარს მივიღებთ, რაც საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახისთვის დიდი თანხაა. გამოდის, რომ საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანმა მთელი ორი წელი უნდა აგროვის ფული დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად. ასე რომ, არც სიცოცხლე ღირს ამ ქვეყანაში და არც — სიკვდილი!

ალექსანდრე აკობია

ვინც გიგის აძლევს

გაუმართლა გიგი უგულავას — მის მომხრეებს კიდევ ერთი ტრიო შეემატა, ანუ სამკაცა. ეს „კაცა“ პირობითად, თორემ, ალბათ, უპრიანი იქნება, თუ ვიტყვით, „სამბიჭა“ შეემატაო.

ზვიად ფოფხაძე, კოტიკო თოლორაია, გიორგი ცუცქირიძე

„მათ სამთა“ — კოტიკო თოლორაიამ, გიორგი ცუცქირიძემ და ზვიად ფოფხაძემ „შეკრეს პირობა“ და დაიფიცეს (დედა, მამა, ყველა), რომ თბილისის მოსახლეობას დაარწმუნებენ, ხმა სწორედ გიგი უგულავას მისცეს.

არ გეგონოთ, ეს სამი ბიჭუნა გაუაზრებლად ირჯება. **„ჩვენ ვფიქრობთ, რომ თბილისში კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი. ამიტომ გვჯერა, რომ გიგი უგულავა სწორედ ის ადამიანია, ვინც ამ საქმეს მიხედავს. ჩვენ ყველა დავეხმარებით მას, რითიც შეგვიძლია — სიმღერით, ცეკვით, კლიპებით... ჩვენ მისი ფანები ვართ. ყველას, ვისაც სურს, რომ გიგი თბილისის მერი იყოს, ჩვენთან ვეპატიჟებით“,** — აი, ასე გულწრფელად აღიარა კოტიკო თოლორაიამ, რომ გიგისი სჯერა და მისი ფანია.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მართლა გამიკვირდა „თანასწორობის ინსტიტუტის“ პროტესტი, რატომ შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია **„ჩვენი ხმა გიგი უგულავას“**-ო?

შეიქმნა და შეიქმნა, რა მოხდა? იმღერებენ, იცეკვებენ, კლიპებს გადაიღებენ... **რა, პირველად გესმით, რომ ქეიფში დამკვრელებს იწვევენ? არ გახსოვთ, სააკაშვილმა წინასაარჩევნო კამპანიისას, ერთ-ერთი შეხვედრის დაწყებამდე „დამკვრელები“ რომ მოიკითხა?**

ახლა მიშას აღარ სჭირდება და რა ქნან ამ დამკვრელებმა, მთლად უსაქმოდ ხომ არ იქნებიან? ჰოდა, ადგნენ და გიგის მიადგნენ, შენ მოგცემთო (ხმას, რასაკვირველია!), შენთვის ვიმღერებთ და ვიცეკვებთო...

თან ეს ახალმოდის კოკოები (კო-ტიკო და კო-მპანია) მარტო არ არიან — **გიგისთვის ოფლს მოიწურავენ (შუბლიდან, რასაკვირველია!) ნინო ძოწენიძე, ჯგუფი „სეიშენი“, ანრი ჯოხაძე, ლელა წურწუმია... უგულავას მხარდამჭერ კლიპს კი „კიკალა სტუდიო“ გადაიღებს** ფინანსური ანაზღაურების გარეშე.

მეტი რა ქნან? კუდები არ აქვთ, რომ გააქციონონ, ენას კი ამჯერად დანიშნულებისამებრ იყენებენ. ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ, უნდა ვიმღეროთო და არ დავუჯეროთ? აბა, ის ვირწმუნოთ, რომ **გიგი უგულავასთვის კორუფციის მტვრის ანდა სულაც 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისელების სისხლში ამოსვრილი ხელების გალოკვა** განუზრახავთ ამ ლეგენდარულ სცენის მეფე-დედოფლებს (და დედოფალებს), ანუ „ენატკბილ ბულბულებს“?

ვინ იმღერებს ახალგაზრდული ენთუზიაზმით — ნინო ძოწენიძე, ანრი ჯოხაძე თუ ლელა წურწუმია? ჰო, მარაოს წაღება არ დაგავიწყდეთ, გამოგადგებათ, თან ახლა გაზაფხულის სიცხეები დააჭერს და...რა იცით, იქნებ, თბილისის ზღვაზე მოგინიოთ კლიპის გადაღება და შეიძლება დაგცხეთ კიდეც... სწრაფმავალ კატარღაში!

სამბიჭა, ანუ კოტიკო, გიორგი ცუცქირიძე და მათი დამფუძნებელ-თავმჯდომარე ზვიად ფოფხაძე აცხადებენ, რომ „ორგანიზაცია მთლიანად საკუთარი სახსრებით ფინანსდება და მერიის ბიუჯეტთან საერთო არაფერი აქვს“.

ისეთი მწყაზარი სახეებით ამბობენ, დაძალებით ანდა ანგარებით კი არ ვაძლევთ გიგის (ხმასო, რასაკვირველია!), არამედ ენთუზიასტები ვართო, უნდა დაიჯერო; მით უმეტეს, **უგულავაც „უაღრესად დიდ მადლიერებას გამოხატავს იმ ახალგაზრდული მოძრაობის მიმართ, რომლის წევრებიც ახალგაზრდული ენთუზიაზმით, სრულიად უანგაროდ უჭერენ მხარს გიგი უგულავას“.**

ვაი, ვაი, შენი სულისა... ახლა უგულავა ისეთ მდგომარეობაშია და ისეთ ტომარაზე ზის, ყველა ფულის კეთებაზე და მერის არჩევნებით ხეირზე ფიქრობს და თურმე ეს „სამი ანგელოზი“ ენთუზიაზმით ემსახურება გიგის თავიდან გამერების საქმეს.

თქვენ გჯერათ ამ, რბილად რომ ვთქვა, აქოჩრილი ტყუილის? არც „თანასწორობის ინსტიტუტში“ სჯერათ. „ეს ადამიანები სწორედ მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან, ოღონდ არაპირდაპირი გზით. ეს არის შავი ფული, რომელიც თბილისის მოსახლეობისაა. არავის აქვს უფლება, ადმინისტრაციული რესურსები თავისი პიარკამპანიისთვის გამოიყენოს“, — აცხადებს გურამ პატარაია.

მერიასთან საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ისეთი არგუმენტი მოიხმეს, პირდაპირ მზეს დაუბნელებს გიგის კონკურენტებს თურმე, **„მერიამ კოტიკო თოლორაია იმიტომ აირჩია, რომ იგი თავისი „აქოჩრილი თმით“ და იმიჯით თბილისელი ახალგაზრდების გულის მოგებას სხვებზე იოლად მოახერხებს“.**

შეიძლება ახლა ასეთი დედალი არგუმენტი მოიხმო? **თმების „აქოჩრვა“ რომ საქმეს შველოდეს, თქვენც აიქოჩრეთ, რა, ლიმიტია დაწესებული? თუ აქოჩვრის უფლება მარტო კოტიკოს და იმ ერთ კაცს აქვს, „მხიარულ ტარაკანას“ რომ ჰგავს?**

ახლა მთლად რეზო ამაშუკელის გაბედულებამდე ვერ გავქაჩე და მის ვინაობას ვერ დავასახელებ, მაგრამ მინიშნებით გეტყვით, რომ მისი თმის აქოჩრილობა თვით პრეზიდენტ სააკაშვილსაც კი სიმშვიდეს ჰგვრის. როცა მისი თმა ყალყზეა, მიშას ნერვები წყნარდება, ესე იგი ყველაფერი წესრიგშიაო.

რა გამოდის, გიგის მერობა კოტიკოს თმებზე ჰკიდია? ვერ დავიჯერებ, რადგან გულუბრყვილობა იქნება. კოტიკო კი არც ისეთი გულუბრყვილოა, როგორც თავს გვაჩვენებს. **„კოტიკოს უნდა საკუთარი ბიზნესის წარმოება მერიის ბიუჯეტის ხარჯზე. იგი თავის მეგობრებთან ერთად გადაიღებს კლიპებს, სარეკლამო რგოლებს და, ბუნებრივია, თუ გიგი უგულავა გახდება მერი, კოტიკოს შეკვეთები გაორმაგდება, ვინაიდან ის სწორედ გიგის მხარდამჭერია“.** ეს მოსაზრება გაგი მოსიაშვილმა გამოთქვა და არის მის სიტყვებში ლოგიკა.

ახალგაზრდული მოძრაობა „ჩვენი ხმა გიგი უგულავას“ კი მანამდე იწყებს თბილისის მერის მხარდამჭერ პიარკამპანიას, სანამ მისი კანდიდატურა ოფიციალურად დასახელდება.

გიგი, უკვე რამდენიმე თვეა, საარჩევნო რეჟიმში იღვწის, ამ ჭყინტებმა კი პირველ ღონისძიებად, იცით, რა დაგეგმეს? გაგიკვირდებათ და, 2 მარტს ქალთა კოლონიაში აპირებენ კონცერტის ჩატარებას.

რა ნიჭიერები არიან, პირდაპირ კოლონიით იწყებენ. ჯერ პატიმარ ქალებს უნდა მოუწოდონ, რომ გიგის მისცენ (თავიანთი ხმა) და მერე იგივე მოწოდებით პატიმარ კაცებს მიმართავენ (და რა პასუხსაც მიიღებენ, ძნელი მისახვედრი არ არის). ამათ რომ „დაარწმუნებენ“, თავისუფალ ადამიანებზეც „გადავლენ“.

თუ ქუჩაში ვინმე „აქოჩრილი“ შეგხვდათ და გითხრათ, მე გიგის ვაძლევ და შენც მიეციო, ნუ გაიოცებთ და ბრიოლინით დაყენებულ პრიჩოსკას ნუ გაუფუჭებთ, ნუ მოქოჩრავთ — ხმას აძლევენ, ხმას!

თუმცა რა ვიცი, ამ „დამკვრელებისას“ რას გაიგებ კაცი, კაცი!

ნეტავ, რით დამთავრდება ეს „აქოჩრილი“ პიარი?

ლაშა გიორგიძე

მოკლედ

აზერბაიჯანი ომით იმუქრება

აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა საფარ აბიევმა განაცხადა, უცხოელმა დიპლომატებმა 15-წლიანი მცდელობის შედეგად კონფლიქტის დარეგულირება ვერ შეძლეს, აზერბაიჯანელთა მოთმინება კი იწურება და, თუ სომხეთი მთიანი ყარაბაღიდან ჯარს არ გაიყვანს, სამხრეთ კავკასიაში დიდი ომი დაიწყება. დასავლელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ ომის საშიშროება ესოდენ მწვავედ არ დგას და აზერბაიჯანი ამგვარი განცხადებებით მხოლოდ სომხეთისაგან დათმობის მიღებას ცდილობს.



„აქ გუანტანამო არ არის“

85-დღიანი შიმშილობის შემდეგ დისიდენტ ორლანდო საპატას ციხეში გარდაცვალებით აღშფოთებულმა ევროკავშირმა და აშშ-ის ადმინისტრაციამ კუბის ხელისუფლებისაგან ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლება მოითხოვეს, მაგრამ რაულ კასტრომ მოთხოვნაზე პასუხად განაცხადა, რომ კუნძულზე პოლიტპატიმრები არ ჰყავთ და არავის აწამებენ, და რომ „ასეთი რამ მხოლოდ გუანტანამოში შეიძლება ხდებოდეს“. საპატა ციხეში პატიმართა უფლებების დარღვევას აპროტესტებდა.

ბრაუნი პრემიერად რჩება

„Sunday Times“-ის დაკვეთით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნს საარაუდოდ 6 მაისისათვის დაგეგმილი არჩევნების შემდეგ თანამდებობაზე დარჩენას უწინასწარმეტყველებენ. ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემის წესების მიხედვით, პრემიერს უფლება აქვს, მანამდე დარჩეს თანამდებობაზე, სანამ თავად არ გადადგება ან თემთა პალატა უნდობლობას არ გამოუცხადებს. მმართველი პარტიის რეიტინგი ახლა 35%-ს უტოლდება.

საავტორო სვეტი

ჩემი ხმა გიგი უგულავას

სააკაშვილის მმართველობა ისტორიაში უთუოდ ნაირნაირი „მოძრაობების“ სახელითაც შევა. ყველაფერი კი დაიწყო იმ ავადსახსენებელი „კმარათი“, რომელმაც XXI საუკუნის ქართულ და მსოფლიო პოლიტიკას მისცა კობა ბექაური, კობა სუბელიანი, დავით კირკიტაძე, პეტრე ცისკარიშვილი, გოკა გაბაშვილი, ბევრი ეკა და ერთადერთი გიგი უგულავა.

„კმარას“ შემდეგ ყველაზე პოპულარული ახალგაზრდული სახელისუფლო „მოძრაობა“ იყო „პატრიოტთა ბანაკები“ — სიცრუის, სისულელისა და ფარისევლობის უცნაური ნაზავი; ხელისუფლება სამკვირიანი დროშების ფრიალისა და მარშების გრიალის ფონზე პატრიოტებს ჩეკავს!

„ვარდების რევოლუციის“ მეშვიდე წელს გაჩნდა თვისობრივად ძველი ახალი ახალგაზრდული მოძრაობა ბოლშევიკური სათაურით „ნოღაიდელი იუდა“. თვითონ ზურაბ ნოღაიდელის დაცვას ან მისი მოღვაწეობის განქიქებას არ ვაპირებ. ვლაპარაკობ, ზოგადად, მტრებისა და მოღალატეების აღმოჩენების ფენომენზე, ანუ კომუნისტურ წარსულზე, რომელიც თურმე კარგად დავიწყებული ძველი კი არა, მარად ახალი დღევანდელობა, ჩვენი ქვეყნის ნაგვემ სხეულზე დარჩენილი მოუშუშებელი ჭრილობა ყოფილა.

მოძრაობას — „რუსი საქართველოს დაუძინებელი მტერია“ — ლოგიკურად მოჰყვა მორიგი ახალგაზრდული მოძრაობა „ოკუპაციის კვირეული“.

მეც და ყველა ჩემმა აზრიანმა თანამოქალაქემაც კარგად ვიცით, რატომ ცდილობს ნაცების ხელისუფლება ახალ-ახალი საფრთხობელების გამოგონებას, მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო უნდა იყოს ამ საკითხზე თვითონ ხელისუფლების არგუმენტაცია — არა სამყურაშვილის, წიკლაურის ან რომელიმე ეკას ფორმალური ლაილაი, არამედ მტკიცება მეცნიერულ დონეზე. **რა არგუმენტი უნდა მოიშველიოს კაცმა იმის დასამტკიცებლად, რომ მეგობრობასა და კეთილმეზობლობას მტრობა და ღვარძლი სჯობს! ან რატომ არის რუსი საქართველოს „ისტორიული მტერი“ და, ამავე დროს, თურქი — „ისტორიული მეგობარი!“**

პრეზიდენტ სააკაშვილის უკრიტიკოდ მხარდამჭერი ახალგაზრდობა, მაპატიეთ და, რაღაც მაზოხისტური თავდავიწყებით მონანილეობს ხელისუფლების მიერ ინსპირირებულ, მეტი რომ არა ვთქვა, ძალიან საეჭვო ღირებულების წვრილმან პოლიტიკურ თამაშებში. ამავე ახალგაზრდობას საერთოდ არ აინტერესებს ეროვნულ ფიზკულტურასა და სპორტში შექმნილი კატასტროფული ვითარება ან ბოლო წლებში ნაცების ხელისუფლების უგუნური პოლიტიკით გამოწვეული უკიდურესად რთული ეკოლოგიური პრობლემები...

ამ ნაადრევად გაპოლიტიკოსებულ (ფეხის ხმას აყოლილ) ახალგაზრდობას აზრად არ მოსდის, ჩამოაყალიბოს, ვთქვათ, ასეთი „მოძრაობები“: სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს, ნუ გამიყიდით სამშობლოს, გადავარჩინოთ ქართული სპორტი, გადავარჩინოთ თბილისის სკვერები, გადავარჩინოთ ქართული პარლამენტი რატი სამყურაშვილისგან, ბილოსდაბოლოს, — გადავარჩინოთ თეა თუთბერიძის ცოდვილი სული...

არაფერი ამის მსგავსი! — ხელისუფლების მხარდამჭერი გოგო-ბიჭები, სავარაუდოდ, სახელმწიფო თანამდებობების იმედად, ქმნიან ახალ „მოძრაობას“ კოდური სახელწოდებით „ჩემი ხმა გიგი უგულავას“.

მაპატიეთ, ჩემო კარგებო, მაგრამ ეს არ არის მთლად გონივრული საქციელი. მერე რა, რომ თვითონ გიგიმ, კობამ, გოკამ, დათომ, ეკამ, მანჩომ, ნანკამ და სხვებმა თანამდებობები მართლაც მიიღეს. სამაგიეროდ, ბევრმა სხვა იმათმა თანატოლმა სამუდამოდ დაიმახინჯა ცხოვრება. წინასწარ არავინ იცის, თქვენ რომელთა ბედს გაიზიარებთ, ცხოვრება ხომ სავსეა მოულოდნელობებით. იმის დავიწყებაც არ ღირს, რომ ხელისუფლებები ხშირად იცვლებიან და არც ერთი მომდევნო ხელისუფლება წინას ბრმა და უარგუმენტო მხარდაჭერას არ აფასებს.

ჩემი აზრით, არც სათაურია მაინცდამაინც რაციონალურად შერჩეული — „ჩემი ხმა გიგი უგულავას“. ქართველების ენაკვიმატობის ამბავი მოგეხსენებათ და წარმოიდგინეთ, რას დაარქმევენ თავიანთ „მოძრაობას“ გიგის კანდიდატურის მოწინააღმდეგე თქვენი თანატოლები ან რა ლოზუნგს წამოაყენებენ მაშინ, თუ გიგიმ თბილისის მერის არჩევნებში ვერ გაიმარჯვა?!

ნუ გაირთულებთ ცხოვრებას, ჩემო ძვირფასებო, იგი ხომ ასე მშვენიერია...

თეიმურაზ ქორიძე

3 — 9 მარტი, 2010 წელი. №8 (51)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

პროფესორი გაგნიძე სკიპტრიანი გიჟისა და ილლიაში ამოჩრილი ტრიბუნის შესახებ

ზურაბ გაგნიძე: სააკაშვილმა საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია დააკარგვინა

ქართველობა შეწუხებულია იმაზე ფიქრით, საით მივდივართ ან ვის მივეცით ნდობის მანდატი. ამისათვის კი, უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ, რამდენად რთული პოლიტიკური ფენომენია თანამედროვე, უმაღლესი სახელმწიფო რანგის ფუნქციონერი. ქვეყნის პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის პოლიტპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.

— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ მიხეილ სააკაშვილის მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსს და როდის დავუშვით შეცდომა — „მიშა-მიშას“ ძახილით ქვეყანა რომ ჩავაბარეთ თუ ახლა, როდესაც გავყვირით „მიშა, წადი!“?

— სააკაშვილის მმართველობა შეიძლება სამი სიტყვით შეფასდეს: არაადეკვატური, არასისტემური და ბნელი. მისი მიზანია ხელისუფლების შენარჩუნება, მოტივაცია — საკუთარი და კლანის კეთილდღეობა. მისი პოლიტიკური კურსი ეყრდნობა უცხო ძალთაგან დაპროგრამებულ მართვას. სააკაშვილი ტალახში სვრის იმ ერის სახელსა და ღირსებას, ვის შვილადაც დაიბადა, არცხვენს პირველი კაცისა და პრეზიდენტის ტიტულს.

— სააკაშვილის ქარიზმამ სრულიად საქართველო გაიყოლა ბარიკადებზე, მაგრამ მისადმი ნდობა თოვლივით დადნა... რამ განაპირობა მისი აღზევება ან დაცემა?

— მიშა იყო და არის მსოფლიო გლობალიზაციის პოლიტიკის ახალი ჯურის რეფორმატორი. თავიდანვე ნაციონალური დროშის ფრიალით, ეროვნული ღირებულებების დანერგვის დაპირებებით საიმედოდ ინიღბებოდა. საზღვარგარეთ მიღებულმა განათლებამ ის პიარტექნოლოგიების გროსმაისტერად ჩამოაყალიბა. ხალხი მის შეცნობასა და გამოვლენას გარკვეული ხანი მოუნდა. მაგრამ ქართველი კაცი მიხვდა, რომ „ვარდების რევოლუცია“ ჯორჯ სოროსის ფულით დადგმული პოლიტიკური სპექტაკლი იყო, რომელმაც ქვეყნის სათავეში მოიყვანა „სკიპტრიანი გიჟი“ თავისი შენიღბული ავკაცობით.

სააკაშვილის მთავრობის არც ერთი მინისტრი არაა იმ დარგის სპეციალისტი, გამოცდილებით აღჭურვილი პროფესიონალი და საქვეყნო საქმეებისთვის შერჩეული, რომელიც აბარია. ამიტომაცაა მთლიანად მოშლილი სახელმწიფო სტრუქტურები, რითაც მან მოახერხა ხელისუფლების ერთიანად ხელში ჩაგდება. ამგვარი საკადრო პოლიტიკა ქვეყნის ინსტიტუციონალური ნგრევაა და ვერაფრით უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურობის ჩამოყალიბებას.

საკონსტიტუციო ცვლილებებმა სააკაშვილი უზურპატორად აქცია. საკანონმდებლო ორგანო ჯერ ნოტარიულ ოფისად აქცია და სადაცაა ქუთაისს გაამწესებს. სასამართლო ხელისუფლება ისეა დაკნინებული, ასე მგონია, დამოუკიდებლობის პრეტენზია აღარც გაუჩნდება. ბიზნესი დაწიოკებულია, ტერიტორიები — დაკარგული, მედიასივრცე პრეზიდენტსა და მის პიარს ემსახურება თუ არა და... მდარე, ჩვენს მენტალობას გაცილებულ საპნის ოპერებს გვიჩვენებს.

სააკაშვილის დემოკრატია ფარსია. მუშტშემართული და თმააწეწილი გაყვირის სხვათა მიმართ „ნულოვან ტოლერანტობაზე“. სააკაშვილის მმართველობა სადიზმის იერს ატარებს, ქუჩაში განუკითხავად ხვრეტენ ახალგაზრდებს. მათი გაუხსნელი საქმეები კი პროკურატურის მაღალ თაროებზეა შემოდებული.

7 ნოემბერის აქციებს რეზინის ტყვიებითა და ფსიქოტროპული იარაღით უმასპინძლა, რითაც 2007 წლის 7 ნოემბერს მან ისედაც აგონიაში მყოფი დემოკრატია სამუდამოდ დაასამარა. ამ ფაქტით მისი სივერაგე თვით სკეპტიკოსებისთვისაც ცხადი გახდა. ჩვენი პასიურობის ბრალია, რომ სააკაშვილი ტოტალური გაყალბებითა და დასავლეთის მხარდაჭერით კვლავაც პრეზიდენტად მოგვევლინა. ტრიბუნა მატრაბაზივით ილლიაში ამოჩრილი დააქვს და „მამა მარჩენალს“ ბუზს სპილოდ აჩვენებს, ხოლო ჩვენ თვალში ნაცარს გვაყრის.

მისმა გაუწონასწორებელმა პოლიტიკამ გეოპოლიტიკური კატასტროფა მოახდინა. დღენახევრიანი ომით დასავლეთისთვის მთელი შუა აზია ჩაკეტა და ქვეყანას გეოპოლიტიკური ფუნქცია დააკარგვინა. ეს იყო პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის კოლაფსი.

ამერიკელების მიერ შექმნილმა ამ პოლიტიკოს-კიმბორგმა მომხვეჭელობისა და ქონების დაგროვებისაკენ პათოლოგიური სწრაფვა გამოამჟღავნა. მას ფულის წიგნაკების მთელი კართოტეკა აქვს მსოფლიოს ბანკებში. საქართველოში ყველა შემოსავლიანი ბიზნესის მეწილეა.

სააკაშვილმა ლამის მთელი ქვეყანა დამსმენთა, მომსმენთა და „კონფიდენტებად“ სახეშეცვლილ აგენტთა სათარეშოდ აქცია.

სააკაშვილისვე დამსახურებაა, რომ უცხოელი დონორების მიერ გამოყოფილი მილიარდების ნაწილს მთავრობა ჯიბეში იტენის, ნაწილს კი არჩევნებს ახმარს.

მისი „წყალობით“, საქართველოს სახელმწიფო ვალი 8 მილიარდზე მეტია. ეს თანხა არც სოციალური პროგრამების განხორციელებას, არც ეკონომიკურ განვითარებას, არც უმწეოთა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებს მოხმარებია; არც ქვეყანასა და ხალხს, არც დასაქმების ყბადაღებულ პროგრამას; არც საწარმოები ამუშავებულა, არც ბიზნესფერო გაუმჯობესებულა, არც ეკონომიკური აღორძინება დაწყებულა და არც სოფლის მეურნეობა აღდგენილა. გამოყოფილი მილიარდიანი გრანტი, რომელიც ომის შემდგომ ინფრასტრუქტურების აღდგენას უნდა მოხმარებოდა და დაზარალებულთათვის ნორმალური არსებობის პირობები შეექმნა, პრეზიდენტის რაიხსტაგად მონათლული სასახლის დასრულებას მოხმარდა.

ვინც თანამედროვე პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედულია, ყველამ იცის, რომ დღეს ქვეყნის ეკონომიკური დაპყრობა, მტრის თანამედროვე იარაღი — ქვეყნების ვალით დაკაბალება და ასე ვთქვათ ეკონომიკური დაპყრობა უფრო მეტად დამღუპველია, ვიდრე ქვეყნის ასაოხრებლად შემოსული ტანკები. ამის მაგალითია ჩეხეთი. მისმა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა ჩეხეთში ჩაატარა პლებისციტი საგარეო ვალის აღებაზე. ჩეხებმა უარი თქვეს მსოფლიო ბანკის ვალზე და ქვეყანას ეკონომიკური კაბალა ააცილეს. სააკაშვილი კი ხალხს არაფერს ეკითხება.

აღარაფერს ვამბობ ჯარში განხორციელებულ რეფორმებში გადაყრილ მილიარდებზე, ჯარის შეიარაღებისა და წვრთნის პროგრამების დაფინანსებაზე. ჯარს ჰქონდა მეტად საპატიო ფუნქცია — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აგვისტოს ომში აღმოჩნდა, რომ ჯარი საერთოდ არ გვყოლია. სად წავიდა მილიარდები?!.. სააკაშვილს გამოეცალა რა ის საყრდენი, რომელსაც წლების მანძილზე აპიარებდა, მისი მიდგომა ჯარისადმი შეიცვალა. მასზე პოლიტიკური კონტროლი დააწესა და თავდაცვის მინისტრად ადამიანების უფლებების სასტიკი დამრღვევი, მოძალადე და ბანდიტი ახალაია დანიშნა, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წლიურ ანგარიშში ამგვარი იარლიყით მოხვდა. ცხადია, დღეს ჯარი პრეზიდენტს უსაფრთხოებისათვის კი არა, საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის სჭირდება. მდგომარეობა თუ გაურთულდა, სამხედრო დიქტატურის დამყარებასაც შეეცდება. ამას ადასტურებს კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერის — ლინკოლნ მიტჩელის სიტყვები: „ობამას ადმინისტრაციას საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდება სწორედ სააკაშვილის შიდა პოლიტიკის გამო არ სურს“.

მართალია, სააკაშვილს სურს, თავი ომში გამარჯვებულ, ყველასათვის სასურველ და წარმატებულ პრეზიდენტად წარმოგვიდგინოს და არ აცნობიერებს, რომ ამ წლებში მან უდიდესი, უმძიმესი დანაშაულის ტოლფასი შეცდომები დაუშვა, მაგრამ ახლა, ლოგიკური შეფასებით, მისი მმართველობის დღეები დათვლილია, რადგან ყველა მიმართულებით დაღმავალი გზით გვატარა.

და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მისი წინააღმდეგია, ვეღარ ეგუება მის მიერ მოტანილ სიბრმავეს, სიყრუეს, ნიღაბ-როლებს, ხალხი დრტვინავს და მზადაა, ქვეყნის ბატონ-პატრონობას მიაღწიოს, რასაც თან გააყოლებს ოდიოზური პრეზიდენტის პოლიტიკურ ახირებებს.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

საქართველო, უკვე ოცი წელია, ირეალურ და პიარტექნოლოგიებით დაქსელილ პოლიტიკურ გზებზე დახეტიალობს!

მოკლედ

„eBay“-ზე ბირთვული ბუნკერი იყიდება

გაზეთ „The Sydney Morning Gerald“-ის ინფორმაციით, ინტერნეტ-აუქციონ „eBay“-ზე გასაყიდად წარმოდგენილი იყო ცივი ომისდროინდელი ბირთვული ბუნკერი, რომელიც დიდ ბრიტანეთში მდებარეობს. თავშესაფარს საწყის ფასად 29 ათასი დოლარი ედო.

როგორც გაზეთი იუწყება, ამ უცნაური ლოტის გამყიდველი საიტზე წერდა, რომ ეს „ისტორიის ნაწილის შეძენის უნიკალური შესაძლებლობაა“. აღნიშნული ბუნკერი ჯერ კიდევ 1959 წელსაა აშენებული ბრიტანეთის ნაციონალური თავდაცვის უწყების მიერ.

ფლორიდა უმუშევარი რჩება

შრომის ბაზრის კვლევის ორგანიზაცია „Brevard Workforce“-ის მონაცემებით, როგორც კი NASA–ს პროექტი „Space Shuttle“ შეწყდება და აშშ-ის ადმინისტრაცია ახალ კოსმოსურ პროგრამებზე უარს განაცხადებს, ფლორიდას შტატში ერთდროულად კიდევ 23 ათასი ადამიანი დაკარგავს სამსახურს.

კოსმოდრომის დასათვალიერებლად იქ ყოველწლიურად ათიათასობით ადამიანი ჩადიოდა, ტურისტების ნაკადის შეწყვეტის შემდეგ კი რაკეტის სისწრაფით უმუშევრობის მაჩვენებელი „აფრინდება“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ქსანტიპას შესახებ, ანუ სიმართლე პრეზიდენტის ქვრივზე

ვინმემ ან რამემ უნდა გააჩეროს ზვიად გამსახურდიას ქვრივი, უკაცრავად პასუხია და დედაკაცი, რომელმაც ამას წინათ ისეთი რამ იკადრა, რასაც მისგანაც კი არავინ ელოდა — ბარ-ნიჩბით მიადგა საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავს. მაგრამ მოდი თავიდან და დაწვრილებით გავიხსენოთ ყველაფერი, რაც პრეზიდენტ გამსახურდიასა და მის ოჯახს ეხება, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით (ეს იყო ერთადერთი არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მივიღე როგორც ამომრჩეველმა) დაიწყო „მრგვალი მაგიდის“ მმართველობა და მითქმა-მოთქმაც, რომ პრეზიდენტის მეუღლე მანანა, თავის დასთან ლელე არჩვაძესთან ერთად, უხეშად ერეოდა ქვეყნის საკადრო პოლიტიკაში.

როდესაც ირაკლი მენაღარიშვილი ჯანდაცვის მინისტრის პოსტიდან გაათავისუფლეს და მის ადგილზე მანანა არჩვაძის დაქალი, მანანა ძოძუაშვილი დაასკუპეს, ცხადი გახდა, რომ მითქმა-მოთქმა არც თუ უსაფუძვლო იყო.

1991 წლის 9 აპრილს, როდესაც საქართველოს უზენაესმა საბჭომ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, დამოუკიდებლობის აქტის უკვე ხელმოწერილ ისტორიულ დოკუმენტზე, რაღაც მანქანებით, მანანა არჩვაძის ხელმოწერაც დაფიქსირდა, რაც, უპრეცედენტობასთან ერთად, ქართველი ხალხისთვის გაუგონარი შეურაცხყოფა, ამ დოკუმენტის წაბილწვა და საზოგადოებისთვის სილის გაწვნა იყო.

ამის შემდეგ აღარავის არაფერი უკვირდა — მედოლე გახდა პრეფექტი, ნიჭიერი მეზღაპრე უნიჭო მთავარი იდეოლოგი, ხოლო მედუქნის შვილმა საქართველოს დედოფლად დაიგულა თავი, რომელიც თავის სეფე ქალებთან ერთად წყვეტდა, რომელი პრეფექტი თუ მინისტრი უნდა დაენიშნათ ან მოეხსნათ — საქართველოს ეროვნული ხელისუფლება უცილო დაღუპვისკენ მიექანებოდა, რისი მიზეზიც, სხვა მრავალ ობიექტურ გარეშე თუ შიდა ფაქტორებთან ერთად, ერთი სუბიექტურიც იყო — ზვიად გამსახურდიამ ვერ მოახერხა საკუთარი ცოლის ამბიციების მოთოკვა. მარტივად თუ ვიტყვით, „კუხნაში“ ვერ მიუჩინა ადგილი. ჯერ ცოლი დაისვა თავზე და შემდეგ ცოლის დისა და მანანას დაქალის „ტროიკა“ მთელ ქვეყანას დაასვა თავზე, რაც პატრიარქალური აზროვნების, მენტალიტეტის საქართველოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ზვიად გამსახურდიას ბევრი ერთგული ადამიანი დააკარგვინა.

და მოხდა ის, რაც მოხდა — 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენები, რაზეც დღეს, ვისაც არ ეზარება, ყველა ლაპარაკობს, თუმცა სიმართლეს — თითო-ოროლა და ისიც „მოგუდულად“. სიმართლე კი ისაა, რომ არნახული უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი არავინ დაიცვა თბილისში, სწორედ ზემოთქმულის გამოც. ამიტომ იყო, რომ რუსთაველის, ქალაქის ცენტრის იქით, თუ არ იცოდი, ვერ მიხვდებოდი, რომ თბილისში ომი იყო. ამიტომ მოახერხეს ერთმა მუჭა გვარდია-მხედრიონმა ზვიად გამსახურდიას საქართველოდან გაძევება.

გავიდა ხანი, ზვიადი მოკლეს თუ თავი მოიკლა, ამაზე სხვა დროს. პრეზიდენტის ოჯახი თბილისში დაბრუნდა და, ჰოი, საკვირველებავ! მაშინ, როდესაც მანანა არჩვაძის მიტინგებს თემურ მღებრიშვილი არბევდა „ჩურჩხელებით“, პრეზიდენტის უმცროსმა ვაჟმა გიორგიმ მღებრიშვილის სპეცრაზმში ამოყო თავი... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და შევარდნაძის მილიციიდან დაწყებული, მიშას პოლიციით დამთავრებული ყველგან კარგად გრძნობდა თავს. ახლა პოლკოვნიკობას თავი დაანება და დიასპორის სამინისტროში „ზამმინისტრია“...

არ შემიძლია, არ შევეხო ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე გადმოსვენების პერიპეტიებს. გახსოვთ, ალბათ, რომ ამ ქალბატონმა მაშინაც თავისი გაიტანა და კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ქართველ ხალხს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს — იმით გაგულისებულმა, რომ კათოლიკოსმა უარი შეჰბედა ზვიადის ცხედრის სამების ტაძრის ეზოში დაკრძალვაზე, ეგრე არ უნდაო და ზვიადისთვის წესის ასაგებად მომზადებული სამების მაგივრად დემონსტრაციულად კოლხურ კოშკში მიასვენა მეუღლის ნეშტი. მერე იყო და მთაწმინდის მიწას მივაბაროთო, დაითანხმეს, მაგრამ აქაც თავისი უკმეხი ხასიათი გამოავლინა — გინდა თუ არა, ილიას გვერდით უნდა დაიკრძალოსო. ერთი სიტყვით, როგორც იყო მიაბარეს მიწას ზვიად გამსახურდიას ტანჯული ძვლები, მაგრამ ამ დედაკაცის კაპრიზებმა აშკარად ჩრდილი მიაყენა სამგლოვიარო პროცესიას. და ეს ძალიან, ძალიან რბილად არის ნათქვამი.

საზოგადოებას ე.წ. „დიდ ათეულთან“ დაკავშირებული გამოხდომებიც ემახსოვრება ამ ქალბატონისა, როდესაც საპატრიარქოსთან მიტინგებს მართავდა — წმინდანები ამოიღონ ნომინაციიდანო, მას შემდეგ, რაც დაინახა რომ ზვიად გამსახურდიას ილია მართალმა და წმიდა დავით აღმაშენებელმა გადაასწრეს. თითქოს, ან ერთი და ან მეორე წმინდანები რომც არ ყოფილიყვნენ, არათუ ზვიად გამსახურდიას, არამედ სხვა რომელიმე ქართველ მოღვაწეს ჰქონდა შანსი ამ ბუმბერაზებთან გაჯიბრებისა.

რაც შეეხება კოკო გამსახურდიას, შარშანდელი გაზაფხულის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ხელმოცარულ ლიდერს — იგი უეცრად, რატომღაც პარლამენტად წოდებული საქათმის წევრი გახდა და წიკლაურ-ხერხეულიძე-ოჩიაურის გვერდით, ერთ-ერთი საპატიო ქანდარა დაიკავა! ვინმეს სმენია, რომ ან ერთი, ან მეორე ძმა პროტესტის ნიშნად საკუთარი ქანდარებიდან გადმოფრენას აპირებენ? ეგეც იქით იყოს, უბრალო სიტყვაც არ გვსმენია მათგან საკუთარი ძმის, ტუსაღ ცოტნე გამსახურდიას დასაცავად თქმული.

და ამ დროს მანანა არჩვაძე, ზეინაბ ბოცვაძის გმირივით „მონანიებიდან“, ზვიად გამსახურდიას საფლავის თხრას იწყებს. გაგონილა ასეთი მკრეხელობა და ელემენტარული უპატივცემულობა მიცვალებულისა? ამ ქალბატონს არ უნდა, გაიგოს, რომ ქართველმა ხალხმა ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე, როგორც ვინმეს მეუღლეს კი არა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის სტატუსით მიუჩინა ადგილი.

ხელისუფლებისა და პირადად სააკაშვილის ბრალია, რომ თავის დროზე ამ ქალბატონის მთავარი ხუშტური თუ კაპრიზი შეასრულეს; ანუ მაშინ, როდესაც ზვიადის ნეშტის ექსპერტიზა არ ჩატარდა! ამ ქალმა ჯერ სიცოცხლე გაუმწარა ზვიადს და ახლა მკვდარსაც არ ასვენებს საფლავში — დღენიადაგ მიცვალებულის სახელით ეწევა პოლიტიკურ სპეკულაციას.

აქამდე რაც ითმინა საზოგადოებამ, ისიც არ უნდა მოეთმინა და ამ უკანასკნელის პატიება ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია. თუ ეს ქალბატონი შეურაცხადია (ასეთი აზრიც არსებობს), მაშინ?.. თუ არა და, რამენაირად უნდა აღიკვეთოს მთაწმინდის საძვალეში მიწის თვითნებური სამუშაოები — ორივე შემთხვევაში ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა და ეს ის შემთხვევა იქნება, როდესაც ვანოს კანტორის ბიჭებსაც კი ვერავინ დაძრახავს ძალისმიერი ქმედებების გამო!

დაბოლოს: ვისაც ჩემი ნათქვამი გემწარათ, დაფიქრდით, კიდევ ერთხელ გაიაზრეთ — მანანა არჩვაძე-გამსახურდია საქართველოს პირველ პრეზიდენტს, საკუთარი შვილების მამის ნაწამებ არა ერთგზის და არა ერთ ადგილას დამარხულ-გადასვენებულ ცხედარს მიწიდან თხრიდა! ეს ქალი მკვდარს საფლავიდან თხრიდა!

გაიაზრეთ?! ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ, თუკი მკვდარს ასეთ დღეში აგდებს, სიცოცხლეში რა დღეში ჩააგდებდა და როგორ გაამწარებდა...

დავით მხეიძე

P.S. ბერძენი ფილოსოფოსის — სოკრატეს ცოლის, ქსანტიპას სახელი ისტორიაში შევიდა როგორც უარყოფითი ადამიანისა, სულელი და კაპასი ცოლისა. მითი ქსანტიპას სიანჩხლეზე მომდინარეობს ქსენოფონტის ნაწარმოებიდან „პიფი“, რომელშიც ქსანტიპა წარმოდგენილია როგორც ფილოსოფიური ანტიპოდი და სრული საპირისპირო პიროვნება ბრძენი სოკრატესი.

ქსანტიპამ სახელი გაითქვა თავისი სამარცხვინო ქმედებებით. მართლაც, მას ისეთი საშინელი და მძიმე ხასიათი ჰქონდა, ისეთი უხეში იყო, რომ მხოლოდ თავაზიან და კეთილშობილ სოკრატეს თუ შეეძლო მისი ატანა.

ერთხელ გაკაპასებულმა სანტიპამ ქმარს თავზე ვედრით ნარეცხი წყალი გადაასხა. საამისოდ ამ გათახსირებული დედაკაცისთვის მიზეზი ძნელი მოსაძებნი არ იყო. სოკრატე კი ყოველთვის დიდსულოვნად ხვდებოდა მის გამოხდომებს. ერთხელ ხალხმრავალ ბაზარში უსაქმოდ მოხეტიალე ქმარს ქსანტიპამ ლაბადა შემოახია. ამის მხილველი სოკრატეს მეგობრები აღშფოთდნენ და ბრძენს ადანაშაულებდნენ, მოუწოდებდნენ, ჭკუა ესწავლებინა საზიზღარი ალქაჯისათვის, რათა ქმრისათვის პატივი ეცა.

ამ ქალისთვის ძალიან ძნელი იყო იმ მიზნებში ჩაწვდომა, რაც მის ქმარს ცხოვრებაში ჰქონდა დასახული. ქსანტიპამ, მართალია, თავისი სახელგანთქმული ქმრის სიბრძნიდან ვერაფერი სარგებელი ნახა, მაგრამ ყოველთვის მისი ერთგული იყო და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც არ მიუტოვებია.

მოკლედ



უსაქმური ბაიდენი

„ვიცეპრეზიდენტობა ადვილია, საერთოდ არაფრის კეთება არ გიწევს,“ — ამბობს გაუფრთხილებელი გამონათქვამებით ცნობილი ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ტელეარხ „C-SPAN“-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში.

ამის შემდეგ მისი წარმომადგენლები სულ ვიცე-პრეზიდენტის დატვირთულ გრაფიკებს აფრიალებდნენ, რომ როგორმე დაემტკიცებინათ, ბაიდენმა იხუმრაო. ვიცე-პრეზიდენტი ამერიკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მეორე პირია და, პირველის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი შეცვლა ევალება.

ბერძნები გერმანელებს გაეფიცნენ

საბერძნეთის მომხმარებელთა ერთ-ერთმა უმსხვილესმა კავშირმა „Inka“-მ მოსახლეობას გერმანული საქონლისათვის ბოიკოტის გამოცხადებისაკენ მოუწოდა. საბერძნეთი მოითხოვს, გერმანულმა ხელისუფლებამ ბოდიში მოიხადოს და საჯაროდ გაკიცხოს პოპულარული ჟურნალი „FOCUS“-ი, რომლის გარეკანზეც აფროდიტეს ქანდაკება შუა თითის კომბინაციითაა წარმოდგენილი. „Inka“-ს განცხადებით, საბერძნეთში ცივილიზაცია მაშინ არსებობდა, როდესაც გერმანელები „ხეებზე დაძვრებოდნენ“.

გერმანია საბერძნეთს არ დააფინანსებს

გერმანიასა და საბერძნეთს შორის ატეხილი ახალი დიპლომატიური სკანდალი ნელ-ნელა ღრმავდება და, მიუხედავად იმისა, რომ საბრძნეთის კრიზისი მთელ ევროპას ჩათრევით ემუქრება, სახელმწიფო ფინანსირების უმსხვილესი გერმანული ბანკები ბერძნებისთვის დახმარების გაწევასა და მათი ფასიანი ქაღალდების შეძენაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. ახლა საბერძნეთისა და მასზე ჯაჭვური რეაქციით მიბმული ევროპის ქვეყნების გადარჩენა მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გაცემულ სესხს შეუძლია.

გერმანიის ბიუჯეტი კრიზისშია

გერმანიის სახელმწიფო ვალმა 2009 წელს 79,3 მილიარდი ევრო, ანუ საერთო შიდა პროდუქტის 3,3% შეადგინა, ეს კი ევროკავშირისათვის ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვებ 3%-იან ზღვარს სცილდება. დავალიანების ზრდა გადასახადების გადახდის მაჩვენებლის შემცირებამ და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის სტიმულირების პროგრამებმა განაპირობა. მიუხედავად ყველაფრისა, გერმანიას ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად უკეთესი მდგომარეობა აქვს, თუმცა ანალიტიკოსები თვლიან, რომ წელს დეფიციტი 5%-ს გადააჭარბებს.

გაზის ექსპორტი გაორმაგდა

2010 წლის იანვარში, 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსეთის ბუნებრივი გაზის ექსპორტი 2,2-ჯერ გაიზარდა და 19,6 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა. გაზის მოპოვება 64,1 მილიარდ კუბურ მეტრს გაუტოლდა, რაც შარშანდელი იანვრის მაჩვენებელს 17,3%-ით აღემატება. შარშან ექსპორტი უკრაინასთან კონფლიქტისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო მკვეთრად შემცირდა. რუსეთი მსოფლიოში გაზის უმსხვილესი ექსპორტიორია და ამ საწვავის უდიდეს მარაგს ფლობს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ის, რაც 13 წლის წინათ ითქვა

წერილი მესამე

წინა პუბლიკაციაში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“, №7) შევეცადეთ, გადმოგვეცა პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას არგუმენტირებული პოზიცია, რომ, განვითარების ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ერთმანეთს გავუტოლოთ ლიბერალური დასავლური სამყაროს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები ჩვენსას — ქართულს. დღეს ამ თემაზე გავაგრძელებთ საუბარს.

ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც ასეთი გაუცხოების საფუძველია, ნებისმიერი ხერხით გამდიდრების პრინციპია. ვერ მიიღო და არც ჰქონდა სურვილი ქართულ ეროვნულობას გაეთავისებინა მომხვეჭელობის პრიორიტეტი, იგი არასოდეს ყოფილა ხალხის „ცნობიერების მთავარი ფასეულობა“.

ეს პრობლემა ზნეობრიობის სივრცის ჩარჩოებს სცილდება და იმის გამო, რომ „ფულის შოვნის“ ნიჭით ღმერთს არ დავუჯილდოვებივართ და ვერცა ვფლობთ ამ საქმის კეთების „უნარ-ჩვევებს“, იმ პირობებში, როცა ეს პრინციპი სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აღზევებული, მხოლოდ დამღუპველია.

„საქართველოში ამ პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში, —გვაფრთხილებს მეცნიერი, — მატერიალური სიმდიდრე სხვადასხვა დიასპორის ხელში აღმოჩნდება, როგორც ეს საბჭოთა პერიოდამდე იყო“.

ასეთ დასკვნამდე მივიდა ავტორი 13 წლის წინათ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, უწინარეს ყოვლისა, 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომ აღნიშნულმა საფრთხემ ერთგვარად იცვალა ეროვნული შეფერილობა: მატერიალური სიმდიდრე, ზღაპრული გველეშაპივით შთანთქა ეროვნულმა ელიტამ, უფრო ზუსტად — ამ მაღალი ფუნქციის შესრულების პრეტენზიის მქონე სახელისუფლო ფენამ ელიტარული კორუფციის წყალობით.

პრინციპულად არაფერი შეცვლილა: ღარიბნი და ღატაკნი კიდევ უფრო გაღარიბ-გაღატაკდნენ, ბობოლათა კორუფციის ნათლიმამები კი ველარ ეტევიან გაზაფხულზე ამოწვერილი ლორთქო ბალახისფერი სპორტული შარვლების უგემოვნობაში.

მაშასადამე, ერი — არა, კატეგორიულად არა, სახელისუფლო ელიტა — რატომაც არა — მიუახლოვდა (ეგებ, გაასწრო კიდეც?) დასავლურ მსოფლმხედველურ პრინციპს — „გავმდიდრდეთ ნებისმიერი ხერხით!“

ალექსანდრე ჭაჭიას მსჯელობასა და დასკვნებში დაკვირვებული მკითხველი ვერ შეამჩნევს ეროვნული მენტალიტეტების დაპირისპირების მცდელობას კარგისა თუ ცუდის გამოყოფის მიზნით, მჯობნის მჯობნეობის რაიმე ნიშანწყალს. იგი განსხვავებულობას აღიქვამს როგორც ისტორიულ მდგრადობასა და სიმყარეს ამა თუ იმ ერისთვის დამახასიათებელს, მაგრამ შეფასების, მით უფრო — გაკრიტიკების უფლებას არ აძლევს საკუთარ თავს. ეს მისი მეცნიერული კეთილსინდისიერების უცვლელი კრედოა.

დასავლური საზოგადოება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კერძო პირთა საზოგადოებაა. ქართული საზოგადოება კი ისტორიულად ოჯახის პრინციპით ყალიბდებოდა, რომლის წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთპასუხისმგებლობით გამსჭვალული ადამიანები არიან.

მაგრამ განსხვავება არსებობს და ამას ვერსად გაექცევი.

ერთი მაგალითი: „ჩვენ, — აღნიშნავს ავტორი, — არ შეგვიძლია მივიღოთ ოჯახის ფუნქციის, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ამერიკული გაგება... **ამერიკელებს ოჯახურ ურთიერთობათა საფუძველშიც კი ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი უდევთ. კარგია ეს თუ ცუდი? მათთვის კარგიცაა და სწორიც, მაგრამ ქართველებისთვის ნამდვილად მიუღებელია. სწორად გამიგეთ: იმიტომ კი არა, რომ ისინი ცუდები არიან, ჩვენ კი — კარგები, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვები არიან“.**

მე მგონი, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

განსხვავებულობა საზოგადოების ჩამოყალიბების პრინციპში დევს.

ალექსანდრე ჭაჭიას კონცეფციით, **დასავლური საზოგადოება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კერძო პირთა საზოგადოებაა. ქართული საზოგადოება კი ისტორიულად ოჯახის პრინციპით ყალიბდებოდა,** რომლის წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთპასუხისმგებლობით გამსჭვალული ადამიანები არიან.

განსხვავება გამოიკვეთა: თავისებურება, სპეციფიკა, რაც ისტორიული სიმყარეა, საფუძველი და არა სახელდახელოდ შეთითხნილი „პოტიომკინის სოფელი“.

ამიტომ მიიჩნევს პოლიტოლოგი, რომ **„საქართველო განვითარების საკუთარ ისტორიულ ტრაექტორიას უნდა მიჰყვეს, საკუთარი სოციოკულტურული თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს ეროვნული სპეციფიკა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შემუშავებული ტრადიციები, ზნეობრივი ნორმები“.**

ასეთი მიდგომა, და ეს ხაზგასასმელია, არ ნიშნავს ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვას. იგი, როგორც აუცილებელ მომენტს, გულისხმობს სიახლეთათვის კარის გაღებას, მაგრამ ეს სიახლე ყოველთვის უნდა იყოს ისეთი, რაც ხელს შეუწყობს ხალხის ცხოვრების ხარისხის ამაღლებას და (კვლავ ხაზგასმით) — არ მოსპობს, არ შერყვნის ეროვნულ თავისებურებას.

რატომ არ შეუძლია ჩვენს საზოგადოებას იცხოვროს საზოგადოებრივი ფუნქციონირების დასავლური პრინციპების შესაბამისად?

ამ კითხვას ავტორი ასე უპასუხებს: „იმიტომ, **რომ ჩვენთან ისტორიულად ვერ ჩამოყალიბდა სოციალ-დარვინიზმის ტრადიციები, კონკურენციისადმი მიდრეკილება, პრაგმატიზმი როგორც ეროვნული თვისება“.**

იგი მიიჩნევს, რომ კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მსოფლიო ცდილობს, დაუბრუნდეს ტრადიციებს, სადაც არა აქვთ, იქ ქმნიან ტრადიციებს, „ჩვენ კი შესაშური მონდომებით ვანადგურებთ საკუთარ ტრადიციულ საზოგადოებასა და მის შექმნილ ფასეულობებს“.

საკუთარი ქვეყნის მიმართ ასე კრიტიკულად განწყობილ მკვლევარს აქვს უფლება, ასეთივე კრიტერიუმით შეაფასოს სხვა ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური მისწრაფებანი, რასაც იგი აკეთებს კიდეც. მაგრამ ამასაც უმწიფარ ქართველ პოლიტიკოსთა „მოღვაწეობის“ თვალთახედვით განიხილავს, რომლებიც პროვინციული აღფრთოვანებით შეჰყურებენ დასავლეთს, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კერას.

ასეთი ცალმხრივი შეხედულების გასაბათილებლად ალექსანდრე ჭაჭია იმოწმებს აშშ-ის აგრესიული პოლიტიკის იმ პერიოდისთვის ცნობილ მაგალითებს, რომლებიც შეიძლება დღეის გადასახედიდან მოძველებულიც კი არის, მაგრამ მას შემდეგ განვლილმა დრომ რაოდენობრივად უფრო გაზრდილი და აგრესიულობით უფრო გამორჩეული მოვლენებით გაამდიდრა უახლესი ისტორია: ავღანეთი, ერაყი, ბალკანეთი, „ფერადი რევოლუციები“ პოსტსაბჭოთა სივრცეში და ა.შ. მოწმობს, თუ ვინ ცდილობს მსოფლიოში საკუთარი გავლენის განვრცობას ძალისმიერი მეთოდებით, შეიარაღებული ინტერვენციის გზით.

დავუმატოთ ამ ტაქტიკას ერის, ცალკეული პიროვნებების შეფასების აშშ-ში მიღებული პრაქტიკა და, რაც უარესია, ე. წ. მეორეხარისხოვანი ერების შეფოფინება ყოველივე ამერიკულისადმი და მივიღებთ ერთპოლუსიან მსოფლიოში ერთადერთი სუპერსახელმწიფოს მიერ პრაქტიკული დამკვიდრების მეთოდების მრავალფეროვან თაიგულს.

წამბაძველობის, ანუ ტოტალური იმიტაციის დამკვიდრებამ ქართულ საზოგადოებრიობაში, რაც სახელმწიფო სტრუქტურების ენერგიული მცდელობითა და უხვად დაფინანსებული პროგრამებით ხორციელდება, ჯერ კიდევ მაშინ, 13 წლის წინათ, გაუჩინა ქართველებს არასრულფასოვნების კომპლექსი. მოსკოვში, სტამბოლსა თუ ბერლინში ისინი უკვე მეორეხარისხოვნებად თვლიან თავს, მაგრამ ეს, როგორც მკვლევარი შენიშნავს, **„ეროვნული ფსიქიკის შეცვლის პროცესის მხოლოდ დასაწყისია.**

შემდეგი ეტაპი იქნება ქართველების მიერ საკუთარი მეორეხარისხოვნობის შეგნება ჩვენსავე სამშობლოში. სწორედ აქეთკენ მიჰყავს ჩვენი ხალხი ახლანდელ რეჟიმს“.

„დასავლური საზოგადოება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კერძო პირთა საზოგადოებაა. ქართული საზოგადოება კი ისტორიულად ოჯახის პრინციპით ყალიბდებოდა, რომლის წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთპასუხისმგებლობით გამსჭვალული ადამიანები არიან.

დღეს ნებისმიერი ექსპერტი დაგიდასტურებთ, რომ **ალექსანდრე ჭაჭიას ეს პროგნოზი ჩვენი ცხოვრების რეალობად არის ქცეული,** სამწუხარო რეალობად. ხელისუფლების ანტიეროვნული ნაბიჯები, რასაც „საბჭოთა წარსულთან ბრძოლის“ ლოზუნგით ამართლებენ, ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ძეგლების ნგრევა-გადატანის კამპანია, რაც ხატმებრძოლების ენთუზიაზმით ხორციელდება, ქართული მართლმადიდებლობის, ეკლესიის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული „გიჟთა გინებანი“, რომლებიც ხელისუფლების მიერ არის ფარულად ორგანიზებულ-წახალისებული, ღუპავს ეროვნული ზნეობის პოტენციალს.

„პროდასავლური ორიენტაცია“, ჩვენდა საუბედუროდ, გაგებულია, როგორც ყოველგვარი სიმდაბლის, გამონაკლისად ნეგატიურის გადმოღება, რაც „ქართული ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ქცევის ნორმების, ზნეობის განდევნის ხარჯზე ხდება“, — აღნიშნავს ალექსანდრე ჭაჭია და, თითქოს დღესააო ნათქვამი, დასძენს: **„მთელი პროპაგანდა მიმართულია წარსულის უგულებელყოფაზე, წინა თაობებისა და მათი მოღვაწეობის დაცინვაზე. ტელევიზია საშინელი არაპროფესიონალიზმის ღრმა პროვინციალიზმით, დასავლური მასობრივი კულტურის უარესი ნიმუშებისადმი სასაცილო და ამაზრზენი მიბაძვით რყვნის ახალგაზრდობას, ღუპავს ეროვნული ზნეობის პოტენციალს“.**

ავტორი სკეპტიკურად აფასებს რუსეთის „დასავლური ორიენტაციის“

გზასაც, ამ კურსს დამღუპველად მიიჩნევს, როგორც რუსეთის სახელმწიფოებრიობისათვის, ასევე რუსი ხალხისათვის. რა არის ამ ნეგატივიზმის საფუძველი? ის, რომ იგი „არ მიჰყვება მისთვის დამახასიათებელ გზას და უარყოფს საკუთარ ისტორიულ სახეს“...

ამ საინტერესო პარალელით ალექსანდრე ჭაჭია ხაზგასმით გვეუბნება, რომ მიმბაძველობა, იმიტირება, გადმოღება სხვათა ცხოვრების წესის, ერთნაირად დამღუპველია დიდი და მცირე ერებისთვის, რადგან ის სხვა, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ ილტვის, სწორედ ამ გზითა და საშუალებით ცივილიზაციის სანაგვედ აქცევს ორივეს. ამ ტენდენციისგან უნდა გათავისუფლდეს კაცობრიობის სამომავლო სივრცე და არეალი.

„პროდასავლური ორიენტაცია“, ჩვენდა საუბედუროდ, გაგებულია, როგორც ყოველგვარი სიმდაბლის, გამონაკლისად ნეგატიურის გადმოღება, რაც „ქართული ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ქცევის ნორმების, ზნეობის განდევნის ხარჯზე ხდება“

ნიშანდობლივია, რომ მკვლევარს ყურადღებიდან არ რჩება ისეთი, თითქოს მეორეხარისხოვანი, ტენდენცია, რომლის ძალითაც **სუბიექტი მხოლოდ შემოსავლის მიღებაზეა ორიენტირებული.** ამით დევალვირებული ტრადიციული ნორმატივები, ქცევის წესები და სულიერი ფასეულობანი კარგავს ორიენტირების მნიშვნელობას საერთოდ საზოგადოებისთვის, კერძოდ, ახალგაზრდობისთვის, რაც ბოლოს და ბოლოს **„საზოგადოების კრიმინალიზაციის ან ფაშიზაციის იმპულსად შეიძლება იქცეს“.**

ასეთი დასკვნა ისტორიულ რეალობიდან ამოდის, იმ რეალობიდან, რომელსაც დღეს დასავლეთში გვერდს უვლიან, მაგრამ, რომელიც არსებობს, როგორც ისტორიული სიმყარე. საქმე ისაა, რომ **„1920-1945 წლებში თითქმის მთელი ევროპა, ეს „დასავლური ცივილიზაციის ცენტრი“,** ფაშიზმით იყო ავად. ქვეყნების უმრავლესობაში იყო ფაშისტური ან ნახევრად ფაშისტური რეჟიმები, საკუთარი ფაშისტი დიქტატორებითურთ: მუსოლინი — იტალიაში, სალაზარი — პორტუგალიაში, ფრანკო — ესპანეთში, პეტენი — საფრანგეთში, ჰიტლერი — გერმანიაში, კორდენაუ და შემდეგ ანტონესკუ — რუმინეთში, ხორტი — უნგრეთში, პაველიჩი — ხორვატიაში, ტისო — სლოვაკეთში, რასისტი პილსუდსკი — პოლონეთში და ა.შ. აგრესიულობითა და სიძულვილით ეს რეჟიმები ჰიტლერისეულს არ ჩამოუვარდებოდნენ“.

ისტორიის „გამაკეთილშობილებელთა“ მცდელობით, 13 წლის წინათ შეიმჩნეოდა „საბჭოთა ანტისემიტიზმის“ „გაპიარების“ აქტიური ნიშნები. ზემოთ მოხმობილი ისტორიული პერიოდის ფაქტებისა და მოვლენების მიჩუმათების ხარჯზე მიღებული არ იყო, ახლა მით უფრო „არ ახსოვთ“, „როგორ ანადგურებდნენ, მაგალითად, ხორვატიის უსტაშები 1941 წელს სერბებს, თანაც ისეთი სისასტიკით, რომ ამას მუსოლინის ჯარიც კი ეწინააღმდეგებოდა. უნო-ს ნაწილებმა უკრაინაში დახოცეს თითქმის მილიონი ებრაელი, ებრაელ ბავშვებს ცოცხლად აძრობდა ტყავს რუმინეთის „რკინის გვარდია“ და ა.შ.

არ ახსოვთ, იმავეს კი აკეთებენ დღევანდელი კოსოვოს ჩრდილოეთით, ხორვატიაში...

ალექსანდრე ჭაჭია ასკვნის: **„დასავლური საზოგადოების არსებობის პრინციპების ბრმა, ხელოვნური გადმოღებით, ჩვენთვის უცხო ორიენტაციებისა და ღირებულებებისადმი მიბაძვით ჩვენ ამერიკელები მაინც ვერ გავხდებით, მაგრამ ქართველობას კი დავკარგავთ“.**

არმაზ სანებლიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ეს წერილი ქართული განათლების ვაირეფორმატორებს იძულების წესით უნდა წააკითხო!

ვინ და რატომ ნერგავს საგანმანათლებლო აპოკალიფსს?!

წინამდებარე პუბლიკაცია პარიზის, პიერ და მარია კიურების სახ. უნივერსიტეტში მოღვაწე რუსი პროფესორის, ვიქტორ დოცენკოს წერილის გაგრძელებაა და აქ წერილის ორი ნაწილია გაერთიანებული. რუსი პროფესორი წერილის ამ ნაწილში გვაცნობს ფრანგი სტუდენტების მიდგომას ცოდნის დაუფლების მიმართ, ფიზიკის სწავლების მეთოდებისა და სასწავლო პროგრამების ალოგიკურობას, საუბრობს უნივერსიტეტის პედაგოგთა ცოდნის დონეზე და, რაც ყველაზე საინტერესოა, იმაზე, თუ რა ტიპის საზოგადოება მიიღება განათლების სისტემის იმგვარი რეფორმებით, რომლშიც დასავლეთში XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარდა. ამ წერილისადმი ასეთი ინტერესი კი განსაზღვრულია იმ სავალალო შედეგებით, რომელსაც საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის ჩატარების შემდეგ ყოველდღიურად ვიმკით და მომავალშიც მოვიმკით.

პარიზის უნივერსიტეტის პირველ კურსზე, ფიზიკასა და მათემატიკაში ასწავლიან იმას, რაც აბიტურიენტებმა BAK-ის დროს (ერთიანი სახელმწიფო გამოცდები) ჩააბარეს (ქართული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზეც იგივე ხდება, რადგანაც სათანადო ცოდნის საფუძვლების არქონის გამო, პირველკურსელები ვერ ძლევენ უმაღლეს მათემატიკასა და ფიზიკას. — დ.ქ.). ეს ხდება იმისთვის, რომ, ბოლოსდაბოლოს, ასწავლონ, როგორც საჭიროა.

„იმ 250 სტუდენტიდან, რომელთაც მე უნივერსიტეტში მოღვაწეობისას ვასწავლიდი, – მოგვითხრობს ავტორი, *– ვერც ერთმა ვერ მიპასუხა, sin 30 რატომ უდრის C -ს; უფრო მეტიც, ისინი თვლიან, რომ ასეთ კითხვას აზრი არ აქვს, რადგანაც, რისი ტოლია სინუსები და კოსინუსები, ეს არის მოცემულობა, რომელიც მათ სკოლაში დაიმახსოვრეს და რომელსაც უნივერსიტეტშიც იმახსოვრებენ....*

მე უკანასკნელ ძალებს ვხარჯავ, რათა დავანახო მათ, რა კავშირი აქვს მათემატიკას ჩვენს სამყაროსთან, რომელშიც ვცხოვრობთ, ყოველნაირად ვცდილობ, გავხადო ჩემი მონათხრობი საინტერესო, ისინი კი მიყურებენ, როგორც ვიღაც ჩერჩეტს და მოთმინებით ელოდებიან იმ წუთს, როდესაც მე ვიტყვი – რა უნდა დაიმახსოვრონ.

ფიზიკის სწავლების მეთოდიც ასეთია, მაგ.: ისინი იმახსოვრებენ, როგორ გამოიხატება გრავიტაციული მატრიცა კგ-ში, წმ-ში და მეტრებში ისე, რომ თვით გრავიტაციული მუდმივას თაობაზე წარმოდგენაც კი არ აქვთ...

როგორ არის გაერთიანებული ფიზიკის ერთ სასწავლო კურსში ფიზიკის სხვადასხვა ნაწილები, ამის საილუსტრაციოდ პროფესორი აკეთებს ანალოგიას – *ეს იმას ჰგავს, ლიტერატურის საპროგრამო კურსი ასე რომ შევადგინოთ: 1. ჩეხოვის შემოქმედება; 2. მე-19, მე-20 საუკუნეების რუსი და საბჭოთა მწერლების შემოქმედებების ლინგვისტური ანალიზი; 3. „Слово о полку Игорове“; 4. პლატონოვის შემოქმედება და მორჩა; რაც შეეხება სტუდენტებს, რომლებიც არიან „სუპერ-ყველაზე-ყველაზე“, აქ სიტუაცია ასეთია – მათ წილადებშიც ყველაფერი წესრიგში აქვთ, ალგებრაც მშვენივრად იციან. ისინი არიან ძალიან მიზანმიმართულები, შრომისუნარიანები და შემსრულებლები, მაგრამ ერთი უბედურება ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ ფიქრი, რაიმეს შესწავლა, დამახსოვრება* — რამდენიც გინდათ. ადამიანის ორგანიზმის ეს ფუნქცია მათ მთლიანად ატროფირებული აქვთ.

უნივერსიტეტში ჩემი მოღვაწეობის მანძილზე, არ შემხვედრია ასპირანტი, რომელსაც შეუძლია გაუსის ინტეგრალის ამოხსნა და საერთოდ, იცის, ეს რა არის. ეს კი იმას ჰგავს, რომ დისერტაციას წერდე ბუნების ადგილზე პუშკინის შემოქმედებაში და არ იცოდე, რას ნიშნავს სინონიმი.

მე პირველ კურსელებთან მუშაობა ყოველთვის უფრო მომწონს, რადგან აქ იმედი მაინც მაქვს, რომ რაიმეს ვასწავლი... ძალიან მეცოდება ეს ბავშვები. წარმოიდგინეთ, წლიდან წლამდე დაზეპირება მთელი ამ ბოდვისა. ყველაფერს ვერც დაიზეპირებ. წარმოიდგინეთ სტუდენტი, რომელმაც იცის მთელი გამრავლების ტაბულა ზეპირად, მაგრამ შეიძლება არ იცოდეს, რისი ტოლია 6X7-ზე (შეიძლება იმ დღეს, როდესაც მასწავლებელმა ეს ინფორმაცია დასაზეპირებლად მისცა, ის ავად იყო და გაკვეთილი გააცდინა). ყოველივე ამის შემდეგ, თქვენთვის, ალბათ, ცხადია, რომ 3/6 შეიძლება ტოლი იყოს არა მხოლოდ 1/3-ის, არამედ — რისაც გინდათ, თუ გნებავთ, ამას შეიძლება „არითმეტიკის მეხუთე წესი“ ვუწოდოთ.

ასე რომ, რამდენსაც ვიტყვით, იმდენი იქნება.

მე არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს საგანმანათლებლო „აპოკალიფსი“, შეიძლება 10, შეიძლება ნაკლები წელი, მაგრამ ცხადია, რომ სკოლებში უკვე მოვიდნენ „ახალი თაობის“ მასწავლებლები – ასეთი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და ამას მე ვხედავ ჩემი სტუდენტების ცოდნის მიხედვით.

რაც შეეხება ჩემს კოლეგებს – პროფესურას, არითმეტიკაში მათ ყველაფერი წესრიგში აქვთ. ეს განათლებული თაობაა. მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც ასეთი საყოველთაო ბარდაგია განათლებაში, თაყვანდებიან არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ პედაგოგებიც. ეს, ეტყობა, ბუნების გარდაუვალი კანონია, გარყვნილება რყვნის...

ერთი მაგალითი: სასემესტრო საკონტროლო სამუშაოსთვის ერთმა პედაგოგმა ამოცანა შეადგინა (ასეთ ამოცანებს რუსეთში მე-7, მე-8 კლასელები ხსნიან) და ის პედაგოგებს გააცნო. პედაგოგები, რომელთაც სტუდენტთა ნამუშევრები უნდა შეემოწმებინათ, დიდხანს ბჭობდნენ იმის თაობაზე, მიეცათ თუ არა ასეთი რთული ამოცანა. ბოლოსდაბოლოს რისკზე წავიდნენ და გადაწყვიტეს, ვინც ამოხსნიდა, პრემიით დაეჯილდოვებინათ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ, როდესაც ამოცანის ავტორმა ამოხსნა გაგვაცნო, მე აღმოვაჩინე, რომ ის არ იყო სწორი და ეს აზრი ხმამაღლა გამოვთქვი. სხვა პედაგოგებმა კი მითხრეს – არ ღირს ნერვიულობა, მაინც ვერ ამოხსნიან. ისინი მართალნი გამოდგნენ. 150 სტუდენტიდან ამოცანა მხოლოდ ორმა ჩინელმა ამოხსნა. ჩემს პირველკურსელებს ამოცანისთვის ხელიც არ უხლიათ. აგრეთვე, გამაოგნებელი იყო პასუხების სპექტრი. ის 104 კმ.-სა და 108 500 კმ-ს შორის განთავსდა. ამოცანა კი მოითხოვდა საჰაერო ბუშტის აშვებისა და დაშვების წერტილებს შორის მანძილის გამოთვლას და ამისათვის ყველა მონაცემი ცნობილი იყო. აღსანიშნავია, რომ პასუხი 108 5000 კმ. 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე დედამიწის რადიუსი.

მკითხველი, ალბათ, დასვამს კითხვას — როგორ შეიძლება ეს ყოველივე ხდებოდეს?! საფრანგეთი ხომ მაღალგანვითარებული, კულტურული ქვეყანაა, ის ხომ ერთ-ერთია მთავარ მეტრთაგან, როგორც თეორიულ ფიზიკასა და მათემატიკაში, ასევე მაღალ ტექნოლოგიებში. ეს ხომ ქვეყანაა, სადაც, რუსული გაგებით, „ყველაფერი კარგადაა“. ბოლოსდაბოლოს, სად წავიდა სახელგანთქმული ფრანგული სკოლა „ბურბაკი“ და საერთოდ, რა შუაშია აქ ერთიანი სახელმწიფო გამოცდები? „ბურბაკი“ არსად არ წასულა. ის ფუნქციონირებს, განაგრძობს ნიჭიერი ადამიანების შეწოვას, მაგრამ ამ სკოლის შიგნით რა ხდება, გარეთ მყოფებმა არ იციან.

„ბურბაკის“ მათემატიკური ტრადიციები მაინც დარჩა ფრანგულ საზოგადოებაში, მაგ.: ერთმა ჩემმა სტუდენტმა განტოლების ამოხსნის ნაცვლად, მთელი გვერდი გაავსო მსჯელობებით. ამ ტიპის განტოლებათა ამოხსნის სიმრავლეთა სტრუქტურისა და ხასიათის შესახებ. განტოლება კი ამოუხსნელი დარჩა. ***კარგად არის ცნობილი, როცა სწავლებიდან, რწმენიდან და მეცნირებისგან მიდის სული, რჩება მხოლოდ ფორმალური რიტუალი: მარაზმი.***

მე ვფიქრობ, ყოველივე ეს გაგრძელდება მხოლოდ რაღაც დრომდე. ჯერ ერთი, ეს კატასტროფა განათლებაში არც ისე დიდი ხანია რაც დაიწყო და როდესაც ლაპარაკობენ ჭკვიან და განათლებულ ადამიანებზე, ეს საზოგადოების ძალზე მცირე ფენაა (რომელსაც ფაქტობრივად ემყარება ყველაფერი). ეს ხანში შესული ადამიანები, წარმავალი „დინოზავრები“ არიან. ამ ფენის შევსება ამჟამად არ ხდება, ან ხდება რუსებისა და ჩინელების ხარჯზე. გარდა ამისა არსებობს სრულიად განსხვავებული აზრი ყოველივე იმაზე, რაც განათლებაში მოხდა. ეს საკმაოდ ცინიკური აზრია თანამედროვე საზოგადოებაზე. ეს აზრი შემდგომში მდგომარეობს – ფრანგული განათლების მდგომარეობა სულაც არ არის კატასტროფული, პირიქით, ყველაფერი სწორად ვითარდება. **საქმე ის არის, რომ თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებას სჭირდება კარგი შემსრულებლები, შემოქმედი, მოაზროვნე ადამიანები.**

ამიტომ მთელი განათლების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს კარგი შემსრულებლების აღზრდასა და განვითარებაზე, ხოლო ფიქრისა და აზროვნების სწავლება თანამედროვე ახალგაზრდობისთვის სულ არ არის საჭირო, ეს მხოლოდ ავნებს მათ პროფესიონალურ საქმიანობას. რაც შეეხება მას, ვინც ნიჭიერია, ის თავად გაიკვლევს გზას...

ვინც ამ სისტემაში ვერ ჯდება, მათთვის არსებობს საქმიანობის სხვა სახეები – ქუჩების დაგვა, სალარო აპარატები სუპერმარკეტში, კონვეიერები ქარხნებში და სხვ...

„ჩემთვის, – წერს პროფესორი, – თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე ასეთი შეხედულება მიუღებელია. **ასეთ სისტემაში ტალანტები ვერსად გაიკვლევენ გზას (უბრალოდ იმიტომ, რომ მათ ვერავინ ასწავლის)** და მაშინ ადამიანები, უფრო სწორად კი „რობოტშემსრულებლები“, ძალიან სწრაფად დაივიწყებენ „დიდებული პირამიდების“ შენებას“.

ახლა, ალბათ, ცხადია, რა შუაშია აქ, ერთიანი სახელმწიფო გამოცდა. **როდესაც ადამიანები იმის ნაცვლად, რომ იფიქრონ და შვილებსაც ასწავლონ ფიქრი, ცდილობენ, ყველაფერი დაიყვანონ ალგორითმებსა და ჩლუნგ ტესტებზე, ბოლოს დგება საყოველთაო დაჩლუნგების მომენტი.**

შესაძლოა, ყველა ეს ერთიანი სახელმწიფო გამოცდები (BAK) და ყოველგვარი ტესტები სხვა არაფერია, თუ არა განვითარებული საზოგადოების „აზროვნების რადიკალური გამარტივების“ შედეგი (და არა მიზეზი). ჩემს ახალგაზრდობაში ერთიანი სახ. გამოცდების მსგავსი გამოცდები ტარდებოდა მხოლოდ სამხედრო კათედრაზე, რაც სრულიად გასაგები იყო: „ხელმძღვანელის ბრძანება არის კანონი დაქვემდებარებულთათვის“ და მორჩა. აქ ფიქრი მართებულიც არ იქნება. ამჟამად სწავლების ასეთი სტილი, როგორც ჩანს, საყოველთაო ხდება. მე კი ვთვლი, რომ სჯობს იყოს კორუფცია, ვიდრე შემსრულებელი რობოტი იდიოტების კრისტალურად სუფთა საზოგადოება; თუმცა ვფიქრობ, რომ რუსეთს ამ მხრივ სერიოზული არაფერი ემუქრება, რადგანაც ჩვენთან მუდმივად კვდებიან, როგორც კარგი წამოწყებები, ასევე, საბედნიეროდ, იდიოტურიც...

დალი ქვირია

P.S. იმისათვის რომ დავასკვნათ, რამდენად ახლოსაა ჩვენი საზოგადოება პროფესორ ვიქტორ დოცენკოს მიერ დახატულ სურათთან, დიდი და სერიოზული კვლევებია ჩასატარებელი, თუმცა ჩვენი საზოგადოების განვითარების ვექტორსაც რომ იგივე მიმართულება აქვს, მგონი, საუბედუროდ, უკვე ჩანს. ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც ამ დღეებში შემემთხვა. ერთ-ერთ ბანკში 29-ლარიანი და 9-ლარიანი ქვითრები მივიტანე გადასახდელად. ოპერატორმა გოგონამ კალკულატორზე იანგარიშა და 49 ლარის გადახდა მთხოვა, — არ არის სწორი! – ვუთხარი გაოგნებულმა. ჩემს ხმაზე, მეორე, ალბათ, უფრო „მაგარი“ ოპერატორი მოვიდა და მომმართა – ქალბატონო, ჩვენ კალკულატორით ვანგარიშობთ, — მერე სწორად იანგარიშეთ – ვუპასუხე მოკლედ. დამხმარე წავიდა. ჩემმა ოპერატორმა მეორეჯერ ღილაკებზე თითის დაჭერის შემდეგ, 49 ლარის გადახდა მიბრძანა. მე ხმა არ ამომიღია, თუმცა, ალბათ, ჩემი სახის დანახვამ გოგონას მესამეჯერ გადაანგარიშების სურვილი გაუჩინა. ამჯერად მან ღილაკებს სწორად დააჭირა და 38 ლარი გამომიწერა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასეთი რამ ტიპიური გახდეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

კიდევაც იყიდებიან ალგეთის ლეკვები მგლისანი...

უბედურება, რაც სჭირდა ჩვენს სამშობლოსა და ჩვენს ხალხს, მხოლოდ ჩვენი „ჭირი“ არ იყო. როცა მიკროსკოპით ვპოულობთ აუგს ჩვენი ხალხის წარსულში, იგივე აუგის მონახვას სხვა ხალხის ისტორიაში მიკროსკოპიც არ სჭირდება — მთელი ნაგავი ზედაპირზე ტივტივებს. მაგრამ, რაზეც დაგეშეს, მხოლოდ იმას იპოვის „უჯიშო ძაღლი“.

ქართველებისადმი ამნაირი „უჯიშო ძაღლების“ სიძულვილი ასაზრდოებდა ტყვის სყიდვის არაადამიანურ ბიზნესს საქართველოში, მაგრამ ისტორიას ისიც კარგად ახსოვს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ქართველები იმ „კეთროვნებს“.

„კახეთში წესი იყო, ასეთ უჯიშოებს (ადამიანებით მოვაჭრეებს) რომ დაიჭერდნენ, კი არ კლავდნენ, კიდურებს მუხლებსა და იდაყვებში გადაჭრიდნენ, თან მოუწვავდნენ, სისხლისგან რომ არ დაცლილიყვნენ; თვალებს უშანთავდნენ, ენას კვეთდნენ, კოდავდნენ და ასე უშვებდნენ თავისუფლად. ამ მეთოდმა საოცარი შედეგი გამოიღო და ტყვეთა სყიდვამაც ნელ-ნელა იკლო,“ — წერს მემატიანე. ქართლ-კახეთში ამ საქმიანობით უფრო ლეკები იყვნენ დაკავებული, დასავლეთში კი — თავად ქართველები. ისინი თავიანთ ყმებს, მტრებს ან უცნობ ადამიანებს ყიდდნენ თურქებზე.

ეს საქმე საკმაოდ „სარფიანი“ იყო. ოსმალეთში ძვირად ფასობდნენ ლამაზი ქალები და ახალგაზრდა ყმაწვილები, შესაბამისად, ბევრი ქართველი არ თაკილობდა ჯიბის გასქელებას ამ გზით. ამ სასტიკ საქმიანობას, ტახტზე ასვლისთანავე იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა მოუღო ბოლო. დღეს კი, 21-ე საუკუნეში, ამ პრობლემამ ისევ იჩინა თავი, მაგრამ უკვე შეცვლილი სახით. დღეს ქართველი ქალები 9 თვე მუცლით ნატარებ შვილებს ყიდიან. ამ საქმიანობას კი რატომღაც სუროგაცია დაარქვეს. ამ ორ საქმიანობას შორის განსხვავება შეიძლება დიდია, თუმცა მიზეზი საერთო აქვს — ფულის შოვნა.

პირველად ეს ტექნოლოგია 1986 წელს ინგლისში გამოიყენეს. ყველაზე მრავალშვილიანი სუროგატი დედა 39 წლის ინგლისელი ქალია, რომელმაც ამ გზით 9 ბავშვი გააჩინა.

სუროგატული დედობა კანონით იკრძალება ავსტრიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, სკანდინავიის რამდენიმე ქვეყანასა და ამერიკის რამდენიმე შტატში; საქართველოში — რატომღაც არა. უფრო მეტიც, არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც ამ საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობს და თვლის, რომ „სასიკეთო საქმეს“ აკეთებს. ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტოს სუროგატი დედობისა და უშვილობის ცენტრს უამრავი უშვილო წყვილისთვის გაუწევია „დახმარება“. ბოლო პერიოდში კი შვილის ყოლის სურვილით ცენტრს ერთსქესიანი წყვილები და სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებიც — ჰომოსექსუალები, ბისექსუალები და ლესბოსელები აკითხავენ. საინტერესოა, მართლა დახმარების გაწევაა ეს თუ ქვეყნის გენოფონდის კატასტროფის წინაშე დაყენება? არის თუ არა ეს პიროვნების სულიერი დამახინჯება? გინახავთ ბედნიერი ჰომოსექსუალი და ლესბოსელი ან მათ ოჯახში გაზრდილი ბედნიერი ბავშვი? წინასწარ ხომ არაა განწირული სუროგაციის ნაყოფი არაჯანსაღი ცხოვრებისთვის? ამ კითხვების პასუხის გაცემაზე რატომღაც ყველა იკავებს თავს და თავის პრობლემად არავის მიაჩნია. არადა, ეს პრობლემა მთელი საზოგადოების პრობლემაა, რადგან მომავალში ამ გზით ქვეყანას მოვლინებული ადამიანებიც ხომ საზოგადოების ნაწილი იქნებიან?!

სუროგატი დედის ცნება, არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩვენს კანონმდებლობაში გაჩნდა და მის ირგვლივ უკვე პოლემიკა გაიმართა. მოკლედ განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს ეს ტერმინი. გესტაციური სუროგაცია არის, როდესაც სუროგატი დედის საშვილოსნოში გადააქვთ წყვილის ებრიონი. ტრადიციული სუროგატი კი, — როდესაც სუროგატულ საშვილოსნოში გადააქვთ სპერმა. მოქმედ კანონმდებლობაში ანაზღაურების შესახებ არაფერია ნახსენები. ახალ კანონპროექტში კი მითითებულია, რომ ქალმა ეს ჰუმანური მოსაზრებების გამო უნდა გააკეთოს. რეალურად, ძალიან ბევრ ქვეყანაში სუროგაცია ნებადართულია. მათ კანონმდებლობაშიც წერია, რომ ეს ჰუმანური მოსაზრებების გამო უნდა გაკეთდეს, თუმცა ეს ასე არ ხდება.

საერთაშორისო კონვენციით „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, რომელსაც 2001 წელს საქართველოც შეუერთდა, სუროგაცია პირდაპირ აკრძალული არ არის, მაგრამ აღნიშნულია, რომ ადამიანების სხეულის ნაწილების გამოყენება ფინანსური სარგებლის მისაღებად იკრძალება. 1997 წელს მიღებულ კანონში კი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმა, დაშვებულია, მაგრამ კანონში არაფერია ნათქვამი არც კომერციულ საქმიანობაზე და არც იმაზე, თუ როგორ და რომელი სტრუქტურა უნდა არეგულირებდეს მას. ვიდრე გამართული საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს და სუროგაციაც აბსოლუტურად ლეგალურ საქმიანობად ითვლება, თბილისის სუროგაციის ცენტრს უამრავი კლიენტი აკითხავს. და რადგან ჩვენთან ეს უფრო იაფი ჯდება, კლიენტები ხშირად საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოდიან.

მედიცინაში სუროგატ დედებს ხან „ჭურჭელს“ ეძახიან, ხან „ინკუბატორს“, ხანაც — „მატარებელს“. 9 თვის განმავლობაში ისინი თავიანთ საშვილოსნოს „აქირავებენ“, 9 თვის შემდეგ კი მათ მაგივრად სიხარულს ბავშვის ნამდვილი, ბიოლოგიური მშობლები განიცდიან. სუროგატი დედების უმრავლესობა ბავშვს არც ძუძუს ანოვებს და არც ნახულობს. ნამდვილ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც ხშირად წერია, რომ ბიოლოგიურ მშობლებს ახალშობილი ისე მიჰყავთ, რომ მას სუროგატმა დედამ არც უნდა შეხედოს. ფსიქოლოგების აზრით, ეს იმიტომ კეთდება, რომ სუროგატ დედას დედობრივი გრძნობები არ გაუჩნდეს. თუმცა რამდენად ნორმალურია, ცხრა თვის განმავლობაში გრძნობდე, როგორ იზრდება შენს სხეულში ბავშვი და სამშობიაროდან შინ მარტო დაბრუნების შემდეგ საერთოდ აღარ გაღელვებდეს მისი ბედი, ეს კიდევ საკითხავია. ფსიქოლოგების ნაწილი ფიქრობს, რომ მსგავსი გულგრილობა არანორმალურია.

საქართველოში სუროგატი დედობის მსურველთა რაოდენობა თურმე დღითიდღე იზრდება. თუმცა ამ არჩევანს არა საქველმოქმედო, არამედ კომერციული მოტივი უფრო აქვს. საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამ გზით შვილის გაჩენა გაცილებით იაფია. მაგალითად, ამერიკაში ამ გზით ბავშვის გაჩენა წყვილს 100 ათას დოლარამდე უჯდება, ჩვენს მეზობელ რუსეთში კი — 20-30 ათასი დოლარი. ამ ფასებთან შედარებით საქართველოში არსებული ფასი — 10-15 ათასი დოლარი საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, ამიტომაც უფრო ხშირად ქართველი სუროგატებით უცხოელები ინტერესდებიან. ნამდვილი ქველმოქმედებაა ჩვენი მხრიდან.

ბოლო პერიოდში საგრძნობი ინტერესი გაჩნდა ერთსქესიანი წყვილების მხრიდანაც. მოგეხსენებათ, რომ ევროპა და ამერიკა ერთსქესიანი წყვილების ქორწინებასა თუ შვილის ყოლის საკითხებს ლიბერალურად უყურებს, ამიტომ ისინი ქართველი სუროგატი დედისა და სპერმის დონორის დამხმარეებით უპრობლემოდ სარგებლობენ.

„ერთსქესიანი წყვილების შვილს გენეტიკური პროფილი ან დედის მხრიდან აქვს, ან — მამის. პირადად მე უარყოფითად ვუყურებ ადამიანების დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის მიხედვით და მიმაჩნია, რომ გენეტიკური შვილის ყოლის უფლება ყველა ადამიანს აქვს, მიუხედავად ორიენტაციისა. ბევრ ოჯახში ბავშვებს აჩენენ გეგმიურად, ზრდიან უსიყვარულოდ და უფრო მეტიც, ძალადობის ქვეშ, ასეთ ოჯახში ბავშვის გაზრდას, ჯობს ერთსქესიან ოჯახში გაიზარდოს“, — თვლის ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტოს სუროგაციის ცენტრის დირექტორი მარიამ კუკუნაშვილი.

თურმე განსაკუთრებული პირობებიც არსებობს იმისათვის, რომ სუროგატი დედა გახდე. ყველას არ ეძლევა 10 ათასი დოლარის შოვნის შესაძლებლობა. მაგალითად, სუროგატი დედა უნდა იყოს სრულწლოვანი, ჯანმრთელი და მაქსიმუმ 37 წლის. უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი შვილი, რაც იმის შანსს ზრდის, რომ ქალი ახლაც დაორსულდება და თან სხვისი შვილის მიმართ დედობრივი გრძნობებიც არ გაუჩნდება. სუროგატმა დედამ უნდა შეიქმნას ორსულობისთვის ხელის შემწყობი პირობები. უნდა ცხოვრობდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით, აკრძალულია: თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლური სასმელები, მძიმე ნივთების აწევა, პირველი სამი თვის განმავლობაში კი — სქესობრივი კონტაქტი.

სუროგატი დედის წყალობით, პირველი ბავშვი ▶

მორგებიდან უპატრონო ცხედრები 50 ლარად იყიდება

თბილისის მორგებში მიცვალებულები დაუდევრად რომაა დაყრილი და მათი შენახვის პირობების დაცვა არ ხდება, ამაზე, კარგა ხანია, საუბრობენ. ჩვენც ჭეშმარიტების დასადგენად მოვაწყეთ „ექსკურსია ჯოჯოხეთში“ და ასე აღმოვჩნდით არამიანცის საავადმყოფოს მორგში.

თავდაპირველად ადმინისტრაციული შენობა მოვინახულეთ, რომელშიც არანაკლები ჯოჯოხეთია. იქ მომუშავე ადამიანებს საშინელ პირობებში უწევთ საქმიანობა. უნებლიეთ გაგიჩნდება კითხვა — თუკი ადმინისტრაციული შენობა ასეთ დღეშია, მაშინ მორგში რაღა უნდა იყოს? როგორ პირობებში ინახავენ მიცვალებულებს?

არამიანცის საავადმყოფოს ორი მორგი აქვს. ერთი, როგორც მას უწოდებენ, სამოქალაქო, ხოლო მეორე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს პროზექტურაა. თავდაპირველად ე. წ. სამოქალაქო მორგს „ვესტუმრეთ“. პირველი, რაც კარის შეღებისთანავე თვალში მოგვხვდა, კედლებზე მიყუდებული უამრავი კუბო იყო. ამ სურათს უფრო ამძაფრებდა გვამის სპეციფიური სუნი, რომელიც ცხვირში უსიამოდ გვეცა და გვაიძულა, კაშნეებით ცხვირპირი აგვეხვია და ასე სუნთქვაშეკრულებს რამდენიმე ოთახით წინ წაგვეწია. ცოცხლებსაც მივაგენით — ერთ-ერთ ოთახში გამათბობელთან სამი მამაკაცი იჯდა. ვუთხარით, რომ ჟურნალისტები ვიყავით და მორგის ნახვა გვინდოდა, ერთი ახალგაზრდა დაგვთანხმდა — წამოდით, განახებთო, მაგრამ მეორემ გამოგვიცხადა, რომ მორგში მიცვალებულები არაა და სანახავიც არაფერიაო.

ერთი სიტყვით, არ შეგვიშვეს... გვამები მეორე პროზექტურაში იქნებაო და გადაგვამისამართეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მორგში, ანუ დედაქალაქის მთავარ მორგში.

ეზოში შეხვალთ თუ არა, თვალში ერთი უბადრუკი ნაგებობა მოგხვდებათ. სწორედ ესაა მორგის ავარიული და ნახევრად დანგრეული შენობა. შაბათი დღე იყო, ამიტომ დარაჯისა და მორიგე ექსპერტის გარდა იქაც არავინ დაგვხვდა. დარაჯმა ნებართვის გარეშე მორგში არ შეგვიშვა და მორიგე ექსპერტთან — პაატა ჯიბლაძესთან გაგვგზავნა. სწორედ ის იყო მეორე სულიერი იმ „მკვდართა საუფლოში“. მისი თქმით, ბოლო 25 წლის განმავლობაში, არ ყოფილა შემთხვევა, რომ უცხო პირი მორგში შეეშვათ ან ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შესვლაზე ნებართვა გაეცა, ამიტომ, მორგში ვერ მოხვდებითო. იმითაც დაგვამშვიდა, რომ მიცვალებულები არც მათ ჰყავდათ და „ჩვენთვის საინტერესო“ იქ არაფერი იყო.

ცივი უარი ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ის კი ნამდვილად გაგვიკვირდა, რომ თბილისის ცენტრალური მორგები ასე უცებ „დაცარიელდა“, თანაც ორივე ერთად (?!).

დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო „ვექტორის“ ექსპერტის, ალეკო კენჭაძისთვის, ღიმილისმომგვრელი აღმოჩნდა ჩვენი ინფორმაცია, რომ მორგსა და პროზექტურაში გვამები არ არის-თქო.

„იქ ყოველდღე მოაქვთ გვამები, ჯერ პროზექტურაში იკვეთება და შემდეგ მორგში გადააქვთ. — ამბობს ექსპერტი და დასძენს, რომ მიცვალებულების შესანახი პირობები დედაქალაქის მორგებში არასდროს ყოფილა, — **35 წელი ვმუშაობდი არამიანცის პროზექტურაში, 2005 წელს წამოვედი და დამოუკიდებელ ექსპერტად ვმუშაობ, მაგრამ პირობები არც მაშინ იყო შესაბამისი. ამას არც სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროში მალავენ და ამბობენ, რომ შენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, სადაც გაკვეთაც მოხდება და შენახვაც. ხშირად ხდება, რომ მიცვალებულს პატრონი დროზე არ გამოუჩნდება, რის გამოც რამდენიმე დღით მას მორგში ინახავენ. გვამის შესანახად საჭიროა სპეციალური სამაცივრე დანადგარები, რომ ცხედარი არ გა-** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბიოლოგიური მამობის დადგენა საქართველოში 1000 დოლარი ღირს

მეოცე საუკუნის დასასრულს გენეტიკაში რევოლუციური გადატრიალება მოხდა — ადამიანმა გენეტიკური ინფორმაციის წაკითხვა ისწავლა. 2007 წლიდან დნმ-ის ლაბორატორია საქართველოშიც ფუნქციონირებს. ლაბორატორიის მომსახურებით, ძირითადად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და სასამართლო სარგებლობს, მაგრამ მას ხშირად რიგითი მოქალაქეებიც მიმართავენ, უმთავრესად, ბიოლოგიური მამობის დასადგენად.



გავიხსენოთ, რა არის **დნმ**? დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (შემოკლებით **დნმ**) რთული ბუნებრივი ნაერთია. იგი ყველა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებშია. **დნმ**-ის ცალკეული უბანი განსაზღვრულ გენს შეესაბამება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მემკვიდრეობითი (გენეტიკური) ინფორმაციის გადაცემაში.

გენების ნაკრებს ადამიანის **დნმ**-ში **გენომი** ეწოდება. მისი შესწავლა მეცნიერებს საშუალებას აძლევს, ახსნან ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, ბუნება და ბოლომდე გაშიფრონ მისი მემკვიდრეობითობა, რაც უამრავი დაავადების მკურნალობის გასაღებია. **გენომი** უჯრედის ბირთვში ლოკალიზებული მემკვიდრეობითი ნიშნების ერთობლიობაა.

როგორ ხდება მამობის დადგენა?

საქართველოში მოქმედი **დნმ**-ის ლაბორატორია ამერკავკასიაში ერთადერთია. მას ხშირად აკითხავენ მამაკაცები, რომელთაც ბიოლოგიური მამობის დადასტურება სურთ, ქალებს აინტერესებთ, ვისგან ჩაესახათ შვილი.

საკვლევ მასალას, როგორც წესი, სისხლიდან და კუნთოვანი ქსოვილიდან იღებენ. წყაროდ გამოდგება სპერმა, თმის ძირები, კანის თუნდაც რამდენიმე უჯრედი, რომელიც რაიმე საგანზე, მაგალითად, ჭიქაზე რჩება ხოლმე.

ბავშვი **დნმ**-ის ნახევარს დედისგან იღებს, ნახევარს — მამისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ მამა-შვილს გენების ნახევარი აქვთ მსგავსი.

წინაპრებისგან მიღებულ, გენეტიკური კოდის სახით მემკვიდრეობით სტრუქტურებში ჩადებულ თვისებებს **გენეტიკური ინფორმაცია** ეწოდება. იგი განსაზღვრავს ორგანიზმის მორფოლოგიურ აგებულებას, ზრდას, განვითარებას, ნივთიერებათა ცვლას, ფსიქიკურ მდგომარეობას, დაავადებებისადმი მიდრეკილებასა და სხეულის გენეტიკურ ნაკლს.

ორგანიზმის მემკვიდრეობითობის საფუძველია **გენოტიპი** (ინდივიდის ყველა მემკვიდრეობითი თვისების ერთობლიობა), რომლის განსაზღვრაც ხდება **დნმ**-ის ლაბოტორიაში მამობის დასადგენად. ყველა ადამიანს უნიკალური, განუმეორებელი გენოტიპი აქვს.

გენომის შესწავლის შემდეგ ლაბორატორიაში ხდება ადამიანთა იდენტიფიკაცია, მათი გენეტიკური პროფილის განსაზღვრა-შედარება.

რა შემთხვევაში იძლევიან დადებით დასკვნას?

თუ 12 სხვადასხვა უბნიდან აღებული **დნმ**-ის ფრაგმენტების შედარებისას 6 ერთნაირი აღმოჩნდება (იგულისხმება სავარაუდო მამისა და შვილის **დნმ**-ის ფრაგმენტები), ალბათობა იმისა, რომ საკვლევი პირი ბავშვის ბიოლოგიური მშობელია, არის 99,99%, მაგრამ, თუ 12 ერთნაირი უბნიდან მხოლოდ 1 ან 2 დაემთხვევა, პასუხი უარყოფითი იქნება. ანალოგიურად შეიძლება დადგინდეს დაძმობა, ახლო ნათესაობა დედის ან მამის მხრიდან.

იყო შემთხვევა, როცა დედამ შვილი სანაგვეზე გადააგდო. საუბედუროდ, ახალშობილი გარდაიცვალა. **დნმ**-ის ლაბორატორიაში ბავშვს გენეტიკური ანალიზი ჩაუტარდა, რის საფუძველზეც სავარაუდო დედას დაუმტკიცეს, რომ სანაგვეზე ნაპოვნი მკვდარი ახალშობილი მისი ბიოლოგიური შვილი იყო.

ვინ სარგებლობს **დნმ**-ის ლაბორატორიის მომსახურებით?

დნმ-ის ლაბორატორიას, ძირითადად (80 პროცენტი), მიმართავენ დამნაშავეთა გამოსავლენად: შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფები ითხოვენ გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარებას. იყო შემთხვევა, როცა განსასჯელი **დნმ**-ის ანალიზის საფუძველზე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. გაირკვა, რომ დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი სიგარეტის ნამწვი სხვა პიროვნებას ეკუთვნოდა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, დასახიჩრებული ადამიანების იდენტიფიცირება სწორედ **დნმ**-ის ლაბორატორიის წყალობით მოხერხდა.

ლაბორატორიის თანამშრომლები იხსენებენ ერთ შემთხვევას — გარდაცვლილი ახალგაზრდის მშობლებმა ვარაუდით იცოდნენ, რომ შვილიშვილი ჰყავდათ. მიმართეს ლაბორატორიას და მისი დახმარებით ვარაუდი გაუმართლდათ.

გენეტიკური კვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კოკაინი და „ექსტაზი“ კიბოსა და გენეტიკურ მუტაციებს იწვევს. ეს ნარკოტიკები გაცილებით საშიში აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ, რადგანაც ტოქსიკოლოგიური ზემოქმედების ზენიტში **დნმ**-ს უტევს და გენეტიკური მასალის ცვლილებებს, მუტაციებს იწვევს.

აღმოჩნდა ისიც, რომ ევოლუციის პროცესში ადამიანმა „მიითვისა“ მკვდარი ზღვის ჰალოფილური ბაქტერიების გენი, რომელსაც სიმსივნის უჯრედის ზრდის შეჩერების უნარი აქვს.

მეცნიერებმა გაშიფრეს მალარიის გამომწვევი გენი, რაც შესაძლებელს გახდის პრინციპულად ახალი მედიკამენტების შექმნას ამ საშიში დაავადების სამკურნალოდ. აღმოჩენილია, აგრეთვე, გენი, რომელიც ექიმებს შიდსის ეპიდემიასთან ბრძოლაში დაეხმარება.

ადამიანის ნეგატიურ ქმედებასა და ხასიათის უარყოფით თავისებურებებსაც თურმე გენები განსაზღვრავს. ინგლისელმა ფსიქიატრებმა დაამტკიცეს, რომ მოზარდებში ანტისაზოგადოებრივი ქცევა და დანაშაულისადმი მიდრეკილება, შეიძლება, გენეტიკურად იყოს განპირობებული.

ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ხელოვნური **დნმ,** რომელსაც კვლავწარმოებისა და ევოლუციის უნარი აქვს.

კლონირებული გოგონა – სიმართლე თუ სიცრუე?

კლონი უსქესო გამრავლების გზით ჩნდება სხვა ორგანიზმიდან. ერთი კვერცხუჯრედის ტყუპებიც კლონირების შედეგია. ცნობილია, რომ ერთუჯრედიან ორგანიზმთა უმრავლესობა, ბევრი წყალმცენარე, ზოგიერთი საფუარის სოკო, ბრტყელი ჭიები და ბაბუაწვერა კლონირების გზით მრავლდება.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია 1997 წელს კლონირებულმა ცხვარმა დოლიმ, მაგრამ ეს ფაქტი არაფერია 2002 წლის ბოლოს გავრცელებულ სენსაციურ ინფორმაციასთან შედარებით... კომპანია Clonaid-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დეკემბერში გაჩნდა პირველი კლონირებული გოგონა — ევა. კლონირებული ემბრიონები 5 სუროგატ დედას ჩაუნერგეს. ირწმუნებიან, რომ მათი ორსულობა ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ უარს აცხადებდნენ ნებისმიერი ინფორმაციის გაცემაზე. მშობლების ვინაობისა და მათი ადგილსამყოფელის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ევას დედა 31 წლის ამერიკელია.

კომპანია Clonaid-ის ხელმძღვანელმა — ბრიჯიტ ბუასელიემ განაცხადა, რომ 2003 წლის იანვარში კიდევ ერთი კლონირებული გოგონა დაიბადა. ადამიანის კლონის შექმნის ოფიციალურად დადასტურებული ფაქტები არ არსებობს.

კომპანია, რომლის ლაბორატორიებშიც კლონირება მოხდა, დააარსა რაელიანების საერთაშორისო რელიგიურმა სექტამ, რომლის წევრებიც დარწმუნებული არიან, რომ ადამიანი უცხოპლანეტელებმა შექმნეს თვითკლონირებით, გენეტიკური „კოპირების“ ტექნოლოგიის გამოყენებით. კომპანია უშვილო ცოლ-ქმარს, სულ რაღაც 200 ათას დოლარად, კლონირებულ შვილებს ჰპირდება. ამბობენ, რომ რიგში უკვე 2 ათასზე მეტრი წყვილი დგას.

ნინო გოჟიაშვილი

P.S. ბიოლოგიური მამობის დადგენა საქართველოში ათასი დოლარი ღირს.

საქართველოში 2004 წელს გაჩნდა. მას შემდეგ სუროგაციისადმი დამოკიდებულება წლიდან წლამდე იცვლება. 2008 წლიდან რეგისტრაცია 38-მა ქალმა გაიარა. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაცემთა ბაზაში კი სამი წლის განმავლობაში 100-ზე მეტი „წარმატებული გარიგების ისტორია“ ინახება.

„საზოგადოება ამ სიახლეს თანდათან ეგუება, თუმცა ბევრისთვის სუროგაცია, როგორც კომერციული პრაქტიკა, დღემდე მიუღებელია. მიზეზი ხშირად რელიგიურია. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას სუროგაციის მიმართ საჯაროდ და ოფიციალურად არასდროს გამოუთქვამს უარყოფითი დამოკიდებულება, საზოგადოების დიდ ნაწილს ამ სიახლის მიღება სწორედ რელიგიური შეხედულებების გამო უჭირს,“ — აცხადებს ცენტრის დირექტორი მარიამ კუკუნაშვილი. ჩვენ დავინტერესდით, სინამდვილეში რა დამოკიდებულება აქვს სუროგაციის მიმართ ეკლესიას. ამის გასარკვევად მამა კონსტანტინე გიორგაძეს მივმართეთ.

მამა კონსტანტინე (გიორგაძე): სუროგაცია გაუგონარი ცოდვაა! ადრე, ცოდვების ნუსხაში ასეთი ცოდვა არ არსებობდა, რადგან ეს წარმოუდგენელი იყო. ჩემი აზრით, ეს უფრო საშინელი ცოდვაა, ვიდრე მამათმავლობა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ცოდვად ითვლება. ეს არის პირდაპირ შეწინააღმდეგება ღვთისა, უფლის მცნებებისა. ამას ეკლესია მხოლოდ კი არ ეწინააღმდეგება და გმობს, გაგონებაც კი არ სურს. პროფესიით ექიმი გახლავარ და ვიცი, ეს პროცესი როგორ ხდება. სუროგატი დედის გარდა პროცესში ჩართული არიან ის ადამიანები, რომლებსაც შვილის ყოლა უნდათ, ექიმი და მთელი მოჯადოებული ეშმაკისეული წრე. სანამ ამას გადაწყვეტენ, კარგად უნდა დაფიქრდნენ და გაიგონ, რასთან აქვთ საქმე. ვთქვათ, ადამიანს უნდა შვილი და არ ჰყავს, იმის მაგივრად, რომ ეძებოს პასუხი და გამოიკვლიოს, რატომ არ ჰყავს და მიხედოს მიზეზს ცოდვებისას, პირიქით, უარესს სჩადის და გაორმაგებული ცოდვით ებრძვის ამ პრობლემას. ეს არის საშინელება! იმ ადამიანებს, ვინც სუროგატ დედას ქირაობს, ჰგონიათ, რომ ბავშვი, რომელიც დაიბადება, ნამდვილად მათი შვილი იქნება. სინამდვილეში ვინ ზის და ვინ იზრდება სუროგატი დედის მუცელში, ეს კიდევ საკითხავია. რატომ არ შეიძლება იქ სხვისი სპერმატოზოიდი იყოს ან სხვისი კვერცხუჯრედი? ეს ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული და ფინანსების გამო რატომ არ შეიძლება, რომ ეს გააკეთონ? თუ ბედავენ და უფალს ეწინააღმდეგებიან, რატომ არ შეიძლება, რომ აქაც უღალატონ სიმართლეს? ასეც რომ არ მოხდეს, ეს მაინც ერთ-ერთი უმძიმესი და უსაშინელესი ცოდვაა, რაც ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს. მართალია, ყველაფრის მონანიება შეიძლება, მაგრამ არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოინანიოს ადამიანმა. რაც უფრო დიდია დაცემა და დამტვრევა, მით უფრო ძნელია წამოდგომა და მკურნალობა. დღეს ბოლო ჟამის პერიოდია და ეს გაუგონარი ცოდვები, რომლებიც დღემდე არც კი არსებობდა, ამის მიმანიშნებელია. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ყველას მინდა მოვუწოდო, თავი დაანებონ უფლის შეწინააღმდეგებას, ნუ მიმართავენ უფლის დამგმობ საქციელს, რამეთუ ვინც აქვე ეწინააღმდეგება უფალს, აქვე ინგრევა. აღარ ვსაუბრობ, თუ რა დაემართებათ ცათა სასუფეველში. ის ბავშვები, რომლებიც ამ გზით ჩნდებიან, აუცილებლად ნაკლოვანები იქნებიან. ზუსტად არ ვიცი, ამ შემთხვევაში, სულთან დაკავშირებით როგორ ხდება, ეს იმდენად ახალი ცოდვაა, მხოლოდ უფლის თვალიდან იხედება, მაგრამ ეს რომ ანომალიაა და საშინელება, ფაქტია.

ასე უმტკივნეულოდ და უმოწყალოდ იყიდებიან ქართველი დედების მიერ გაჩენილი შვილები — ზოგი ამერიკაში, ზოგიც ევროპასა და ზოგიც ვინ იცის კიდევ სად აღარ... არ ვიცი, ტყვეთა სყიდვა უფრო საშინელება იყო, თუ ის, რაც დღეს ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ იყიდება საქართველო მხოლოდ მინდორ-ველით და მთა-გორით კი არა, უკვე პატარა ქართველებითაც!

თეო ტაბატაძე
ლილი მიროტაძე

იხრწნას. ასეთი დანადგარები კი ჩვენთან არ არის“.

მორგების თემას თბილისის მთავარ ფორუმზეც ეხმიანებიან. აი, რას ვკითხულობთ იქ:

„ჩემი მეუღლე მუშაობდა არამიანცის საავადმყოფოში, ზუსტად მორგის გვერდით. ხშირად მიწევდა იქ მისვლა. საშინელი სუნი იდგა. აი, ზაფხულობით კი, ცოტა რომ დაცხებოდა, შეუძლებელი იყო იქ ყოფნა. სამწუხაროდ, მთელი ეს ყველაფერი, ჩემს მეუღლეს საკუთარი თვალით აქვს ნანახი. საშინელი სიტუაციაა მორგში. ამას რამე უნდა ეშველოს“.

„აქცია მოვაწყოთ და მორგში წავიყვანოთ ეს უნამუსო ხელისუფლება. ვასუნთქოთ ის მყრალი სუნი. ღირსები არიან. გამოდის, რომ, თუ მიცვალებულს ნორმალური პატრონი არ ჰყავს, არ მიხედავენ და დაალპობენ. მოვა მერე დამკრალავი ბიურო და დაკრძალავს. ცალკე სალაპარაკოა კიდევ, როგორ და რა პირობებში დაკრძალავს“.

ზოგიერთი მომხმარებელი იმასაც ამბობს, რომ უპატრონო ცხედრებს ყიდიან... თანაც სტუდენტებზე. ჩვენთან მკვდრებსაც ხომ ფასი აქვთ...

„არა, არ დაკრძალავს. უპატრონო გვამებს სტუდენტებზე ყიდიან 50 ლარად, ადრეც ასე იყო, ახლა რა ფასებია, ნამდვილად არ ვიცი“.

მკვდრების გაყიდვის თემას სტუდენტებიც ეხმაურებიან:

„2004 წელს, 30 ლარი ღირდა ერთი გვამი, მარშუტკებით მოჰყავდათ ბლომად ჩვენთან“.

„ნამყოფი ვარ არამიანცის მორგში, საშინელებაა, მაშინ დაყრილი მიცვალებულები არ შემინიშნავს, მაგრამ სიბინძურე და ჩემი საცოდავი თანამშრომელი, რომელიც ამ სიბინძურეში ესვენა, კარგად მახსოვს“.

ბატონმა ჯიბლაძემ ჩვენთან საუბარშიც დაადასტურა, რომ მორგისთვის აუცილებელი პირობები მათთან ნამდვილად არ არის და უახლოეს ხანებში გადავდივართ აქედანო. შემდეგ კი სიამაყით დასძინა, წელიწად-ნახევარში არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში ყველაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მორგი დიღომში აშენდებაო.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მიცვალებულებს 20-50 ლარად ყიდიან, პარალელურად კი თანამედროვე პროზექტურების შენებით შეუძლიათ თავის მოწონება.

მაგდა კლდიაშვილი, ალექსანდრე აკობია

3 — 9 მარტი, 2010 წელი. №8 (51)
www.geworld.net

ტაქსის მძღოლებო, ფრთხილად!

თქვენი «პასაჟირი» პრეზიდენტი სააკაშვილია

თათბირზე თუ არ აგვიანდება, სახლი თუ არ ეწვის, „გომურში დაბორკილი საქონელი თუ არ ელოდება“, საშუალო შეძლების მქონე, საკუთარ ქალაქზე უზომოდ „I Love თბილისელი“ ტაქსით მგზავრობას ფიქრადაც არ გაივლებს.

რატომ იყო რევოლუციამდელი ტაქსის მძღოლი ბილწსიტყვა, ავყია და დოღრიალა, მისი ყვითელი ტაქსი (გაზ-24) კი — პატრონივით ბუზღუნა, ძნელად დასაქოქი და დასამორჩილებელი? პასუხი თითქოს მარტივია, თუმცა ამ შემთხვევაში ცნებები „მარტივი“ და „იოლი“ სრულებით არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგანაც პასუხის შემდეგ ერთი დიდი შეკითხვა — „რატომ?“ ჩნდება.

რიტორიკულ შეკითხვაზე მძღოლსაც და მის თანამგზავრსაც ერთნაირად მოელუშებათ სახე და...

მგზავრობისას ამის წაკითხვა არც მგზავრის და, მით უმეტეს, არც მძღოლისთვისაა რეკომენდებული, რადგან მგზავრობის დროს რისამე წაკითხვა ძალიან ვნებს თვალს და, თუ თბილისის ქუჩებში გიწევთ მგზავრობა, სჯობს, შორს დაიჭიროთ თავი არა მხოლოდ კითხვისგან, არამედ საერთოდ გაფაციცდეთ და „ძრავიანი ურმის“ მართვაში მიეხმაროთ მძღოლს.

ავადსახსენებელი კომუნისტების პერიოდში უცხოური ავტომობილი საბჭოთა კავშირში იშვიათობას წარმოადგენდა. ადამისჟამინდელი „ფორდიც“ რომ გყოლოდათ, სასურველი სასიძო თუ არა, სასურველი კავალერი მაინც იქნებოდით. მამა-პაპათაგან ერთი ასეთი ამბავი შემორჩა მეხსიერებას: მავან ცნობილ საქმოსანს, არ ვიცი რა მანქანებით და მაქინაციებით, თბილისში „ტოიოტას“ მარკის არც ისე ახალი, მაგრამ გვარიანი მოდელი ჩამოუყვანია. „ლეგენდა“ იმასაც გვამცნობს, რომ თურმე ის ოღრაში და ჩვენებურად დაკომპლექსებული საქმოსანი დიდხანს ერიდებოდა ერთი პატარა საიდუმლოს გამხელას. ეს საიდუმლო კი ქალაქის თითქმის ყველა გამოცდილმა ხელოსანმა კარგად უწყოდა, მაგრამ გვარიანი გასამრჯელოს იმედით ერთმანეთსაც კი არ უმხელდნენ იაპონური ავტოს ფრიად სერიოზულ ნაკლოვანებას. ტექნიკური წუნი კი თითქოს მარტივი იყო, მაგრამ მისი შეკეთება თბილისში ვერავინ შეძლო. მანქანას არაფერი სჭირდა საგანგაშო, რომ არა ერთი მუდამ ანთებული წითელი ციმციმა, მფლობელს მოძრაობის დროს ხასიათს რომ უფუჭებდა. ნათურა, თითქოს ჯიბრზეო, სამთავრობო აგარაკებსა და ცეკას მაღალჩინოსნების სახლს რომ მიუახლოვდებოდა, ციმციმს უკლებდა, ოდნავღა ბჟუტავდა და ბოლოს ქრებოდა კიდეც. ღარიბთა უბანში გავლა თუ მოუწევდა საქმოსანს, ნათურა პროტესტის ნიშნად რაღაც საფრთხის მოლოდინში ვაგლახად ბრდღვიალს იწყებდა. საქმოსანმა ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა, იაპონურ ფირმასთან მიმოწერის გამართვა გადაწყვიტა, თუმცა მალევე გადაიფიქრა ადგილობრივი მკითხავის, ციგან ოქსანას რჩევით: დრო მოვა და სააკაშვილი სულ უბრალო მიმოწერისთვის ვახტანგ მაისაიას ჯაშუშობას დააბრალებს და შევარდნაძე ჩამოგახრჩობსო. თუმცა, ადრე თუ გვიან, ამ საიდუმლოსაც აეხადა ფარდა...

„ჩვენ გადავთხარეთ ასი ქუჩა“! – ქართული ტელეეთერით იმდენ ხანს ატრიალეს რეკლამა გზების შეკეთების თაობაზე, შესაძლოა, ქვეყნის პირველმა პირმა მართლა დაიჯერა... ხალხმა კი იმდენად გაითავისა ის გარემოება, რომ თბილისის ქუჩები გადათხრილი უნდა ყოფილიყო, რომ რეაქცია საერთოდ დაკარგა და აღარც ნერვები ეთხრებოდა ოღროჩოღრო გზებზე ჩაქჩაქისას. თავისთავად გადათხრაში ცუდი არაფერია, თუ ახალ გზას დააგებ. ხალხის კეთილდღეობაზე დაფიქრებული ნაცმოძრაობის იდეოლოგები იმ ქათმებს მაგონებენ, უკან-უკან რომ ქექავენ, მაგრამ საკუთარი საქმე წინ მიჰყავთ. „თხუნელების პარტიის“ ყველა განათხრელის ჩამოთვლა რომ დავიწყოთ, ამისთვის შპალერის გორგოლაც არ იქნება საკმარისი, მაგრამ, საწყენად რომ არ დარჩეს, რამდენიმე შემთხვევას მკითხველს განსახილველად მაინც მივანდობთ.

ქალაქის ოდინდელმა მერმა, რეფორმატორმა ჭიაბერაშვილმა, მეტსახელად „ჭიამ“, თავის დროზე ნამდვილად ივარგა და გვარიანადაც იხეირა პეროვსკაიას, ამჟამინდელი ახვლედიანის ქუჩის ხარჯზე. მძღოლების მრავალსართულიანი ლოცვა-კურთხევა მასა და მის თანამზრახველებს ნამდვილად არ დაადგებოდათ ყელზე, ისევე როგორც „ჭიას“ — ასფალტისა და ქვაფენილის მაქინაციებით ნაშოვნი ათეულ ათასობით „ხელის ჭუჭყი“. ჯერ იყო და პეროვსკაიაზე დაგებული ქვაფენილი ქალაქის ცენტრშია და იქ მცხოვრები ელიტის გაღიზიანებასა და ღამღამობით მთვარეულობის რისკს ზრდისო, ჭიაბერაშვილმა ქვაფენილის აყრა და ჩვეულებრივი ასფალტის დაგება ბრძანა. ბარაქიანად „მეწველმა მერიამ“ არც ამჯერად გაუმტყუნა იმედი კომბლეს და ბიუჯეტიდან ჩამოწველილი თანხით ახვლედიანის ქუჩაც „მშვენიერი“ ასფალტით „მოისარკა“. პროცესი დასრულებულიც არ იყო, „ჭიამ“ სიზმარი ნახა, სავარაუდოდ – ქალაქის იერ-სახის დამახინჯებას შთამომავლობა არ შეგინდობსო და პეროვსკაიას კვლავ ქვაფენილით მოკირწყვლა ბრძანა. მრავალუცნობიანი მათემატიკური განტოლების შედგენა ნამდვილად არ არის საჭირო იმ თანხის სავარაუდო რაოდენობის დასათვლელად, რომელიც ჭიაბერაშვილისა და სხვათა გაურეცხავ ჯიბეუბეებში დაილექა.

ფული, საზოგადოდ, ჭუჭყიანი და უსუფთაო კი არის, მაგრამ ქართველ ჩინოვნიკებს სულაც არ ეთაკილებათ **გარკვეულ შემთხვევებში ლაფში წამოწოლილ ღორებად იგრძნონ თავი. მეორე შემთხვევა, ასევე, ქალაქის ცენტრში, მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე, აი, ლენინი რომ იშვერდა ხელს „ნათელი მომავლისკენ“, იმ მოედანზე ერთობ უაზროდ და უცნაურად დაგებულ ქვაფენილს ეხება. როგორც წესი, ქალაქის პირობებში ქვაფენილის დაგება მხოლოდ გზის იმ მონაკვეთებზე ხდება, რომელზეც ზამთარში მოსული ნალექის გამო ტრანსპორტს გადაადგილება უჭირს (ქვაფენილზე ავტომანქანის საბურავებს გაცილებით უკეთესი მოჭიდება აქვს). მერიის მიმდებარე ტერიტორია კი ვაკეა და იქ ქვაფენილის დაგება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ამ ალაგას ქვაფენილის დაგებას მაშინ საბაჟო დეპარტამენტის მთავარი მებაჟე ზურა ანთელიძე გადააყოლეს. ფულის გარეცხვის სქემა შემდეგში იყო: მხოლოდ გზის დაგებიდან შემოსული შავი შემოსავლები ჩინოვნიკთა მადას ვეღარ სწვდებოდა და ამიტომაც ქალაქის მერიიდან ანთელიძეს გზის მოსაპირკეთებელი მასალების განბაჟების გარეშე საქართველოში შემოტანა მოსთხოვეს. მშიშარა მებაჟემ ამ განკარგულებას ხელი არ მოაწერა, არც ბეჭედი დაუსვა და აკი, კიდეც დაუსვა დიდი შავი წერტილი მის კარიერას ქვეყნის პირველმა პირმა.**

მსგავსი და უარესი მაგალითების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ძალიან დიდ ადგილს მოითხოვს. პრეზიდენტი თელავში ჩასვლას გომბორის გავლით ერთ საათში აპირებს. კომუნისტების მიერ გავერანებულ გზას გავაკეთებო, — გულუბრყვილო და დინჯ კახელებს ჰპირდება. ამ „უმადურებს“ კი რატომღაც საეჭვოდ კარგი მეხსიერება ჰქონიათ და ახლო-მახლო სოფლებში იმასაც ამბობენ თურმე, რომ კომუნისტების დროს თელავში ჩასვლა მართლაც ხერხდებოდა ერთ საათშიო; ახლა კი მსუბუქი მანქანით გომბორის გავლით თუ დაადგები გზას, თელავამდე მთელი და უვნებელი მხოლოდ სათადარიგო საბურავი მიგყვებათ.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, — წინაპრებს უთქვამთ. ერთია, ღვინია თუ გადაიჩეხა, ოდენ სახორცე საქონლადღა გამოდგება. ცუდი და ბოროტი საქმისგან შორს ვართ, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, ქვეყნის პირველმა პირმა მცირე ხნით დაუტევოს ჯავშნიანი „მერსედესი“ და სულ რამდენიმე ქუჩა გაიაროს გიორგი პირველივით გადაცმულმა, პირველივე შემხვედრი ტაქსით საბურთალოდან გლდანისკენ, თუნდაც — ვერიდან სოლოლაკისკენ, თუნდაც...

ტაქსის მძღოლებო, ფრთხილად იყავით, თქვენი „პასაჟირი“ პრეზიდენტი სააკაშვილია!

ნანა ლაღაძიშვილი

P.S. კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რა ბედი ეწია ზემოთ ნახსენები „ინომარკის“ მფლობელ საქმოსანს. თურმე იაპონური „რკინის რაში“ მგრძნობიარე სენსორების საშუალებით გზის წახდენილ საფარს შორიდანვე აფიქსირებდა და მოციმციმე წითელი მაშუქით მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, აფრთხილებდა პატრონს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

რუსეთის ეკონომიკა იზრდება

2010 წლის იანვარში შარშანდელ იანვართან შედარებით რუსეთის ეკონომიკა 5,2%-ით გაიზარდა, 2009 წლის დეკემბერთან შედარებით კი რუსეთის საერთო შიდა პროდუქტის მატებამ 0,3% შეადგინა. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები თვლიან, რომ რუსული ეკონომიკის სუსტ წერტილებად ჯერ კიდევ რჩება საინვესტიციო მოთხოვნილება და უმუშევრობასთან დაკავშირებული რისკები. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტი 2009 წლის ბოლო კვარტალში 3%-ით გაიზარდა.

ჩინელები მხოლოდ იფრენენ?

ჩინეთი იმედოვნებს, რომ აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობები მოგვარებადია და შტატებს სანქციების დაწესების ნაცვლად დავის მოლაპარაკებების გზით მოგვარებას სთხოვს. ეს ურთიერთობა ფინანსური კრიზისის დაწყებისთანავე დაიძაბა და ვაშინგტონისა და პეკინის მიერ ურთიერთსანქციების დაწესებამ რეგულარული ხასიათი მიიღო. ჩინეთის პრემიერი ვენ ცზიაბაო აღშფოთებულია, ამერიკა ჩინეთს ახლა მხოლოდ თვითმფრინავებით ამარაგებს და, ხომ ვერ ვაიძულებ მოსახლეობას, მხოლოდ იფრინონო.



აშშ კრიზისს „წაეხმარა“

ამერიკის ზოგიერთი ფინანსური კომპანია, მათ შორის ბანკი „Goldman Sachs“, საბერძნეთის ვალების მოცულობის შესახებ ინფორმაციის დამალვაში არიან ეჭვმიტანილნი. აღნიშნულმა ბანკმა 2001 წელს მილიარდობით ევრო კრედიტის სახით მისცა საბერძნეთს და ვალი გაცვლით ოპერაციად შენიღბა. ამით საბერძნეთი ევროპისაგან ფარულად ღებულობდა დამატებით ლიკვიდურობას და ხელოვნურად ამცირებდა დეფიციტს. როგორც გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი წინასწარმეტყველებდა, ეს მსოფლიო დონის სკანდალია.

მწამებელ „MI-5“-ს გამოესარჩლენ

ბრიტანეთის პრემიერი გორდონ ბრაუნი ქვეყნის სპეცსამსახურს მას შემდეგ გამოესარჩლა, რაც ბრიტანეთის სასამართლო სისტემის მეორე პირმა ლორდმა ნიობერგერმა კონტრდაზვერვის სამსახური „MI-5“ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა წამებაში დაადანაშაულა. 10 თებერვალს ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრიტანეთმა წამების საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენცია დაარღვია, ვინაიდან იცოდა და თანხმობას აცხადებდა ცსს-ს საიდუმლო ციხეებში ტერორიზმში ეჭვმიტანილთა წამებაზე.

ლიბიის ჯიჰადი — შვეიცარიას

მეჩეთებთან მინარეთების აშენებაზე რეფერენდუმის წესით უარის თქმის გამო ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ შვეიცარიისათვის მუსლიმანთა წმინდა ომის — ჯიჰადის გამოცხადება მოითხოვა. „ნებისმიერი მუსლიმანი, რომელიც შვეიცარიასთან კონტაქტს ინარჩუნებს, ჩვენთვის ისლამის, მუჰამედის, ღმერთისა და ყურანის მტერია“, — განაცხადა კადაფიმ. ცოტა ხნით ადრე შვეიცარიის მიერ შენგენის ზონაში შესვლა აეკრძალა ლიბიის რამდენიმე მაღალჩინოსანს, მათ შორის კადაფისა და მისი ოჯახის წევრებსა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ავტომაგისტრალს აჭარლების სახლ-კარი ეწირება

მიგვიყვანს თუ არა ტაძრამდე, სააკაშვილის დაგებული გზები, ავტოსტრადები და ავტობანები, სადაოა, მაგრამ ევროპასთან დამაკავშირებელ გრანდიოზულ მაგისტრალს რომ ძირძველი სოფლები და მათში მცხოვრები ძირძველი ქართველების, აჭარლების სახლ-კარი ეწირება, დამეთანხმებით, დაფიქრებად ნამდვილად ღირს!

2004 წლის 6 მაისის შემდეგ აჭარელთა ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე წარმატებას, რასაც „მიხეილ დიდის“ ვეზირებმა მიაღწიეს საკუთარი მუცლების ამოსაყორად გაძარცვული მოსაძლეობის ხარჯზე!

რესპუბლიკური პარტიის წევრმა ბათუმელმა მურმან დუმბაძემ ამასწინანდელ გამოსვლაში 25-ე არხზე თქვა: **ბოლოსდაბოლოს გამაგებინეთ, ძაღლების მოსასაქმებელ ადგილზე რა უნდა მემედ აბაშიძის ძეგლს? ანდა, ილია ჭავჭავაძის ძეგლის ადგილას ნეპტუნის ქანდაკება რატომ დაგვიდგეს? ან იქნებ, ვინმემ გამცეს პასუხი, ისეთი რა დანაშაული ჩაიდინა ასლან აბაშიძემ, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომ საკუთარი ცოლის საფლავზე ვერ ჩამოდის? გოჯი მიწა არ გაუყიდია ასლანს აჭარაში და ესენი ვინ არიან, აქეთიქით რომ ანიავებენ, ძლივს დაბრუნებული კუთხის თითოეულ სანტიმეტრს?!!**

მურმან დუმბაძის ამ გამოსვლის შემდეგ ბათუმში აჭარელი სტუდენტების მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა, სადაც ძეგლთადამანგრეველ, შეშლილ მეფეს ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ძეგლების „ადგილზე“ დაბრუნება კატეგორიულად მოსთხოვეს და თან დაემუქრნენ: თუ დროულად არ მიიღებთ ზომებს, უფრო ფართომასშტაბიან პროტესტს გაგიმართავთ და ფრთხილად იყავიო...

„ახლა მივხვდი, რომ აჭარის საბოლოო დაპყრობაა სახეზე, „მალადეც“ საქართველო, უფრო მეტის ღირსი ხარ, მტრისა და მოკეთის განსხვავება რომ ვერ ისწავლე ამდენ ხანს!“ — ყვირის ყურმილში ყოფილი მიშისტი, აჭარის ე. წ. რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური წევრი დარეჯან დიასამიძე, რომელიც ბათუმის აეროპორტში მუშაობდა, ვიდრე ვარდის ეკლებმა მწარედ არ დაჩხვლიტეს ის და მისი თანამშრომლებიც!

— რაშია საქმე, რამ გაგამწარა? — ვეკითხები მას.

— სოფლის მოსახლეობას სარჩოს აღარ უტოვებენ, დაწერე რამე ან ჩამოდი აჭარაში და შენი თვალით ნახე, რა დღეშია ხალხი. ანგისა-ადლიაში სამოსახლო და სამეურნეო მიწების ჩამორთმევა დაიწყეს! ციტრუსი, სიმინდი, ბოსტნეული და ათასი რამ სადღა უნდა მოიყვანოს ხალხმა, თავი რომ ირჩინოს? ყველას მაგათსავით რესტორნებში წასასვლელად ხომ არა აქვს საქმე? გზა რა ჭირად გვინდა, თუკი აქ აჭარელი კაცი აღარ იცხოვრებს?! ორსართულიანი გაწყობილი სახლ-კარისა და დაბანილ-დავარცხნილი ეზო გარემოს დანგრევა რა უბედურებაა, გამაგებინე? გაგიყდები რომ ნახო, რა ციინიკურად გველაპარაკებიან, როგორ გვატყავებენ ყოველდღე და საერთოდ რა დღეში ვართ! **ერთ კვადრატულ მეტრ მიწაში 67 ლარს გვთავაზობენ, მაგრამ იმის იქეთ აღარ გეკითხებიან, გაწყობს თუ არა მამაპაპისეული ადგილიდან აყრა და სადმე გადახვეწა!** მანდარინში აღებულ ლარებს რომ გვითვლის სააკაშვილი, იმას რატომ აღარ კითხულობს, ანი ეს მანდარინიც რომ აღარ გვექნება მოსაყვანი, რით უნდა ვირჩინოთ თავი? ზღვამ, კი იცი შენ, ნახევარი ეზოები რომ წაიღო, დღესაც გვიტევს სტიქია და სანტიმეტრ-სანტიმეტრ გვაცლის მიწას, მაგრამ ის სტიქიაა და რა ველაპარაკოთ? ამათ ხომ აქვთ ყურები, ხომ ესმით? **ამის ღმერთი არ იყოს და, რა იქნა, რომ ყურში არ უშვებენ ჩვენს უარს საკუთარი სახლ-კარის გაყიდვა-მიტოვება-დაქცევაზე... ხალხს ქუჩაში პროტესტით გამოსვლა ეშინია იმიტომ, რომ საკუთარ ქალბაღანას უფრთხილდება! მე შენ გეტყვი და, ჯერ არავისთვის ჩაუდიათ ნარკოტიკი, არ მოუკლავთ და არ დაუმტვრევიათ ძვალ-რბილი?**

მართლაც მძიმე ხვედრი დაებედა ჩვენს აჭარას, კუთხეს, რომელსაც სვიმონ კანანელის, მატატას წმიდა ნინოსა და ანდრია პირველწოდებულის ნაფეხურები დღესაც ატყვია! კუთხეს, რომელმაც თურქ სელჯუკთა უღელი საკუთარი ზურგით სიმწრით ატარა, მჭადზე გამოსახული ჯვრით უერთგულა რწმენას და დღეს მიხეილ ამაოხრებლის ტვირთი ადევს! გაიყიდა ყველაფერი, რაც კი გასაყიდი მოიგდო ხელთ, დაანგრია და წაბილწა სიწმინდეები, მოღალატე კოლხი მედეას ძეგლი აღმართა ბათუმის შუაგულში და ორიოდ მეტრში ნეპტუნის ქანდაკებაც მიუდგა ზარზეიმით!

ამასწინათ ერთმა მეგობარმა აჭარელმა გლეხკაცმა მითხრა:

— რისთვის დაგვაბრუნეს აჭარლები, მერე რომ გავეყიდეთო?

ეეეჰ, ჩემო კეთილო კაცო! შენ იმ ყიდვა-გაყიდვაში, დაქცევა-დანგრევაში, შენივე ფესვის მოძირკვაში უბრალო ხარ როგორც მრავალი, მაგრამ მაშინაც გითხარი და დღესაც ვიმეორებ: აჭარლების „დამსახურებაა“ დიდწილად, რაც მოხდა, რაც დღეს არის და რაც, შესაძლოა, ხვალ მოხდეს! ასლან აბაშიძის სახელი და გვარი აჩემებული კი არა მაქვს, მაგრამ ხომ გახსოვთ, წასვლის წინ რაც თქვა: ეს ისეთი ძალაა, ყველაფერს წაბილწავს, სახლში შემოგივარდებათ და ქალ-ბაღანას გადაგითელავთო!

ჰოდა, თელავს კიდეც, ვანკუვერიდანაც გვეჯღანება და კიდევ დიდხანს გამოგვწოვს სისხლს, თუ არ შევაჩერეთ.

ირინე გოგოსაშვილი

ჯამბულ გამახარია:

კონფლიქტის ზონაში დასაყრდენი მყავს და იგი აფხაზია

აფხაზეთში უკანასკნელ პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა. იქ მცხოვრებ ქართველობას ყველაზე მეტად გადაადგილების პრობლემა აწუხებს. თუ ადრე გალელი ქართველები შემოვლითი გზებით მაინც ახერხებდნენ კონფლიქტის ზონიდან გამოღწევას, ახლა ეს ურთულეს პრობლემად იქცა. თითქმის ყველა ასეთი გზა გადაითხარა. მთავარი გზით საზღვრის გადალახვაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

ადრე 3-5 ლარად ქართველები უპრობლემოდ ახერხებდნენ ენგურგაღმა გადასვლას. დღეს ასეთი „ფუფუნება“ მოესპოთ. გართულებული მდგომარეობა ერთნაირად აწუხებთ იქ მცხოვრებ ქართველსაც და აფხაზსაც. პირველს თავის გატანა გაუჭირდა, მეორეს კი ფულის შოვნის საშუალება გამოეცალა ხელიდან. ასეა თუ ისე, პრობლემამ ერთიც და მეორეც დაააბლოვა.

სიცოცხლის რისკის ფასად გალელი ქართველობა მაინც ახერხებს საზღვრის გადალახვას. აფხაზ მოსახლეობას კარგად ესმის მოძმე ქართველების გასაჭირი და მათ დასახმარებლად ძალ-ღონეს არ იშურებს. **ის, რისი მოგვარებაც დიდმა პოლიტიკამ წლების განმავლობაში ვერ შეძლო, აკრძალულ ზონაში მცხოვრებმა ქართველებმა და აფხაზებმა გადაწყვიტეს. დღეს მათ ისე ესმით ერთმანეთის, როგორც არასდროს.**

გამოღმა მომავალ ქართველს აფხაზი მოაცილებს. სწორედ ამ უკანასკნელის მხარდაჭერით გადადის საზღვარზე და უკანდაბრუნებულს ისევ აფხაზი მიაცილებს, რათა სახლში მშვიდობით, უპრობლემოდ მივიდეს.

„აფხაზეთის საზღვარი აფხაზი მეგობრის წყალობით გადავლახე, — ამბობს გალის რაიონის მკვიდრი ჯამბულ გამახარია, — ძალიან გვიჭირს გადმოსვლა. თუ დაგვიჭირეს, საზღვრის უკანონოდ გადალახვაში დაგვადანაშაულებენ და დიდი ჯარიმის გადახდა მოგვიწევს. გამოუვალ მდგომარეობაში ვართ. პროდუქტი, წამლები, ძირითადად, ზუგდიდიდან შეგვაქვს. აფხაზ მოქალაქეებს კარგად ესმით ჩვენი გაჭირვება. ისინი ხედავენ, რომ ჩვენ მათი მოსისხლე მტერი არა ვართ. თითქოს ყინული დაიძრა და ჩვენს შორის ნდობა აღდგა.

კონფლიქტის ზონაში მყავს დასაყრდენი; იგი აფხაზია. ალბათ, ენგურს გამოღმა მცხოვრებთ უჭირთ ამის გაგება, მაგრამ ეს სიმართლეა. **ჩვენ დროისა და პოლიტიკის მსხვერპლნი ვიყავით, თორემ გასაყოფი არაფერი გვქონია“.**

„ომის შემდეგ ერთმანეთს სათოფეზე არ ვიკარებდით, — ამბობს გულად ბაბუა, დრომ თანდათან შეცვალა ჩვენი ურთიერთობა. კანტიკუნტად მცხოვრებ ქართველებს აფხაზები ხშირად გვსტუმრობენ და ჩვენს საერთო გულისტკივილზე თამამად ვსაუბრობთ. ომზე ორივე მხარეს ერთნაირი შეხედულება გვაქვს. ვიცით, რომ ჩვენ პოლიტიკური შეცდომის მსხვერპლნი ვართ. აზრთა თანხვედრამ რაღაცნაირად გაგვაერთიანა. **ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, რა გვქონდა გასაყოფი აფხაზსა და ქართველს? პასუხი დღემდე ვერ მიპოვნია“.**

სოფელ ოტობაიის მკვიდრი **გოჩა ნარმანია** დედით აფხაზია.

„გადამწვარი სახლ-კარი განვაახლე და ცხოვრება თავიდან დავიწყე. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად დაიძაბა. ენგურს იქით გადასვლა გვიჭირს, მაგრამ აფხაზების დახმარებით მაინც ვახერხებთ. 13 თებერვალს მეზობელმა ქორწილი გადაიხადა. აფხაზებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. სუფრასაც ერთად მივუსხედით. ზოგჯერ გვგონია, რომ ხელისუფლებას ჩვენი არსებობა არც კი ახსოვს. ერთმანეთი თუ არ გავიტანეთ, დავიღუპებით კიდეც“, — გვიამბობს ნარმანია.

ირმა ჩიტაია

მოკლედ

ბრიტანეთიც იძირება

ევროკავშირი კიდევ ერთი თავსატეხის წინაშე აღმოჩნდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, ნისლიანი ალბიონი ბიუჯეტის 12,6%-იანი დეფიციტით მსოფლიოში უკვე მესამე ადგილზეა.

უარესი მდგომარეობა მხოლოდ ისლანდიასა და საბერძნეთშია. ევროპის ცალკეული ქვეყნების კრიზისი კი უმძიმეს გავლენას ახდენს ევროზე. გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის განცხადებით, ახლა ევროს თავისი არსებობის ისტორიაში ყველაზე რთული პერიოდი აქვს.

ობამამ სანაძლეო წააგო

ვანკუვერის ოლიმპიადაზე ჰოკეის ფინალურ შეხვედრასთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტმა კანადის პრემიერ-მინისტრ სტივენ ჰარპერთან სანაძლეო წააგო — ერთი ყუთი ლუდი. კანადის ნაკრებმა აშშ-ის გუნდი ანგარიშით 3:2 დაამარცხა.

ჯერჯერობით ცნობილი არაა, სად და როდის მიართმევს ბარაკ ობამა კანადის პრემიერს წაგებულ ლუდ „Yuengling“-ს. ოლიმპიადა აშშ-ის ჰოკეისტებს რომ მოეგოთ, მათი პრეზიდენტი კანადაში ერთ-ერთი უძველესი მწარმოებლის — „Molson“-ის 24 ბოთლს მიიღებდა.

ზიმბაბვე თეთრებს დაერია

ზიმბაბვეში ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც ფირმების ან საწარმოების მფლობელები მხოლოდ ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლნი შეიძლება იყვნენ. ხუთი წლის განმავლობაში აქციათა საკონტროლო პაკეტები შავკანიან მეწარმეებს უნდა გადაეცეთ.

გარდა ამისა, თვე-ნახევრის განმავლობაში ქვეყნის ყველა კომპანიამ უნდა წარადგინოს აქციონერთა სია, რომელშიც მათი რასობრივი კუთვნილება იქნება მითითებული. ამ წესების დამრღვევთ ხუთ წლამდე პატიმრობა ელით.

3 — 9 მარტი, 2010 წელი. №8 (51)
www.geworld.net

ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ? ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ: 38-41-97, ᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ: info@geworld.net

ქალია-ადამიანი?!

უავგუსტესმა კიდევ ერთი შოუ დადგა. სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ტაკიმასხრობას, ოფიციალურად პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება რომ დაარქვეს და სინამდვილეში ერთი მსახიობის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი გამოდგა. ამ შოუზე ტრაგედია, კომედია და ფარსი ერთდროულად იყო წარმოდგენილი.

ტრაგედია იყო (გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, როგორი თავდაჭერილი ვარ — არ ვამბობ, რომ ტრაგიკული უზნეობა იყო, თუმცა ასე ვფიქრობ და ბევრი დამეთანხმება!) ვანკუვერში, ოლიმპიადაზე დაღუპული მოციგავის — ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახის მიყვანა ამ შოუზე;

კომედია იყო საქართველოში გადმოსახლებული ამერიკელების — ბაინდერების ოჯახის ჩვენება იმ ფონზე, როცა ქართველები თავს იკლავენ ამერიკაში (და არა მარტო იქ) გასაქცევად; ასევე კომიკური იყო, მისტერ ჰიპის „მაშასადამე ქართველად“ გამოცხადება;

ფარსი იყო იმ დაპირებათა ჩამოთვლა, რომელიც თურმე „შე-სრუ-ლე-ბუ-ლი-ა!“.

მაგრამ **რა შეიძლება ვუწოდოთ ამ შოუში ვალერია ნოვოდვორსკაიას, ანდრეი ილარიონოვის, კონსტანტინე ბოროვოისა და ოლეგ პანფილოვის (სხვებისაც!) მონაწილეობას?**

თურმე საქართველომ მადლობა უნდა გადაუხადოს ამ ქალ-ადამიანს; ამ ელცინისა და პუტინის „ხელის ბიჭს“ და მერე მრჩევლობიდან გამოპანღურებულს; ამ არამკითხე ვითომ პოლიტოლოგსა და ამ „ბომჟს“, რომელიც, უკვე რამდენიმე თვეა, თბილისში ცხოვრობს.

იცით, რა მაინტერესებს? რუსეთთან დიალოგის მომხრე ქართველი რატომ ირაცხება სამშობლოს მოღალატედ და რუსეთიდან გამოქცეულები და თავიანთი სამშობლოს უარმყოფელები რატომ აქცია ამ ხელისუფლებამ გმირებად და პატრიოტებად? რუსეთი მათი სამშობლო არ არის? თუ სამშობლოს უარმყოფელი ყველა ვიგინდარა ჩვენ უნდა დავბანოთ და დავვარცხნოთ?

ხვალ რომ სააკაშვილმა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინონ და შეხვედრებიც გამართონ კრემლის მესვეურებთან (ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც!), ამ ლოგიკით მოღალატეები იქნებიან, ასე არ არის?..

ძალიან ბევრი მადლობა თქვა უავგუსტესმა, რატომ? ალბათ, ახლა ასე იყო საჭირო და იმიტომ! ახლა ასე სჭირდება და მოიწვია ვიგინდარები კვერის დამკვრელებად. მეტა-შეები დარბაზში ისხდნენ და მთლად ელდარ კვერნაძესავით გულმოდგინედ ვერა, მაგრამ თავს არ ზოგავდნენ მათი პრეზიდენტის „სიბრძნეთა“ დასტურსაყოფად.

კალამი არ მემორჩილება ამის დასაწერად, მაგრამ მართლა ქართველთა ტრაგედია იყო ამ ადამიანების პარლამენტის სასესიო დარბაზში ყოფნა და, მით უმეტეს, ის განსაკუთრებული დახვედრა, რომელიც მათ მოუწყვეს „რჩეულებმა ამა ქვეყნისა“.

როგორი „რჩეულებიც“ არიან, სტუმრებიც ისეთები ჰყავდათ.

თურმე ეს ადამიანები „კრემლის მიერ იდევნებიან თავისუფალი სიტყვისა და განსხვავებული აზრის გამო“. დავით ბაქრაძემ კი ამ „საპატიო დელეგაციას“ მადლობაც გადაუხადა, რადგან **„ყველას გვახსოვს მათი სამოქალაქო და ვაუკაცური პოზიცია სიმართლის სასარგებლოდ და არა — საქართველოსთვის“.**

ამ „ვაუკაცებიდან“ განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ვალერია ნოვოდვორსკაია, რომელიც ახლა მიშას კარის „დვორსკაია“ გამხდარა.

მოუსმინეთ და თქვენც გაიგებთ, ვინ არის მისი კერპი.

„მიხეილ სააკაშვილისგან შეიძლება ველოდოთ მსოფლიოს მეცხრე, მეათე საოცრებას, რადგან მეშვიდე საოცრება მან უკვე მოახდინა, რაც რეფორმებში გამოიხატა, რომლებიც მან ბალტიისპირეთის ქვეყნების დონეზე გაიკეთა (მიშას მერვე საოცრება საკუთრივ ვალერიაა! — ბ.მ.) **და ეს იყო ის, რამაც საქართველო რუსეთის შემოჭრისგან იხსნა. მან ბოლომდე დაიცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ეს არ იყო იოლი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდია პატიოსანი ადამიანი იყო, მან ამის გაკეთება მაინც ვერ შეძლო.**

შესაძლებელია, საქართველომ ამ პერიოდში ისწავლა, როგორ გაუფრთხილდეს საკუთარ პრეზიდენტს, რასაც ვერ ვიტყვი თქვენს ოპოზიციაზე, მაგრამ იმედი მაქვს, ის ამ შემთხვევაში არ ასრულებს პირველი ვიოლინოს პოზიციას. ვინც „ედინაია როსიასთან“ შეთანხმებებს აფორმებს, აქ ყოველთვის გარიყული იქნება.

გუშინ ბევრი ვილაპარაკეთ პრეზიდენტთან. იგი სრულფასოვანი დისიდენტია და, როდესაც დისიდენტი ხდება პრეზიდენტი, ეს ყოველთვის კარგის მომტანი არ არის. ზვიად გამსახურდია იყო კარგი დისიდენტი, მაგრამ მას პოლიტიკური განათლება, თუ როგორ უნდა ემართა ქვეყანა, არ ეყო“, — განაცხადა ნოვოდვორსკაიამ „რუსთავი 2“-ის ეთერით.

მართლაც, ქალია-ადამიანი?! ამ სიტყვების მთქმელი, როგორ შეიძლება, ადამიანის უფლებათა დამცველი იყოს?

ნოვოდვორსკაია სააკაშვილისგან მერვე და მეცხრე საოცრებას ელის. თურმე შვიდი საოცრება უკვე მოუხდენია. ამ ქალ-ადამიანს, რომელიც ნამდვილად ჰგავს ადამიანს, ჰგონია, რომ ის, რაც საქართველოს დამართა სააკაშვილის „მხედართმთავრულმა გენიამ“, საოცრება იყო და **„საქართველო რუსეთის შემოჭრისგან იხსნა“**. როგორც ჩანს, ვალერია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, მთელ შიდა ქართლს საქართველოდ არ მიიჩნევს, თორემ შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ ტანკები გორის ცენტრში იდგა და საქართველომ თავისი ისტორიული მიწები დაკარგა.

ნოვოდვორსკაია იმ რეფორმებს გვიწონებს, რომელმაც მოსპო განათლება და მეცნიერება, იმ რეფორმებს, რამაც ათეულობით ათასი საქართველოს მოქალაქე აიძულა სამშობლოდან გადახვეწილიყო.

თურმე სააკაშვილს ქვეყნის დამოუკიდებლობა დაუცავს. ეს ქალი-ადამიანი დაგვცინის. ჩვენ რა, კოლექტიური ამნეზია გვჭირს და აღარ გვახსოვს, როგორ იცავდა პრეზიდენტის სასახლეს გორიდან გამოქცეული მთავარსარდალი და ვინ ეხმარებოდა ამ „თავდაცვითი ზღუდეების“ აშენებაში? ჯერ „მოწყალების და“ კონდოლიზა, შემდეგ კი „მამიდა“ ანგელა და „ბიძია“ ნიკოლაც ჩამოვიდნენ... რამდენიმე „ევრობიძაშვილიც“ გვესტუმრა...

ანდა რას ნიშნავს შეფასება, რომ სააკაშვილი „სრულფასოვანი დისიდენტია“? შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტი დისიდენტი იყოს? იქნებ, მართალიც არის სტაჟიანი „ადამიანის უფლებათა დამცველი“ — იგი ხომ კარგად იცნობს დისიდენტების ბუნებას, მაგრამ, **ჩვენთვის რომ სასჯელია დისიდენტი პრეზიდენტი, ამას აინუნშიც არ აგდებს. თუმცა კარგად იცის, რომ, „როდესაც დისიდენტი ხდება პრეზიდენტი, ეს ყოველთვის კარგის მომტანი არ არის“. სააკაშვილი არასოდეს ყოფილა დისიდენტი, ისე გახდა პრეზიდენტი და, ნოვოდვორსკაიას შეფასებით, სიმაღლეებსაც მიაღწია — „სრულფასოვანი დისიდენტი“ გახდა. ეს კი საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდა.**

მაგრამ **ნოვოდვორსკაიას რა ენაღვლება?** მით უმეტეს, რომ ასეთი „სრულფასოვანი დისიდენტების“ ხარჯზე იკვებება. ოღონდ მიშას აამოს და ასიამოვნოს და ზვიად გამსახურდიას კრიტიკასაც არ ერიდება. თურმე მას „პოლიტიკური განათლება, თუ როგორ უნდა ემართა ქვეყანა, არ ეყო“. (ჰო, რა თქმა უნდა, ხალხის დარბევა-დაწიოკება-ჩახოცვით ქვეყნის სამართავად აუცილებელია დიდი „პოლიტიკური განათლება“, რომელიც სააკაშვილს უთუოდ „ეყო“!)

რაც „არ ეყო“ გამსახურდიას, სააკაშვილს მოჭარბებულიც კი ჰქონია.

ამ მოჭარბებამ რა ხეირიც დაგვაყარა, ვნახეთ!

ვალერია ნოვოდვორსკაია კი დემაგოგობას აგრძელებს. იგი აგვისტოს ომს, „მოგებულ ომს“ უწოდებს. აქამდე არ ვიცოდი, რას გულისხმობდნენ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი ამალა, როცა ომის მოგებას იკვეხნიდნენ, ახლა კი, როგორც იქნა, გავიგე. ვალერიამ „გახსნა კარტები“. **თურმე ეს ომი „მოგებული“ ყოფილა იმიტომ, რომ „რუსეთს მარტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მითვისება კი არა, მთლიანად საქართველოს დაპყრობა უნდოდა, მაგრამ საქართველომ შეძლო რუსეთის შეჩერება“.**

დაგვცინის ეს ქალი-ადამიანი, ნამდვილად დაგვცინის, თორემ სიმართლეს, მწარე სიმართლეს გვეტყოდა. მაგრამ ეს სიმართლე არც მიშას სჭირდება და არც — ვალერიას. სიმართლე კი ასეთია: **რომ არა ევროკავშირის აქტიურობა და კრემლში გადაწყვეტილების შეცვლა, რომ არა სარკოზიმედვედევის შეთანხმება, რომელსაც სააკაშვილის ხელრთვაც „ამშვენებს“ და რომლის დანართს საგულდაგულოდ გვიმალავენ, ახლა მიშაც დიდი ხნის „გამოტირებული“ გვეყოლებოდა და არც ამ „ბომჟებისთვის“ ტაშისკვრით გადაიტყავებდნენ ხელებს საქართველოს პარლამენტის სავარძლებში მოკალათებული მიშას ნებიერა მუქთახორები.**

კიდევ უფრო ცინიკურია მისი სიამაყის მეორე საფუძველი: **„ვამაყობ საქართველოთი იმის გამოც, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც, რაც კი რუსეთის იმპერია არსებობს, გაბედა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ამის გაკეთების საფუძველი ჰქონდა უკრაინას, პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ამის გაკეთება ვერ გაბედა“...**

კალამი არ მემორჩილება ამის დასაწერად, მაგრამ მართლა ქართველთა ტრაგედია იყო ამ ადამიანების პარლამენტის სასესიო დარბაზში ყოფნა და, მით უმეტეს, ის განსაკუთრებული დახვედრა, რომელიც „რჩეულებმა ამა ქვეყნისა“.

გესმით, რას იწონებს ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი? თურმე ამ ქვეყნებს საფუძველი ჰქონდათ და მაინც არ გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის იმპერიასთან. სააკაშვილმა კი გაბედა. იქნებ, ისიც გვითხრას ამ ქალ-ადამიანმა, **რა დაკარგეს უკრაინამ, პოლონეთმა, უნგრეთმა და ჩეხოსლოვაკიამ ამ ვერგაბედვით და რა მოიგო საქართველომ ამ გაბედულებით?**

„წააქეზეს მურია, შეაჭამეს მგლებსაო“, — ასე მოგვივიდა და ახლა კახა ბენდუქიძის მოწვევით ჩამოსული და მრგვალ მაგიდასთან პოსტსაბჭოთა სივრცის პერსპექტივებზე სასაუბროდ მიმჯდარი ნოვოდვორსკაია იმას გვიქებს, რის გამოც მთელ მსოფლიოში მასხრად გვიგდებენ.

ერთხელ უკვე ვთქვი და გავიმეორებ — **ნოვოდვორსკაიას რა ენაღვლება?**

არც არაფერი. რას კარგავს, მსმენელი რუსეთშიც ეყოლება და ჩვენთან ხომ სულ ფიანდაზებს უგებენ ხელისუფლების პირველი პირები. ეს იმათ მოსწმენდს პირს, ისინი ამას (ამათ!) დააკმაყოფილებენ და ისე გაუშვებენ იქ, სადაც თურმე „განსხვავებული აზრის გამო კრემლის მიერ იდევნებიან“.

კარგი „დევნაა“, ჩემმა მზემ, გამოდევნეს ჩვენთან, აქებენ და აქეზებენ ისედაც თავდაჯერების ნირვანაში ჩაძირულ უავგუსტესს და ერთი-ორ კაპიკსაც (პირობითად!) იშოვიან — **ნოვოდვორსკაია ლექციებს წაიკითხავს თბილისის ეკონომიკურ სკოლასა და გორის უნივერსიტეტში. ჰონორარსაც მიიღებს, მას რომ დააკმაყოფილებს, იმდენს მიიღებს ლექციებისთვის, „მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერისთვის“.**

მაგრამ მისი ამ ვიზიტის დროს ერთი „საფრთხეც“ გაცხადდა:

ნოვოდვორსკაია მზად არის, ქართულ არმიაში ჩაეწეროს. თუ ამის საჭიროება იქნებაო, ამბობს. როგორ არ არის „ამის საჭიროება“, მთლად ბირთვულის დონეზე თუ ვერ გაქაჩავს, „ისკანდერად“ ხომ გამოდგება? **ჰოდა, როგორც კი კრემლი თბილისში შემოჭრას დააპირებს და საქართველოს ტერიტორიის (რაც დაგვრჩა!) ანექსიით დაგვემუქრება, ჩვენც მუქარით ვუპასუხებთ. რა თქმა უნდა, შეეშინდებათ; უნდათ ახლა წითელ მოედანზე ახალი მოდიფიკაციის ბომბის — სახელად „ვალერიას“ აფეთქება? მერე იმტვრიოს თავი ონიშენკომ — ვნახავთ, რამდენ ხანს მოანდომებს... დეზინფექციას.**

სულაც არ გვაქვს საქმე სასაცილოდ. ამიტომ გადავდოთ ირონია და სერიოზულად მოვუსმინოთ ნოვოდვორსკაიას გაფრთხილებას:

„დიდია ალბათობა, რომ რუსეთში კარგა ხანს არც არაფერი შეიცვალოს. რუსეთი ჯერ კიდევ საშიშია. სამწუხაროდ, მას ჯერ აქვს რესურსები, ბირთვული იარაღი და სულ უფრო რთული ხდება ქვეყნის მართვა. რუსეთი სულ უფრო ემსგავსება ჩინეთს, ჩრდილოეთ კორეას, ირანსა და კუბას. სამწუხაროდ, დღევანდელ მსოფლიოში არ არის ინსტანცია, რომელსაც შეუძლია რუსეთისა და ამ ქვეყნების პრობლემის მოგვარება“.

გესმით, რას ამბობს? იცის, რომ **„რუსეთი ჯერ კიდევ საშიშია“ და ისედაც აწყვეტილ საქართველოს ხელისუფლებას კიდევ უფრო აქეზებს.** მერე ამ საშიში ქვეყნისგან დაშოკილი საქართველოს დაცვას დაიწყებს... საქმეს გაიჩენს, ანუ „გააკეთებს იმას, რაც შეუძლია“.

ახლაც ასეა, „აკეთებს იმას, რაც შეუძლია“.

ერთი ეგ არის, ძალიან ძვირი გვიჯდება საკუთარი სამშობლოს მაგინებელთა მომსახურება.

ვალერია ნოვოდვორსკაიას აზრით, **„საქართველოსთვის საფრთხეს, ასევე, წარმოადგენს ორმაგი მოქალაქეობა. საქართველომ საქართველოში არ უნდა დაუშვას საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქეობა. ორმაგი მოქალაქეობა დიდი საფრთხეა მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის და, უპირველესად, საქართველოსთვის. ვიდრე რუსეთი არ გაუნეიტრალებიათ, ორმაგი მოქალაქეობა ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ უნდა გააუქმოს.**

ახლა, როცა რუსეთსა და საქართველოს, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ, საერთოდ არ მესმის, საქართველოში როგორ უნდა იდგეს ერთდროულად საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქეობის საკითხი. ჩემი აზრით, რუსეთსა და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებსაც ორმაგი მოქალაქეობა სურთ, ერთ-ერთის მოქალაქეობის არჩევით უნდა დაკმაყოფილდნენ“.

აქამდე სად იყავი, ცოტა ადრე გეთქვა რა, შე ქალო, აი, მაშინ, — შენმა კერპმა რუსეთის მოქალაქე ვაშაძე რომ დანიშნა მთლად საგარეო საქმეთა მინისტრად!

მაგრამ ჭკუის სწავლა (დარიგებით!) არასოდეს არის გვიან. ჰოდა, ახლა რაღა გვიჭირს, უარს იტყვის ვალერია ნოვოდვორსკაია რუსეთის მოქალაქეობაზე (იქ მაინც დევნიან) და ჩამოვა სამუდამოდ სააკაშვილის დემოკრატიულ საქართველოში.

ვნახავთ, რა ხასიათზე დადგება, როცა, რაღაც რომ არ მოეწონება, თავისებურად გაუტევს და მიშა-ვანოს ზონდერბრიგადები კარგად „დაარბილებენ“...

ᲑᲝᲜᲓᲝ ᲛᲐᲫᲘᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დოკუმენტებს აყალბებენ

უცნაური სფეროა სახელმწიფოს მმართველობა, შიგადაშიგ პროფესიონალიზმსაც ითხოვენ; მაგალითად, პროფესიონალიზმი ინტრიგის „კეთებაში“, დოკუმენტების გაყალბებასა და კომპრომატების შემქნაში, ინტრიგის ხელოვნება რთული და ყოვლისმომცველი ნიჭია, რომელიც ან თანდაყოლილია, ან დროთა განმავლობაში შესაფერის გარემოსა და პერიოდში გამომუშადება; მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც, მართალია, ძაღლმა არ იცის პატრონი რა გვარია და არც პატრონი იწუხებს თავს ძაღლის ჯიშსა და გვარში გარკვევით, მაგრამ ინტრიგის ხელოვნება ზედაპირზე დიდი ხნით ტივტივის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

ძაღლი და ღორი რა მოსატანია ჩვენს დახვეწილ დიპლომატებთან და ახალი თაობის დიპლომატთა სამჭედლოსთან! აი, რაც შეეხება ინტირიგას, ეს ის ხილია, რომელსაც ხურმას მხოლოდ იმიტომ არ შევადარებთ, ისევ ცხოველთა სამყაროსკენ რომ არ გვიბიძგოს ლოგიკურმა აზროვნებამ. ინტრიგა ხურმა რომ არ არის, ჩვენმა ჩინოვნიკებმა ან მათმა ხელქვეითებმა არ იციან, ამიტომ დოკუმენტების გაყალბებას და შექმნას ხურმასავით იყენებენ, ჭარბად მიირთმევენ და მერე „გეგმიურ ფაღარათს“ უჩივიან.

„პოლიტიკურ ფაღარათს“ კანონმორჩილ ქვეყნაში საკადრო ცვლილებებით მკურნალობენ. საქართველო ამ ქვეყანათა კატეგორიას არ განეკუთვნება. საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისევე, როგორც სხვა სამინისტროები, მაღალი რანგის თანამშრომელთა მიმართაც კი მკაცრად განსაზღვრულ პროფესიას და (ან) კვალიფიკაციას არ მოითხოვს, მთავარია ლობი გყავდეს პრეზიდენტის ან ქვემდებარე პირების სახით, თუმცა ქვემდებარე პირები ერთობ პირობითი ცნებაა. პრეზიდენტის გარემოცვის მრავალრიცხოვან წევრებს მრავალრიცხოვანი გუნდები ჰყავს და გასაკვირი არ არის, რომ „გუნდელების“ ღირსეულად დასაქმებას ცდილობენ, ერთ-ერთი ყველაზე „ხადავოი“ ადგილი რომელიმე ქვეყანაში ელჩად გაგზავნაა, მრავალრიცხოვანი პრეტენდენტებიდან ამა თუ იმ ადგილს ის დაიკავებს, ვისაც უფრო გავლენიანი მფარველი ან ოჯახის წევრი ჰყავს.

იაპონიაში საქართველოს ყოფილი ელჩი ივანე მაჭავარიანი აცხადებს, რომ მის ელჩად დანიშვნაში არანაირი როლი მის ძმას, პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს არ შეუსრულებია. თუმცა ერთი რამ ფაქტია, ამ მტკიცების მიუხედავად, ვანო მაჭავარიანის ელჩობას ყველა მაინც ვიცე-სპიკერს უკავშირებს, შესაძლოა იმიტომ, რომ ელჩობამდე ვანო მაჭავარიანს საზოგადოებისთვის არაფრით დაუმახსოვრებია თავი. სამაგიეროდ, მიხეილ მაჭავარიანი ითვლება ქართული პოლიტიკის სტაჟიან „რუხ კარდინალად“, რაც შეეხება ვანო მაჭავარიანს — ელჩობის პერიოდში „თავის დამახსოვრების“ მისია წარმატებით შეასრულა და იმდენად დასამახსოვრებელი გამოდგა, რომ იაპონიაში მოღვაწე რუსეთის ელჩიც კი ვეღარ ივიწყებს. ისტორია 2008 წლის 27.02-ით თარიღდება, საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ვიღაც „იდუმალმა ხელმა“ ინტრიგის მოყვარულ ჟურნალისტებს ოფიციალური დოკუმენტი (10-039/08) მიაწოდა, სამინისტორს კანცელარიის ბეჭდზე კი 5217/4-01-ია დაფიქსირებული. დოკუმენტში საქართველოს ელჩი იაპონიაში — ვანო მაჭავარიანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელ მოადგილეებს — ნიკოლოზ ვაშაკიძესა და გრიგოლ ვაშაძეს ერთ დელიკატურ საკითხში სთხოვდა დახმარებას: „გიგზავნით იაპონიაში რუსეთის ელჩის, ამხანაგ ბელის მიერ ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებული წერილის ასლს, რომელშიც იგი მომმართავს, როგორც საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ელჩს (მგონი, ვერ არის ტავო!), რა ვქნა? პატივისცემით, ვანო მაჭავარიანი,“ – აი, ასე. წერილი სხარტი, ლაკონური და ერთობ სახალისოა.

ლირიული გადახვევა საკითხურით „სასარგებლოა ვიცოდეთ“ (მხოლოდ თქვენთვის და ჩვენთვის კი არა, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და დიპკორპუსისთვისაც მსგავსი რამეების ცოდნა ძალიან სასარგებლოა). „ამხანაგი ბელი“ რუსეთის დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე გამოწრთობილი კადრია და იაპონიამდე დიპლომატიურ მისიას კიდევ 4 ქვეყანაში ასრულებდა, ელჩობამდე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის მეორე დეპარტამენტის დირექტორი იყო; ფლობს ინგლისურ, გერმანულ, ჰაიდისა და მალაიზიურ ენებს. ცხადია, რუსული დიპლომატიის „მძიმე არტილერიას“ მიმართვის ფორმები არ შეეშლებოდა. მართალია, ივანე მაჭავარიანი ამბობს, — ნამდვილად შეეშალაო, შეშლის მიზეზად კი მდივან ქალს ასახელებს, რომელმაც თურმე ჯერ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩისთვის ამობეჭდა დანიშვნასთან დაკავშირებული მილოცვის წერილი, შემდეგ კი — საქართველოს ელჩისთვის, მდივანმა რომელიც ბელის კადრი და, შესაბამისად, სულ მცირე სკურპუოზული და ზედმიწევნით მოწესრიგებული უნდა იყოს, ვიეტნამი საქართველოთი შეცვალა, ვიეტნამის ელჩის გვარი და სახელიც ივანე მაჭავარიანად ჩაასწორა და მხოლოდ „სოციალისტური რესპუბლიკა“, ანუ პოლიტიკური დატვირთვის ფრაზა ხელუხლებლად დატოვა, როგორც იტყვიან, „ამას ვინ ჭამს“! საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სოციალისტურ რესპუბლიკად მოხსენიების ფაქტი, სავარაუდოდ, არც „ველიკოდერჟავული“ გადახრით უნდა იყოს გამოწვეული. უბრალოდ, მარტივი იუმორი იყო, ივანე მაჭავარიანის მიმართვის „ამხანაგო ბელი“-ს საპასუხო ლოგიკა, რომელიც ჩვენს ყოფილ ელჩს შარად ექცა. ივანე მაჭავარიანი არ უარყოფს, რომ მსგავსი წერილი საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოგზავნა და ნამდვილად ითხოვა რჩევა — „რა ვუქნა“ მიხაილ ბელსო; თუმცა ერთი ფაქტით არის განცვიფრებული — ზემოთ აღნიშნული სახალისო ტექსტი პირადი მიმოწერის სახით პირად ფოსტაზე გაუგზავნია საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილისთვის და ამჟამინდელი მინისტრის გრიგოლ ვაშაძისთვის. მოგვიანებით კი პირადი მიმოწერა ივანე მაჭავარიანმა ბლანკიან ფურცელზე ოფიციალური ბეჭდით, საკუთარი ხელმოწერითა და ნუმერაციით იხილა, მაგრამ მარტო მან კი არა, — მთელმა საქართველომ და დიდად იხალისა კიდეც ქართველი დიპლომატის იაპონურ-რუსულ თავგადასავალზე.



საქართველოს საელჩო იაპონიაში
在日本国グルジア大使館
Embassy of Georgia in Japan

10-039/08
27.02.2008

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეებს
გრიგოლ ვაშაძეს და ნიკოლოზ ვაშაკიძეს,

ბატონო გრიგოლ და ბატონო ნიკოლოზ,

გიგზავნით, იაპონიაში რუსეთის ელჩის, ამხანაგი ბელის მიერ ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებული წერილის ასლს, რომელშიც იგი მომმართავს, როგორც საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ელჩს
(მგონი ვერ არის ტავო!)
რა უქნა?

პატივისცემით,

ივანე მაჭავარიანი
საქართველოს ელჩი იაპონიაში

5217/4-01
28.02.08

21F, Nanbu Bldg., 3-3 Kioi-cho, Chiyoda-ku Tokyo 102-0094 Japan
Tel: +813-5226-5011 Fax: +813-5226-5014

ამ ფაქტიდან ერთი ვერსია, რომელიც თქვენთან და დაახლოებით ერთი წლის წინათ ერთ გაზეთში დაიბეჭდა.

— ანუ თქვენი დაწერილი არ არის და ვიღაცამ მოიგონა?

— ტექსტი ჩემი დაწერილია, მაგრამ ეს იყო პირადი წერილი, რომელიც მეგობარს (მე ასე მივიჩნევდი ამ წერილის ადრესატს) ინტერნეტით გავუგზავნე და შემდეგ როგორ მოხვდა ეს ტექსტი პრესაში — ბლანკიან ფურცელზე, ხელმოწერითა და სარეგისტრაციო ნომრით, ჩემთვის გაუგებარია.

— ხელმოწერა თქვენი არ არის?

— ჩემია, მაგრამ კიდევ გიმეორებთ, ამ წერილზე ხელი არ მომიწერია. მე უამრავ დოკუმენტზე მაქვს ხელი მოწერილი, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროშიც საკმარისადაა. როგორც ჩანს, ვიღაცამ ამით ისარგებლა. შედეგად მივიღეთ ის „შედევრი“, რაც თქვენ და უფრო ადრე ერთ-ერთმა გაზეთმა დაბეჭდა.

ეს საკმაოდ დამაფიქრებელი და სერიოზული პრეცენდენტია, როგორ მოხვდა პირადი ხასიათის წერილი „ვიღაცების“ ხელში, რომლებმაც ეს „დოკუმენტი გააკეთეს“?

— თუ საიდუმლო არ არის, ვის გაუგზავნეთ ეს პირადი ხასიათის წერილი?

— წერილი გავუგზავნე მინისტრის მაშინდელ მოადგილეს, გია ვაშაძეს.

— ანუ დღევანდელ მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს, ხომ?

— დიახ.

— პირად ფოსტაზე?

— კი, პირად ფოსტაზე.

— და ვის ჰქონდა შეხება საგარეო საქმეთა მინისტის მოადგილის ფოსტასთან? შესაძლებელია, რომ მისი პირადი მიმოწერა ვინმეს ჰაკერული მეთოდით გაეტეხა?

— ზუსტად ეგ საკითხი დავსვი, პირველად რომ გამოქვეყნდა ეს წერილი, თუ ვინმე სამინისტროს პირველი პირების ფოსტებს ხსნის და წერილებს „იპარავს“, ეს საგანგაშოზე უფრო მეტია. მაშინაც და ახლაც ელჩებისაგან ან სხვა პირებისგან მინისტრების მოადგილეებთან და სხვა თანამდებობის პირებთან პირად ფოსტაზე ნამდვილად მოდიოდა და მოდის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, შეტყობინებები, რომლებიც არაფრით არ უნდა მოხვდეს „უცხო“ პირთა ხელში. როდესაც ერთ-ერთ გაზეთში ეს წერილი პირველად გამოჩნდა, ზუსტად ეს საკითხი დავუსვი მინისტრს — მიეკვლიათ და გამოეძიებინათ, რამდენად დაცულია მათი პირადი ფოსტები და ვინ იყო დამნაშავე ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

— გამოიკვლიეს?

— როგორც მითხრეს, კი და ამ პროცესში უშიშროების სამსახურიც ჩაერთო.

— და რა დაადგინეს?

— მითხრეს, რომ გამოიკვლიეს, მაგრამ თქვენ ვერ გეტყვითო.

— რატომ?

— არ ვიცი, შემდეგ სამინისტროს ვთხოვე, რომ გაზეთში დაბეჭდილი პუბლიკაციისთვის პასუხი გაეცათ, მაგრამ მითხრეს, რომ არასერიოზული გაზეთია, მაგას არავინ დაუჯერებსო და არ მოახდინეს ოფიციალური უარყოფა წერილისა, რომელიც ჩემს დისკრედიტაციას ახდენდა.

მოკლედ ასე, დოკუმენტის გაყალბება კი არა, არარსებული დოკუმენტის შექმნაც არ არის პრობლემა, თუკი მიზანმიმართული ინტრიგის პროცესში „ფანტაზია და მარჯვე ხელები“ ჩაერთვება. რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტოს, ამ უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ბაკურ კვარაცხელიამ ოფიციალურად გვაცნობა, რომ „იაპონიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ყოფილი ელჩის, ბ-ნი ივანე მაჭავარიანის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოგზავნილი წერილი არ შეესაბამება სინამდვილეს, აღნიშნული წერილი არ აღირიცხება სამინისტროს კანცელარიაში და არ ემთხვევა სამინისტროს იმავე ნომრით შემოსულ წერილს“. წერილში, ასევე, მოკლედ არის აღნიშნული ივანე მაჭავარიანის ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ იაპონიაში. თუმცა ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები, გაჭრილი ვაშლივით რატომ ჰგავს არარსებული დოკუმენტი (არადა, ფაქტია, რომ არსებობს) საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ დოკუმენტს. თავად ივანე მაჭავარიანი ადასტურებს, რომ ხელმოწერაც, ვიზუალური ფორმაც, ბეჭედიც, რეკვიზიტებიც და ა.შ. ემთხვევა ვანო მაჭავარიანის ხელმოწერასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დოკუმენტების რეგისტრირების წესს (ოფიციალურ წერილშიც არსად არ არის ნათქვამი, რომ ფორმა, ბეჭედი და აღრიცხვის წესი არ ემთხვევა საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტების რეგისტრირების წესებს).

შერლოკ ჰოლმსის დედუქციას და „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გამორიცხვის მეთოდს რომ მივმართოთ, უცნაური რამ გამოდის, ცხვირი ჰგავს? – ჰგავს, შუბლი ჰგავს? – ჰგავს, თვალებიც ჰგავს და ვარცხნილობაც, მაგრამ წერილი მაინც არ არის „ნამდვილი“. ასე რომ, სიტუაცია რთული და არასაიმედოა, საგარეო საქმეთა სამინისტრო სახაჭაპურე „გემრიელო“ რომ იყოს, კიდევ არა უშავს, დოკუმენტების გაყალბება კანონის ბანალური დარღვევა იქნებოდა და საგარეო თუ საშინაო საფრთხეებთან აღარ ასოცირდებოდა, არც მიხეილ მაჭავარიანთან, რომლის ჩაძირვას და კომპრომენტირებასაც, ამბობენ, ხელისუფლებასთან დაახლოებული არანაკლებ გავლენიანი სუბიექტები, დიდი ხანია, ცდილობენო, არც იმას უარყოფენ, რომ თავად გრიგოლ ვაშაძეს დიდად არ ესიმპათიურება თავისი ყოფილი თანამშრომელი, არც ვანო მაჭავარიანი მალავს უარყოფით ემოციებს და თავისი ყოფილი შეფი, რბილად რომ ვთქვათ, „თანამდებობისთვის შეუფერებლად“ მიაჩნია.

ამ გაურკვევლობასა და ინტერესთა კონფლიქტში, როგორც ჩანს, ყველაფერი მოსულა, თუმცა ერთი კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დარჩა: ნეტავ, როგორ აუხსნეს თუნდაც პირადი მიმოწერის საფუძველზე საქართველოს წარმომადგენელს იაპონიაში, თუ რატომ უწოდებს მას მიხაილ ბელი საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ელჩს. ასევე საინტერესოა, რა ურჩიეს და „რა უქნა“ დიპლომატმა მაჭავარიანმა კოლეგას.

ნინი ბერიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

«თუ სახლი თავისივე თავის ჩვენ განწირულები ვართ!

„ჩვენ განწირულები ვართ!“ — სასოწარკვეთით განაცხადა ამერიკელმა ლიბერალურმა ეკონომისტმა პოლ კრუგმანმა, როცა გააანალიზა აშშ-ის ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კურსის შედეგები, რომლებიც სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობა ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მანკიერებამ და მისმა თანმდევმა — პოლიტიკისადმი მოსახლეობის ინტერესის არნახულმა განელებამ.

აშშ ახალი ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა ან კრიზისის ახალ სტადიაში შევიდა, რაც პრინციპულად ერთი და იგივეა. ხოლო დღეისთვის გამოკვეთილი ფინანსური არამდგრადობა ისეთი ქვეყნებისა, როგორიც საბერძნეთი, პორტუგალია, ირლანდია და ესპანეთია, გვიჩვენებს, რომ 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დამთავრებამდე ჯერ შორსაა. ასე მიიჩნევენ უცხოელი ექსპერტები და მათ შორის — ამერიკელი **დევით კერანსი**. იგი თვლის, რომ **რეცესია უაღრესად უარყოფითად იმოქმედებს მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფოებრიობის საფუძვლებზეც კი**. ამას კი **შედეგად მოჰყვება დესტაბილიზაცია, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევები, არეულობა, დეზორგანიზებული იქნება სახელმწიფოების მიერ მოქალაქეთა მომსახურების სისტემები და ეკონომიკური ხასიათის ნეგატიური შედეგების მთელი კასკადი, რაც უარყოფითად აისახება მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხზე.**

ამ ნეგატივიზმმა უკვე იჩინა თავი აშშ-ში, სადაც შტატების ხელისუფლება იძულებული გახდა, ებრძოლოს ბიუჯეტის კოლოსალური დეფიციტის პრობლემას.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ საერთაშორისო ექსპერტები, კარგა ხანია, აფრთხილებენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ იგივე პრობლემა, მაგრამ გაცილებით უფრო მწვავედ, დადგება ჩვენი ქვეყნის წინაშე, როგორც კი ამოიწურება ფინანსური დახმარების წყაროები. ამიტომ ურჩევენ, რომ **პირველი რიგის საკითხი, რომელიც უნდა მოგვარდეს, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაა. სამწუხაროდ, ამ რჩევას არავინ ყურად არ იღებს. მაშასადამე, ამერიკელებზე უფრო მეტად ჩვენ ვართ განწირულნი.**

რა გაუჭირდათ ამერიკაში?

გაუჭირდათ რეფორმების განხორციელება და გაუჭირდათ იმიტომ, რომ, როგორც კონსტიტუციონალისტები ამბობენ, საზოგადოებრიობის რეფორმატორულ ინიციატივას ბოჭავს თვით აშშ კონსტიტუცია, განსაკუთრებით, — მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად სერიოზული სისტემური ღონისძიებების განხორციელების საქმეში.

ზოგიერთი მიმომხილველი და კონგრესმენი, უწინარესად, **ბერნი სანდერსი** და **დენის კუჩინინა**, მოურიდებლად ასახელებენ უძრაობის რეალურ მიზეზს: **ამერიკელი კანონმდებლები და თეთრი სახლი მნიშვნელოვანწილად ნაყიდი ჰყავთ საარჩევნო კამპანიების კორპორატიულ სპონსორებს, რომლებიც ზემოქმედებენ ხელისუფლებაზე რეფორმების ბლოკირების მიზნით.**

ამერიკელმა მკვლევარმა **დანიელ ლაზარმა** ჯერ კიდევ 15 წლის წინათ დაამტკიცა, რომ აშშ კონსტიტუცია მისი შექმნის ეპოქაშივე აღმოჩნდა არქაული. ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოები ისეა კონფიგურირებული, რომ ერთმანეთის ნეიტრალიზაცია მოახდინონ.

ამ დასკვნას ასე განგვიმარტავენ: კონგრესში სენატი შექმნილია იმისთვის, რათა ჩააქროს წარმომადგენელთა პალატიდან მომდინარე იმპულსები. თითოეულ შტატს, რაგინდ მცირე იყოს მისი მოსახლეობა, გარანტირებული აქვს ორი ხმა სენატში, რის გამოც სოფლის მოსახლეობის ინტერესების გამომხატველებს შესანიშნავი პირობები ექმნებათ რეფორმებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად (მჭიდროდ დასახლებული 9 შტატის 18 სენატორი ლობირებს 22-ჯერ უფრო მეტი მოსახლეობის ინტერესებს, ვიდრე 9 სხვა შტატის 18 სენატორი).

ხაზგასმით შენიშნავენ იმასაც, რომ **აშშ კონგრესის მრავალ კომიტეტსა და ქვეკომიტეტს შორის უფლებათა დანაწევრება ბიძგს აძლევს კორუფციას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში;** უფრო მეტიც, **კონგრესის შიდაგანაწესი უფლებას აძლევს ცალკეულ სენატორს, პირადი შეხედულებისამებრ დაამუხრუჭოს პრეზიდენტის დანიშნული სახელმწიფო პირის თანამდებობაზე დამტკიცება საკმაოდ დიდი ხნით.** ამას სისტემატური ხასიათი აქვს. ამიტომაცაა, თვლიან ექსპერტები, რომ მთავრობა გადაუდებელი პრობლემების პირობებში არაეფექტიანად მუშაობს.

საკანონმდებლო შტოს უნინიციატივობა სჭირს. **ბოლო ათწლეულებში რეფორმების სიმძიმე სასამართლო შტოს აწევს.** აშშ უმაღლესი სასამართლოს ამასწინანდელ გადაწყვეტილებას, რომლითაც კორპორაციებს მოეხსნათ საარჩევნო კამპანიების დაფინანსების შეზღუდვა, განიხილავენ როგორც შესაბამისი ტენდენციის მკაფიო დადასტურებას.

დევიდ კევანსი ასკვნის, რომ ასეთ პირობებში აშშ უმართაობისთვისაა განწირული. მისი აზრით, ლოგიკური იქნებოდა კონსტიტუციის შეცვლა კანონშემოქმედებითობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით. „სამწუხაროდ, — შენიშნავს იგი, — ამერიკაში ცხოვრება იმ ზომამდეა გამსჭვალული კონსტიტუციის მოხმობით, რომ მისი რეფორმების თაობაზე დისკუსიის დაწყებაც კი შეუძლებელია“.

დევიდ ლაზარი კი შენიშნავს, რომ აშშ-ში კონსტიტუციისადმი პატივისცემა, რომელიც კერპთაყვანისმცემლობაშია გადასული, არის „უაზრობის ეროვნულ თვისებაში გადაზრდის“ ნათელი მაგალითი.

დასკვნა: თუ რაიმე განსაკუთრებული სიტუაცია არ აიძულებს აშშ-ს, შეცვალოს თავისი საკონსტიტუციო წყობა, ქვეყანა დარჩება შებორკილი პოლიტიკური სისტემის ტყვეობაში, რომელიც უპირველეს უფლებად აღიარებს ელიტების „უფლებას“, დაბლოკოს მათთვის არახელსაყრელი რეფორმები.

აი, ამ ყველაფრისა გამო იძულებული გახდა პოლ კრუგმანი, განეცხადებინა: „ჩვენ განწირულები ვართ!“

ავღანეთი ნარკოტიკებით გვიტევს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი — ვალებით

როცა ამერიკელი მკვლევარი თანამემამულეებს ასეთ პერსპექტივას უსახავს, ბუნებრივია, რომ ამ ერთპოლარულ მსოფლიოში იგივე საშიშროება დაემუქროს სხვა ქვეყნებს, მათ შორის, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებს, რომლებიც აშშ ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის სივრცეში არიან მოქცეულნი.

საშიშროება უშუალო კონტაქტიდანაც მომდინარეობს და გაშუალებულიდანაც, როცა აშშ საგარეოპოლიტიკური კურსის განხორციელების შედეგები ერთ რომელიმე გეოპოლიტიკურ რეგიონში პირდაპირ აისახება სხვა რეგიონის სახელმწიფოებზე.

სამწუხაროდ, — უარყოფითად.

ამის ერთ-ერთი მაგალითია გამძაფრებული პრობლემები, რომლებიც ცენტრალური აზიისა და ევროპის ქვეყნებს შეექმნა ავღანეთში აშშ ოკუპაციის შედეგად ნარკოწარმოების არნახული მასშტაბით გაზრდის შედეგად.

ავღანეთიდან მომდინარე ნარკოტიკების ნაკადი სულ უფრო იზრდება და შესაბამისად ფართოვდება „თეთრი სიკვდილის“ მომხმარებელთა რაოდენობა.

ამ „შავი“ ბიზნესის წლიური მოგება, საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, 600 მილიარდ დოლარს (!) აღწევს.

ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობამ ცენტრალური აზიის ქვეყნებში უკვე გადააჭარბა 280 ათასს. ოფიციალური მონაცემებით, ყველაზე მეტი უზბეკეთშია — 130 ათასი, ყაზახეთში — 100 ათასი, ყირგიზეთში — 26 ათასი, ტაჯიკეთში — 23 ათასი.

არაოფიციალურად კი ყაზახეთში 300 ათასი კაცია დაავადებული, ყირგიზეთში — 100 ათასი და ა.შ.

კატასტროფული სიტუაციაა! ცენტრალური აზიის ოთხ ქვეყანაში, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა თითქმის 40 მილიონია, ოფიციალური მონაცემებით, 280 ათასი ნარკოდამოკიდებულია, სამმილიონიან საქართველოში — 60-70 ათასამდე! ქართველი ექსპერტები შეშფოთებულები არიან.

ყველას გვყოფნის უბედურებად და ჭირის საკუთარ წილად. და ამ საერთო **უმწვავესი პრობლემის ძირად სპეციალისტები მიიჩნევენ აშშ-ის მიერ ავღანეთში განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას, რომლის მთავარი შედეგი ამ ქვეყნის ნარკოტიკების მწარმოებელ მსოფლიო ლიდერად ჩამოყალიბება გვევლინება.**

ეს, რაც შეეხება გაშუალებულ ზემოქმედებას.

უშუალო გავლენაში კი საერთაშორისო სავალუტო ფონდი ლიდერობს, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ისე ენერგიულად და „უშურველად“ ეხმარება, რომ გეომეტრიული პროგრესიით ზრდის ამ სახელმწიფოთა საგარეო ვალებს, ანუ ვალის გადახდის ისეთ ხუნდებს ადებს, რომელთა მოცილება თეორიულად თუა შესაძლებელი.

განვიხილოთ მხოლოდ ერთი „ეკონომიკური მკვლელის“ (ჯონ პერკინსის განსაზღვრება) ავსტრიელი **ალბერტ ეგერის** მოღვაწეობის შედეგები, რომელიც 1992 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდში მუშაობს, ამ ფონდის მისიებს ხელმძღვანელობდა ბულგარეთში, რუმინეთსა და უკრაინაში, ახლა კი ბელგრადში იმავე მისიითაა ჩასული. ეკონომისტ **დეან მიროვიჩის** (სერბეთი) დაკვირვებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მოხეტიალე ფორვარდის“ მთავარი შედეგი ერთი წინადადებით შეიძლება განვსაზღვროთ: **არც საერთაშორისო სავალუტო ფონდს და არც ალბერტ ეგერს ეკონომიკის საკითხებში არ შეიძლება ვენდოთ.**

უკრაინაში ეგერის საქმიანობა დასრულდა იმით, რომ ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების შედეგად საგარეო ვალმა 2009 წლის 31 დეკემბრისათვის 90 მილიარდ დოლარს მიაღწია. ბულგარეთში კი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ეგერის მითითებებს ასრულებდა, საგარეო ვალი იმავე პერიოდისთვის 50 მილიარდი დოლარით განისაზღვრა.

რუმინეთში, სადაც ეკონომიკა სრული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, სულ ახლახან, 2010 წლის იანვარში მთავრობაში განიხილავდნენ ფინანსთა სამინისტროს წინადადებას **დამატებითი გადასახადის შემოღების შესახებ... დამკრძალავი ბიუროებისთვის.**

თბილისელებს ძაღლის ნაკბენივით ახსოვთ მერიის თუ საკრებულოს ინიციატივა საფლავების შესყიდვის თაობაზე: იმ შემთხვევაში, თუ არ გამოვისყიდიდით, საფლავების გაყიდვით გვემუქრებოდნენ...

ჩვენთვის რა განსხვავებაა, ნარკომანიის მგელი დაგვღრღნის თუ სავალუტო ფონდის მგლისფერი ძაღლი?!

ალბერტ ეგერმა, რომელიც 2009 წლის მარტში 2,9 მილიარდი ევროს საკრედიტო შეთანხმების გასაფორმებლად ბელგრადში ჩავიდა, სერბეთის ხელისუფლება და ხალხი გააფრთხილა, რომ „ქამრების მოჭერა“ მოუწევთ და „საჭირო გახდება, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა შეზღუდვა“.

აღარც მალავენ, საით მიაქანებენ ვალებით დამძიმებულ ქვეყნებს. ხალხი კი დუმს. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არც მოაზროვნეები ელიტური ფენიდან ხმას არ იღებენ.

ჩვენთანაც ხომ ასეა. ნელნელა, შეუმჩნევლად ვემორჩილებით შეხედულებას მეორეხარისხოვანი ადამიანების, მომსახურე რასის არსებობის შესახებ, რომელიც, როგორც თავის დროზე ქართველმა მკვლევარმა ალექსანდრე ჭაჭიამ შენიშნა, **„დასავლეთის“, პირველ რიგში, აშშ-ის პრაქტიკის კიდევ უფრო საშიში ტენდენცია ამა თუ იმ ქვეყნის, ერის თუ ცალკეული პიროვნების შეფასების ორმაგი სტანდარტებია“** *(ა.ჭაჭია, „რამ დაგვღუპა... რა გადაგვარჩენს“, გვ. 57).*

ორმაგი სტანდარტების პრაქტიკამ ისეთ პრობლემაშიც იჩინა თავი, როგორიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. ეს თემა **ალექსანდრ დუნდიჩის** წერილშია განხილული.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

წინააღმდეგ დაიყოფა...»

მოკალი ამერიკელი — ტერორისტი ხარ, მოკალი არაამერიკელი — მეამბოხე

გაეროს ოფიციალურ საიტზე „ჰკიდია“ 226-გვერდიანი მოხსენება საიდუმლო ციხეების შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც რუსებს უმძიმეს პირობებში ჰყავთ გამომწყვდეული კავკასიელი ჭაბუკები და მამაკაცები.

ამ მოხსენების პირველი თვალშისაცემი თავისებურება კონკრეტიკის სრული იგნორირებაა, — ინფორმაციის არც ერთი მიმწოდებლის გვარ-სახელი არც ერთხელ არაა დასახელებული. არც ისაა მითითებული, რომ ოთხ კედელში გამომწყვდეულები შეიძლება მართლაც ტერორისტები და მოთარეშეები არიან.

რატომაა უგულებელყოფილი „ორივე მხარის მოსმენის“ ელემენტარული მოთხოვნა გაეროს ექსპერტების მიერ, დუნდიჩი ასე გვიხსნის: **„ხომ ცნობილია, რომ დასავლეთისთვის ყოველთვის მართალია ის, ვინც რუსს და მის მოკავშირეს კლავს. მოკალი ამერიკელი — ტერორისტი ხარ. მოკალი რუსი — გამათავისუფლებელი ომის მებრძოლი ხარ“.**

ჩეჩნეთის სამხედრო კამპანიის აქტიური ფაზა დამთავრებულია, ვაშინგტონი მთელი ამ ომის პროცესში დაუფარავად უჭერდა მხარს ჩეჩენ ტერორისტებს. ახლა მისი ემისრები, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, აქტიურად ნერგავენ თანამოაზრეებს სახელმწიფო სტრუქტურებში. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა **კარნეგის ფონდი, მარკარტურების ფონდი (აშშ), ებერტისა და ადენაუერის ფონდები (გერმანია)** და სხვ.

მათი საქმიანობის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა (იხ. №7 (50), „ჰუმანიტარული ინტერვენცია: არასამთავრობები პროფილსა და ანფასში“). ახლა კი ერთ-ერთი იმათგანის ორგანიზაციულ სტრუქტურას მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას.

კონფლიქტების ეთნოლოგიური მონიტორინგისა და ადრეულად აცილების ქსელი შექმნილია ამერიკული მაკარტურებისა და კარნეგის ფონდების ფინანსებით. რუსეთის ეს სტრუქტურა თანამშრომლობს აღმოსავლეთ ევროპის ანალოგიურ პროექტებთან, რომლებიც იმართება ოკეანის გაღმა მდებარე ცენტრიდან — ქალაქ პრისტონიდან (აშშ). ეთნიკური მონიტორინგის ქსელის საქმიანობით დაინტერესებულია დასავლეთ ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნები. ამ ორგანიზაციის 35 ექსპერტი დსთ სხვადასხვა რეგიონშია დამკვიდრებული. ცენტრალური წარმომადგენელი მოსკოვში ზის. აქ თავს იყრის მთელი ინფორმაცია, დამუშავდება და გადაეგზავნება ამერიკელ დონორებს გამოსაყენებლად, მათ შორის რუსეთის სამხრეთის საქმეებში შეიარაღებული ან „ფერადი რევოლუციების“ სახით ჩარევის სცენარების შესაქმნელად.

მთავარი ამოცანა ამ რეგიონიდან რუსეთის განდევნაა. ნატოს კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტს უკვე შემუშავებული აქვს პოტენციური კონფლიქტების ატლასი ჩრდილოეთ კავკასიაში.

ასეთია ორმაგი სტანდარტის ერთი მხარე, რომელიც მართალია, რადგან ამერიკელების პოზიციაა. მეორე მხარე, კი მეორე პლანზეა ან საერთოდ არ არსებობს. ასეთი ცალმხრივობით გამოირჩევა ალექსანდრ დუნდიჩის აზრით, გაეროს საიტზე მოთავსებული მოხსენება, რომელშიც ნახსენებიც არ არის იმავე ჩეჩნეთში რუსულენოვანი მოსახლეობის გენოციდის ფაქტები. **„დასავლეთი არასოდეს შეაფასებს,** — წერს ავტორი, — **რუსეთის მსხვერპლს, რომელიც მან ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმთან და ისლამურ ექსტრემიზმთან ბრძოლაში გაიღო. ვერ შეაფასებს კავკასიის რესპუბლიკების საღად მოაზროვნე პოლიტიკოსების ძალისხმევას, რომელიც მიმართულია კავკასიელი ხალხებისთვის უცხო ვაჰაბური მსოფლმხედველობის თავსმოხვევის წინააღმდეგ“.**

„თუ შაჰი გაგიჟდება, კავკასიაში საომრად მიდის“, — ამბობს სპარსული ანდაზა. ის დროა, დღევანდელმა პოლიტიკოსებმა გაიხსენონ ეს ძველი შეგონება.

ნარინჯისფერი გაკვეთილები

25 თებერვალს იანუკოვიჩი ოფიციალურად შეუდგა უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

მიხეილ სააკაშვილი, მმართველი ჩინოვნიკების განმარტებით, მის ინაუგურაციაზე არ წავიდა იმიტომ, რომ: ხან თქვეს — ისე დაკავებული იყო, ისე გადატვირთული იყო მისი პროგრამა, რომ თავისუფალი დღე ვერ გამოძებნაო, ხან — სხვა მიზეზები დაასახელეს.

თუ არ მიიწვიეს?

ამაზე ხმა არ ამოუღიათ. **საინტერესოა, იულია ტიმოშენკო რომ აერჩიათ, თბილისში დარჩებოდა პატივცემული მიხეილი?!**

უმიხეილოდაც გაიმართა ინაუგურაცია და უკრაინამ, როგორც იქაური მიმომხილველები ამბობენ, პრეზიდენტ იუშჩენკოს დატოვებული ავგიას თავლების გაწმენდის მძიმე საქმეს მოჰკიდა ხელი.

საქმე კი მართლაც მძიმე, რთული და მრავალპლანიანია, რადგან ეკონომიკასთან, სოციალურ სფეროსთან, პოლიტიკასთან ერთად სულიერებაც პრობლემებით დახუნძლული აღმოჩნდა ფასეულობათა პრობლემებით.

უკრაინელ პოლიტოლოგ **ოლეგ ტრიშატნის** მიაჩნია, რომ **2004 წლის „ნარინჯისფერი გარღვევა“ ანტიქრისტიანული ბნელეთის ძალების სერიოზული წარმატება იყო, რომელიც მათი წინამორბედების 1941 წლის თავდასხმის წარმატებას აჭარბებდა: „ნარინჯისფერი“ და წინა წლების განმავლობაში უკრაინის მოსახლეობა 7 მილიონით შემცირდა, დაჩქარდა თაობათა გაქრობის პროცესი, იმ თაობებისა, უწინარესად, ვისთვისაც ხალხთა მეგობრობა ცარიელი სიტყვები არ იყო.** იუშჩენკოს რეჟიმმა, წერს პოლიტოლოგი, უკრაინის საზოგადოებრიობა შხამის უდიდესი და ხანგრძლივი მოქმედების დოზით მოწამლა. გართულებებს ქვეყანა მრავალი წლის განმავლობაში იგრძნობს, როგორც ფეხზე გადატანილი ავადმყოფობის შედეგს.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს იუშჩენკოს გააქტიურების აპოგეად ბანდერასათვის უკრაინის გმირის წოდების მინიჭება მიაჩნიათ, ადამიანისთვის, რომელიც დაუფარავად თანამშრომლობდა ნაცისტებთან და ათეულ ათასობით ებრაელის, პოლონელის, უკრაინელისა და რუსის სისხლით ჰქონდა ხელები მოთხვრილი.

„ნარინჯისფერი ვირუსი“ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასაც შეეყარა — სეპარატიზმით „კანონიერი“ გატაცება: „ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაშასადამე, დამოუკიდებელი ეკლესია უნდა გვქონდეს“, — განაცხადა „კანონიკური გაყოფის“ ერთ-ერთმა იდეოლოგმა, **მიტროპოლიტმა სოფრომმა.** არადა, ასეთი **გაყოფის შემთხვევაში, მართლმადიდებლები დარჩებიან აგრესიული სექტების გარემოცვაში შემცირებულნი და დასუსტებულნი. მათეს სახარება კი გვაფრთხილებს: „თუ სახლი თავისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სახლი ვეღარ გაძლებს“** (მარ., 3,25).

* * *

იყოფა სახლები, იყოფა ქვეყნები, იყოფა ეკლესიები, იყოფა საზოგადოება. ქუცმაცდება ოპოზიციაც. რომელია ის ძალა, რომელიც ამ ტენდენციას შეებრძოლება?

არმაზ სანებლიძე

ერთის ნაცვლად — ოთხი «მისტრალი»

„შავი ზღვა პენტაგონისთვის ხიდია სამი კონტინენტისა და ახლო აღმოსავლეთისკენ გადებული, — ნათქვამია გლობალიზაციის შემსწავლელი ცენტრის საიტზე გამოქვეყნებულ მასალაში, — აშშ-მა ხელი მოაწერა ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ უკრაინასთან და საქართველოსთან... ეს ქვეყნები ცენტრალური ფიგურანტებია შავი ზღვის აუზსა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ვაშინგტონის შეღწევის პოლიტიკის... უკრაინა და საქართველო ვაშინგტონის ავანპოსტებია ამ რეგიონში“.

მარტივად და გასაგებადაა ნათქვამი. თანაც მიუკერძოებელია, რასაც აღნიშნული ცენტრის კანადური მისამართიც ადასტურებს.

ახლავე აგიხსნით.

დასავლეთში მოღვაწე ერთ-ერთი მეცნიერი ინტელექტუალი, რომელიც არ ერიდება ვაშინგტონისა და ნატოს ჭეშმარიტ მიზნებზე საჯაროდ საუბარს საერთოდ და კერძოდ შავი ზღვის აუზის რეგიონთან დაკავშირებით, არის **ოტავის (კანადა) უნივერსიტეტის პროფესორი მიშელ ჩოსუდოვსკი.** ამ მიზნით მან და მისმა თანამოაზრეებმა გლობალიზაციის შესწავლის ცენტრი დააარსეს.

არავის უკვირს, რომ აშშ დაჟინებით თავს ევლება შავიზღვისპირა ქვეყნებს, მათ შორის, ბულგარეთსა და რუმინეთს, სადაც სავარაუდოა, რომ განალაგებენ ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს. ამით საგულდაგულოდ გადაიკეტება დსთ-ს დასავლეთის საზღვრები, რისი გარღვევაც რუსეთს გაუჭირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუმინეთი, რომელიც რეგიონის ლიდერობისკენ მიილტვის, მთელი თავისი შესაძლებლობით მხარს უჭერს სახელმწიფოთა კოოპერაციას ამერიკულ პროექტში „აღმოსავლური პარტნიორობა“, რომელიც მიმართულია ამ რეგიონში რუსეთის გავლენის შესამცირებლად.

ამერიკელების ინტერესის საგანია აზოვის ზღვაც, რომელიც, გეოლოგების მტკიცებით, ნახშირწყალბადის ნედლეულის უზარმაზარი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი საცავია.

ცხადია, რომ რუსეთი ამ პროცესების შორიდან მაყურებლის როლით არ შემოიფარგლება. ამიტომაა, რომ ცდილობს, სერიოზული წინაღობა შეუქმნას შავ ზღვაზე აშშ-ის დამკვიდრებას. **უნდა ვიფიქროთ, რომ ფრანგული შვეულმზიდ „მისტრალის“ შესყიდვაც რუსეთის საპასუხო რეაქციის ერთ-ერთი რგოლია. ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად სარწმუნოა და ცოტა პროვინციული მიდგომაცაა ხელისუფლების მიერ გავრცელებული ვერსია, რომლის მიხედვით, ეს ხომალდი საქართველოს წინააღმდეგ ომისთვის შეიძინა ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა.**

ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, პატრიოტულ გრძნობებზე ითამაშოს და ამით ხალხის თანადგომა მოიპოვოს.

მედვედევი კი ჩადის პარიზში და სარკოზისთან ერთად ხელს აწერს შეთანხმებას ოთხი „მისტრალის“ შესყიდვის შესახებ.

შავი ზღვა ნატოს პოლიტიკის გეოსტრატეგიული ელემენტია, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთის კოალიციის მოქმედებასთან ავღანეთში, ერაყში, დარფურის (სუდანი) ოპერაციასთან და, აგრეთვე, კოსოვოში სტაბილურობის შენარჩუნებასთან, — მიიჩნევენ გლობალიზაციის ცენტრის ანალიტიკოსები.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესთა სფეროში შედის სამხრეთ კავკასიის რეგიონიც და კასპიის ენერგეტიკული რეზერვებიც. ამით აიხსნება თეთრი სახლის შეუნელებელი ინიციატივები, რომლებიც ამ რეგიონში რუსეთის გავლენის დასუსტებისკენაა მიმართული.

საქართველო ამ დიდი დაპირისპირების ერთი პატარა პერიფერიული ნაწილია. პრეზიდენტის უშიშარ შეძახილებს ჩვენი უძლეველობის შესახებ, პოლიტოლოგები სერიოზულად ვერ განიხილავენ. საომარი რიტორიკა მხოლოდ ამძაფრებს საფრთხეს, რომელსაც ბატონი სააკაშვილი ხშირად გვახსენებს. „ახალი შემოჭრა შესაძლებელია“, — ამბობს იგი, არ გამორიცხავს ახალ შეიარაღებულ კონფლიქტებს რეგიონში, რითაც **ქმნის ნევროზულ სიტუაციას საზოგადოებაში, რითაც მოქალაქეთა ყურადღების გადატანას ცდილობს შიდა პრობლემების რეალობიდან გარედან მოსალოდნელ ხიფათზე, რომელიც ან მოხდება, ან — არა.**

საზოგადოებრივი აზრი ორ უკიდურესობას შორის ორივე ფეხით კოჭლობს — ხან ერთ მხარეს გადაიხრება, ხან — მეორე, ქანქარის ამპლიტუდური პოლიტიკა კი არასოდეს ყოფილა პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი საშუალება.

თუმცა — რა ვიცი... ეგებ, ასეთია დაბალანსების პოლიტიკა? თუ **ბალანსირება მაინც წონასწორობის დაცვაა და სწორედ ასეთი გაწონასწორება სჭირდება საქართველოს სახელმწიფოებრივ კურსს შინაც და გარეთაც?**

დირექტორთან გამოჩნდება, არსენ, შენი ვაჟკაცობა...

ჩემს ბავშვობაში თბილისი პატარა ქალაქი იყო. თითქმის ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. განსაკუთრებით ცნობილი სახეები კინოსა და თეატრის მსახიობები იყვნენ. მათი ხალხში გამოჩენა სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევდა.

იარაღით შეშინებული გერმანულის მასწავლებელი და მსნელად მოვლენილი სპარტაკ ბაღაშვილი

სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო. ქალაქს თანდათან ემატებოდნენ ფრონტიდან დაბრუნებულებიც. საჩუქრად ტროფეინი ნივთები ჩამოჰქონდათ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა სხვადასხვა სახის პისტოლეტები.

1946 წელს ჩვენი ოჯახის სტუმარი გახლდათ დედაჩემის ბიძაშვილი საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი მიხეილ დიასამიძე, მეუღლითურთ. ჩვენი ოჯახის რძალი ეროვნებით რუსი გახლდათ, თვითონ მიხეილიც, რომ იტყვიან, გარუსებული იყო. ძალზე უყვარდა საქართველო. იგი მოსკოვში ცხოვრობდა, საქართველოში ჩამოსულმა მამაჩემს — ნოე სიხარულიძეს საველე ჩანთა აჩუქა, რომელშიც იდო ხისკაბურიანი მაუზერი, იტალიური ბერეტა, ტეტე და სხვა მრავალი, მათ შორის ავტომატური სიგნალიზაციის სასროლებიც. რა თქმა უნდა, მამაჩემმა ყველაფერი გადამალა. შემდეგ ბევრი გააჩუქა, მაგრამ მეც მოვახერხე ზოგი რამის შენახვა (კარგა ხნის შემდეგ ერთი პისტოლეტი „იტალიური ბერეტა“ ნოდარ დუმბაძეს ვაჩუქე).

იმ დროისათვის მეათე კლასის მოსწავლე ვიყავი, საკმაოდ ცელქი და მოუსვენარი. ჩემთვის სკოლა სწავლაც იყო და გართობაც, კინო და თეატრი კი — ფუფუნება. კინოთეატრებში ფილმები, ძირითადად, სამამულო ომის თემაზე გადიოდა. ზოგჯერ ჩაპლინის ფილმებსაც უჩვენებდნენ მაყურებელს. ერთი სიტყვით, ომითა და იუმორით ვიყავით დაკავებულნი. პლეხანოვზე კინოთეატრ „ოქტომბერში“ პოლონური ფილმი „ზიგმუნდ კოლოსოვსკი“ გადიოდა. მთავარმა გმირმა კოლოსოვსკიმ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი გერმანელებს ტყვეობიდან გაექცა და პარტიზანი გახდა.

მისი მიბაძვით, სკოლაში იარაღი წავიღე და გერმანული ენის გაკვეთილზე ნელზე შემოჭერილი ქამრიდან იმ დროს ამოვიღე, როდესაც მასწავლებელი ჩემს მერხთან იდგა და გაკვეთილს გვიხსნიდა. მჭიდიდან ვაზნები ამოვყარე და ჩემი მერხის მეგობარს ვეუბნები: საბა! ამ ტყვიით გერმანული ენის მასწავლებელი უნდა მოვკლა, ამით ფიზიკის, ამით ქიმიის, ამით მათემატიკის, ამით გეოგრაფიის, ამით ისტორიის, ამით გეომეტრიის. გერმანული ენის მასწავლებელმა იყვირა: „რას მერჩი, ბიჭო, თუ გინდა, ნუ ისწავლი, ხუთიანს მაინც დაგიწერო“. კლასში ხმაური ატყდა.

მეზობელ საკლასო ოთახში დირექტორი ყოფილა და ხმაურზე ჩვენთან შემოვიდა. მოსწავლეები ფეხზე ავდექით. მასწავლებელი გაოგნებული, შეშინებული იდგა და მე მიყურებდა. იარაღი უკანა რიგში გადავეცი, უკანა რიგიდან ბოლოში ამოტეხილ კედელში ჩაადგეს. სამხედრო მასწავლებელი მოიწვიეს. ჩხრეკა ჩაატარეს, მაგრამ ერთსულოვნებამ გაიმარჯვა. იარაღი ვერ იპოვეს და ვერც ვერავინ გამოტეხეს. მასწავლებელმა ვერ დამალა მომხდარი და ხელი დამადო, — ჩემი მოკვლა უნდოდაო.

დირექტორმა სკოლიდან გამაგდო და მითხრა: „სანამ მამაშენს არ მოიყვან, სკოლაში მოსული არ დაგინახოო“. მამაჩემი ძალზე მკაცრი იყო და ამიტომაც მისი სკოლაში მოყვანა ჩემთვის საშიში რამ იყო. ამას დედაჩემიც ერიდებოდა. ასე ამრიგად ქუჩაში აღმოვჩნდი.

ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლა უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე, ვერის ხიდთან ახლოს მდებარეობდა. აი, იქ, ხიდის თავში, ჯებირზე უყვარდა შემოჯდომა სპარტაკ ბაღაშვილს. სწორედ იქეთ ავიღე გეზი. იმდენჯერ ავუარ-ჩავუარე, რომ ბოლოსდაბოლოს ყურადღება მომაქცია. დამიძახა და ყოველგვარი შესავლის გარეშე შემეკითხა, — სკოლაში რატომ არ ხარო.

ჩემი ამბავი დაუფარავად მოვუყევი. რაღაც მოეწონა, წამოდგა მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „წამიყვანე შენი სკოლის დირექტორთანო“. სკოლის ეზოში იმ დროს შევედით, როცა დიდი დასვენება იყო. ვიღაცამ დაიყვირა: „ბიჭებო, არსენა მოდისო“, ვიღაცამ კი — „ვა, არსენა და ჟანი ერთად მოდიანო“.

დირექტორი მეორე სართულის დერეფნიდან იყურებოდა. ცნობისმოყვარეობამ სძლია და მასწავლებელი კიბეზე შეგვახვედრა, რათა გაეგო, რა უნდოდა სპარტაკ ბაღაშვილს, მაგრამ სპარტაკმა დაასწრო მასწავლებელს და შეეკითხა: „თქვენ დირექტორი ბრძანდებით?“ მასწავლებელმა უპასუხა, რომ იგი დირექტორი არ იყო, მაგრამ, თუ რამე გნებავთ, შეგიძლიათ, მითხრათო.

ამასობაში მეორე სართულზე ავედით. სპარტაკმა დირექტორის კაბინეტის კარი უცერემონიოდ შეაღო და მეც თან შემიყვანა.

დირექტორი სავარძლიდან წამოხტა და ხელებგაშლილი დიდი ხნის მეგობარივით შეეგება პოპულარულ მსახიობს.

— უკაცრავად, პატივცემულო დირექტორო! თქვენი მოსწავლე, ჩემი მეგობრის შვილია, — წინადადება არ დაამთავრა, მე შემომხედა, თავზე ხელი გადამისვა და გააგრძელა, — გთხოვთ, დაუშვათ გაკვეთილებზე და, თუ რამეს დააშავებს, პასუხს მე ვაგებო.

დირექტორი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ სპარტაკთან შეხვედრა მშვიდობით დამთავრებულიყო.

ასე გავიცანი საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, შესანიშნავი გარეგნობის, განსაკუთრებული ხასიათის, ქართველი ხალხის საყვარელი კინომსახიობი სპარტაკ ბაღაშვილი, რომელიც მიხეილ ჭიაურელმა აღმოაჩინა და პირველი როლი კინოფილმ „არსენაში“ არსენა ოძელაშვილი ათამაშა. ვაჟკაცური ტემპერამენტისა და შემოქმედებითი ინტუიციის წყალობით, სპარტაკმა შექმნა ქართველი ხალხის საყვარელი გმირების დამაჯერებელი სახეები: ლუარსაბ მეფე „გიორგი სააკაძეში“, გოჩა „ხევისბერ გოჩაში“, გამზრდელი „აკაკის აკვანში“ და სხვ.

პლეხანოვზე ცნობილი ლუდის ბარი იყო, იაფი და იორღაო, თავშეყრის შესანიშნავი ადგილი; ამიტომაც ხშირი სტუმრები ვიყავით. მომსახურე პერსონალი ჩვენთვის შინაურები იყვნენ.

სპარტაკ ბაღაშვილი ბარს ხშირად სტუმრობდა. სულ მზად ვიყავი, ჩემი მისდამი პატივისცემა გამომეხატა. იმ დღეს დარბაზი ლუდის მოყვარულებით იყო გადაჭედილი. შემოვიდა თუ არა, სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ მაგიდასთან მიპატიჟების აურზაური ატყდა. ჩემთან ერთად სწორედ ამ ბარის თავზე, მეორე სართულზე მცხოვრები, „კარინოი“ პლეხანოველი მამია სიხარულიძე გახლდათ, ძალზე ავტორიტეტული და წარმოსადეგი პიროვნება. ვთხოვე, სპარტაკი ჩვენთან მოეყვანა, წამსვე გავარდა და ვიღაცებს ხელიდან გამოსტაცა.

გავიხარეთ, მსახიობმა გამიღიმა და მკითხა, — იქ როგორაა საქმეო. მე დიდი მადლობა გადავუხადე ყურადღებისთვის. სუფრა განახლდა. მომსახურე პერსონალი ჩვენდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა.

კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი ქეიფი. ლუდის ბარი შამპანურის ბარად ვაქციეთ. ლუდის მოყვარულები შემოდიოდნენ და გადიოდნენ, მაგრამ ჩვენთან დაუპატიჟებლად მოსვლას ვერავინ ბედავდა. ჰოდა, გამოჩნდა კაცი, რომელმაც გაბედა. ეს გახლდათ ვითომ პლეხანოველი „საშკა მარიაკი“. სად ცხოვრობდა, არავინ იცოდა, ხოლო „მარიაკი“ იმიტომ იყო, რომ მეზღვაურის მაისური ეცვა. პირწავარდნილი ხულიგანი შემდგომში პოპულარული გახდა. შემოვიდა თუ არა, კარებთან შეჩერდა და დარბაზს გადახედა, ჩვენ — ერთმანეთს. სპარტაკი სადღეგრძელოს ამბობდა და ეს არ შეუმჩნევია. პირდაპირ ჩვენთან დაუპატიჟებლად მოვიდა. ინტუიციით ვიგრძენით, რომ აქ რაღაც უნდა მომხდარიყო.

იმდროინდელი მეზღვაურები ზოლიანი მაისურებით თავს იწონებდნენ. ჩხუბის დროს ერთმანეთს ეხმარებოდნენ; საკმარისი იყო ვინმეს „პალუნდრა“ დაეძახა. „საშკა მარიაკსაც“, ალბათ, ამის იმედი ჰქონდა. სპარტაკს სიტყვა გააწყვეტინა და შეეკითხა: „შენ რანაირი არსენა ხარ მაინტერესებს?!“ სპარტაკმა ჯერ ჩვენ შემოგვხედა, მერე „საშკა მარიაკს“ კარგად დააკვირდა, შამპანურის ბოთლი ხელში შეათამაშა და ელვისებური სისწრაფით თავში ჩაარტყა. „მარიაკმა“ „პალუნდრის“ დაძახება ვერ მოასწრო, იატაკზე დაენარცხა და, კიდევ კარგი, რომ არ მოკვდა. თვალწინ დამიდგა ლუარსაბ მეფე ფილმიდან „გიორგი სააკაძე“.

მას შემდეგ „საშკა მარიაკი“ პლეხანოვზე აღარ გამოჩენილა. ვაჟკაცობით ცნობილი ლეგენდარული სპარტაკ ბაღაშვილი კი ხან ვერის ხიდთან ჯებირზე იჯდა და ხანაც პლეხანოვზე, კინოსტუდიასთან იდგა; იქ, სადაც თავის დროზე ვაჟკაცი მსახიობები — კოხტა ყარალაშვილი და ჟორა შავგულიძე დგებოდნენ ხოლმე. სამივე შესანიშნავი გარეგნობის მსახიობები იყვნენ. სამწუხაროდ, სამივენი ახალგაზრდები გარდაიცვალნენ.

ჟანი სიხარულიძე

მოკლედ

დაკითხვა წამებით

ბრიტანულმა სასამართლომ მთავრობას ტერორიზმში ეჭვმიტანილთა წამების ფაქტებთან დაკავშირებული აშშ-ისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების საიდუმლო მიმოწერის გამოქვეყნება დააკისრა. წამების შესახებ საიდუმლო მასალების გამოქვეყნების წინააღმდეგი იყო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბდენი, რომლის წარმომადგენელიც ირწმუნებოდა, რომ მსოფლიო დემოკრატიის ციტადელისთვის ჩრდილის მიყენება ბრიტანეთსაც დააზარალებს, მაგრამ სასამართლომ მისი თხოვნა არ მიიღო.

უმცირესობებს ავიწროებენ

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის „Human Rights Watch“-ის ახალი ანგარიშის მიხედვით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი წლის შემდეგ ავტონომიაში ეროვნული უმცირესობების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ორგანიზაცია ციგნების უმძიმეს მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას და მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს სერბების 100-ათასიან ეთნიკურ თემზე, რომელიც ხშირად უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე სხვა უმცირესობები.

მილიბენდი მახეში

ბრიტანეთის გარემოს დაცვის მინისტრი ედვარდ მილიბენდი უნებლიეთ სპამერი და მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელი საშუალებების გამავრცელებელი გახდა. უცნობმა პირებმა მიკრობლოგების სერვის „Twitter“-ზე მისი გვერდი გატეხეს და მინისტრთან დაკავშირებულ 7 ათასზე მეტ ადამიანს საკმაოდ უხერხული შინაარსის ინფორმაცია მომღიმარი მილიბენდის ფოტოსთან ერთად დაუგზავნეს. შეცბუნებული მინისტრი იძულებული გახდა, შვიდიათასივე ნაცნობისთვის ემტკიცებინა, რომ ჰაკერების მახეში გაება.

ობამას მთავარი პროექტი ჩავარდა

ობამა და დემოკრატები მთელი დღე ეხვეწებოდნენ რესპუბლიკელებს, ჯანდაცვის რეფორმა დაგვაწყებინეთო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და აშშ-ის პრეზიდენტი თავის უმთავრეს წინასაარჩევნო დაპირებას ვერ ასრულებს. კონგრესის შვიდსაათიან პოლიტმარათონს ამერიკელები პირდაპირ ეთერში უყურებდნენ. პრეზიდენტმა საკუთარი უმთავრესი პროექტი, რომელიც ღარიბებს სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფდა, თავად წარადგინა, მისი ჩავარდნა კი ისედაც რეიტინგდაცემული პრეზიდენტის პირადი კრახია.

ოცდამეერთე — ჩინეთის საუკუნე

„Washington Post-ABC News“-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ამერიკელთა უმეტესობა უახლოეს წლებში მსოფლიო ეკონომიკაში ამერიკის როლის შესუსტდებას ელის. ბევრის აზრით, თუ XX საუკუნე „ამერიკის საუკუნე“ იყო, XXI — ჩინეთისა იქნება. სხვა ანალოგიური კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ ამერიკაში საზოგადოება სერიოზულადაა შეშფოთებული ჩინეთის როლის ზრდით მსოფლიოში როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ასპარეზზე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რატომ არღვევს ხელისუფლება მომხმარებელთა უფლებებს საქართველოში

2008 წლის სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეებში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განგაშის ზარი შემოჰკრა მანიპულაციისა და გენმოდიფიცირებული პროდუქციის მოხმარების საკითხებზე და მოგვიწოდა: „მიუხედავად ასეთი პროდუქციის სიიაფისა და ჩვენი გაჭირვებისა, უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე"; ამასთან, იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევდა და ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქციის წარმოების გზით განვითარდებოდა, რაც შემდგომში შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ბერკეტად ქცეულიყო.
რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ დღეს, ხომ არ უწყობს სიტუაციის გაუარესებას ხელს ისიც, რომ საქართველოში მომხმარებელმა არ იცის თავისი უფლებების შესახებ, არც ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს იმ დროს, როდესაც მას ხელისუფლება მოწამლულ და უვარგის პროდუქციას სთავაზობს — ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ ლევან ბაღდავაძეს.

ლევან ბაღდავაძე

— ბატონო ლევან, ვიდრე მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დაცვაზე ვისაუბრებთ, მინდა მკითხველს მოკლედ შევახსენოთ მისი უფლებების დაცვის ისტორიის შესახებ, რომელსაც დღეს მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა.

— მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მან ორგანიზებული ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, ე. წ. დიდი ეკონომიკური დეპრესიის დროს. ამ დროს ამ ქვეყანაში იყო დიდი კრიზისი, გაბატონებული იყო „ველური ბაზარი" და ფასების მონოპოლიზაცია **(ეს ჩვენში დღესაც არის!)** ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფალსიფიცირებული პროდუქტი და მავნე პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, ბაზარზე გაბატონებული იყო მაფია, „შავი ბიზნესი" აყვავების ხანაში იყო **(ეს ჩვენში დღესაც არის!)**

სწორედ მაშინ, ამ უმძიმეს პერიოდში, აშშ-ის მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა მთავრობას შესთავაზა შავი ბაზრისა და მაფიის ალაგმვის მეტად ორიგინალური და თავისებური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნულ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მომხმარებელთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩაბმას (თვითდაცვას) სახელმწიფო კი გვერდში ედგა მათ და ეხმარებოდა. მეთოდმა გაამართლა და ამ მოძრაობას კონსიუმერიზმი ეწოდა (კონსიუმერ — ინგლისურად ნიშნავს მომხმარებელს). მაშინ ამ ქვეყანაში ბაზარი მართლაც მოწესრიგდა. ეს მეთოდი „გადამდები" აღმოჩნდა სხვა ქვეყნებისთვისაც და მან მთელი ცივილიზებული სამყარო მოიცვა, შეიქმნა საერთაშორისო ასოციაციები.

ჯერ კიდევ 1962 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი აღნიშნავდა: „ჩვენ ყველანი მომხმარებლები ვართ და აუცილებელია მავნე პროდუქციისაგან თავის დაცვა".

1985 წლის 5 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეამ, ყველა წევრ ქვეყანასთან შეთანხმებით, მიიღო რეზოლუცია (№-39-12 248) **„მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები"**, რომლის შემდეგ შეიმუშავეს რეკომენდაციები.

დასახელებული რეზოლუციის მიზანია:

1. დაეხმაროს ქვეყნის მოსახლეობას, როგორც მომხმარებელს, მათი კანონიერი უფლებების დაცვაში და უფლებების გაფართოებაში;

2. ხელი შეუწყოს და განახორციელოს ისეთი საქონლის რეალიზაცია, რომელიც პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებსა და სურვილებს;

3. ქვეყნის საწარმოებში ისეთი მავნე ბიზნესის პრაქტიკის შეზღუდვას, რომელიც ზიანს მიაყენებს მომხმარებელს;

4. ხელი შეუწყონ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, რაც მომხმარებელს ფართო არჩევანის საშუალებას მისცემს.

რეზოლუციის ძირითადი პრინციპებია: 1. მთავრობამ განავითაროს და მხარი დაუჭიროს მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკას; 2. მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა; 3. მომხმარებელნი უზრუნველყონ სათანადო ინფორმაციით, რაც საშუალებას მისცემს მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში; 3. საწარმოები და დამამზადებლები უნდა ითვალისწინებდნენ იმ ქვეყნის კანონებსა და ნორმატიულ აქტებს, რომელთა შესაბამისადაც უნდა ხორციელდებოდეს მათი ბიზნესი.

სახელმძღვანელო პრინციპები ეხება როგორც შიდა რეწვას, ისე ვაჭრობას, მომსახურებასა და იმპორტს.

მრეწველობის პოლიტიკა უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ მწარმოებლის მიერ შექმნილი საქონელი იქნება უსაფრთხო.

— ჩვენში დღეს ამას ყურადღებას არავინ აქცევს; პირიქით, ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლები ხელსაც კი აფარებენ ფალსიფიცირებულ თუ უვარგისი პროდუქციის მწარმოებელთ, ამასწინათ ისიც განაცხადეს, ჩვენს გარდა მწარმოებლებს ნურავინ ნუ შეამოწმებსო...

— ეს იმიტომ ხდება, რომ მათ კანონები არ იციან, პირიქით კი უნდა ხდებოდეს. წესით, მთავრობამ უნდა შეუწყოს ხელი მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ისეთი სახის საკონტროლო სამუშაოების ჩატარებაში, როგორიცაა საქონლის ფალსიფიკაციისა და სტანდარტების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენა, მარკეტინგისა და მომსახურების სფეროში თაღლითობის ფაქტების გამოვლენას და სხვ.

მთავრობამ უნდა გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის მწარმოებლის პასუხისმგებლობას გამყიდველის მიმართ; გამყიდველი გარანტი უნდა იყოს, რომ საქონლის გამოყენების ვადა, ვარგისიანობა, საიმედოობა, ფასები — შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

მთავრობამ უნდა წაახალისოს ინფორმაციის მომწოდებელი სამსახურები, რათა ინფორმაცია იყოს სრული, სარწმუნო, ოპერატიული და ადვილად გასაგები;

მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს იმ სტანდარტების სრულყოფასა და გამოყენებას, რომელსაც ითვალისწინებენ საქონლისა და უსაფრთხოების გამოყენებას ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეზე. ამგვარი სტანდარტები დროდადრო უნდა გადაისინჯოს, რომ მათი მაჩვენებლები შესაბამისობაში იყოს საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

— ევროპაში ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, ჩვენთან კი უგულებელყოფილია; საინტერესოა, როგორ ხდება ეს უცხოეთში?

— ასეთი პროგრამების საშუალებით უცხოეთში მოსახლეობას შეუძლია დამოუკიდებლად გააკეთოს სწორი საომხმარებლო არჩევანი, ასევე დამოუკიდებლად დაიცვას თავისი ინტერესები. **იქ სამომხმარებლო განათლება შესულია განათლების სისტემასთან ინტეგრაციაში!** ისინი გაცნობილნი არიან, ასევე, ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა: საკვებით გამოწვეული დაავადებები, მათი თავიდან აცილების გზები;

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში დაუშვებელია მკაცრად შეზღუდული საქონლის თავისუფალი შემოტანა და რეალიზაცია, იმიტომ, რომ იქ ხელისუფლება არის მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტი (ჩვენგან განსხვავებით)!

— ამ ყველაფერს ჩვენს ქვეყანაში ყურადღებას არავინ აქცევს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური...

— ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარება, ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობის აუცილებელი პირობაა, ხოლო კონკურენცია — ეკონომიკის განვითარების საფუძველი და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ასევე, მკითხველს შევახსენებ, ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობას, რაც ჩვენში დღეს არ მოქმედებს, მისი მნიშვნელობა შეცნობილი იყო საუკუნეების წინათაც რომის იმპერატორის დეკრეტში (რომის იმპერატორი ზენონის კონსტიტუციაში 483 წელს). რაც შეეხება თანამედროვე გაგებით ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნას, იგი გამოწვეული იყო კაპიტალიზმის განვითარების სწრაფი ტემპითა და მსხვილი მონოპოლიების შექმნით.

მას შემდეგ, რაც საქართველომ თავი დააღწია კომუნისტურ მმართველობას, სახელმწიფო საბჭომ 1992 წელს მიიღო დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ", ხოლო საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 20 მარტს მიიღო კანონი (№151-II) „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", ხოლო 1996 წლის 13 სექტემბერს გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება (№596), 1996 წლის 28 დეკემბერს ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც 1997 წლის 14 მარტს დაევალა მომხმარებელთა უფლებების დაცვა. სხვათაშორის, 2006 წლის 8 თებერვალს სააკაშვილმაც გამოსცა ბრძანებულება (№104) „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ".

ეს ყველა კანონი თუ განკარგულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა!!!

— რას აკეთებს თქვენი ასოციაცია ამ მხრივ?

— ჩვენი ასოციაცია 2003 წელს შეიქმნა, წესდების შესაბამისად, ასოციაცია თანამშრომლობდა ანტიმონოპოლიურ სამსახურთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურთან, თბილისის საკრებულოსთან, ქალაქის მერიასთან, „მწვანეთა პარტიასთან". ჩვენი მონიტორინგით დადგინდა, რომ იშვიათია ისეთი ობიექტები, რომლებიც უხეშად არ არღვევენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პრინციპებს.

სავაჭრო ობიექტების 90 პროცენტზე მეტს არ გააჩნია მათი საქმიანობისა და რეჟიმის აბრა, მომწოდებელთა დასახელება და მისამართები, ანგარიშ-ფაქტურები, სატრანსპორტო დოკუმენტები.

სარეალიზაციოდ გამოტანილი პროდუქციის 80 პროცენტზე მეტს არ ჰქონდა მითითებული გამოშვების თარიღი და ვარგისიანობის ვადი, გაფორმებული ფასმაჩვენებლები, ინფორმაცია ხარისხისა და წონის, საკვები პროდუქტების შემადგენლობების შესახებ.

რეალიზატორების 70 პროცენტი არ იყო უზრუნველყოფილი მოწყობილობებით, მაცივრებით, გამართული სასწორებით. 75 პროცენტი ახდენდა დაბინძურებული სატრანსპორტო საშუალებით პურის, პურფუნთუშეულის, კვების სხვა პროდუქტების გადაზიდვა-ვაჭრობას.

მომსახურე პერსონალის 80 პროცენტზე მეტს არ გააჩნია ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, ინფორმაცია „B" და „C" ჰეპატიტზე, ტუბერკულოზზე, სიფილისზე, სალმონელოსსა და სხვა დაავადებებზე, რაც კანონით დაუშვებელია!!!

ლაბორატორიულად შეუმოწმებელი პროდუქტების 98 პროცენტზე მეტი იყიდება ობიექტებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ხორცი და მისი პროდუქტები. რძის პროდუქტებზე ხშირად არ არის მითითებული, ისინი ნატურალური რძის თუ რძის ფხვნილისგანაა დამზადებული.

— რა მდგომარეობაა პროდუქტების მანიპულირებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტების შემოტანის მხრივ?

— ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში მართლაც რომ საგანგაშო მდგომარეობაა! ძირითადად, ასეთი პროდუქტი შემოდის თურქეთიდან (კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, ფქვილი, კარტოფილი და სხვ.), ასევე, აშშ-დან, რუსეთიდან, არგენტინიდან და სხვა ქვეყნებიდან.

მეტად საგულისხმო ფაქტები მოგვაწოდა „საქართველოს მწვანეთა პარტიამ", კერძოდ: ამერიკიდან შემოსული ხორბლის 81 პროცენტი, სიმინდის 40 პროცენტი და ბამბის 73 პროცენტი გენმოდიფიცირებულია!!!

არგენტინიდან შემოტანილი სოიოს 95 პროცენტი და სიმინდის 15 პროცენტი ასევე გენური მანიპულირებით არის მიღებული!!!

რუსეთიდან კი შემოდის საკვებად უვარგისი, გენმოდიფიცირებული: სოსისები, სარდელები, პელმენები, პაშტეტები და თევზეული!!!

სამწუხაროა, რომ არც ჩვენ და არც კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის რჩევებს დღემდე ხელისუფლება არანაირ ყურადღებას არ აქცევს!!! პირიქით, გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური და ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!

მრავალ ფაქტორთან ერთად, ასეთი სავალალო მდგომარეობა განაპირობა საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობამ, გაუმართლებელმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაციამ, მომხმარებელთა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობამ.

საქართველოს პარლამენტმა სამჯერ ჩააგდო და არ მოახდინა გაეროს მიერ 2000 წელს მონრეალში მიღებული კარტახენას ოქმის რატიფიკაცია, რომლითაც ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც არ სურს გენმოდიფიცირებული ნედლეულისა და პროდუქციის შემოტანა, უფლება ეძლევა აკრძალოს ეს პროდუქცია საზღვრის გადაკვეთისას და მწარმოებლები ვალდებულნი არიან, **მას გაუკეთონ შესაბამისი წარწერა, რომ ის არის გენმოდიფიცირებული!!!**

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 24 ივნისს შეაჩერა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ (30-ე და 32-ე მუხლი). სამაგიეროდ, შექმნეს „მკვდრადშობილი" — „სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო", რითაც დაასამარეს ამ მხრივ ყველანაირი პერსპექტივა.

დაბეგვრის ნულოვანმა რეჟიმმა ხელი შეუწყო უვარგისი პროდუქციის შემოტანას, რითაც ზარალი მიაყენა ეროვნული მეურნეობის განვითარებას.

სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკა ფალსიფიცირებული საკვებით, მედიკამენტებითა და ალკოჰოლური სასმელებით მოწამვლის შესახებ!

ჩვენი ასოციაცია მოუწოდებს სათანადო ორგანოებს, აღდგეს ანტიმონოპოლიური სამსახური და შეიცვალოს სახელმწიფო პოლიტიკა გენმოდიფიცირებული პროდუქტების შემოტანის თაობაზე, რამდენიმე წლის შემდეგ, ალბათ, ყველაფერი გვიან იქნება.

ესაუბრა
ეთერ კასრელიშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მარადი პრეზიდენტი — რობერტ მუგაბე

რამდენიმე დღის წინათ ზიმბაბვეს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ ქვეყნის დედაქალაქ ჰარარეს მახლობლად მდებარე ქალაქ ჩინჰოიიში თავისი 86 წლის იუბილის აღსანიშნავი საზეიმო ბანკეტი გამართა. ღონისძიების ბიუჯეტმა 500 ათასი დოლარი შეადგინა. მენიუს ჩამონათვალში იყო ლობსტერები, 4 ათასი ულუფა ხიზილალა, 100 კგ კრევეტები, 2 ათასი ბოთლი შამპანური, 500 ბოთლი ვისკი „ჯონ უოლკერ ბლუ ლეიბლი“ და „ჩივას რიგალი.“

მუგაბე და ინგლისის დედოფალი ელისაბედ II

რობერტ მუგაბეს დაბადების დღეზე დახარჯულმა ასეთმა დიდმა თანხამ დემოკრატიული ცვლილებებისთვის მებრძოლი ოპოზიციური მოძრაობის წევრთა აღშფოთება გამოიწვია. მათი აზრით, ამორალობა იყო ზეიმის მოწყობა მაშინ, როცა ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე დგას: **„ზეიმის ორგანიზატორები ერთ კაცს ახარჯავენ 500 ათასს, მაშინ, როცა ეს თანხა 50 სოფელს გამოკვებავდა!“**

რობერტ მუგაბე 1924 წლის 21 თებერვალს ქალაქ ქუთამში დაიბადა. სამხრეთ როდეზია მაშინ ბრიტანეთის კოლონია იყო, რომლის სათავეში თეთრკანიანთა უმცირესობის მთავრობა იდგა. მუგაბე ქვეყნის ეთნიკური უმრავლესობის — შონის წარმომადგენელი გახლდათ. უნივერსიტეტი ლონდონში დაასრულა, რის შემდეგაც მასწავლებლად მუშაობდა სამხრეთ როდეზიაში, მერე — განაში. სამშობლოში დაბრუნებული ჯერ ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის, შემდეგ კი ზიმბაბვეს აფრიკელი ხალხის კავშირის წევრი გახდა. **მერე ზიმბაბვეს აფრიკული ნაციონალური კაშირი დააფუძნა და 1963 წელს ამ პარტიის გენერალური მდივანი გახდა**. 1964-დან 1974 წლამდე ის პატიმრობაში იმყოფებოდა, ხოლო 1973 წელს აფრიკელთა ნაციონალური კავშირის პარტიის ბელადი გახდა.

1980-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც პარტიზანებმა იარაღი ჩააბარეს და დემობილიზებული იქნენ, ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. დიდი ბრიტანეთისა და სამხრეთ აფრიკის მთავრობები ზიმბაბვეს აფრიკელ ხალხთა კავშირის ლიდერის ნკომოს გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ მუგაბე პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდა და მოწინააღმდეგე იოლად დაამარცხა. **მისმა პარტიამ ხმათა 63 პროცენტი და პარლამეტში 80 „აფრიკული“ ადგილიდან 57 მიიღო**. რობერტ მუგაბე მთავრობას სათავეში ჩაუდგა და 1980 წლის 18 აპრილს ზიმბაბვე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ხელისუფლებაში მოსულმა მუგაბემ ნკომოს სხვადასხვა თანამდებობა შესთავაზა და მანაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი აირჩია. მალე ორ პარტიას შორის ურთიერთობები დაიძაბა. მუგაბე დაუყოვნებლივ ამოქმედდა: **ნიკომოს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მოწყობაში დასდო ბრალი და ისიც იძულებული შეიქნა, ქვეყნიდან გაქცეულიყო**. მისი მომხრეები კი აჯანყდნენ. „ჯანყის“ ჩახშობა მეტაბელელენდის ტომის 5-წლიან გენოციდში გადაიზარდა. ოპერაციას ლირიკული სახელწოდება „გუკურაჰუნდი“ — გაზაფხულის ქარიშხლების წინარე, ჩელხის ჩამრეცხავი ადრეული წვიმა“ ეწოდა. **არმიის შენაერთები, მათ შორის, ჩრდილოკორეელი სამხედრო სპეციალისტების მიერ მომზადებული მეხუთე ბრიგადა, მეტაბელელენდის პროვინციას შეესიენ და 50-დან 100.000-მდე მშვიდობიანი მოსახლე იმსხვერპლეს.** 1985 წლის ოქტომბერში პრემიერ-მინისტრ მუგაბესა და ზიმბაბვეს აფრიკელ ხალხთა კავშირის ლიდერ ნკომოს შორის მოლაპარაკებები დაიწყო და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დადებითა და ამ კავშირისა და ზიმბაბვეს აფრიკულ ნაციონალური კავშირის შერწყმით დასრულდა. **ასე იქცა ზიმბაბვე ერთპარტიულ სახელმწიფოდ**.

1987 წელს მუგაბემ კონსტიტუცია შეცვალა – **გააუქმა პრემიერის პოსტი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ყველა ფუნქცია, ფართო უფლებამოსილებებით, მთავრობის მუშაობის კოორდინაციისა და პარლამენტთან შეუთანხმებლად ომის გამოცხადების უფლების ჩათვლით, პრეზიდენტმა იტვირთა (**მუგაბეს ინაუგურაცია 1998 წლის 1 იანვარს გაიმართა**).** ბოტსვანაში გაქცეულ ოპოზიციის მეთაურს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს, სადაც მან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ხელისუფლების განახლებულ ვერტიკალში. 1988 წელს ტომის ამოხოცვაზე პასუხისმგებელ პირებს ამნისტია გამოუცხადეს. **მეხუთე ბრიგადის მეთაურმა პერენს შირმა, რომელსაც „შავ იესოს“ უწოდებდნენ, მოკლე ხანში ზიმბაბვეს სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურის პოსტი დაიკავა, ხოლო ცალკეული სადამსჯელო ოპერაციების კოორდინატორებმა: ემერსონ მნანგაგვამ (მეტსახელად „ნიანგმა“) და სიდნეი სეკერემაიიმ თავდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთა თანამდებობები გაინაწილეს.**

1990 წელს მუგაბე ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე — მან ამომრჩეველთა ხმების 83 პროცენტი მიიღო და უკან ჩამოიტოვა თავისი ერთ დერთი კონკურენტი, „ზიმბაბვეს აფრიკული ნაციონალური კავშირი-პატრიოტული ფრონტის“ ყოფილი გენერალური მდივანი ედგარ ტეკერე, რომელიც პარტიიდან იმის გამო გარიცხეს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ამ პარტიის მონოპოლიის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1989 წელს ტეკერემ ზიმბაბვეს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში პირველი პოლიტიკური გაერთიანება — ზიმბაბვეს ერთიანი მოძრაობა ჩამოაყალიბა. ტეკერეს კრიტიკული გამოსვლების მთავარ თემად ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები იქცა (ე. წ. უილოგეიტის სკანდალი).

1991 წლის 21 მაისს მუგაბემ კონსტიტუციური კრების მოწვევის შესახებ გამოაცხადა, რომლის წინაშეც ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის პროექტის შემუშავების საკითხი დაისვა. დოკუმენტში, პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გაფართოების, საკანონმდებლო ორგანოების რეფორმირებისა და სხვა ცვლილებების გვერდით, გათვალისწინებული იყო, შავკანიანი ზიმბაბველების სასარგებლოდ თეთრკანიან ფერმერთათვის მიწების ჩამორთმევის უფლების მინიჭება მთავრობისათვის იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის გადახდაზე პასუხისმგებელი მხარე — დიდი ბრიტანეთი არ შეასრულებდა თავის ვალდებულებებს. კონსტიტუციის განახლებული ტექსტი საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გაიტანეს და ის მუგაბეს პირველ მარცხად და ოპოზიციური ძალების გამარჯვებად იქცა.

მაშინ მუგაბემ მიწის რეფორმის ახალი ეტაპი წამოიწყო, რომელსაც ოპერაცია „სწრაფი გზა“ ეწოდა. დაიწყო „მესამე ჩიმურენგა“ — 4 ათასი თეთრკანიანის ფერმების დაუსჯელად მიტაცება. მძარცველთა დამრტყმელ ძალას ომის ვეტერანები წარმოადგენდნენ, ჩენჯერაი ჰუნზის მეთაურობით, რომელსაც მეტსახელად „ჰიტლერს“ უწოდებდნენ. მთავრობა კი თეთრკანიანებს მხოლოდ ინფრასტრუქტურის ობიექტების საფასურს უნაზღაურებდა. ქვეყნის დატოვებას კი ცემა-ტყეპით, ძალადობით, ძარცვითა და მკვლელობებით აიძულებდა.

2000 წლის აპრილში დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა მუგაბეს ძალადობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოსთხოვა. სექტემბრის დასაწყისში ზიმბაბვეს კრიზისის საკითხი გაეროს გენმდივნის — კოფი ანანის ინიციატივით ნიუ იორკის სამიტზეც წამოაყენეს. მუგაბეს გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორმაც მიმართა მოთხოვნით, ბოლო მოეღო მიწების თვითნებურად მიტაცებისთვის, ხოლო 2001 წელს ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს აბუჯში გამართულ ბრიტანეთის თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზეც. თუმცა მსოფლიო თანამეგობრობის მოწოდებები მუგაბემ ყურად არ იღო და 2001 წელს „მიწის შესყიდვის შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის საფუძველზე თეთრკანიან ფერმერებს მათი ქონების ძალადობრივი მიტაცების აქტების გასაჩივრების უფლება წაართვა, ხოლო 2002 წლის აგვისტოში **ქვეყნიდან ფერმერთა მასობრივი გასახლებისა და შავკანიანი მოქალაქეებისთვის მათი მიწების გადაცემის კამპანია დაიწყო**.

2002 წლის მარტში მუგაბემ ოპოზიციის კანდიდატთან, მორგან ცვანგირაისთან სასტიკ ბრძოლაში პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნა, მაგრამ არჩევნების ოფიციალური შედეგები ზოგიერთმა უცხო ქვეყანამ არ ცნო. გარდა ამისა, ზიმბაბვეს მიწის კანონმდებლობის გამკაცრების, თეთრკანიანი ფერმერებისა და ოპოზიციის მიმართ რეპრესიული პოლიტიკის გაგრძელების გამო, დიდმა სახელმწიფოებმა მუგაბეს რეჟიმის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები შემოიღეს. **ზიმბაბვეს მმართველი გუნდის 20 წარმომადგენელს, მუგაბეს ჩათვლით, ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა აეკრძალათ, გაიყინა მათი ანგარიშები ევროპულ ბანკებში,** ხოლო იარაღის მიწოდებაზე ემბარგო დაწესდა; **მუგაბესა და მისი თანაგუნდელებისთვის საზღვრები აშშ-მაც დაკეტა**, ხოლო 2002 წლის მარტში საბანკო სანქციებს შვეიცარიაც შეუერთდა.

2003 წლის დეკემბერში თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურებმა ხმათა უმრავლესობით ზემოხსენებული ზომების უვადოდ გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღეს, რამაც მუგაბეს ბობოქარი პროტესტი გამოიწვია. 2005 წელს ვაშინგტონმა უწინ შემოღებული სანქციები გაამკაცრა და იმ პირთა და ორგანიზაციათა ნუსხაც გაზარდა, რომელთა ანგარიშები ამერიკულ ბანკებში დაიბლოკა.

იმავე წელს ზიმბაბვეში, მმართველი პარტიის თანხმობით, „მურამბატსვინას („ნაგვის გატანა“) ოპერაციად“ წოდებული ბინის რეფორმა დაიწყო. ქოხებისა და ბარაკის ტიპის ნაგებობების აღების შემდეგ უსახლკაროდ დარჩა 700.000-ზე მეტი კაცი. ამას თან სდევდა ურიცხვი სავაჭრო წერტილისა და მათი მფლობელების კუთვნილი საქონლის ლიკვიდაცია. ამგვარად, უპოვარი და ღატაკი ზიმბაბველების რაოდენობა დღითი დღე იმატებდა. მუგაბეს ადმინისტრაციის ქმედებანი მრავალმა ჰუმანიტარულმა და რელიგიურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მკაცრად გაკიცხა.

ეკონომიკური ქაოსისა და მოქმედი რეჟიმის მიმართ მზარდი პროტესტის პირობებში მუგაბემ ვერ გაბედა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების გადატანა 2010 წლისათვის. 2008 წლის 29 მარტს პარლამენტის ახალი შემადგენლობისა და მუნიციპალური კრების არჩევისას, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე კანდიდატთა შესარჩევი კენჭისყრაც გაიმართა. მუგაბემ ხმების 43.2 პროცენტი მიიღო, ცვანგირაიმ კი — 47.9 პროცენტი, რის შემდეგაც მართალია, ოპოზიციამ შედეგების გაყალბების შესახებ განაცხადა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას დასთანხმდა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა მუგაბე პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს, 2005-2007 წლებში მან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ევროკავშირის ტერიტორიაზე გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში და ერთ-ერთ მათგანზე სიტყვით გამოსვლისას **ტონი ბლერი — მუსოლინის, ხოლო ჯორჯ ბუში — ჰიტლერს შეადარა.** პორტუგალიის დედაქალაქში **ჰარარეს ანტიდემოკრატიული რეჟიმის მკვეთრმა კრიტიკამ ზიმბაბვეს ოფიციალურ პრესაში გამოძახილი პოვა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელზე თავდასხმების სერიის სახით, სადაც მერკელს „რასისტი“ და „ნაციზმის გადმონაშთი“ ეწოდა, ხოლო გერმანიის, დანიის, შვეციისა და ნიდერლანდების ქმედებები „ბანდიტიზმად“ მოინათლა.** 2008 წლის 1 ივნისს იტალიაში გაეროს სურსათის საკითხებისადმი მიძღვნილ სამიტზე მუგაბემ დასავლეთელი დემოკრატები, უპირველესად კი, დიდი ბრიტანეთი, ზიმბაბვეს ნაციონალური ეკონომიკის ნგრევასა და მოქმედი რეჟიმის დამხობის მცდელობაში დაადანაშაულა, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულმა მთელი ძალისხმევა არჩევნების მეორე ტურში გამარჯვების მოპოვებისკენ მიმართა. ერთი თვის განმავლობაში მისი ძალოვანი სტრუქტურები უძლიერეს ზეწოლას ახორციელებდნენ ოპოზიციონერებსა და მათ ლიდერებზე. 16 ივნისს კი **მუგაბემ საჯაროდ განაცხადა, რომ კენჭისყრა ფაქრობრივად უაზრობა იყო, რადგან მისი შედეგებისა და ცვანგირაის გამარჯვების მიუხედავად, მოქმედი პრეზიდენტი პოსტს არ დატოვებდა და მის შესანარჩუნებლად სისხლსაც დაღვრიდა...**

27 იანვარს არჩევნები ჩატარდა, ხოლო 29 ივნისს საარჩევნო კომისიამ მისი შედეგები გამოაქვეყნა: **მეორე ტურში საარჩევნო ყუთებთან ამომრჩეველთა 43.37 პროცენტი მივიდა. მათგან 85.51 პროცენტმა ხმა მუგაბეს მისცა**.

იმავე დღეს ზიმბაბვეს უცვლელი პრეზიდენტის მორიგი ინაუგურაცია გაიმართა.

მუგაბე დაბადების დღეს აღნიშნავს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

დედილო ბარკერი: ქალი-ტყვიამფრქვევი

ეს ქალი თავზეხელაღებულთა ბანდას მართავდა და შვილებსაც ჩაუნერგა კანონისადმი ზიზღი. დედილო ბარკერის ცხოვრების ისტორია დემონურ მოქმედებათა უწყვეტი ჯაჭვია.



დედილო ბარკერი თავის ვაჟებს სამ სიბრძნეს ასწავლიდა: წერა, კითხვა და იარაღის გამოყენება. ის წარმოშობით იმ ადგილებიდან იყო, სადაც ცნობილი მკვლელი ჯესი ჯეიმსი დანავარდობდა. მისი ხელმძღვანელობით ოთხივე შვილი ამერიკის ისტორიაში ყველაზე საშიშ და სასტიკ ბანდიტად იქცა. ბარკერებმა უზარმაზარი თანხები იშოვეს, ისე, რომ მოუხელთებელნი დარჩნენ. მთელ ქვეყანაში — შუა დასავლეთიდან შორეულ სამხრეთ ტეხასამდე ისინი უტიფრად, გულცივად მოქმედებდნენ და უყოყმანოდ კლავდნენ.

დედილო ბარკერის ნამდვილი სახელი არიზონა დონი კლარკია. 1872 წელს ის მისურის შტატში, სპრინგფილდში, ალკოჰოლიკი ფერმერისა და ღვთისმოსავი დედის ოჯახში დაიბადა, რომელიც გოგონას ვიოლინოზე დაკვრასა და ბიბლიის კითხვას ასწავლიდა. 10 წლის არიზონამ სკოლა მიატოვა და მთელი ცხოვრება მდარე წიგნებს კითხულობდა ჯესი ჯეიმსის მაგვარ ბოროტმოქმედებზე. არი, როგორც საკუთარ თავს თავად უწოდებდა, გაოგნდა, როცა ბედაურზე შემომჯდარი ჯესი ბანდის სათავეში იხილა. 1892 წელს, როცა კანზასის შტატში პოლიციელებმა ბანკის გაძარცვისას დალტონის ბანდა ჩაცხრილეს, არიმ ძაძები ჩაიცვა. მაშინ ის 20 წლის იყო.

„აპოკალიფსის მხედრები“

არის ნაღველი ცოტა შეუმსუბუქდა, როცა ცოლად შავმუშას, მასავით გაუნათლებელ ჯორჯ ბარკერს გაჰყვა. მათ ოთხი ვაჟი შეეძინათ: გერმანი, ლოიდი, არტური და ფრედი. ბავშვები ბანდიტებად გაიზარდნენ. მისურის შტატში მათ „აპოკალიფსის მხედრებს“ უწოდებდნენ. 1908 წელს, მეზობლების ზეწოლით, რომლებიც თვლიდნენ, რომ არიზონამ შვილები ეშმაკისგან შობა, დედილო ბარკერი ოჯახითურთ უებ-სიგიში გადასახლდა. ბარკერმა ეს ქალაქი იმიტომ აირჩია, რომ მის გარეუბნებში მცირე ხნის წინ ოქროს საბადოები აღმოაჩინეს. ოჯახს მარტოდენ გამდიდრების სურვილი ამოძრავებდა, თუმცა სიღატაკეში ცხოვრობდა, წყლისა და ელექტროგაყვანილობის გარეშე.

„ჩემი ბიჭები ღვთის რჩეულნი არიან“

დედილო პათოლოგიურად ვერ იტანდა ნებისმიერ ხელისუფლებას და ყველა პოლიციელი თავისი შვილების მტრად მიაჩნდა. 1910 წელს გერმან ბარკერი ქურდბაცაცობისთვის დააკავეს, დედილო კი პოლიციელებს დაეძგერა: „ჩემი შვილები ღვთის რჩეულები არიან! ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიფერფლებით, თუ ბინზურ ხელებს კიდევ ერთხელ შეახებთ რომელიმე ბარკერს!“

1915 წელს, კანონთან მრავალგზისი შეჯახების შემდეგ ოჯახი აიყარა და ოკლაჰომას შტატისკენ, ქალაქ თალსისკენ გაემართა, სადაც ჯორჯ ბარკერმა რკინიგზაზე სამუშაო იშოვა. ისინი უწინდებურად სიღატაკეში ცხოვრობდნენ და შვილებიც უწინდებურად არღვევდნენ კანონს — ქურდობდნენ, ძარცვავდნენ და მანქანებს იტაცებდნენ.

ახალი მეგობრები

მალე დედილო ბარკერმა თავისი ქოხი ბანდიტების, მკვლელების, ნარკომანებისა და მაწანწალების თავშესაფრად გადააქცია, მისი ვაჟები კი პირდაბჩენილნი უსმენდნენ „რომანტიკულ ისტორიებს“ ძარცვა-გლეჯასა და მკვლელობებზე. სრულწლოვანი ბარკერები უკვე ჩამოყალიბებული ბოროტმოქმედები იყვნენ. 1917 წელს ისინი ერთ-ერთი უდიდესი ბანდის წევრები გახდნენ და ბანკების, საფოსტო განყოფილებებისა და ადგილობრივი გასამართი სადგურების ძარცვას მიჰყვეს ხელი. 1922 წელს დედილო კარგა ხნით გამოემშვიდობა უფროს ვაჟს. ლოიდი საფოსტო განყოფილების ძარცვისას დაიჭეს, როცა მან მცველი დაჭრა. დედილო ბარკერი კაეშანმა შეიპყრო, როცა ლოიდს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მერე საავადმყოფოს დარაჯის მკვლელობისთვის განსასჯელის სკამზე არტური მოხვდა, მიუხედავად დედამისის მცდელობისა, როგორმე მოესყიდა ვინმე, ვინც არტურის დანაშაულს საკუთარ თავზე აიღებდა. როცა არტურს 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, არიზონამ ქმარი მიატოვა და ერთსქესიან სიყვარულს მისცა თავი.

1926 წელს ფრედიც დააკავეს და უინფილდის ბანკის გაძარცვისთვის 15 წლით საპყრობილეში გაამწესეს. ბანკზე თავდასხმა დედილოს ორგანიზებული იყო. ერთდაერთი, ვინც თავისუფალი რჩებოდა, გერმანი იყო. არიზონამ დაიჟინა, რომ ის ქაიმს-თერიფლის ბანდის წევრი გამხდარიყო, რომელიც საბანკო სეიფების ძარცვაზე იყო სპეციალიზებული. მძარცველები მრავალფუთიან დაჯავშნულ ყუთებს ჯალამბარით ეზიდებოდნენ, შემდეგ კი აფეთქებდნენ, რომ გაეღოთ. 1926 წელს ბანკზე მორიგი თავდასხმისას, როცა პოლიციელებმა ბანდის წევრები ალყაში მოაქციეს, გერმანე დაიჭრა. თუმცა მან გაქცევა და დედილოსთან თავის შეფარება მოახერხა. 18 სექტემბერს გერმანმა ნიუტონში საბაყლო მაღაზია გაძარცვა და ქალაქი გატაცებული მანქანით დატოვა. გზაში მისი შეჩერება ქალაქის შერიფმა ჯონ მარშალმა სცადა, მაგრამ გერმანმა ის ავტომატის ჯერით ჩაცხრილა. მეორე დღეს ქალაქ უიჩითში გერმანი პოლიციელთა ხაფანგში მოექცა და როცა ტყვიები გაუთავდა, პიჯაკის გულისჯიბიდან თილისმა — „ბედნიერი ვაზნა“ ამოიღო და სიცოცხლესთან ანგარიში გაასწორა.

1931 წელს დედილოს მცდელობებმა ბოლოს და ბოლოს შედეგი გამოიღო: ფრედი ციხიდან გამოუშვეს და ის თანასაკნელ ელვინ კარპისთან ერთად დაბრუნდა, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთობები ჰქონდა გაჩაღებული. გათავისუფლებულმა საყვარლებმა, დედილო ბარკერის „კურთხევით,“ ტერორის ახალი ტალღა ააზვირთეს.

1931 წლის ზაფხულში, „დიდი დეპრესიის“ დროს ამ წყვილმა ბობოქარი საქმიანობა გააჩაღა: გაძარცვა რამდენიმე საიუველირო მაღაზია და უნივერმაღი. დროდადრო ისინი დედილოსთან ბრუნდებოდნენ, თავიანთი „გმირობის“ შესახებ უყვებოდნენ და ნადავლს უნანილებდნენ. მოკლე ხანში სამეული თალსიდან მისურის შტატში, კოსკო-ნონგის ფერმაში გადასახლდა და იქ შტაბბინა მოაწყო. კარპისმა და ფრედიმ დანი და ჰამილტონი დაირქვეს და შუა დასავლეთის შტატების ტერორს მიჰყვეს ხელი. ერთ-ერთი ძარცვისას მათ შერიფი მოკლეს, რის გამოც, დედილოსთან ერთად, იძულებული შეიქნენ ფერმა დაეტოვებინათ და მინესოტას შტატის ქალაქ სენტ-პოლში გადაბარგებულიყვნენ. დედილომ აქაც მოაწყო თავშესაფარი განგსტერებისათვის და ცნობილი ტერორისტები ჯეკ პფაიფერი და ჰარი სოიერი შემოიამხანაგა. მოკლე ხანში კი ფრედიმ და კარპისმა, რომლებსაც აღარ სურდათ სოიერისა და პფაიფერის გავლენის ქვეშ ყოფნა, საკუთარი ბანდა ჩამოაყალიბეს. 1931-დან 1933 წლამდე მათ ათამდე ბანკი გაძარცვეს და უამრავი ხალხი დახოცეს, მათ შორის, პოლიციის განყოფილების უფროსი მენლი ჯექსონი, რამდენიმე მცველი და პოლიციელები. დედილო ბარკერი და ფრედი ამერიკაში ძებნილ დამნაშავეთაგან ყველაზე საშიშად გამოაცხადეს, რომელთა სინდისზეც ათეულობით ადამიანის მკვლელობა იყო...

1932 წელს პატიმრობიდან გაათავისუფლეს არტურ ბარკერი და დედილო ბარკერმა გადაწყვიტა, რომ დროა, ფული ხალხის გატაცებით იშოვონ. ის ჩიკაგოელი მაფიოზის ალ კაპონეს ყოფილ თანამზრახველს ფრედ გოტცის დაუკავშირდა და ლუდის მწარმოებელთა დინასტიის უფროსის უილიამ ჰამის გატაცების გეგმის შემუშავება დაიწყო. 1933 წლის 15 ივნისს ჰამი ფრედმა და კარპისმა გაიტაცეს და გამოსასყიდის მოთხოვნის წერილზე ხელი მოაწერინეს, ფულის მიღების შემდეგ კი საღ-სალამათი ჰამი ოჯახს დაუბრუნეს. ბანდას არც ბანკების ძარცვა შეუწყვეტია — 1933 წლის აგვისტოში განგსტერები თავს დაესხნენ მანქანას, რომლითაც ბანკს ფული გადაჰქონდა და ნადავლად 30 ათასი დოლარი წაიღეს.

რაკი მკვლელობებისა და ძარცვის მთელი სერიების შემდეგ სიტუაცია ერთობ დაიძაბა, ხოლო გფბ-მ ქალაქებში ბარკერების პორტრეტები გამოფინა წარწერით: „იძებნება გფბ-ს მიერ,“ დედილომ თავისიანებს დროებით „გაყუჩება,“ შემდეგ კი მინეაპოლისელი ბანკირის ედვარდ ბრემერის გატაცება შესთავაზა. ამ გეგმის შემუშავებას ბარკერმა რამდენიმე თვე მოანდომა.

1934 წლის 17 იანვრის დილას ბრემერმა თავისი 8 წლის ქალიშვილი სკოლაში მიიყვანა და ოფისისკენ გაეშურა. როცა მანქანა შუქნიშანზე გაჩერდა, არტურმა მიირბინა და ბანკირს შუბლზე რევოლვერი მიადო. მის ოჯახს 200.000 დოლარი მოსთხოვეს. ბრემერებს პოლიციისთვის არ მიუმართავთ და გამოსასყიდიც გადაიხადეს.

დედილო ბარკერის ტერორის დასასრული

კარპისმა, ფრედიმ და დედილომ გარეგნობის შესაცვლელად და პოლიციისგან თავის დასაღწევად პლასტიკური ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს. ექიმიც გამოძებნეს — ჯოზეფ მორანი, რომელიც ალკოჰოლიკი გამოდგა. მორანმა მათ მორფინი გაუკეთა, სანამ ოპერაციას შეუდგებოდა. დედილო ჯერ კიდევ ემზადებოდა, როცა დაინახა, რა დღეში ჩააგდო ალკოჰოლიკმა ფრედი და ამით ექიმის საქმიანობა დასრულდა — დედილოს ბრძანებით, ფრედიმ და არტურმა ექიმი მოკლეს.

დედილოს დაჟინებით ბანდა გაიყო: არტური ჩიკაგოში გადასახლდა, ხოლო დედილომ ბინა ფლორიდის შტატში დაიდო. კარპისი და ბანდის სხვა წევრები მას დროდადრო სტუმრობდნენ. 1935 წელს არტური გფბ-ს აგენტებმა დააპატიმრეს და მისი ბინის ჩხრეკისას აღმაჩინეს რუკა, რომელზეც დედილოსა და ფრედის ადგილსამყოფელი იყო მითითებული.

1935 წლის 16 იანვარს გფბ-ს აგენტებმა სახლს ალყა შემოარტყეს. ერთმა მათგანმა დედილოს შესთავაზა, დაგვნებდიო, პასუხად დედილომ ავტომატური შაშხანიდან ცეცხლი გაუხსნა. გფბ-ს აგენტებმა სროლითვე უპასუხეს, შემდეგ კი ცრემლსადენი გაზი გაუშვეს. როცა ბოლოს და ბოლოს სროლა შეწყდა, სახლში 14 ტყვიით დაცხრილული ფრედი და დედილო იპოვეს.

არტური ალკატრასის ციხიდან გაქცევის მცდელობისას მოკლეს, ხოლო ლოიდმა 25-წლიანი სასჯელი მოიხადა და 1947 წელს გათავისუფლდა. მოკლე ხანში დაქორწინდა კიდეც, მაგრამ ორი წლის შემდეგ ცოლმა ყელი გამოსჭრა...

გრეგორი და არიზონა ბარკერები

დახოცილი დედილო და ფრედი

გვერდები მოამზადა ნანა ჩარკვიანმა

კვირის კალენდარი
3 მარტიდან 9 მარტამდე

8/3 ოთხშაბათი წმ. ნიკოლოზ VIII (ბაგრატიონი) კათალიკოსისა (1591); წმ. Lეონისა რომის პაპისა (461).

21/6 დიდმარხვის მე-3 შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. ღირ. ტიმოთე სიმვოლელისა (755); წმ. ევსტათისა, ანტიოქიელი მთავარეპისკოპოსისა (337).

22/7 დიდმარხვის მე-3 კვირა. წმ. მოწამეთა ცხრა ძმა კოლაელთა (VI); ევგენიელ მოწამეთა ნაწილთა პოვნა (395 – 423).

23/8 ორშაბათი მღვდელმოწამე პოლიკარპესი ზმირნელი ეპისკოპოსისა (167).

24/9 სამშაბათი წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად (IV) და მეორედ (452) პოვნა.

ცხრა ძმა კოლაელი

სამხრეთ საქართველოში ისტორიულ ტაოში მდინარე მტკვრის სათავესთან მდებარეობდა სოფელი კოლა. VI საუკუნეში აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ ქრისტიანები და წარმართები ცხოვრობდნენ. უმეტესობა კერპთთაყვანისმცემელი იყო.

ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვები მთელი დღეების განმავლობაში ერთად თამაშობდნენ. საღამოობით, როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის ზარებს დარეკდნენ, ქრისტიანი ყრმები ტაძარში სალოცავად მიდიოდნენ.

ეკლესიასთან მისულ წარმართ ბავშვებს ტაძარში არ უშვებდნენ. მათ ეუბნებოდნენ: **„თქუენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ-არს შესვლაი თქუენი სახლსა ღმრთისასა“.** ამასთან, ქრისტიანები ყმაწვილებს ქრისტეს სჯულს აცნობდნენ და ასწავლიდნენ: **„უკუეთუ გნებავს შემოსვლა ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ნათელ-იღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლითა მისთა და შეგუერთენით ქრისტეანეთა.“**

ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს სოფლის ხუცესმა გაყინულ მდინარეში ყრმები მათივე ნება-სურვილით მონათლა. ნათლობის დროს მოხდა სასწაული, წყალი გათბა და ბავშვებმა ნათლის ანგელოზები იხილეს. ანგელოზთაგან განმტკიცებულმა ყმაწვილებმა წარმართ მშობლებთან დაბრუნება აღარ ისურვეს და ქრისტიანებთან დარჩნენ. მალე მშობლებმა გაიგეს შვილების ნათლისღების ამბავი, ძალით გამოიყვანეს ისინი ეკლესიიდან და ცემა-ტყეპითა და ლანძღვა-გინებით შინ დააბრუნეს. ბავშვებმა ვაჟკაცურად აიტანეს ყოველგვარი შეურაცხყოფა. შვიდი დღე-ღამე მშიერ-მწყურვალნი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: **„ჩუენ ქრისტიანენი ვართ და არა ჯერ-არს, ვითარცა ვჭამეთ და ვსუთ ნაგები კერპთა.“** ვერც მოფერებამ და ვერც საჩუქრებმა ვერ მოხიბლეს ქრისტეშემოსილი ყრმები. **„ჩუენ ქრისტეანენი ვართ და არარი გვიხმს თქუენგან, არამედ განგვიტევენით და წარვიდეთ ქრისტეანეთა თანა,“** — ითხოვდნენ ისინი.

შვილების სიმტკიცით განრისხებული მშობლები მთავართან მივიდნენ და ყოველივე აუწყეს. მთავარმა მიუგო: **„შვილნი თქუენნი არიან და ხელმწიფებაი გაქუს, უყავთ, რაიცა გნებავს.“** წარმართებმა ბავშვების ქვით ჩაქოლვის ნებართვა ითხოვეს. მდინარის სათავესთან, იქ, სადაც ბავშვებმა ნათელი იღეს, დიდი ორმო ამოთხარეს და ყმაწვილები შიგ ჩაყარეს. პირველად ქვები თავად უსჯულო მშობლებმა ესროლეს ქრისტიან ყრმებს, შემდეგ თავმოყრილმა ხალხმაც მათ მიბაძა. წარმართებმა ორმო ქვებით ამოავსეს. სიკვდილის პირას მიიყვანეს სოფლის ხუცესიც. ეკლესია გაძარცვეს და ნაძარცვი დაინაწილეს.

როგორ ვიზრუნოთ მიცვალებულთათვის

თითოეული ადამიანის სიკვდილი სულისა და ხორცის განშორებაა, თუმცა სულის სიცოცხლე სხეულის სიკვდილის შემდეგ ყველასთვის ერთნაირი არაა. როგორც წმიდა მამათა გადმოცემებში წერია, მართალთა სულნი ნეტარებას გრძნობენ, ცოდვილნი კი — იტანჯებიან. როგორ უნდა ვიზრუნოთ მიცვალებულთა სულებისთვის და შეგვიძლია თუ არა დავეხმაროთ მათ ლოცვითა და მოწყალების გაცემით, ამის შესახებ ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა ალექსი ადამაშვილი გვესაუბრება.

მამა ალექსი: „მორწმუნე ადამიანს, რომელიც ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ რაღაცის დასასრული არის ახლის დასაწყისი. ღმერთმა როდესაც თიხისაგან მიწისა ადამი შექმნა, თვისი სული შთაბერა და, როგორც უფალია უკვდავი, ასევეა ადამიანის სულიც. ჩვენ, ქართველებს, შესანიშნავი სიტყვა გვაქვს — **გარდაიცვალა**, კი არ მოკვდა, კი არ დამთავრდა ყველაფერი, არამედ ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადაინაცვლა. ადმიანის სხეული, გვამი რასაც ვუყურებთ, არის სულის სამოსელი; როგორც ქრისტეს ორი ბუნება — სული და ხორცი — შეურევნელია, ასევე ადამიანში სული და ხორცი შეურევნელია. სხეული მიწა არის და მიწად მიიქცევა, ხოლო სული სულიერ ცხოვრებას განაგრძობს. უფალი ამბობს: **„სიტყუათაგან თქვენთაგან განმართლდეთ და სიტყუათაგან თქვენთაგან დაისაჯოთ“**. როდესაც ადამიანი ამქვეყნად კეთილად იცხოვრებს, მას უფალი სიკეთეს დაუმკვიდრებს, თუმცა ეს იმაზე გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ამას თავად იმსახურებს. როგორც წმიდა მამები წერან, უფალს თავისი ქმნილება ისე უყვარს, რომ ამ სიყვარულის გამო გაცილებით მეტს აძლევს მას. ახლობლის სიკვდილი მოიცავს მწუხარებით მათ, ვინც არაეკლესიურად ცხოვრობს. ეკლესიის მრევლმა იცის, რომ ადამიანის ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ სულიერი ცხოვრება იწყება. როდესაც მწუხარებაში ვვარდებით და ცრემლს ვღვრით, როგორ ფიქრობთ, მიცვალებულის სულს შევეწევით? — არა. ეს ჩვენი თავის ნუგეშად გვინდა, რათა გული მოვიოხოთ. ხშირ შემთხვევაში კი ცუდს ვუკეთებთ მიცვალებულის სულს. მერწმუნეთ, რომ, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, როგორც წმიდა მამები ბრძანებენ, მისი სულისათვის სასარგებლო საქმენი არის ლოცვა და მოწყალება. გარდაცვლილისთვის უნდა ვილოცოთ და შეძლებისდაგვარად მოწყალება გავცეთ.

— მოწყალებით შეგვიძლია შევეწიოთ გარდაცვლილის სულს?

— წმიდა მამა ბასილი ახალღვთისმეტყველი ამბობს, რომ გარდაცვლილის სულს, ჩვენ მიერ აღვლენილი ლოცვა და გაღებული მოწყალება, როგორც ქისაში მარგალიტები, ისე უგროვდება. ადამიანი თავის სიცოცხლეში გაცილებით მეტ ცოდვას სჩადის, ვიდრე სიკეთეს და საზვერეების გავლისას დგება მომენტი, როდესაც მას ბოროტების წილ სიკეთის დაპირისპირება აღარ შეუძლია, ასეთ დროს ის ჩაყოფს ქისაში ხელს, ამ მარგალიტს ამოიღებს, მისცემს და ამ გზით ბოროტი ჩამოეხსნება. ხედავთ, რამხელა საქმის გაკეთება შეუძლია ჩვენ მიერ აღვლენილ ლოცვასა და გაღებულ მოწყალებას ჩვენი მიცვალებულის სულისთვის? — სიკეთის გზაზე უფრო წინ ნავწევთ, რომ უფრო მივუახლოვებთ უფალს და ცათა სასუფეველს, რომლისკენაც თითოეული ქრისტიანი ადამიანი უნდა ილტვოდეს.

— გარდაცვალების შემდეგ, როგორც ბრძანეთ, სული საზვერეებს გადის. როგორ წარდგება მიცვალებული უფლის სამსჯავროს წინაშე?

— ადამიანი ღვთისაგან ბოძებულ სულს როგორც უვლის, იმქვეყნად ისეთ საზღაურს მიიღებს. როცა გშია, საჭმელს ჭამ, გწყურია — წყალს სვამ, გცივა — იმოსები, ასევე სულიერი შიმშილი რომ არ დაგეწყოს, სულისთვის სათნო საქმეები უნდა აკეთო და ღვთის სათნო ცხოვრებით იცხოვრო. ღვთის სათნო საქმეები კი სიყვარულსა და სიკეთეზე არის დაფუძნებული. ნათქვამია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“. ხე ნაყოფით იცნობება. ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხესა ხენეშსა კი ხენეში ნაყოფი აქვს. აქედან გამომდინარე, თუ ადამიანი კეთილი იყო, კეთილს უყოფს უფალი. საკმაოდ ხანშესული მორჩილი ალექსანდრე პაპა გვყავდა სიონში (მისი ორი შვილი დღეს დიკანოზები არიან — მამა დემეტრე, მამა გიორგი), ღმერთმა აცხოვნოს იმისი სული და, როდესაც ეკითხებოდნენ: „პაპა, როგორ ხარ?“, ასეთ საგულისხმო რამეს პასუხობდა: „მოვკვდები და გავიგებ, აბა, რა ვიცი, როგორ ვარ? როდესაც იმქვეყნად წავალ, თუ კარგად მიცხოვრია აქ, იქაც კარგად ვიქნები და, თუ იქ ცუდად ვიქნები, ესე იგი აქაც ცუდად მიცხოვრია“. ეს ასეა, კაი ბიჭობისთვის და ლამაზი თვალებისთვის უფალი მადლს არავის მისცემს. მადლი და კეთილი მოქცევა თუ გინდა ღვთისაგან, უნდა დაიმსახურო.

— ეკლესიას იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ გარკვეული ცოდნა აქვს დაგროვილი, რომელიც, ძირითადად, წმიდა მამათა წერილებშია გადმოცემული, რას გვასწავლიან ისინი?

— გარდაცვალების ჟამს ადამინი პირველ, მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს უფლის წინაშე წარსდგება, ამიტომაც ამ დღეებში პანაშვიდი უნდა გადაუხადონ მიცვალებულს. მიცვალებული, როდესაც ღვთის წინაშე წარდგება პირველიდან მესამე დღემდე აუხდენელ ოცნებებს იხდენს. უხარია სულს იქ დოგმა, იქ ყოფნა, სადაც ამის დიდი სურვილი ჰქონდა, სადაც მეტი სიკეთე უკეთებია, რამეთუ ადამიანის სული თავს კარგად გრძნობს. არის მესამე დღიდან მეცხრე დღემდე მისი სული სამოთხეში, მაგრამ ამ სამოთხეში, როგორც წმიდა მამები ამბობენ, ის უყურებს, როგორ ნეტარებენ იქ მყოფი სულები. მეცხრე დღიდან მეორმოცე დღემდე არის ჯოჯოხეთში, მაგრამ კი არ იტანჯება, არამედ ხედავს როგორ იტანჯებიან იქ მყოფი სულები. ამის შემდგომ მეორმოცე დღეს ღვთის წინაშე, საუკუნო სამსჯავროზე, წარსდგება და უნდა გაირკვეს მისი მდგომარეობა, საით წავა. ნურავინ იტყვის, რომ ჩემი მიცვალებულის სული ცხონდა ან არ ცხონდაო, დაისაჯა ან არ დაისაჯაო, რადაგან ეს არავინ იცის. ჩვენ ყოველთვის უნდა ვილოცოთ მიცვალებულთა სულებისთვის. როდესაც მოწყალებას გავცემთ, ამით მხოლოდ მათ კი არ ვუკეთებთ სიკეთეს, არამედ, ჩვენი სულისთვისაც სასარგებლო საქმეს ჩავდივართ. მიცვალებულის სულის მოსახსენებლად პირველ, მესამე და მეცხრე დღეს პანაშვიდი უნდა გადაიხადო ეკლესიაში, შეიძლება მცირე საკურთხიც მიიტანო. საკურთხს, მერწმუნეთ, მშიერი ადამიანი ჭამს. ეს კი ჩვენი მიცვალებულის სახელით მოწყალების გაცემაა, ადამიანთა დაპურებაა.

— ეკლესიას მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღეები აქვს დაწესებული, რამდენად მნიშვნელოვანია ამ დღეებში საკურთხის მომზადება?

— ეს არის სულის შაბათები, როდესაც წმიდა მართლმადიდებლური ეკლესია მიცვალებულებს განსაკუთრებულად იხსენებს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მიცვალებულთა სულების პატრონობაზე. საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავის გარდაცვლილს მხოლოდ სულის შაბათს იხსენებს.

— ადამიანები სიზმარში ხშირად მიცვალებულთა სულებს ხედავენ, მამა ალექსი, რა ფენომენთან გვაქვს საქმე?

— ეკლესია არ აღიარებს სიზმარს. ადამიანს ქვეცნობიერად ყოველთვის ახსოვს თავისი მიცვალებული და ასეთ დღეებში ეს ქვეცნობიერი იღვიძებს.

— როგორ შეიძლება, შევეწიოთ მოუნათლავად გარდაცვლილთა სულებს?

— მოუნათლავი არ დაბადებულა ღვთის წინაშე და ღმერთმა მას როგორ უნდა მიხედოს?

— როდესაც ადამიანმა არ იცის მისი პაპა და ბებია მონათლულები იყვნენ თუ რა, უნდა მოიხსენიოს თუ არა?

— ასეთ დროს მოძღვარი, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ თავზე იღებს გარდაცვლილის მოხსენიებას, იმ იმედით, რომ ის ადამიანი ღვთის წინაშე მართლმადიდებლური წესით იქნებოდა მონათლული.

— ამქვეყნიური ცხოვრებით ჩვენ, ყველანი სამუდამო განსასვენებელისთვის ვემზადებით. როგორ უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ მიცვალებულთა სულების შეწევნისათვის აღვლენილი ჩვენი ლოცვა უფლისთვის მისაღები იყოს?

— აქ არავინ არ დავრჩებით, ადრე თუ გვიან ამ ქვეყნიდან ყველა გავდივართ და ვიწყებთ სულიერ ცხოვრებას. ადამიანმა, რომელმაც იცის ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვით, ამისთვის სიკეთის კეთებით უნდა ემზადებოდეს. როგორც წმიდა წერილშია ნაბრძანები, „ნუ ჰბაძავ ბოროტსა, არამედ კეთილსა, რამეთუ კეთილი ღვთისგან არს“. ღვთისაგან გამომავალი საქმე ჩვენს კეთილდღეობას ემსახურება. ამბროსი მედიოლანელი წერს: „ერთ ადამიანს სამი ამხანაგი ჰყავდა. ორთან მეგობრობდა, ერთთან კი ხან მეგობრობდა, ხან — არა. როდესაც სიკვდილის დრომ მოუწია, მივიდა პირველ მეგობართან და უთხრა: „მიშველე, ვკვდები!“ „მთელი ცხოვრება შენთან ვიყავი და ახლა სხვა ვერაფრით შეგეწევი, მხოლოდ ძვირფასი კუბო და პროცესია შემიძლია შემოგთავაზო“. წავიდა მეორე მეგობართან და სთხოვა: „მთელი ცხოვრება შენთან ერთად გავატარე, ახლა ვკვდები და იქნებ რამით დამეხმარო“. მან მიუგო: „სანამ გარდაიცვლები, შენს გვერდით ვიქნები და განუგეშებ. სიკვდილის შემდეგ კი ვერაფრით ვეღარ შეგეწევი“. მესამე მეგობართან თავჩაღუნული მივიდა ეს ადამიანი და ბოდიშის მოხდით უთხრა: „მაპატიე, ხან ვმეგობრობდი შენთან და ხან არა. თუ რამე შეგიძლია, დამეხმარეო“. „გარდაცვალებამდე შენთან ვიქნები და სიკვდილის შემდეგაც გვერდიდან არ მოგცილდებიო“. ამბროსი მედიოლანელი იქვე განმარტავს, რომ პირველი მეგობარი სიმდიდრე იყო, რომელიც სიცოცხლეში არ აკლდა, მაგრამ სიკვდილის შემდგომ ძვირფასი კუბოსა და პროცესიის მეტი ვერაფრით შეეწია მის სულს. მეორე მეგობარი საზოგადოებრივი მდგომარეობა იყო. თუ მოკვდა მეფე, იქვე ყვირიან: „გაუმარჯოს მეფეს!“ პატივს გცემენ, სანამ ცოცხალი ხარ, შეუცვლელი ადამიანი კი არ არსებობს. მესამე მეგობარი, რომელსაც ზოგჯერ ყურადღებას არ აქცევდა, სიკეთე იყო. ვაღიაროთ, რომ ამ ცხოვრებაში სიკეთეს ხან ვაკეთებთ, ხან — არა. ჩვენ მიერ გაკეთებული სიკეთე, პირველ რიგში, ჩვენი სულის საზრდოა. როდესაც იმქვეყნად წავალთ, ჩვენი სიკეთე ჩვენთან ერთად იქნება. ამიტომ იმქვეყნისთვის ყოველთვის უნდა ვემზადებოდეთ სიკეთით, სიყვარულითა და ღვთის სათნო საქმეებით, რათა უფლმა დაინახოს თითოეული ჩვენთაგანის სული და იმქვეყანად მოგვცეს ის მადლი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ღვთისგან შეიძლება მივიღოთ. ამას სხვაგან ვერასდროს ვერ ვიშოვით. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ცათა სასუფეველი დაგვიმკვიდროს ჩვენ ყველას უფალმა! ამინ!

ესაუბრა
ნათია ქადაგიშვილი

გვერდი მოამზადა ნათია ქადაგიშვილმა

სასულიერო პირები, მიტროპოლიტ ნაზართან ერთად «ჩეკისტებმა» საფიჩხიის ტყეში დახვრიტეს

მიტროპოლიტი ნაზარი

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი 1872 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. მისი წინაპრებიც სასულიერო პირები იყვნენ და ნაზარი სიყრმიდანვე სარწმუნოებრივ-საეკლესიო გარემოში იზრდებოდა.

სასულიერო სემინარიის დამთავრების მერე ჯერ დიაკვნად აკურთხეს, 1893 წლის 22 თებერვალს კი — მღვდლად, ხოლო 1904 წელს ბერად აღიკვეცა.

1910 წელს იღუმენის ხარისხში აიყვანეს, 1911 წლის დეკემბერში არქიმანდრიტად დაადგინეს.

1918 წლის 17 ნოემბერს ეპისკოპოსი გახდა და ქუთათელ მიტროპოლიტად დაადგინეს. იგი ცდილობდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და ჩვენი ეკლესია-მონასტრების დაცვას, რის გამოც ბოლშევიკებს დაუპირისპირდა.

1924 წლის აჯანყების დაწყების წინა დღეს, 27 აგვისტოს, მიტროპოლიტმა ნაზარმა, რამდენიმე მღვდელთან ერთად, სოფელ სიმონეთის ეკლესია აკურთხა და ღამით ერთ ოჯახში დარჩა. სტუმრად მყოფ მიტროპოლიტსა და მის თანმხლებ სასულიერო პირებს თავს „ჩეკისტები“ დაესხნენ და ყველანი დააპატიმრეს. მოგვიანებით, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, მიტროპოლიტი ნაზარი, მღვდელი სიმონი (მჭედლიძე), მღვდელი გერასიმე (ჯაჯანიძე) და დიაკვანი ბესარიონი (კუხიანიძე) „ჩეკისტებმა“ საფიჩხიის ტყეში დახვრიტეს.

ვინ ჩამოაბრძანა საქართველოში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის კეცზე გადასული ასლი?

სირიაში მაცხოვრის ქადაგების დროს ქალაქ ედესის მმართველი იყო ვინმე ავგაროზი, რომელსაც უკურნებელი სენი — კეთრი შეეყარა. მის ყურამდეც მიაღწია ამბავმა იესოს სასწაულთქმედების შესახებ და გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა, ედესში ჩასულიყო.

იესომ ვერ მოახერხა ავგაროზის სურვილის შესრულება, ამიტომ მოითხოვა წყალი, პირი დაიბანა და ოთხად გადაკეცილი ტილოთი შეიმშრალა. მასზე სასწაულებრივ გამოისახა მაცხოვრის სახე. ხელთუქმნელ ხატთან ერთად იესომ ავგაროზს ეპისტოლეც გაუგზავნა, სადაც წერდა, ვერ ჩამოვალო.

ხელთუქმნელმა ხატმა მრავალი სასწაული მოახდინა. მისი ერთ-ერთი ასლი, რომელიც კეცზე გადავიდა, საქართველოში ანტონ მარტყოფელმა ჩამოაბრძანა.

ედესაში ჩასვლისთანავე ხელთუქმნელმა ჩატმა ავგაროზი სასწაულებრივად განკურნა. ედესის მმართველმა ტილო ფიცარზე გადააკვრევინა და ქალაქის ბჭის ზემოთ გამოკვეთილ ნიშში დააბრძანა, ხოლო იმპერატორმა კონსტანტინემ 644 წელს კონსტანტინოპოლში გადაასვენა.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ეს სიწმიდე საქართველოში ინახება. მაცხოვრის ხატი კლარჯეთში, კერძოდ, ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში დააბრძანეს VIII-IX საუკუნეებში. თამარ მეფის ბრძანებით, იგი ბექა ოპიზარს მოუჭედია XII საუკუნეში. 1453 წელს, როცა ოსმალებმა საქართველოს შემოუტიეს, ხელთუქმნელი ხატი ჯერ ახალციხეში, მერე კი თბილისში ჩამოაბრძანეს და საკათედრო ტაძარში დაასვენეს. იმის გამო, რომ სიწმიდე წლების განმავლობაში ანჩის ტაძარში იყო დაბრძანებული, მას ანჩისხატი ეწოდა. საკათედრო ტაძარმაც, რომელიც VII საუკუნეში ააგეს ღვთისმშობლის პატივსაცემად, ანჩისხატის საყდრის სახელწოდება მიიღო.

ინგა მიშველაძე:

უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილს უფალი შემეწია და სამსახური ვიშოვე

ინგა მიშველაძემ ბავშვი უქმროდ გააჩინა. საბრალო ქალი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, თავისი არაფერი ებადა. საყვარელმა მამაკაცმა მოატყუა და მიატოვა. საშინელ დღეში ჩავარდნილს ღმერთი უკიდურეს გაჭირვებაში გაახსენდა — პირველივე უახლოეს ტაძარში შევიდა და მუხლებზე დაემხო, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, უფალს შემწეობას სთხოვდა. თითქოს ყველა გზა მოჭრილი იყო, მაგრამ ღვთის ნებით, იპოვა გამოსავალი.

— ქალბატონო ინგა, რატომ მიგატოვათ თქვენი შვილის მამამ?

— მეფიცებოდა, მიყვარხარო, ცოლად მოყვანას დამპირდა, რას წარმოვიდგენდი, თუ მიმატოვებდა... ვენდე, მხოლოდ ეს დავაშავე...

— თუ უყვარდით, რატომ არ შეგირთოთ ცოლად?

— სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ ჩემს შესაცდენად იცრუა... 7 თვის ორსული ბედის ანაბარა მიმატოვა, ვშიმშილობდი ფეხმძიმე ქალი, ბინის ქირის გადასახდელი ფულიც არ მქონდა.

— რატომ ცხოვრობდით ქირით?

— მე მშობლები რაიონში მყავს, სოფელში დავიბადე და გავიზარდე. თბილისში სამუშაოდ ჩამოვედი და მეგობარ გოგონასთან ერთად ქირით ვცხოვრობდი.

— სად გაიცანით ბავშვის მამა?

— ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა და ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, სიყვარული რომ ამიხსნა, მთხოვა, ერთად ვიცხოვროთ, თუ წინააღმდეგი არა ხარო. მე მუშაობას თავი დავანებე. ბიძინა მინახავდა, ქირასაც ის იხდიდა. როცა მიმატოვა, „შოკში“ ჩავვარდი, არ ვიცოდი, რა მექნა, შერცხვენილი ვერ დავბრუნდებოდი მშობლებთან.

— ვინ დაგეხმარათ ფეხმძიმე ქალს?

— ბინის მეპატრონე და რამდენიმე მეგობარი. მათი დახმარებითა და ხელშეწყობით გავაჩინე ბავშვი, მაგრამ ძალიან მიჭირდა, მეც და ჩემი შვილიც თითქმის მშივრები ვიყავით. დაქალმა მითხრა, ახლობლისგან პროცენტიან ვალს აგაღებინებ, ბავშვი დედაშენს დაუტოვე, შენ კი საზღვარგარეთ წადი სამუშაოდ, ცხოვრებას მოიწყობ, ხომ ხედავ, არც სახლი გაქვს და ვერც სამსახური გიშოვიაო.

— დედა დაგთანხმდათ ბავშვის დატოვებაზე?

— კი, მაგრამ მიმძიმდა შვილისა და სამშობლოს მიტოვება, ვიცოდი, ვერ გადავიტანდი. სამწუხაროდ, ღმერთი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილს გამახსენდა, მანამდე ეკლესიურად არ მიცხოვრია, ტაძარში დღესასწაულებზეც კი არ შევდიოდი სანთლების დასანთებად... პირველივე შემხვედრ ტაძარში შევედი, მუხლებზე დავემხე და ავქვითინდი, ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა, უფალს შემწეობას ვთხოვდი. მოძღვარმა ატირებული რომ დამინახა, იფიქრა, ვიღაც მოუკვდაო, წამომაყენა და მითხრა: ნუ გლოვობ, ამდენი ტირილით გარდაცვლილის სული წუხდება, დამშვიდდი და ცრემლი მოიწმინდეო. მღვდელს შევჩივლე გასაჭირი და ვთხოვე, ჩემი მოძღვარი გამხდარიყო. მას შემდეგ სისტემატურად დავდიოდი ტაძარში და ღმერთს ვევედრებოდი, ნუ გადამხვეწავ უცხოეთში, მე და ჩემს შვილს საარსებო წყარო გაგვიჩინე-მეთქი. სასწაული მოხდა, სამსახურიც ვიშოვე და გავთხოვდი კიდეც...

— ვის გაჰყევით ცოლად?

— უშვილო მამაკაცს. ისიც ჩვენს ტაძარში დადიოდა, სისტემატურად ვხვდებოდით ერთმანეთს, ასე რომ, ჩემს ბიჭს დღეს მამა ჰყავს, მე კი — პატრონი, ყურადღებიანი მეუღლე და ნამდვილი მეგობარი. ჯვარი ჩვენმა მოძღვარმა დაგვწერა. ღვთის ნებითა და მისი ლოცვა-კურთხევით ბედს არ ვემდურით, კარგად ვცხოვრობთ.

სულისთვის სასარგებლო რჩევები

● საკუთარ თავს ნუ მისცემთ უფლებას, ამქვეყნიურ ღირებულებებს მისდიოთ, რადგანაც დიდ დროს დაკარგავთ, სულს დაიცარიელებთ და სასიკვდილოდ დაისუსტებთ.

● მთიდან მომზირალი ადამიანი ირგვლივ ყველაფერს ხედავს — ნაპრალებს, ხევებს, გარშემო მიმოფანტულ სიბინძურეს კი ხშირად ვერ ამჩნევს. ასევეა ამაყი კაცი — საკუთარი სულის საზიზღარ სიღრმეს, გულის უწმინდურებას, ხშირად ფარულს, მაგრამ ამის მიუხედავად, არანაკლებ საძაგელსა და უმსგავსოს, ვერასოდეს ამჩნევს.

● მარადიული სასჯელის მოლოდინში დროებით თავმოწონებას ამქვეყნად დროებით მორჩილება უნდა ვამჯობინოთ, რითაც ზეციურ სასუფეველს დავიმკვიდრებთ.

● ის, ვინც მომხვეჭელობის ვნებისგან თავისუფალია, ქალაქშიც და უდაბნოშიც ერთნაირად მადლობს უფალს, როგორც შენაძენის, ისე დანაკარგის გამო.

● რასაც უფალს არ მოვახმართ, სხვა მოიხმარს.

● გიყვარდეს ღმერთი მთელი სულითა და გულით, რათა ბოროტმა არ იპოვოს შენში ბინა.

● მომავალზე ნუ ფიქრობ, ეცადე, სარგებელი აწმყოშივე ნახო. რა სიკეთეს მოგიტანს მომავლის განჭვრეტა, რომც შეგეძლოს?

● ნუ აღიმაღლებ თავს კეთილი საქმეებით, როგორი დიდიც არ უნდა იყვნენ.

კითხვა-პასუხი

რაში გამოიყენება ღრუბელი ღვთისმსახურების დროს?

— ღვთისმსახურებისას საჭიროა ორი ღრუბელი — ერთი საღმრთო ჭურჭლის გასაწმენდად, მეორე — ფეშხუბზე ნაწილების შესაგროვებლად და ბარძიმში ჩასაწმენდად.

შვიდი საიდუმლოს გარდა, რა საზოგადო ლოცვები აღესრულება ეკლესიაში?

— ეკლესიაში აღესრულება ასევე პარაკლისი — სავედრებელი ლოცვა ცოცხალთათვის და პანაშვიდი — სავედრებელი ლოცვა მიცვალებულთათვის. სიონის საკათედრო ტაძარში, პატრიარქის ლოცვაკურთხევით, ყოველ ორშაბათს და სამშაბათს, საღამოს, ტარდება პარაკლისები ზეთისცხებით, ხოლო საზოგადო პანაშვიდები — წლის განსაზღვრულ დღეებში, კერძოდ, ხორციელის შაბათს, დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათს, ბრნყინვალე შვიდეულის ორშაბათს, თომას კვირის სამშაბათს, სულთმოფენობის წინა შაბათს და დიმიტრის შაბათს. პანაშვიდი წირვის შემდეგ სრულდება. ყველა ტაძარში საკურთხისთვის მაგიდაა გაშლილი. მიცვალებულის სახელზე გამზადებული საკვები, ანუ საკურთხი, ძირითადად, პური, ღვინო, ზეთი, მარილი და წანდილია. სხვა საჭმლის გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ, თუ მარხვაა, კერძი სამარხვო უნდა იყოს.

აქვს თუ არა არქიმანდრიტს კვერთხის ტარების უფლება?

— თუ მონასტრის არქიმანდრიტია, კვერთხის ტარების უფლება აქვს. ღვთისმსახურებისას — პურის კურთხევაზე — შეუძლია, კვერთხით გამოვიდეს.

რატომ არის საჭირო ლოცვის დროს ფეხზე დგომა?

— ლოცვის დროს ფეხზე უნდა ვიდგეთ, რადგან უფალს ვესაუბრებით.

მამა დამცინის იმის გამო, რომ ეკლესიური ვარ. მირჩიეთ, რა ვქნა?

— სანამ გვიან არ არის, შთააგონეთ, თავი დააღწიოს ბოროტ ძალთა ტყვეობას, შეინანოს და მაცხოვარს შეევედროს: „უფალო, ჩემი სული ავადაა, დაცემულია და ამიტომ არ მიყვარხარ, განმკურნე და ფეხზე დამაყენე, მომეცი ძალა, რომ მთელი გულით მიყვარდე“.

ზოგიერთი მწერალი თავის ნაწარმოებში გამოთქვამს აზრს, რომ თითქოსდა სამოთხე მოსაწყენია და საყვარელთან ერთად ჯოჯოხეთში ყოფნა ურჩევნია. რას ფიქრობს ამის შესახებ ეკლესია?

— ამგვარი ფანტაზიები სატანისეული ფანდია. ჯოჯოხეთში ვერავინ იპოვის შვებასა და ნუგეშს. ყველა ცოდვილი მარტოობაში იტანჯება, რადგანაც ცოდვა ადამიანს არა მარტო ღმერთს აშორებს, არამედ — ერთმანეთსაც, მართალნი კი ერთად ხარობენ სამოთხეში. ვისაც ამქვეყნად სულიერი სიყვარულით უყვართ ერთმანეთი, ზეციურ სასუფეველშიც ერთად იმყოფებიან.

გვერდი მოამზადა **ნინო გოქიაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ჭივჭავის შემოგარენი

ქციის ხრამი

წინა მოგზაურობა, ჩვენს მკითხველთან ერთად, სამღერეთის მიდამოებში გვქონდა და, წესითა და რიგით, ამის მერე უშუალოდ ქციის კალაპოტს უნდა ავყოლოდით, მაგრამ ასე მოუხერხებელია. ერთიც იმიტომ, რომ ამ მიმართულებით გზა არ არსებობს და მეორეც — ამ შემთხვევაში უნახავი დაგვრჩება ქციის შენაკადების — ჭივჭავისა და ტორნეს ხეობათა ძეგლები. ამიტომ სამღერეთიდან თეთრწყაროში უნდა დავბრუნდეთ.

ახალი ჭივჭავის მონასტერი

ძველი ჭივჭავის ნაეკლესიარის რელიეფი

სოფელ დმანისის „ღვთისმშობელი“

თავდაპირველად თეთრიწყაროს აღმოსავლეთ უბანში შევდივართ, რომელიც ძველად სოფელი **ორთაშუა** ყოფილა.

აქ, გაუქმებული საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე, არის ეკლესიის ნაშთები, რომლის დათარიღება ძალზე რთულია. მას საამისოდ შემორჩენილი არ აქვს არც ერთი საკვანძო მახასიათებელი ნიშანი. იგი, შესაძლოა, X საუკუნის საყდარიც იყოს და XVII საუკუნისაც.

სოფელი ორთაშუა პირველად 1656 წელს არის ნახსენები იმ საბუთში, რომელშიც საუბარია გარისის მკვიდრთა და ბარათას აზნაურთა შორის საზღვრების დადგენაზე.

1721 წლის აღწერით, აქ მებატონე ნამანგლელევიშვილს ერთი უყმო აზნაური ბაკაშვილი, 4 გამომღები და ერთიც ბოგანო ყმა-კომლი ჰყოლია.

ორთაშუას ტაძარი დაუკონსერვებიათ და ჩარდახქვეშ მოუქცევიათ, ძეგლების სარისკო აღდგენას კი ამდაგვარი შენახვა უთუოდ ჯობს.

უშუალოდ თეთრიწყაროს, ანუ ძველი გარისის, ტერიტორიაზე რაიმე საგულისხმო ძეგლი შემორჩენილი არ არის და ჩვენც დასავლეთისაკენ ვიღებთ კურსს.

მდინარე ქციის ორ შენაკადს შორის, თეთრიწყაროდან 2 კილომეტრში, 1989 წლიდან გამოჩნდა ახალი დასახლება, რომელსაც ერთ-ერთი შენაკადი ხევის სახელი — **ჭივჭავი** დაერქვა. აქ სტიქიისაგან დაზარალებული ლენტეხის რაიონის სოფლებიდან აყრილი მოსახლეობა დამკვიდრდა და ორი ახალი ეკლესიაც ააგო. ეკლესიათა გალავანი, რომელიც ციკლოპური წყობისაა, ბრინჯაოს ხანისა შეიძლება გვეგონოს. ჭივჭავის მკვიდრის ბუხულა გარდაფხაძის თაოსნობით, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლებმა აფეთქებული კლდოვანი ნიადაგიდან ამოყრილი უშველებელი ლოდები თავიანთი მძლავრი ტექნიკით მოზიდეს აქ და სამი მეტრის სისქისა და სიმაღლის გრანდიოზული კედლები აიყვანეს.

დიდი საყდარი — მთავარანგელოზთა ეკლესია-სოფლის ცენტრში დგას, წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველო კი სოფლის დასავლეთ საზღვართან, ასწლოვანი ხეების კორომში.

ეკლესიებში ღვთისმსახურებას ერთი მღვდელი ლაზარე გელაშვილი და ორი ბერმონაზონი, ტყუპი ძმები ნიკოლოზ და პავლე კუპრაშვილები აღასრულებენ. ეკლესიათა მრევლი არა მარტო 100-კომლიანი ჭივჭავის მკვიდრნი, არამედ ახლომახლო სოფლებში დაფუძნებული სვანები და აჭარლებიც არიან.

ჭივჭავთან ყველაზე ახლოს შემდეგი სოფლებია: ჩრდილოეთით ჯიგრაშენი და ირაგა, დასავლეთით — იფნარი, ლიპი და შიხილო. მაგრამ არის ერთი საგულისხმო ნასახლარიც, რომელიც დღევანდელი ჭივჭავიდან ჩრდილოეთით, გზის გადაღმა, დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს ტყეში. ეს ძველი ჭივჭავის ნასახლარები უნდა იყოს, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილს თავის რუკაზე აქ არანაირი სოფელი არ აქვს აღნიშნული.

ნასოფლარის ტერიტორიაზე, საცხოვრებელთა საძირკვლებთან ერთად, ყორე-შუკების კვალიც იკითხება. აქ ძალიან ძველი სოფელი უნდა ყოფილიყო.

ნასოფლარის შუაგულში შემორჩენილია ნაეკლესიარი „ღვთისმშობელი“, რომელიც ცუდადაა დაკონსერვებული. მისი კედლები 3 მეტრის სიმაღლეზეა შემონახული, წყობა ოდნავ ტლანქია, მაგრამ მეტყველი. აქ მთავარი სულ სხვა რამაა: ეს არის სამხრეთ ფასადის თავსა და ბოლოში ჩადგმული ორი უშველებელი ქვა...

ერთი მათგანი გოლგოთის ჯვარია, მეორე — გაცილებით საინტერესო ტრიპტიხი. ამ ტრიპტიხის დასავლეთ მონაკვეთში ცხენზე ამხედრებული ჯვარ-შუბოსანი წმიდა გიორგია გამოსახული... აღმოსავლეთ მონაკვეთში — ლომზე გამარჯვებული პირი, რომელიც დანიელ წინასწარმეტყველი უნდა იყოს... ყველაზე საინტერესოა ცენტრალური კომპოზიცია, სადაც ადამიანის ფიგურას უზარმაზარი, სტილიზებული ხელის მტევნები აქვს. მას მარჯვენა იდაყვიდან, თავზე გადატარებით, დატალღული ელვა თუ მათრახი გასდევს. იქვეა დამხობილი გაკვირტულ-განედლებული ჯვარი. კაცის ეს ფიგურა დიდი ძალაუფლების მქონე ტაძრის ქტიტორზე მეტად ავ სულებზე მონადირე წარმართულ კოპალას უფრო მოაგონებს მნახველს... მაგრამ ჩვენ უფრო საქმე უნდა გვქონდეს ჯვრის განედლების კომპოზიციასთან.

ამ იდუმალი რელიეფური ქანდაკების ნახვის შემდეგ სოფელ **ჯიგრაშენისაკენ** მივეშურებით, სადაც, აქა-იქ შემორჩენილ ბერძნულ მოსახლეობასთან ერთად, რამდენიმე სვანური და აჭარული ოჯახი ცხოვრობს. სოფლის ძველ უბანში, გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიის ნანგრევებზე, XIX საუკუნეში ახალი ეკლესია აუწყიათ ბერძნებს. ეს კარგად ჩანს დასავლეთის სათავსოდან, რომელიც გაცილებით ფართოა და ჩრდილოეთიდან კონტრფორსებითაა გამაგრებული. ეკლესიის შიგნით დასავლეთი და აღმოსავლეთი ოთახები დიდი თაღითაა ერთმანეთისგან გამოყოფილი.

XIX საუკუნეში ბერძნებს კიდევ ერთი, ამჯერად გუმბათიანი, ეკლესია აუგიათ მახლობლად მდებარე სოფელ **დიდ ირაგაში**, რომელიც პატარა ირაგას სამსახურშიც ყოფილა. დღეს პატარა ირაგა თითქმის დაცარიელებულია. ამ ულამაზეს და კოხტად დაგეგმარებულ ახალ ბერძნულ სოფელში გაჭირვებით მივაგენით ადამიანებს, რომლებიც აფხაზეთიდან დევნილები აღმოჩნდნენ: ქმარი — ქართველი, ცოლი — აფხაზი.

პატარა ირაგიდან სამხრეთით სოფელი **დუმანისია.**

ეს სახელწოდება XIX საუკუნეში ჩამოსახლებული თურქულენოვანი ბერძნების შერქმეული უნდა იყოს. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ამ ადგილზე არც ერთი სოფელი არ არის მონიშნული. როგორც ჩანს, მის დროს აქ უკვე აღარ იყო დასახლება და მხოლოდ ნაეკლესიარი იდგა.

პირველი ეკლესია, რომელიც დუმანისში გვხვდება და სოფლის ცენტრში დგას, ძალიან ძველია და ღვთისმშობლის საახელობისაა. მის სამხრეთ კედელთან დევს მხედართა საფლავის ქვები — შეჭურვილი ცხენის ქანდაკებები. დაკვირვება ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ადრეშუასაუკუნეების, ალბათ, უფრო VIII საუკუნის ტაძრის ჩონჩხზე გვიან აკრეფილ ნაგებობასთან, რომლისთვისაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენებიც მიუდგამთ. ამას ადასტურებს მთავარი დარბაზის კედლებში გვიან ჩადგმული ე.წ. ბუნის ქვები და აღმოსავლეთ სარკმლის ადგილზე ჩაშენებული ზეთსახდელის სახეცვლილი ქვა.

აქედან აღმოსავლეთით, 1,5 კილომეტრში, მდინარე ტორნეს მარჯვენა სანაპიროზე, აღმართულია ლამაზი ეკლესია, რომელიც კარგად გათლილი ფერადი ქვებითაა ნაგები. ამ ალაგს, შესაძლოა, ძველი ირაგა ერქვა. დარბაზულ ეკლესიას სამხრეთიდან არათანადროული მინაშენი აქვს. ტაძარი მთავარანგელოზთა სახელობისაა და XII საუკუნისა უნდა იყოს. მის აღმოსავლეთ ფასადზე, მარჯვენა მაღალი კუთხის ქვაზე, გაჭირვებით იკითხება ასომთავრული წარწერა: **„ქრისტე შეიწყალე სული მიქაელისი“.**

ტაძრის გარშემო არაერთი საინტერესო ქვაა. განსაკუთრებით თვალშისაცემია საყდრიდან ჩრდილო-დასავლეთით მდგარი დიდი ქვაჯვარი, განედლებული ჯვრითა და მოკლე ქართული ასომთავრული წარწერით.

კიდევ ერთი ქვაჯვარია სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. მასზე არანაირი წარწერა არაა, თუმცა დიდი ჯვრის ქვეშ ოთხი მცირე ჯვარი აქვს ამოკვეთილი.

მცირე ქვაჯვრებია სხვაგანაც, აღმოსავლეთ ფასადთან კი ძალიან ლამაზი ყოჩის ქანდაკებაა მიწაში ჩაფლული.

კიდევ ერთი ეკლესიაა დუმანისიდან სამხრეთით, კილომეტრ-ნახევრის დაცილებით, მაღალ მთაზე, რომელიც ძველი სოფლის ჯვარას ტერიტორიაა. ტაძარი, რომელიც X საუკუნის დასაწყისისაა, წმიდა გიორგის სახელითაა ცნობილი.

იგი ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით და აფსიდში ორი დიდი ნიში აქვს. ტაძარი საგრძნობლადაა დაზიანებული, მაგრამ შემორჩენილია საინტერესო ბალავარი, რომელსაც რელიეფური გადანაკეცები და სამი მაღალი ჯვარი ამშვენებს.

დიდი გაჭირვებით მივაგენით სოფელ **ლიპის** ეკლესიას, რომელიც თურმე იქვე ყოფილა, მაგრამ შეუმჩნეველი დაგვრჩა. იგი ძველი ირაგის საყდრიდან დასავლეთით, ხელოვნური ტბის დასაწყისში, ტყიან ბორცვზე დგას.

ლიპის ეს ეკლესია რომ VIII-IX საუკუნეთა მიჯნისაა, ამას მისი კბილანა ლავგარდანის ნატეხიც ადასტურებს. სამხრეთი მინაშენი რამდენადმე გვიანდელია თავისი დაბალი კვეთის ბოლნური ჯვრებითა და სხვა გეომეტრიული ორნამენტებით. ამ მინაშენში არსებული უზარმაზარი ბალავრის ქვა ძალიან საყურადღებოა. იგი ისე გდია, რომ მინაშენიდან ჩამოვარდნილს არ ჰგავს. მისი უცნაური რელიეფი თითქოს ეკლესიის გეგმარებას მოგვაგონებს, მაგრამ ამ ნახაზზე რომ ოთახების რაოდენობაა, ლიპის ეკლესიას იმდენი არ აქვს და არც ადრე ექნებოდა. ეს ქვა ან რომელიმე სხვა, დიდი ეკლესიის კარის არქიტრავი უნდა ყოფილიყო, ან არადა რაღაც სხვა საიდუმლოს ინახავს. ჩვენს ჯგუფს 8-წლიანი მოგზაურობის დროს ასეთი რამ სხვაგან არ შეხვედრია. არ არის გამორიცხული, ეს საიდუმლო მიწის სიღრმეში იმალებოდეს, ერთგვარი ლაბირინთის სახით. დამაფიქრებელია...

გელა ქოქიაშვილი

ავტორის ფოტოები

სოფელ დმანისის დიდი ქვაჯვარი

ლიპი. უცნაური რელიეფი არქიტრავის ქვაზე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ

1768-1774 წლებში რუსეთ-ოსმალეთს შორის წარმოებდა ომი, რომლის ასპარეზიც შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო მხარეები იყო. რუსეთი ცდილობდა, ამ ომში ჩაება ქართული სახელმწიფოები — უპირველეს ყოვლისა, იმერეთი, გურია-ოდიშით და, ამასთანავე, ქართლ-კახეთი, რისთვისაც რუსეთმა იმერეთში გაგზავნა 35-ათასიანი ჯარი. ამ საექსპედიციო კორპუსის დახმარებით მოხერხდა ოსმალთა მცირერიცხოვანი გარნიზონების განდევნა ბაღდადის, შორაპნის, ცუცხვათისა და, რაც მთავარია, ქუთაისის ციხეებიდან. ფოთის ციხე ვერ აიღეს. არ მოხერხდა, აგრეთვე, სხვა თვალსაჩინო სამხედრო ოპერაციების ჩატარება, თუ არ ჩავთვლით ასპინძის ბრძოლას, სადაც ერეკლე II-მ საკუთარი ძალებით გაანადგურა სამი ათასი კაცისაგან შემდგარი ოსმალ-ლეკ-მესხთა ჯარი.

არ გამართლდა რუსეთის მთავრობის იმედი, რომ ოსმალების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ქართველების ჩაბმით მოწყობილი რაიმე თვალსაჩინო დივერსია, საამისოდ ქართველებს ძალა არ ჰყოფნიდათ. ამ საექსპედიციო კორპუსში მყოფი ფრანგი ოფიცერი დე გრელი გადმოგვცემს, რომ რუსეთს საქართველოში ჯარის გაგზავნა დაუჯდა სამი ათასი კაცი, რომელნიც დაიღუპნენ უმეტესად სხვადასხვა ავადმყოფობისაგან, უმთავრესად, ციებ-ცხელებით (ფოთის არეში) და ნახევარი მილიონი მანეთი. ერეკლეც ატყობინებდა რუსეთის მთავრობას, რომ მას რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნის დროს ომის საქმეებზე დაეხარჯა 430 ათასი მანეთი. ყველაფერი ეს აღმოჩნდა უშედეგო, გარდა იმისა, რომ იმერეთის ოთხი ციხიდან ოსმალნი გაძევებულნი აღმოჩნდნენ (ესენი, განსაკუთრებით, ქუთაისისა და შორაპნის ციხეები, იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა განგებ დაანგრია, რათა მომავალში ოსმალებს იქ ისევ არ მოეკიდებინათ ფეხი).

რუსეთის საექსპედიციო კორპუსი, როგორც მას ეძახდნენ, გაწვეულ იქნა უკან საქართველოში 1771 წელს, რათა ქართველთა თავკაცები ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ. ერეკლე მეორემ პეტერბურგში გააგზავნა სპეციალური საელჩო. მის სათავეში იყო ლევან ბატონიშვილი, ერეკლეს შვილი, რომელიც ჭკუით და სხვა თვისებებით ყველა თავის ძმას სჯობდა; აგრეთვე, ანტონ კათალიკოსი, დიდი მწიგნობარი, საერთოდ განათლებული კაცი, წინათ რუსეთში ნამყოფი და რუსულის მცოდნე. ერეკლე ითხოვდა, რომ რუსეთს მიეღო ქართლ-კახეთის სამეფო თავის მუდმივ ვასალობაში, რისთვისაც ამ უკანასკნელის მკვიდრნი, ისე როგორც ეს სპარსეთის ბატონობის დროს იყო, რუსეთისათვის გადაიხდიდნენ კომლზე 3,5 აბაზს. რუსეთს კი ქართლ-კახეთისათვის ჯარი უნდა დაეყენებინა საკუთარ ხარჯზე და საერთოდაც ქვეყანა მუდმივი თავდასხმებისაგან დაეცვა.

რუსეთის მთავრობამ ერეკლეს ელჩები ცივად მიიღო. დიდხანს მათ ასტრახანიდან არც უშვებდნენ პეტერბურგისკენ და როდესაც ელჩები იქ მაინც ჩავიდნენ, რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა წარდგენილი პირობების მიღებაზე. ჯერ ერთი, რუსეთი უკმაყოფილო იყო რუსთა საექსპედიციო ჯარის საქართველოდან უნაყოფოდ დაბრუნებით და, თანაც, ამ დროს რუსეთს არ ჰქონდა ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდების რაიმე განზრახვა. ერეკლე II-ს ელჩები უშედეგოდ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ საქართველო (ქართლ-კახეთი) დარჩა თავისი საკუთარი ძალების ამარა. რუსეთს ის ძალაუნებურად ჩამოშორებული იყო, ოსმალეთს მასთან საქმე არ უნდა ჰქონოდა, სპარსეთს კიდევ განაგებდა ვექილის (ე.ი. მმართველის) ტიტულით ქერიმხანი, რომელიც შაჰის ტიტულის მიღებას თავისთვის ნაადრევად თვლიდა და საქართველოს მიმართ გარკვეულ ტაქტიკას ადგა. მისი ადმინისტრაცია ერეკლეს თეორიულად თვლიდა ვალად, ე.ი. სპარსეთის ხელქვეით მმართველად, მაგრამ მისგან არც ხარკს ითხოვდა და არც რაიმე სხვა ვალდებულებას. თითქოს ქართლ-კახეთი იდგა დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, მაგრამ საქმე არია ქართველმავე ბატონიშვილმა ალექსანდრე ბაქარის ძემ, რომელიც ქართლის მეფობაზე პრეტენზიას აცხადებდა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

ტაშისკარის ბრძოლა

ახალციხის სულეიმან-ფაშა, ქართველი ათაბაგების ჩამომავალი, ქართლ-კახეთზე ლეკეთიდან წამოსულ მოთარეშე რაზმებს თავშესაფარს აძლევდა, ასაჩუქრებდა მათ ტანისამოსით და ა.შ. 1785 წლის აპრილში სწორედ ამ ლეკებმა, ისინი ათას კაცამდე იყვნენ, შემოიერთეს ყარსისა და არზრუმის ვილაიეთებიდან გადმოსული მაწანწალა მოთარეშეები და ქურდები, სულ 40-50 კაცი. რუსული ცნობით, ამ დიდ რაზმში იყო, აგრეთვე, სამასამდე თურქი, ალბათ, უფრო მესხი-მაჰმადიანები. ამ რაზმმა აღდგომის დღეებში (აღდგომა ამ წელს 24 აპრილს იყო) თავდასხმა მოაწყო შიდა ქართლის ზოგ სოფელზე, აიღო ნადავლი, ტყვეებიც იშოვნა და უკან გაეშურა. მაგრამ ტაშიკარის ვიწრო ხეობაში მოთარეშეებს დახვდა ქართველებისა და რუსების ზარბაზნებიანი რაზმი. ლეკებს წინ მიჰქონდათ ნადავლი და ტყვეები მიჰყავდათ, უკან კი ლეკები და მათი თანამებრძოლები მოემართებოდნენ.

დაიწყო ბრძოლა. ქართველები და რუსები თავს დაესხნენ ლეკების ავანგარდს და ტყვეები და დავლა დაიხსნეს, ლეკთაგან ზოგი დახოცეს, სხვები მტკვარში დაიხრჩვნენ, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს.

ამის შემდეგ ქართველებისა და რუსების ლაშქარს თავს დაესხნენ უკანიდან ლეკები, რომელთაც გაიმარჯვეს კიდევაც და მონინააღმდეგეთაგან 40-50 კაცი ტყვედ იგდეს, მაგრამ ჩანს, ეს იყო მეორეხარისხოვანი ბრძოლა. საერთოდ აღებული კი, ლეკი და თურქი მომხვდურების ეს რაზმი სასტიკად დამარცხდა, რაც იქიდანაც ირკვევა, რომ, როდესაც ახალციხის ფაშამ მოითხოვა ტყვეების განთავისუფლება, მას უპასუხეს, რომ ამჟამად თურქი ტყვეები გაგზავნილი არიან ჩრდილოეთ კავკასიაში კავკასიის ხაზის უფროსთანო.

პ. ბუტკოვი, რუსული საარქივო ცნობების მიხედვით, ამ ამბების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: ახალციხის სამთუღიანი სულეიმან-ფაშა, რომელიც წინათ ერეკლესთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო, დიდი ხანია, პორტასთან დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ერეკლე რუსეთის მფარველობაში შევიდა და საქართველოშიც რუსის ჯარი ჩამოვიდა, იგი ერეკლეს ყველაზე დიდ მტრად გადაიქცა. ცნობილია, რომ ახალციხეში მემკვიდრეობით ფაშები არიან რენეგატი ქართველები ათაბეგების სახლიდან. ასევე ბაიაზეთის ფაშობა ეკუთვნის მემკვიდრეობით ამ მხარის ძველ მფლობელთა გვარს. ტრაქტატის სათანადო პუნქტით, ეკატერინე მეორემ ითავადება მეფე ერეკლეს იმ სამფლობელოებზეც, რომელნიც მომავალში იქნებოდნენ მოპოვებული, რაც პირდაპირ მიუთითებდა ახალციხის საფაშოსა თუ სამცხე-საათაბაგოზე, როგორც საქართველოს მეფეების ძველ სამკვიდროზე, ამიტომაც სულეიმან-ფაშა არ დაკმაყოფილდა ლეკების წაქეზებით საქართველოს წინააღმდეგ და დაუშვა, რომ ახალციხეში შეკრებილი ლეკები (ჯანგოტაელ ალი-სულთანის მეთაურობით) და თურქები, სულ ოთხი ათას კაცამდე, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ქართლს, აეოხრებინათ იქ სამი სოფელი და ტყვედ წაეყვანათ 600-ზე მეტი მცხოვრები.

უფრო მეტი უბედურების თავიდან ასაცილებლად და ნადავლის წასართმევად სურამში დაბანაკებულმა მაიორმა თედორე სენენბერგმა წაიყვანა 200 ეგერი ერთი ზარბაზნით.

დავით ბატონიშვილის სიტყვით, ამ ოპერაციაში მონაწილეობდა 500 ქართველი ცხენოსანიც (ამას თურქული წყაროც ადასტურებს). გაბრუნებული მტერი 7 ვერსზე ახალციხის გზაზე (ტაშისკართან) მიამწყვდიეს მტკვრის მარხცენა ნაპირთან და ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ სასტიკად დაამარცხეს. დაიხოცა და მტკვარში დაიხრჩო 1377 კაცი, მათ შორის — 465 ლეკი, დანარჩენები კი — ახალციხელი თურქები. ტყვედ შეპყრობილ იქნა 200 კაცი. ქართველებმა ბრძოლას ვერ მოუსწრეს, მაგრამ, როდესაც მტერი უკვე დამარცხებული იყო, ისინი ათავისუფლებდნენ თავისიანებს, რომელნიც მოწინააღმდეგეს ჰყავდა შეპყრობილი და იჭერდნენ ტყვეებს. ჩვენებს (ე.ი. რუსებს) მოუკლეს ერთი ეგერი, დაჭრეს 5 კაცი.

მტრის ეს დიდი დამარცხება მოხდა 1785 წლის 16 აპრილს, დაღუპული მტრის გვამები დიდი რაოდენობით მიჰქონდა მტკვარს თბილისისაკენ. ეს იშვიათი გამარჯვება იზეიმეს როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე იმერეთში.

ეს ამბავი, ბუნებრივია, ცნობილი გახდა როგორც სტამბოლში, ისე პეტერბურგში. სტამბოლში მან დიდი აურზაური გამოიწვია. ბაბა-ალიმ სულეიმან-ფაშას მიუთითა, რომ „ლეკების რაზმების“ განდევნა საფაშოდან, ოსმალებისადმი თბილისის ხანის ცუდი და არასაიმედო ზრახვების გამო, სასურველი არაა და მათი იქ გაჩერება შეიძლება, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსებს შეუძლიათ ლეკების თავდასხმა საქართველოზე მიაწერონ ოსმალეთს და მიიჩნიონ მასთან დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევად. ამიტომ სულეიმან-ფაშას ეთქვა, რომ საჭიროა, ერთი მხრივ, ჯარების შეგროვება, მეორე მხრივ კი, რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა დაცვა და, მაშასადამე, საქართველოზე ლეკების თავდასხმათა არდაშვება.

ამასთანავე, რუსეთის ელჩს სტამბოლში ი. ბულგაკოვს პეტერბურგიდან 1785 წლის 23 მაისს გაეგზავნა ეკატერინე მეორეს ხელმოწერილი რესკრიპტი, რათა ელჩს ბაბა-ალის წინაშე სათანადო ენერგიული დემარში გაეკეთებინა. რესკრიპტის მიღებისთანავე ბულგაკოვმა საელჩოს დრაგომანის პირით რეის-ეფენდის მოსთხოვა მიღება, რაც 1785 წლის 7 ივლისს შედგა კიდეც. მათი ბაასი, უფრო დავა, რომელიც ეხებოდა ქართლ-კახეთს, სამი საათი გაგრძელდა.



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის

«ისტორიული მემკვიდრეობა»

მესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ვინ მიიღებს ჯილდოს?



ინდური ბოლივუდის რეჟისორმა რამ გოპალ ვარმამ სერიოზული ფულადი პრემია — დაახლოებით 11 ათასი ამერიკული დოლარი — დააწესა იმისთვის, ვინც გაბედავს და მარტო უყურებს მის ახალ საშინელებათა ფილმს „Phoonk 2“. რეჟისორის პირობების მიხედვით, მოხალისე მთელი სეანსის მანძილზე თვალგახელილი უნდა იჯდეს, ეს სპეციალური აპარატურით გაკონტროლდება. ამასთანავე, კინოთეატრის გარეთ განთავსებულ სპეციალურ მონიტორზე მუდმივად აისახება მონაცემები მისი გულისცემის სიხშირისა და სხეულის ტემპერატურის შესახებ.

ამ რეჟისორმა მსგავსი აქცია უკვე მოაწყო 2008 წელს, როდესაც ამ ფილმის პირველი ნაწილი გამოვიდა. მაშინ ჯილდოს პრეტენდენტმა, 30 წლის პავინ პონანამ მხოლოდ ნახევარ საათს გაძლო კინოდარბაზში, შემდეგ კი ერთ-ერთ სეანსზე ყველა ბილეთის შესაძენად ათასი დოლარი დახარჯა და ფილმს მაინც მარტომ უყურა თავიდან ბოლომდე. ფილმის ორივე ნაწილში აღწერილია, თუ როგორ სდევს წყევლა თან ერთ ინდურ ოჯახს.

რატომ გლოვობენ ვიეტნამელები ვეშაპს?



ბაკლიეუს პროვინციაში ათი ათასობით ვიეტნამელი იმისთვის შეიკრიბა, რომ 15-ტონიანი ვეშაპი ყველა წესის დაცვით დაესაფლავებინათ. მკვდარი ცხოველი რამდენიმე დღის წინ ზღვაში, სანაპიროდან დაახლოებით 40 კილომეტრის დაშორებით აღმოაჩინეს. რამდენიმე ათეული მეთევზე მთელი დღის განმავლობაში შრომობდა იმისათვის, რომ ცხოველის გვამი როგორმე ნაპირზე გამოეტანათ.

დაკრძალვის ცერემონიაზე დამსწრეები დაღუპული ვეშაპის საპატივცემულოდ ნელსურნელებას აკმევდნენ, მის საფლავზე კი ტაძრის აშენება გადაწყდა. ვიეტნამელი მეთევზეების რწმენის თანახმად, ვეშაპი წმინდა ცხოველია და მისი ცოცხლად ან მკვდრად ნახვა დიდი წარმატების წინაპირობაა. ამიტომ ვეშაპებს დიდი მოკრძალებით ექცევიან და ტერმინით „ngai“ მიმართავენ. ვიეტნამში ამგვარი მიმართვა მხოლოდ მონარქებისა და ვეშაპებისათვისაა განკუთვნილი.

ვის გადაუხდის „Ford“-ი 23 მილიონს?

უმსხვილესი საავტომობილო კომპანია „Ford Motor Co“-ის წინააღმდეგ სარჩელში ვინმე სინტია კასტილიო მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 23,4 მილიონ დოლარს ითხოვდა. ეს ქალბატონი 2007 წელს ავტოკატასტროფაში მოყვა და მას შემდეგ პარალიზებული დარჩა. ავარიის დროს დაზარალებული 1997 წელს გამოშვებულ „Ford Explorer“-ს მართავდა, უცებ, მანქანა მართვას აღარ დაემორჩილა, ცალი საბურავი გასძვრა და სამჯერ ამოტრიალდა. კასტილიო სიცოცხლის ბოლომდე ინვალიდად დარჩება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ავარიის მიზეზი მანქანის გაურკვეველი ტექნიკური გაუმართაობა იყო და სარჩელი დააკმაყოფილა. მართალია, საავტომობილო კომპანია ირწმუნებოდა, რომ მანქანა ძველი იყო და ნაწილები, შესაძლოა, მოუცვდა კიდეც, მაგრამ მათი ახსნა-განმარტებები არავის გაუთვალისწინებია.

მასონები ჩრდილიდან გამოდიან

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ ეშმაკის ერთ-ერთი მთავარი ხრიკი ადამიანების იმაში დარწმუნებაა, რომ ეშმაკი საერთოდ არ არსებობს. მაგრამ უკანასკნელ წუთს ის მთელი ძალით აგრძნობინებს მათ საკუთარ არსებობას. ზუსტად ასევე იქცევიან მისი მიმდევრები და ქვეშევრდომები — მასონები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ ისინი სინამდვილეში თუ არსებობენ, მხოლოდ ქველმოქმედების, რაინდული ატრიბუტიკისა და ძველებური ტრადიციების მოყვარულთა კავშირის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში დიდ წარმატებას მიაღწიეს. მასონების, როგორც საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ფაქტორის ნებისმიერი ხსენება დაუყოვნებლივ იწვევს პარანოიის ან „შეთქმულების თეორიის“ მიმდევრობის ბრალდებას.

როგორც ჩანს, „კალატოზებმა“ ჩათვალეს, რომ ჩრდილიდან გამოსვლისა და ევროპულ არენაზე ოფიციალური მოთამაშის სახით ღიად წარდგენის დრო დადგა. ამის შესახებ მასონთა ლოჟის საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთის ყოფილმა მაგისტრმა ჟან-მიშელ კიიარდემ განაცხადა, როდესაც ბრიუსელში წარმომადგენლობის გახსნის თაობაზე „კალატოზების“ განზრახვა გაახმიანა. მისი განცხადებით, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მასონები ევროკავშირის სტრუქტურებზე საეკლესიო ორგანიზაციების გაძლიერებულ გავლენას აღუდგნენ წინ.

„პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს შესაძლებელია, მაგრამ ფინანსების მხრივ საქმე გაცილებით რთულადაა, ვინაიდან ჩვენი რესურსები ეკლესიის რესურსებს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება“, — ამბობს კიიარდე.

აი, ასე თავმდაბლობენ, თორემ ცალსახად ცნობილია, რომ მასონიზმში მთელი მსოფლიო ოლიგარქიაა ინტეგრირებული. გახმოვანებულ გეგმებშიც არაფერია ახალი — ანტირელიგიური განწყობის აყვავებით გამორჩეული ყველა ევროპული რევოლუციის უკან ჩასაფრებული მასონების დაცქვეტილი ყურები ჩანდა.

ყველაფერი ქრისტიანობასთან ბრძოლითაც არ შემოიფარგლება. დიდი მაგისტრის თქმით, წარმომადგენლობის კიდევ ერთი ამოცანა ევროპაში „მოქალაქეობის“ იდეის წამოწევა იქნება. „ადამიანები, ებრაელები იქნებიან ისინი, შავკანიანები, არაბები, ჰომო თუ ჰეტეროსექსუალები, ევროპის მოქალაქეები არიან“, — ბრძანა მაგისტრმა და არც ესაა სენსაციური განაცხადი. მასონები, თავიანთ შვილობილ გლობალისტებთან ერთად, დიდი ხანია, ეროვნული სახელმწიფოების, ერების, დაბოლოს, ოჯახების განადგურებას ცდილობენ. სწორედ ამას ემსახურება რასობრივი და ეროვნული აღრევის, პედერასტიის პროპაგანდაც. შემდეგ კი, ადამიანობისგან დარჩენილ ნამსხვრევებზე ახალ ბაბილონის გოდოლს ან, როგორც თავად ამბობენ, მესამე ტაძარს აგებენ.

ჟან მიშელ კიიარდეს თქმით, საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი უკვე ცდილობს ევროპის ყველა ლოჟის გაერთიანებას. 2007 წლიდან მასონთა საერთო ევროპული კონგრესები საფრანგეთში, საბერძნეთსა და თურქეთში ჩატარდა, წლევანდელს პორტუგალია უმასპინძლებს.

ყოფილმა მაგისტრმა 2008 წელს მასონების წარმომადგენლებისა და ევროკავშირის თავმჯდომარის ჟოზე მანუელ ბაროზუს ოფიციალური შეხვედრაც გაიხსენა. მაშინ „კალატოზებმა“ ბეროზუსგან მოითხოვეს, აეხსნა, რატომ გაამახვილა ყურადღება ერთ-ერთი გამოსვლისას ევროპული ინტეგრაციის საკითხებში რელიგიის როლზე. შეხვედრის დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ ერთმა მაღალჩინოსანმა მასონმა აღნიშნა, რომ შეხვედრამ „კალატოზებისა“ და ევროკავშირის ღირებულებებისა და მიზნების იდენტურობა დაამტკიცა.

ჩინეთი დასავლეთთან შეტაკებისთვის ემზადება

ყოველთვის იყვნენ ექსპერტები, რომლებიც უკიდურესად სკეპტიკურად უყურებდნენ ჩინეთს, როგორც „მსოფლიო ეკონომიკის ლოკომოტივს“ და, როგორც ბოლო დროს ირკვევა, ამგვარად განწყობილთა კატეგორია უკვე თითქმის მთელ მსოფლიოს მოიცავს.

საიდუმლოს არ გავამხელთ, თუ ვიტყვით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახის საშუალო შემოსავალი (გადასახადების გადახდის შემდეგ) წელიწადში 50 ათას დოლარს, ანუ თვეში დაახლოებით 4 000 დოლარს არ აღემატება. ამერიკაში დაბალი ფასების გამო ეს, შესაძლოა, ძალიან ცოტა არ იყოს, მაგრამ არც ბევრია. მოსკოვში შედარებით სიძვირის გამო ეს თანხა ოთხსულიან ოჯახს დალხენილად ვერ აცხოვრებს. რაც შეეხება ჩინეთს, იქ ერთ სულ მოსახლეზე ცხოვრების დონე ამაზე ბევრად დაბალია. მაგრამ ინფორმაციული საუკუნის სიკეთეების, ძირითადად, ინტერნეტის წყალობით, ჩინელებისთვის მაგალითი სწორედ ამერიკული ცხოვრების წესია და მისკენ ისწრაფიან. მიზნის თვალსაზრისით, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ განხორციელების მხრივ პრობლემები იწყება.

თანამედროვე ეკონომიკა მოხმარების ეკონომიკაა, მოხმარების ზრდის გარეშე მისი ზრდა შეუძლებელია. მაგრამ რესურსები შეზღუდულია და არა მხოლოდ მიწაში არსებული ნავთობის რაოდენობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა რაოდენობის ნავთობის გადამუშავება შეუძლია თანამედროვე ეკონომიკას.

თუ დღეს ზრდასრული ჩინელების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღებს საკუთარ მანქანას, მრავალი საინტერესო მოვლენის მომსწრენი გავხდებით. პირველ რიგში, მთელი ჩინეთი გაიგუდება. სანამ გაიგუდებიან, მთელს მსოფლიოში გათავდება ბენზინი და მთელი მსოფლიო ეკონომიკა მხოლოდ ჩინეთისთვის იმუშავებს. გასაგებია, რომ ეს ფანტაზიაა, მაგრამ ამ ფანტაზიის წარმომშობი ტენდენცია ნამდვილად რეალობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკამ და ევროპამ, თუ თავიანთი ცხოვრების დონის შენარჩუნება (და არა გაზრდა!) სურთ, ჩინეთის ცხოვრების დონის ზრდა არ უნდა დაუშვან!

ორიოდე წლის წინათ აშშ-დან წარმოებების ჩინეთში გატანამ შტატების საერთო შიდა პროდუქტი გაზარდა. ჩინეთში პროდუქტის თვითღირებულება და მისი გასაყიდი ფასი აშშ-ში იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ აშშ-მა დიდი შემოსავლები მიითვალა. ამერიკულთან მიმართებაში ჩინური ვალუტის გაძვირება ახლებურ გადანაწილებას განაპირობებს, მაგრამ ეს დროის საკითხია, მანამდე კი ჩინეთში ცხოვრების დონე ზრდას განაგრძობს და ეს აშშ-თან გარდაუვალი კონკურენციის წინაპირობაა რესურსებთან მიმართებაშიც. ჩინეთი სულ უფრო მეტ იაფ ნავთობს მიიღებს სპარსეთის ყურიდან, ევროპასა და ამერიკაში კი მისი წარმოების ფასი კვლავ იზრდება. ეკონომიკური ვარდნის პირობებში ახალი ტექნოლოგიები ძვირი იქნება და არაეფექტური. ეს ყველაფერი კი ეკონომიკის დეგრადირებას განაპირობებს. სამაგიეროდ, ეფექტური ტექნოლოგიები მოთხოვნილებასთან ახლოს, ჩინეთში გადაბარგდება და თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის შესაძლებლობები ამით კიდევ უფრო შეიზღუდება.

ცხადია, ამ ყველაფერს დასავლეთი თვითდინებაზე არ მიუშვებს და „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ თემებზე დემაგოგიებს უფრო იშვიათად მოვისმენთ. მაგრამ ერთი ცხადია, ეკონომიკური პროცესების ბუნებრივი განვითარება აუცილებლად განაპირობებს „თამაშის პირობების“ შეცვლას. და ამას აღარც განვლილი და აღარც ახალი კრიზისი აღარ სჭირდება. რესურსებისთვის კონკურენციაც აბსოლუტურად საკმარისი პირობაა. ბრძოლა დაუნდობელი იქნება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ამერიკელები მსოფლიოს ღერძად აღიქვამენ საკუთარ თავს

ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლის ოპერაცია ბოლომდე მიიყვანონ, მაგრამ პრობლემები, რომლებიც ამ უბედურ ქვეყანაში ამერიკულმა სამხედრო მოქმედებებმა გამოააშკარავა, გაცილებით ღრმა აღმოჩნდა: ამერიკელები არასწორად აღიქვამენ მსოფლიოსა და საკუთარ როლს მისი ევოლუციის პროცესში.

მთელ ოფიციალურ ვაშინგტონს გულწრფელად სჯერა, რომ ამერიკა არის ღერძი, რომლის ირგვლივაც ბრუნავს მსოფლიო, რომ ის განსაზღვრავს მომავალს, რომ საბოლოო თავისუფლების გარანტიით სწორედ მას უნდა მიჰყავდეს მსოფლიო წინ, რომ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ამერიკა უარს იტყვის ამ პასუხისმგებლობაზე, ეს კაცობრიობისთვის, სულ მცირე, სტაბილურობის დასასრული და წარმოუდგენელი კატასტროფების დასაწყისი იქნება, რომ ამერიკულ მესაჭეობას ალტერნატივა უბრალოდ არ გააჩნია. უარყავით ეს დებულებები ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანი და თეთრ სახლში ცხვირის შეყოფის ნებისმიერი შანსი ნულს გაუტოლდება.

გაიდეალებული სახე, რომელშიც განდიდება აუტანელ თვითკმაყოფილებას ერწყმის, ენერგიით ტუმბავს და ამავე დროს ამახინჯებს ამერიკის საგარეო პოლიტიკას. სწორედ ის შთააგონებს ჯორჯ ბუშის მსგავს ადამიანებს „თავისუფლების გეგმის“ მსგავს იდეებს, რომელთა არსიც მთელი ისლამური სამყაროს გადაკეთება, ეს კი, თავის მხრივ, უსასრულო „გლობალური ომის“ ლოგიკური საფუძველია.

ისტორიის ლოკომოტივობის ამბიცია ვაშინგტონს იმდენად აბრმავებს, რომ ვერ ხედავს ძალას, რომელსაც შეუძლია, მასზე მეტი გავლენა მოახდინოს მოვლენათა განვითარების პროცესზე.

მაგალითად, ცივი ომის პერიოდში ამერიკელი სტრატეგები მოვლენებს ორპოლარობის სათვალით უყურებდნენ. დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ მთელი მსოფლიო რკინის ფარდით უნდა გაიყოს ორ ბანაკად. 1950-იან წლებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი აცხადებდა, რომ ნეიტრალიტეტი უზნეობაა და დაუშვებელია. ხელისუფლებებს უნდა აერჩიათ: ან თავისუფალი მსოფლიოს (თავისთავად ცხადია, აშშ-ის ხელმძღვანელობით) მხარეს უნდა დამდგარიყვნენ, ან კომუნისტებთან უნდა გაერთიანებულიყვნენ.

სწორედ ამ უკიდურესად გამარტივებულმა „ჩვენთან ან ჩვენ წინააღმდეგ“ მენტალობამ შეუშალა ხელი დალესსა და დანარჩენ ამერიკელ ლიდერებს, მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ნაციონალიზმის ამოფრქვევაში. ვაშინგტონში „ნეიტრალური“ „თანამგზავრს“ ნიშნავდა. აღმოჩდნენ რა თვითგამორკვევის გამოხატვის პირისპირ და ის ვერაფრით მოარგეს აღმოსავლეთი-დასავლეთის სახით არსებულ პარადიგმას, ამერიკელმა მმართველებმა უკიდურესი უბედურება ივარაუდეს და ურჩების დასავლური, ანუ ამერიკული მოთხოვნილებებისადმი დამორჩილების იძულებაზე გადავიდნენ. არასწორმა აღქმამ — იმის რწმენამ, რომ ირანის, გვატემალასა და ვიეტნამის ნაციონალისტები სინამდვილეში კრემლის აგენტები არიან — საქმე გაცხადებული თუ ფარული ამერიკული ინტერვენციებით გატაცებამდე მიიყვანა. ამ ინტერვენციებიდან ბევრი დღემდეც გვდევნის.

აშშ-ის ხელისუფლებას სწორად რომ შეეფასებინა პოსტკოლონიალური ნაციონალიზმის წყაროები, აშშ მეტ თავდაჭერილობას გამოიჩენდა მესამე მსოფლიოს დაუმორჩილებლობასთან შეჯახებისას. დაჟინებული მოთხოვნა, რომ ეგვიპტელი ნასერი ან კუბელი კასტრო ვაშინგტონის მიერ ნაკარნახევ რაღაც მოთხოვნებს დამორჩილებოდა, უაზრო და კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა.

გარდა ამისა, ახალი ნაციონალიზმის გაგება ვაშინგტონს სწორ წარმოდგენას შეუქმნიდა მრავალეროვნული, მრავალეთნიკური საბჭოთა იმპერიის შიდა სისუსტეების სიღრმეზე. პოლონელები, ავღანელები და ჩინელები სულაც არ იყვნენ იმით დაინტერესებულნი, რომ ბრძანებები მოსკოვიდან მიეღოთ. როგორც მოვლენებმა აჩვენა, იგივე შეიძლება ითქვას უკრაინელებზე, ყაზახებსა და ქართველებზეც. 1945 წლის შემდეგ საბჭოთა იმპერია ისეთივე გამოფიტული იყო, როგორიც ბრიტანეთისა და საფრანგეთის. მისმა დაშლამ მეტი დრო მოითხოვა, მაგრამ ეს მოსალოდნელი იყო.

დაახლოებით ასეთივე არასწორი აღქმა უშლის ხელს ამერიკულ სტრატეგიას დღესაც. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ვაშინგტონი კვლავ შეიპყრო „ჩვენთან ან ჩვენს წინააღმდეგ“ მენტალიტეტმა, უბრალოდ, ამერიკის წინააღმდეგ მებრძოლი უდიდესი ბოროტების როლში კომუნიზმი ახლა „ტერორიზმმა“ ჩაანაცვლა. ამან კი კვლავ გამოიწვია ინტერვენციონიზმის აყვავება ნებისმიერი პრაქტიკული ან მორალური ღირებულებებისა და შედეგების ფასად.

პენტაგონში ისინი ამას ხანგრძლივ ომს უწოდებენ. მიიღო რა გადაწყვეტილება, გაეფართოვებინა ამერიკული სამხედრო შემადგენლობა ავღანეთში, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სინამდვილეში უარყო თავისი დაპირება ვაშინგტონის მუშაობის წესის შეცვლის თაობაზე და დაადასტურა, რომ მისი ადმინისტრაცია საკუთარ თავზე იღებს ხანგრძლივი ომის ვალდებულებას.

მაგრამ, როგორც ცივი ომის შემთხვევაში, ხანგრძლივი ომიც მცდარ წინაპირობებს ეფუძნება. მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფა დღესაც ისეთივე უაზრობაა, როგორიც დალესის დროს იყო. სიტუაციის გარკვევის ნაცვლად ამგვარი გამარტივებებით მისთვის ხელის შეწყობა დაბნეულობას თესავს და გათვლებში შეცდომებს წაახალისებს. ის ამერიკელებს უფლებას აძლევს, თვალი აარიდოს, ძირითადად, აშშ-ის კონტროლს მიღმა დარჩენილ მზარდ ძალებს, რომლებიც სინამდვილეში ახალი ფორმის მსოფლიო წესრიგს აყალიბებენ. ამერიკის მიერ ავღანეთში ჯარების გაგზავნა კი მხოლოდ თავის მოჩვენებაა, თითქოსდა გლობალური ლიდერის პრეროგატივებით განებივრებული აშშ ქმნის ამ ახალ წესრიგს.

მრისხანე ანტიდასავლური ჯიჰადი — იდეა, რომელსაც, პლანეტის დაპყრობის თვალსაზრისით, ზუსტად ისეთივე პერსპექტივა აქვს, როგორიც საბჭოთა კავშირს ჰქონდა — 21-ე საუკუნის განმსაზღვრელად ვერ იქცევა. ასეთ განმსაზღვრელად, როგორც ჩანს, ჯერ ეკონომიკური, შემდეგ კი პოლიტიკური მართვის სადავეების დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, გადანაცვლება იქნება. ამ მხრივ კი ავღანეთში გაგზავნილი ათეული ათასობით ამერიკელი ჯარისკაცი ბევრად უფრო ცოტაა, ვიდრე ასობით მილიონი დოლარი, რომელიც ყოველწლიურად იგზავნება ჩინეთში.

ხელისუფლების გადაცემის პროცესს დასავლეთის ბატონობის ნარჩენებში გარკვევის ამოცანა ართულებს. ეს ნარჩენები — მასობრივი განადგურების იარაღი, სხვადასხვა სოციალური ფენის უზომოდ განსხვავებული შემოსავლები, ამოწურული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები, მასშტაბურად და პრაქტიკულად შეუქცევადად გამოფიტული გარემო, „თავისუფლებას“ ადევნებული გამოშიგნული კულტურა — დღეს მძვინვარე კონფლიქტების ახალი ეპოქის დასაწყისის პირობაა.

გრძელი ომი, რომელიც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დაიწყო და პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გაითავისა, ამერიკელებს სიმართლისთვის თვალის არიდების საბაბს აძლევს. თვალის მოხუჭვის სტრატეგია კი პრობლემის გაქრობას ვერ აიძულებს, ის მხოლოდ აახლოებს განკითხვის დღეს.

ლათინური ამერიკა აშშ-ის გარეშე ერთიანდება

მექსიკაში გამართულ სამიტზე ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ აშშ-სა და კანადის გვერდის ავლით ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას შექმნიან.

როგორც მექსიკის პრეზიდენტმა ფელიპე კალდერონმა განაცხადა, ახალ ორგანიზაციას უკვე აქვს დროებითი სახელწოდება „ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების საზოგადოება“. მისივე განმარტებით, ახალი გაერთიანების ოფიციალური სახელწოდება მისი ფორმირების პროცესში გამოიკვეთება. რაც შეეხება თავად ფორმირების პროცესს, ის მექსიკის სამიტზე დაიწყო და 2011-2012 წლებში ვენესუელასა და ჩილეში ანალოგიური სამიტების შემდეგ დასრულდება. ვენესუელის სამიტისას უკვე განისაზღვრება ორგანიზაციის წესდება და მისი მუშაობის მექანიზმები.

კალდერონის განცხადებით, საზოგადოების შექმნის მიზანი საერთაშორისო სამართლისა და ქვეყნების სუვერენიტეტის ფარგლებში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვისათვის „რეგიონალურ მექანიზმებს შორის თანამშრომლობის განვითარებაა“. გაერთიანების ერთ-ერთი პრიორიტეტი კონტინენტალური ინტეგრაციის გაღრმავება და ამის საფუძველზე რეგიონის განვითარება, ასევე, პოლიტიკური კონსულტაციებისათვის შესაძლებლობების გაზრდა იქნება.

უკვე არსებულ ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის ალტერნატიული ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის იდეა სწორედ მექსიკის პრეზიდენტ კალდერონს ეკუთვნის. მისი ჩანაფიქრის მიხედვით, 2010 წელს, როდესაც ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობა დამოუკიდებლობის 200 წლისთავს ზეიმობს, რეგიონში ინტეგრაციისათვის ახალი, ჩრდილოელი მეზობლისაგან დამოუკიდებელი ფორმებია საჭირო. ახალი გაერთიანება აშშ-ისა და კანადის მომცველი ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ სტრუქტურადაა ჩაფიქრებული.

კუბის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ რაულ კასტრომ ამ ამბავს ისტორიული უწოდა. მან მექსიკის სამიტის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა იმ დეკლარაციისათვის, რომელიც აშშ-ის მხრიდან კუბასთან მიმართებაში ლამის ნახევარსაუკუნოვანი „უსამართლო ბლოკადის“ გაუქმებას მოითხოვს.

რა ღირს ალმასი?



უიშვიათესი ალმასი სახელწოდებით „კულინანის მემკვიდრეობა“ ისტორიის მანძილზე ყველაზე ძვირად — 35,3 მილიონ დოლარად გაიყიდა. უნიკალური ძვირფასი ქვა იაპონურმა საიუველირო კომპანიამ შეიძინა.

საიუველირო სახლ „Petra Diamonds“-ის კუთვნილი 507-კარატიანი ალმასის თავდაპირველი ღირებულება 25 მილიონი დოლარი იყო. ალმასი გასული წლის სექტემბრის ბოლოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში „კულინანის“ საბადოზე იპოვეს და მან მაშინვე დაიკავა კუთვნილი ადგილი მსოფლიოს უმსხვილესი ალმასების ოცეულში. მოგვიანებით კი მისი პირველი მფლობელის, საიუვილერო სახლის „Petra Diamonds“-ს იუველერებმა განაცხადეს, რომ ქვას განსაკუთრებული ფერი და სისუფთავე ახასიათებს. შეგახსენებთ, რომ „კულინანის“ საბადო 1903 წელს გაიხსნა და 1905 წელს იქ მსოფლიო ალმასების ისტორიაში უმსხვილესი — 3106-კარატიანი ქვა იპოვეს. საუკუნეზე მეტ ხანს საბადომ, საერთო ჯამში, მსოფლიოს 120 მილიონ კარატზე მეტი ალმასი აჩუქა.

რა სარგებლობა მოაქვს სილიკონის მკერდს?

ამერიკელი ლიდია კარანზა სილიკონის მკერდმა სიკვდილს გადაარჩინა. კალიფორნიაში, სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომელ ლიდიას თავს დაესხნენ. ბოროტმოქმედი პირდაპირ კაბინეტში შევარდა და ქალს ტყვია ესროლა. დამნაშავე დააკავეს, დაზარალებული კი საავადმყოფოში წაიყვანეს. ქირურგებმა აღმოაჩინეს, რომ ლიდიას ტყვია სილიკონის ფუმფულა მკერდში მოხვდა და გულიდან რამდენიმე სანტიმეტრში გაჩერდა. რომ არა იმპლანტანტები, ექიმები ირწმუნებიან, რომ ქალი სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. ლიდიამ მკერდი რამდენიმე წლის წინათ „შეილამაზა“. ამ დროისათვის მას უკვე ჰყავდა სამი შვილი და ორი შვილიშვილი.

შეგახსენებთ, რომ მსგავს შემთხვევას ისრაელშიც ჰქონდა ადგილი. მაშინ სილიკონის მკერდმა ქალი ავტოავარიისას გადაარჩინა. ქალს, მართალია, ტკივილისაგან გული წაუვიდა, მაგრამ ექიმებმა მის სხეულზე ერთი ნაკაწრიც ვერ აღმოაჩინეს. ტკივილი სილიკონის იმპლანტანტების გასკდომის შედეგი იყო.

როდის ვიქნებით ბედნიერები?

როგორც ამერიკელმა და გერმანელმა მეცნიერებმა ფსიქოლოგიური კვლევების შედეგად ერთობლივად დაადგინეს, ნამდვილი ბედნიერების განცდა ადამიანს მხოლოდ ხანდაზმულ ასაკში — 74 წლის შემდეგ შეუძლია.

როგორც გაირკვა, საშუალოსტატისტიკური ევროპელი ბედნიერების განცდის უნარის დაკარგვას 15 წლის ასაკიდან იწყებს. პროცესი 40 წლის ასაკამდე შეუქცევლად ვითარდება და ცხოვრებისგან იმედგაცრუების პიკს აღწევს. 46-ის შემდეგ კი ნელა, მაგრამ განუხრელად მატულობს. სულში ჰარმონიისა და სიმშვიდის შეგრძნება მწვერვალს 74 წლის ასაკში აღწევს და სწორედ ამ დღიდან იწყებს ადამიანი წვრილმანი პრობლემების გვერდის ავლით სიცოცხლით სრულფასოვან ტკბობასა და აღფრთოვანებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი 70-75 წელია, ადამიანთა უმეტესობა ბედნიერების განცდის გარეშე ან ბედნიერების მომენტში ასრულებს სიცოცხლეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

საოცრებათა მინი-ენციკლოპედია

დელის სვეტი



უძველესი მონუმენტია, რომელიც ინდოეთის დედაქალაქის გარეუბანში აღუმართავთ. სიმაღლით 7 მ-ზე მეტი, საძირკვლის დიამეტრი — 40 სმ, ხოლო წვერისა — 30 სმ-ია. ლეგენდების თანახმად, სვეტს მისტიკური თვისებები აქვს: ნებისმიერ სურვილს ასრულებს, რისთვისაც საკმარისია სულ რაღაც წუთით ზურგით მიეყრდნო.

ამ ნაგებობის ფენომენი კი ისაა, რომ სვეტი 1600 წლის წინათ რკინისგან დამზადდა და კოროზიით ოდნავადაც არ დაზიანებულა. პალეუფოლოგები სვეტს საგანგებო ნიშნად მიიჩნევენ, რომელიც უცხოპლანეტელებმა დატოვეს.

ქიმიკოსები კი თვლიან, რომ კოროზიის არარსებობის მიზეზი დელის რაიონში განსაკუთრებული კლიმატური პირობების შედეგია. ასეა თუ ისე, დელის სვეტის წარმომავლობა და ჭეშმარიტი ბუნება დღემდე დაუდგენელია.

როზმარი ბრაუნი

სახელგანთქმული ინგლისელი „კონტაქტიორი“ გახლდათ, რომელმაც სახელი იმით მოიხვეჭა, რომ გარდაცვლილ გენიოს მუსიკოსებთან კავშირს ამყარებდა. 1970 წელს მან გამოუშვა ფირფიტა, რომელზეც ლისტის, შოპენის, ბეთჰოვენის, ბახისა და ცნობილი პიანისტის — პიტერ კატინის უცნობი ნაწარმოებები იყო ჩაწერილი. დისკის კონვერტზე გაკეთებული წარწერა იუწყებოდა, რომ ნოტები სპირიტული სეანსებისას როზმარის ამ მუსიკოსთა სულებმა უკარნახეს. მუსიკა კი ისე ჰგავდა მათ „ხელწერას,“ რომ მრავალრიცხოვანი ექსპერტები დაბეჯითებით ვერ ადასტურებდნენ, მისტიფიკაცია იყო ეს თუ მიღმიერ სამყაროსთან პარაფსიქოლოგიური კავშირის რეალური შედეგი.

ჰონთინგი

პარაფსიქოლოგების მიერ შემოღებული ეს ტერმინი ზოგიერთი მოჩვენების მიჯაჭვულობას აღნიშნავს გარკვეული გეოგრაფიული წერტილისადმი. ჩვეულებრივ, ჰონთინგი უფრო ისეთ ადგილებში შეინიშნება, სადაც ოდესმე მასობრივი შეტაკებანი მომხდარა, რასაც დიდძალი მსხვერპლი მოჰყოლია.

ბო-ჯაუსის მთა

1995 წელს ახლო აღმოსავლეთში ამ მთის ფერდობზე თვითმფრინავი ტუ-154 დაიღუპა. ავარიის ადგილის ძებნისას ბო-ჯაუსის მიდამოებში კიდევ 10-მდე საფრენი აპარატის ძველი ნამსხვრევები აღმოაჩინეს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს რაიონი მძლავრ გეოფიზიკურ ანომალიას წარმოადგენს, რომელიც „გააქტიურების“ დროს შორიახლო მფრენ თვითმფრინავებს „აგდებს.“ ეს ვერსია ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებიათ.

დაკარგული ქალაქი

უბარი ლეგენარული დაკარგული ქალაქია, რომელიც უცნობ კატასტროფას ემსხვერპლა. ის „ათას ერთი ღამის“ ანონიმურ ავტორებს აქვთ მოხსენიებული. უბარი მუდამ ლიტერატურულ გამონაგონად მიიჩნეოდა, მაგრამ 1990 წელს ამერიკელმა არქეოლოგებმა ომანის ქვიშებში 4500 წლის წინათ აგებული მრავალრიცხოვანი კოშკების უცნაური ნანგრევები აღმოაჩინეს. კოსმოსიდან გადაღებულ სურათებზე ჩანს უძველესი საქარავნო გზები, რომლებიც სწორედ ამ ადგილას გადაიკვეთება. მეცნიერთა აზრით, ესაა ლეგენდარული უბარი. უძელესი ქალაქი მართლაც ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად დაინგრა...

ალპური მუმია ტიროლში

1993 წელს ტიროლის ალპებში ჰელმუტ და ერიკა სიმონებმა მუმია აღმოაჩინეს, რომლის ასაკი მეცნიერებმა 4000 წლით განსაზღვრეს. გვამის გვერდით ნაჯახი, კაპარჭი, ისრები და კვეს-აბედი იდო. ზურგზე რელიგიურმისტიკურწარწერიანი მუმია ინსბრუკში გააგზავნეს; მისი გამოკვლევა გრძელდება. თუმცა ჟურნალისტები უკვე ფარაონების წყევლაზე ალაპარაკდნენ: შვეულმფრენს, რომელსაც ნეშტი გადაჰქონდა, ავარია მოუვიდა და მისი პილოტიც სერიოზულად დაშავდა; ხოლო პროფესორი რაინერ ჰანი, რომელიც პირველად იკვლევდა მუმიას, საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა.

ყველაზე მოკლე ქუჩა

მსოფლიოში ყველაზე მოკლე ქუჩა შოტლანდიაში, ქალაქ ქაითნესში მდებარეობს. მისი სიგრძე სულ 2 მ-ს აღწევს. თუ ქალაქს არ იცნობთ, ამ ქუჩას ვერც კი მიაგნებთ — იქ ხომ მხოლოდ ერთი შენობა დგას, რომელსაც ებენეზერ ფლეისი №1 აწერია. ის 1883 წელსაა აგებული.

ეშმაკის კარიბჭე

ასე უწოდა იტალიურმა ანტარქტიკულმა ექსპედიციამ ინგლეის სრუტის მახლობლად მდებარე ყინულოვან ხეობას. იქ დიდხანს გაჩერება სიცოცხლისთვის საშიშია. მეცნიერთა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ხეობაში ჰაერი მინუს 90 გრადუსზე საათში 200 კმ-ს სიჩქარეს აღწევს და თან მოაქვს ყინულის ნამსხვრევები, რომლებიც სამოსს თვალის დახამხამებაში ნაფლეთებად აქცევს.

კოსტა-რიკული ბურთები

ეს იდუმალი, იდეალურად მრგვალი ქვის წარმონაქმნები XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკა კოსტა-რიკაში აღმოაჩინეს. ბურთები სხვადასხვა ზომისაა — 10 სმ-დან 3 მ-მდე დიამეტრის. აეროგადაღებისას გაირკვა, რომ მიწის ზედაპირზე ისინი შემთხვევით კი არაა მიმოფანტული, არამედ მკაცრად გეომეტრიული ფორმით. მათი დანიშნულება გამოცანად რჩება. სპეციალისტები ამ ბურთების წარმოშობის საიდუმლოს ვერ ხსნიან. ვარაუდიც კი გამოითქვა, რომ ისინი უცხოპლანეტელებმა შექმნეს, რადგან უძველესი ხანის ხალხს ნამდვილად არ შეეძლო ასეთი იდეალური ფორმის ქვების გამოთლა. თუმცა გეოლოგები ირწმუნებიან, რომ ასეთი ქვები უხვადაა მთის მდინარეებში.

მკვდარი ტბა ყაზახეთში

ყაზახეთში, სოფელ გერასიმოვკის რაიონში პატარა – 100 მ სიგრძისა და 60 მ სიგანის წყალსაცავია, რომელსაც მკვდარ ტბას უწოდებენ. გაგანია ზაფხულშიც კი ტბა არ შრება და წყალი ყინულივით ცივია. ტბაში თევზი არ ბინადრობს, არ იზრდება წყალმცენარეები. ადგილობრივი სპეციალისტები ამას რომელიღაც აირის არსებობით ხსნიან, რომელიც ფსკერის შრეებიდან გამოიჟონება. ზუსტი გამოკვლევები იქ ჯერ არ ჩატარებულა, შესაძლოა იმიტომაც, რომ დიდხანს არავის შეუძლია წყალში ყოფნა. ამბობენ, რომ მყვინთავი, სავსე ბალონითაც კი, იქ სამ წუთზე მეტხანს ვერ ძლებს — სუნთქვა ეკვრის და იძულებულია, წყლის ზედაპირზე ამოვიდეს. მკვდარ ტბაში ხშირად იძირება ხალხი, რომლებიც ფსკერზე სანთელივით გაშეშებული რჩებიან...

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ჰატშეფსუტი — ღმერთების ასული ფარაონი, რომელიც ქალი იყო

ის ფარაონი იყო. ეგვიპტელები კი ფარაონებს ღმერთებად მიიჩნევდნენ. მაშ, როგორ დაუშვეს ასეთი მკრეხელობა?

თუთმოს II-მ და **ჰატშეფსუტმა**, და-ძმამ და ცოლ-ქმარმა თავიანთი მმართველობა ძველი ეგვიპტის სხვა ფარაონებივით დაიწყეს. ჰატშეფსუტი ისე იქცეოდა, როგორც ეს კარგ ცოლს შეეფერებოდა — აკი, ყველა ადრეულ გამოსახულებაზე ის ქმრისა და დედამისის — იაჰმოსის უკან დგა. მათი ქორწინება იღბლიანი, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა. როცა თუთმოს II აღესრულა, ტახტი მის ვაჟს, უმცროსი ცოლის — ისიდასგან შეძენილ თუთმოს III-ს დარჩა, მაგრამ რაკი ის ჯერ პატარა იყო, რეგენტი ჰატშეფსუტი გახდა (ტრადიციის მიხედვით, ის თუთმოს III-ის დედად მიიჩნეოდა).

თავდაპირველად არაფერი უცნაური ჰატშეფსუტის საქციელში არ შეინიშნებოდა, თუმცა 7 წლიანი რეგენტობის მერე მან მოულოდნელად საკუთარ თავს მეფე უწოდა და ეგვიპტეს კიდევ 22 წელი მართავდა მას შემდეგაც, რაც მისი ვაჟი საკმარისად გაიზარდა იმისათვის, რომ მემკვიდრის ადგილი დაეკავებინა. მაშ, რატომ მოახდინა ჰატშეფსუტმა ტახტის უზურპირება? და რატომ დართო ამის ნება თუთმოსმა? ალბათ, ჰატშეფსუტი მეტისმეტად ჭკვიანი და ამაყი იყო იმისათვის, რომ ვისიმე სახელით ემართა ქვეყანა — მოკლე ხანში მან თავი ეგვიპტის ერთადერთ და სრულუფლებიან მმართველად გამოაცხადა. დაპირისპირება ღმერთების ასულსა და თუთმოს III-ს შორის მალე აშკარა მტრობაში გადაიზარდა. თუთმოსის უკან დაქირავებულთა არმია იდგა, ხოლო ჰატშეფსუტს მხარს ქურუმები და დიდებულები უჭერდნენ. შესაბამისად, მისი მდგომარეობა გაცილებით უფრო მყარი იყო, ვინაიდან ქურუმების ძალაუფლება არა მარტო დედამიწაზე, არამედ საიქიოშიც ვრცელდებოდა. ამგვარად, ჰატშეფსუტი მეფე გახდა — წარმოუდგენელი ფაქტია, რომელიც ფარაონის წარმომავლობის შესახებ სახელმწიფო ლეგენდას სრულებით არ შეესაბამება.

ღმერთების ასულს ახალი ტერიტორიები არ შემოუერთებია, მაგრამ ქვეყანა ააყვავა, უძველესი ტაძრები, სასახლეები, კოლოსალური ობელისკები და შთამბეჭდავი მონუმენტური ნაგებობები წამომართა. გარშემო მხატვრები, სკულპტორები და პოეტები შემოიხვია და, როგორც ფარაონს შეეფერებოდა, სამუდამო განსასვენებელზე სიცოცხლეშივე იზრუნა. კლდეში ნაკვეთმა ნაგებობამ უძველესი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ძეგლები დაჩრდილა. ეს ტაძარი დღეს დეილ-ელ-ბაჰრის სახელწოდებითაა ცნობილი.

თუთმოს II-ის სიკვდილის შემდეგ ჰატშეფსუტის მარჯვენა ხელი და ფავორიტი ვარსკვლავთმრიცხველი სენმუტი იყო. ის მთელ სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა დეირ-ელ-ბაჰრიში, კარნაკსა და ლუქსორშიც. გარდა ამისა, ის ჰატშეფსუტის ქალიშვილის, ნეფრურას აღზრდითაც იყო დაკავებული.

ჰატშეფსუტს არ შეეძლო მარტოს, ქურუმებისა და დიდებულების გარეშე, ემართა ეგვიპტე. ისინი კი, უკლებლივ ყველა, მამაკაცები იყვნენ, რომელთა ბედიცა და სიცოცხლეც ჰატშეფსუტის წარმატებულ მმართველობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ მისი მდგომარეობის გასამყარებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. თუმცა ჰატშეფსუტმა საქმით დაამტკიცა, რომ სახელმწიფოს მართვის უნარიც შესწევდა და მისი მეფობაც კანონიერი იყო, მაინც ვერ გადალახა საუკუნეობრივი ტრადიციის ბარიერი, რომლის მიხედვითაც, ეგვიპტის მართვა მხოლოდ მამაკაცს შეეძლო. ამიტომაც იმოსებოდა, ალბათ, მამაკაცივით და ცერემონიალურ წვერსაც კი ატარებდა, თუმცა ამას თავისი სქესის დასამალავად როდი სჩადიოდა, სამეფო კარზე ჩინებულად იცოდნენ, რომ ჰატშეფსუტი ქალი იყო, ხოლო უბრალო ხალხის აზრი ძველ ეგვიპტეში არავის აღელვებდა. ფარაონები ხომ მზის ღმერთის — რას ვაჟის ჰორის რეინკარნაციად მიიჩნეოდნენ. ამიტომაც **სიტყვა „ფარაონი“ და „მეფე“ ძველ ეგვიპტეში მარტოდენ მამაკაცს ნიშნავდა. შესაბამისად, არც კი არსებობდა ცნება, რომელიც სახელმწიფოს მმართველ ქალს აღნიშნავდა**. ამიტომაც ის მუდამ ფარაონივით, ანუ მამაკაცივით გამოიყურებოდა.

ჰატშეფსუტი, სავარაუდოდ, ბუნებრივი და არა ძალადობრივი სიკვდილით აღესრულა, რაც იმ დროისათვის იშვიათობა იყო. მისი სამარხი, სარკოფაგითურთ, გაიძარცვა, ამიტომაც იშვა ლეგენდა, რომ ფარაონმა ქალმა და მისმა ფავორიტმა სენმუტმა სამეფო დატოვეს, რათა სისხლიანი ანგარიშსწორების მსხვერპლი არ შექმნილიყვნენ. ამასთან, მეფის დაკრძალვის ინსცენირება მოაწყეს, რათა თუთმოს III-ს ტახტი კანონიერად დაეკავებინა. სამაგიეროდ, თუთმოსმა ყველა ტაძარში გაანადგურა მისი გამოსახულებებიცა და სახელიც. ჰატშეფსუტის სახელი ქრონიკებიდანაც კი ამოიღეს, თუმცა შემორჩა მისი დიდება და ობელისკი, რომელსაც ანერია: „ჩემი გული მოუსვენრობს, არ ვიცი, რას იტყვის ხალხი, როცა წლების შემდეგ ჩემ მიერ აღმართულ ძეგლებს იხილავს...

დაე, თქვან: „ეს მისი (მისი უდიდებულესობა ჰატშეფსუტის) — ღმერთი ამონის ღირსეული ქალიშვილის დიადი საქმენია...“

საინტერესო ფაქტები

● ამერიკელი უილიამ ფელპს ინო, რომელმაც საგზაო მოძრაობის პირველი წესები შემოიღო, არასოდეს მჯდარა ავტომანქანის საჭესთან.

● შოტლანდიელი ფიზიკოსი რობერტ უოტსონ-უოტი ერთხელ სიჩქარის გადაჭარბებისთვის პოლიციელმა გააჩერა. გაგულისებულმა ფიზიკოსმა წესრიგის დამცველს უთხრა: „რომ მცოდნოდა, რისთვის გამოიყენებდით, რადარს არასოდეს გამოვიგონებდი!“

● „მერსედეს-ბენცის“ ქარხნის ტერიტორიაზე მუშები ველოსიპედებით გადაადგილდებიან და ყველა განყოფილებას სხვადახვა ფერის ველოსიპედი აქვს.

● ავტომანქანა „პობედის“ აგებისას მისთვის „სამშობლო“ უნდა ეწოდებინათ, მაგრამ სტალინის ირონიული კითხვის შემდეგ: „და რა ეღირება სამშობლო?“ — გადაიფიქრეს...

● მოღუშვისას ადამიანს მოქმედებაში მოჰყავს 43 კუნთი, ღიმილისას — მხოლოდ 17. ორი ათასჯერ მოღუშვის შემდეგ კი ნაოჭები ჩნდება...

● თეორიულად ქაღალდზე ან კომპიუტერის ეკრანზე გამოსახული რიცხვი შეიძლება ციფრების უსასრულო რიგისგან შეგდებოდეს, მაგრამ სახელწოდების მქონე რიცხვთა შორის არსებობს რეკორდსმენი — ბუდისტური რიცხვი ასანქჰეია, რომლითაც ნირვანის მისაღწევად აუცილებელი კოსმოსური ციკლების რაოდენობა გამოითვლება.

● ლონდონში, სმოგის, წვიმებისა და ნისლის სამშობლოში, სინამდვილეში წელიწადში იმაზე ნაკლები ნალექი მოდის, ვიდრე რომსა და კიევში, ერთნახევარჯერ ნაკლები, ვიდრე ნიუ იორკში და ორჯერ ნაკლები, ვიდრე სოჭში.

● პირველად ციფრი 0 (ნული) იტალიელმა ლეონარდო ფიბონაჩიმ გამოიყენა.

● მაკრატელი ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა.

● ექიმი აიბოლიტის პროტოტიპი ვილნიუსელი ექიმი ცემახ შაბადი იყო.

ყველაზე პატარა პისტოლეტი

ეს ყველაზე პატარა პისტოლეტია მსოფლიოში, ის თავისუფლად ეტევა ჯიბეში, მაგრამ თანამომძეებზე არანაკლებ საშიშია. რევოლვერი SwissMiniGun-? გასაღებების ბრელოკის ოდენაა და ტყვიას საათში 270 მილის სიჩქარით ისვრის. სიგრძით ის 2.16 დიუიმია (5.5 სმ), 4.55 კალიბრის ვაზნებით ისვრის, ხოლო ტყვიები 112 მ-ის მანძილს ლახავს. პისტოლეტი უჟანგავი ფოლადისაა და 3 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს. ბრიტანეთში ამ იარაღის შეტანა აკრძალულია, ხოლო შვეიცარიისა და სხვა ევროპული ქვეყნების მცხოვრებნი ვალდებული არიან, მისი შეძენის ნებართვა პოლიციაში ითხოვონ. რევოლვერის იმპორტირება აშშ-ში აკრძალულია იმის გამო, რომ ლულის სიგრძე სამ დიუიმზე ნაკლებია, შესაბამისად, სამონადირეო ან სპორტული იარაღის კატეგორიაში არ ხვდება. კრიმინალისტისა და ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალისტის — ჯონათან სპენსერის თქმით, ეს პისტოლეტი, რომელიც წუთში 399 ფუტის სიჩქარით ისვრის ტყვიას, მართალია პატარაა, მაგრამ სასიკვდილოდ საშიშია — კანონით ის ტყვიამფრქვევს უთანაბრდება.

კალაჰარიული ჰარპუნი

ეს უცნაური ნივთი, რომელიც გარეგნულად ვემაპებზე სანადირო ჰარპუნს ნააგავს და სიგრძით 1 მ თუ იქნება, ქალაქ მოლეპოლოლეს მახლობლად, კალაჰარის უდაბნოს გავლით, გზატკეცილის მშენებლობისას აღმოაჩინეს. მეცნიერები ვერაფრით ხსნიან იმ ფაქტს, რომ ჰარპუნს ჟანგი არ მოჰკიდებია, ხოლო ქიმიურმა ანალიზმა უჩვენა, რომ შენადნობი, რომლისგანაც ეს ნივთია დამზადებული, დედამიწაზე უცნობია! როგორ აღმოჩნდა ჰარპუნი უდაბნოში და ვინ დაამზადა იგი, დღემდე საიდუმლოა.

დროსოლიდეს

ეს სიტყვა ბერძნულად „ნამის წვეთებს“ ნიშნავს და კუნძულ კრეტის სანაპიროზე რეგულარულად შესამჩნევ ქრონომეტრაჟს ეწოდება. ჩვეულებრივ, დროსოლიდესს რიჟრაჟზე აქვს ადგილი, როცა ჰაერში ნისლის წვეთები კონდენსირდება. მრავალრიცხოვანი თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ მათ თვალწინ, ფრანკო-კასტელოს ციხესიმაგრის მახლობლად, ზღვის თავზე უზარმაზარი „ბატალური ტილო“ — ასობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩართული ადამიანი წარმოიშობა, რასაც თან ახლავს ყვირილი და იარაღის ჟღარუნი. ისტორიკოსების თქმით, ამ ადგილას დაახლოებით 150 წლის წინათ თურქებსა და ბერძნებს შორის ბრძოლა გაიმართა. ჰოდა, სწორედ ამ ბრძოლის „დროში დაკარგულ“ სურათს ხედავენ თვითმხილველები.

ვულემი

ასე ეწოდება ისტორიამდელ მცენარეს, რომლის არსებობის ფაქტი დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა. ეს ფიჭვები, რომელთა ასაკი 150 მლნ წელს აღწევს, ხალხის თვალს სიდნეის მახლობლად, ავსტრალიის ნაციონალური ნაკრძალის ტერიტორიაზე ეფარებოდა, სადაც შესვლის ნებართვა მხოლოდ რამდენიმე ბოტანიკოსს ჰქონდა. თუმცა ახლახან ავსტრალიის ხელისუფლებამ დაასკვნა, რომ ეს უნიკალური მცენარე შეიძლება გადაშენდეს, რის გამოც ფიჭვის ნერგების აუქციონი მოაწყო.

ჩემპიონი კომპიუტერი

„დიფ ბლუ“ (Deep Blue) ის კომპიუტერია, რომელმაც ნიუ იორკში 1997 წლის 3-11 მაისს გამართულ ჩემპიონატში მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაამარცხა. თამაშისას კომპიტერ „დიფ ბლუს“ შეეძლო წამში 200 მლნ-მდე ოპერაცია განეხორციელებინა, მაგრამ სულაც არ წარმოადგენდა ყველაზე მძლავრ ელექტრონულ ტვინს.

„გვამის ყვავილი“

მსოფლიოში ყველაზე დიდი ყვავილი, მშვენიერი მეწამული ამორფოფალუს ტიტანუმი, ანუ სხვაგვარად, „გვამის ყვავილი“ ადამიანზე მაღალია და მძორის სუნით ყარს. ის არა მარტო ველურ ბუნებაში, არამედ ბოტანიკურ ბაღებშიც ჩინებულად ხარობს. მოზრდილი, 8 წლის მცენარე, ჩვეულებრივ, 1.82 მ სიმაღლისაა, თუმცა 2003 წელს ბონში მისმა ყვავილედმა 2.67 მ-ის სიმაღლეს მიაღწია. მეცნიერთა დაკვირვებით, ეს გიგანტური ყვავილი გარემოს ტემპერატურასაც ცვლის. ერთ-ერთი ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ოთახში, სადაც ჰაერის ტემპერატურა 20 გრადუსს უჩვენებდა, ყვავილის ზემოქმედებით, 32 გრადუსამდე დაცხა. სხვათაშორის, ამ მცენარის წონა ზოგჯერ 75 კგ-ს აღწევს.

გვერდები მოამზადა ნანა ჩარკვიანმა

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲐᲨᲨ ᲝᲞᲘᲣᲛᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ნარკოტიკებთან ბრძოლის დარგში დევიდ ჯონსონმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ ავღანეთში ამერიკის მიერ დაწყებული ოპიუმის ყაყაჩოს განადგურების პროგრამა ძალზე მცირე ეფექტს იძლევა. „გადავწყვიტეთ, ყურადღება გავამახვილოთ სხვა სფეროებზე, რომლებშიც მეტი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი“. აშშ-მა გადაწყვიტა, ავღანელებს ოპიუმის ყაყაჩოს ნაცვლად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანა შესთავაზოს.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲑᲝᲜᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ

„The Guardian“-ის ინფორმაციით, ფაქტიურად ნაციონალიზებული ბანკი „Royal Bank of Scotland“-ი ინვესტბანკირებისათვის ბონუსების სახით 1,3 მილიარდი დოლარის გადახდას აპირებს. გაზეთი „The Independent“ წერს, რომ „RBS“-ის ხელმძღვანელმა სტივენ ჰესტერმა სკანდალის შიშით უარი განაცხადა თავის 1,6-მილიარდიან პრემიაზე. იმავე მიზეზით, ოღონდ ამჯერად, ტელეარხ „BBC“-ის ინფორმაციით, კიდევ ერთი ბრიტანული ბანკის — „Lloyds Banking Group“-ის ხელმძღვანელმა ერიკა დენიელემ 2,3-მილიონიან ბონუსზე თქვა უარი.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ „ᲘᲡᲘᲓᲐ“

ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (Y, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ მიკროელემენტოზის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ᲝᲤᲘᲡᲘ); ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ: 890-11-50-99; 895-91-24-14.



ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ
ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲝᲛᲡᲐᲡᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ �პᲐᲙᲔᲢᲡ, 100 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ

— ჰელიობჟენი — 25 ლარიდან; კერამიკა — 85 ლარიდან;
— პროთეზები — 165 ლარიდან (უცხოური მასალით);
— კბილების გაწმენდა-გათეთრება — 25 ლარიდან;
კონსულტაცია უფასოა; მაღალი ხარისხი, დაბალი ფასები.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
აგლაძისა და ქუთაისის ქ. №1 (კუთხეში, ვახუშტის ხიდთან).
ტელ. 30-64-70; 897-140-251.

ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣ�პᲝᲜᲘ

7 STUDIO

ᲨᲞᲡ «ᲡᲔᲕᲔᲜ ᲡᲢᲣᲓᲘᲝ»
ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ, ᲘᲜᲢᲔᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ, ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲘᲡ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ
Seven Studio 893 310 840

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ —
Ი. ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ



ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ

● უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
● ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
● სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
● სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
● ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
● ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
● ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
● სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
● კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
● ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
● ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. 43. ᲢᲔᲚ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77